ალალი წერეთელი

უცნობი პუბლიცისტიკა

აკაკი წერეთელი

უცნობი პუბლიცისტიკა

ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი
2010

UDC(უაკ) 821.3531-92+821.353.1.09
ა-402

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-ტექსტოლოგების მიერ ბოლო ათწლეულების მანძილზე გამოვლენილი აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილები, რომლებიც აქამდე უცნობი იყო ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. ტექსტები აღჭურვილია შესაბამისი სამეცნიერო აპარატით, კომენტარებითა და საძიებლებით. აღნიშნული მასალის დაბეჭდვა, ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, დაგეგმილია ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოსაცემად მომზადებულ აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის შესაბამის ტომებში.

რედაქტორები:
ირმა რატიანი
მაკა ელბაქიძე

შემდგენლები:
ნანა ფრუიძე
ჯულიეტა გაბოძე
ელისაბედ ზარდიაშვილი

მხატვარი
ნოდარ სუმბაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თინათინ დუგლაძე

ISBN 978-9941-0-2952-3

კრებული — „აკაკი წერეთელი. უცნობი პუბლიცისტიკა“ — მომზადდა და დაიბეჭდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

აკაკი წერეთლის უცნობი პუბლიცისტიკა

ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი ჭაბუკი პოეტის პირველივე პუბლიკაციებიდან გახდა საცნაური, რომ დაიბადა მგოსანი, რომლის „ბედნიერი ნიჭის ნაშუქით“ გასხივოსნებული თხზულებები ავტორს „რჩეულთა შორის რჩეულად“, „ერთადერთ აკაკიდ“ აქცევდა. ნიკოლო მიწიშვილის თქმით, „მასში მოწინავე საქართველომ მიიჩნია პოეტის უნივერსალური ტიპი, გამოაცხადა იგი თავის უპირველეს პოეტად, დაივიწყა მისი წოდება, უკუაგდო მისი გვარი, მისი ადამიანური სისუსტენი და დარჩა მხოლოდ „აკაკი“.

არავისთვის იყო საიდუმლო, რომ „ის დიდი და მრავალრიცხოვანი განძი, რომელიც აკაკიმ თავის ხალხს მისცა“ (არტურ ლაისტი), უსათუთეს მოვლა-პატრონობას ითხოვდა და ეს თაობების ვალი იყო.

პოეტის სიცოცხლეშივე შეეცადნენ გამომცემლები მისი ნაწერების თავმოყრასა და გამოცემას, მაგრამ, გარემოებათა გამო, დაწყებული საქმე ბოლომდე ვერასოდეს მივიდა. თავად აკაკიმაც განიზრახა, მოეგვარებინა ეს საკითხი და საზოგადოებას აღუთქვა, რომ მოამზადებდა თხზულებათა მრავალტომეულს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გამოცემა მეორე ტომზე შეწყდა და პოეტის სურვილი განუხორციელებელი დარჩა. ასე რომ, აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობა არც მის სიცოცხლეში და არც გარდაცვალების შემდეგ სრულად შეკრებილი და გამოცემული არ ყოფილა.

XX საუკუნეში აკაკის თხზულებების რამდენიმე გამოცემა განხორციელდა: 1. ოთხტომეული ალ. აბაშელისა და ს. გორგაძის რედაქციით (1925-1928); 2. თხზულებანი, სრული კრებული შვიდ ტომად პავლე ინგოროყვას რედაქტორობით (1940-1961); 3. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად გიორგი აბზიანიძის საერთო რედაქტორობით (1950-1963). თითოეულ მათგანს თავისი დროისათვის საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამ გამოცემების ყველაზე დიდი ხარვეზი ის გახლდათ, რომ მათში, სხვადასხვა მოსაზრებით, ძირითადად კი საბჭოური იდეოლოგიური კონიუნქტურის გამო, ვერ მოხვდა ათობით შესანიშნავი ლექსი, პოემა თუ პუბლიცისტური წერილი. გამოცემებში ასევე ვერ შევიდა ის ტექსტები, რომლებსაც მეცნიერებმა მოგვიანებით მიაკვლიეს პირად არქივებსა თუ სამუზეუმო ფონდებში. აღნიშნული თხზულებები არა მარტო აკაკი წერეთლის იდუმალებით მოცული პოეტური სამყაროს კიდევ

ერთ წახნაგს წარმოაჩენს, არამედ, პირველ რიგში, მთელი სისრულით გვაცნობს მას, როგორც მამულიშვილსა და მოქალაქეს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა მკითხველი საზოგადოებისთვის უცნობი აკაკის პუბლიცისტური წერილები, რომლებიც პირველად წინამდებარე კრებულში იბეჭდება. ეჭვგარეშეა, რომ მკითხველის საგანგებო ყურადღებას დაიმსახურებს აკაკის სტატიები ლიტერატურისა და ხელოვნების, ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის საკითხებზე. მათში პოეტი საგულისხმო შეხედულებებს გვთავაზობს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის, მეზობელ ხალხებთან მიმართების, ე.წ. ოსმალოს საქართველოს პრობლემის შესახებ. ამ დღემდე უცნობ თუ უკვე მივიწყებულ წერილებში აკაკი ეხება ქართული ეთნოფსიქოლოგიისა და კულტურის გენეზისის საკითხებს; საგულისხმო დაკვირვებებს გვთავაზობს „დასელებთან“ დაკავშირებით, ცალსახად უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს იმ დროისათვის (და არა მხოლოდ იმ დროისათვის) მოდური კარლ მარქსის მოძღვრების მიმართ; ასევე, პოეტი აქტიურად განიხილავს ქალთა ემანსიპაციის საკითხს, მსჯელობს ქალის როლისა და დანიშნულების შესახებ ქართულ რეალობაში და ა. შ.

კრებულში „აკაკი წერეთელი. უცნობი პუბლიცისტიკა“ თავმოყრილი მასალა არა მარტო რაოდენობრივად არის უხვი (57 ერთეული), არამედ თემატურადაც მრავალფეროვანია. ბევრი მათგანი მნიშვნელობას მოკლებული დღესაც არაა. ასე, მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ იმ პერიოდის მწირი სულიერი საზრდოთი „გაკაჭკაჭებულმა და ვერ გაწინასწარმეტყველებულმა“ ადამიანებმა პოეტის სიცოცხლეშივე ათასგვარი მითქმა-მოთქმის საბაბად აქციეს მისი და ილიას ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ცხადია, აკაკის უპასუხოდ არ დაუტოვებია ეს ფაქტი, თუმცა ათწლეულების მანძილზე საზოგადოებისათვის პრაქტიკულად უცნობი რჩებოდა, თუ როგორ გამოხატა პოეტმა, ერთი მხრივ, საზოგადოების სიბეცით გამოწვეული გულისტკივილი და, მეორე მხრივ, თავისი დიდი თანამედროვისა და თანამებრძოლისადმი უსაზღვრო პატივისცემა. წერილში „ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულების შესახებ“ გულნატკენი პოეტი განმარტავს: „რომში ყოველი გზით შეიძლება შესვლა“ და თუ ჩვენც ერთი მიზნის მიმდევარი ორი სხვადასხვა გზით მივდივართ ცალ-ცალკე, ის აღმოსავლეთის და მე დასავლეთის გზით, ეს არ ნიშნავს უთანხმოებას და მტრობას... აკაკი ილიას ყოველგვარ ნაწერს ქების ტაშს არ უკრავს. სჩანს,

რომ ემტერება და სძულსო. იგივე ჩემ შესახებ ილიაზედაც ამას ჰფიქრობენ... თუ მტერზედაც კარგი ითქმის და მოყვარეზედ ძვირი, ვერ წარმოუდგენიათ“.

საზოგადოებისათვის უკანასკნელ ხანებამდე უცნობი იყო სომხურ-ქართულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით შექმნილი აკაკის შესანიშნავი პოლემიკური ხასიათის წერილები, რომლებშიც პოეტი ეკამათება სომეხ მეცნიერებსა და მათ მხარდამჭერთ. აკაკი უმდიდრეს სამეცნიერო მასალაზე დაყრდნობით ააშკარავებს საქართველოს კალთის ქვეშ შემოფარებულ ხიზანთა მტაცებლურ ბუნებას და მათ შორსმიმავალ მიზნებს; თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ-ერთი მათგანი — „ისტორიული განხილვა სახელწოდებისა არმენის, ჰაისტანის და სომხეთის“ (1898) — წინ უსწრებს ილიას „ქვათა ღაღადს“ (1899), რომელშიც სწორედ აღნიშნული პრობლემაა განსჯის საგნად ქცეული, ნათელი გახდება, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ პუბლიკაციას მე-19 საუკუნეში.

აკაკიმ უამრავი ენერგია შეალია ჭიათურის მანგანუმის საქმეს. სამწუხაროდ, ბევრმა თანამედროვემ (და არა მხოლოდ) პოეტის დაინტერესება ანგარებით ახსნა, არადა მას სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა. აკაკი კარგად ხედავდა, რომ რუსეთის იმპერია საქართველოს ზნეობრივ დაბეჩავებასა და ეკონომიკურ გამოფიტვას გეგმავდა. ხელისუფლება, რასაკვირველია, გროშსაც არ გაიმეტებდა რაიმე ისეთი სფეროს დასაფინანსებლად, რომელიც ერის დაწინაურებას შეუწყობდა ხელს. გაღარიბებული ქართველობა კი თავად საჭიროებდა მატერიალურ შემწეობას, ასე რომ ქველმოქმედებაზე (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა) საუბარიც არ შეიძლებოდა. საჭირო იყო ისეთი წყაროს გამონახვა, რომელიც საქართველოს სოლიდურ შემოსავალს მისცემდა და რომლის განკარგვის საქმეში ხელისუფლება ვერ ჩაერეოდა. „ფული ისეთი მანქანაა, რომ უიმისოთ ბრძოლა ცხოვრებაში შეუძლებელი და მოუხერხებელია. ჩვენი მამა-პაპები შემოსეულ მტერს ვერ მოიგერიებდნენ, გინდ გმირთა-გმირებიც ყოფილიყვნენ, თუ იარაღი არა ჰქონებოდათ და ფარ-ხმალი ხელში არა სჭეროდათ... დღეს, მართალია, ცხადად შემოსეულ მტრებს ვერა ვხედავთ, მაგრამ ბრძოლა კი, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მაინც ისევ საჭიროა და ამათი ფარ-ხმალიც მხოლოდ ფულია! სანამ ფული არ გვექნება ქართველებს და სხვისი შემჩერე ვიქნებით, ჩვენ ყოველთვის ხელფეხ შეკრულ მონებად დავრჩებით! ვართ კიდეცა!.. და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ღვთის მოცემული სიმდიდრე, ქონება

ვერ მოგვიხმარია. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ეს აუარებელი მადნეულობა, რომელიც ჩვენს ურგებ მთებში იმალება, საკმაო კი არა, მეტიც იქნება ჩვენი ქვეყნის გასამდიდრებლად“[1]. აკაკის მახვილმა გონებამ მართლაც იდეალური გამოსავალი იპოვა. ალღოთი მიხვდა, რომ ის „ქვა-გუნდა“, რომელსაც იმერეთში „ეშმაკის ქვასაც“ უწოდებდნენ, ღვთის მიერ მომადლებული საჩუქარი იყო. მან არც დრო და არც ფული არ დაზოგა იმისთვის, რომ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს დაედასტურებინათ მისი ვარაუდი, შემდეგ კი ყველა ღონე იხმარა საქმის დასაწყებად. აკაკი ფრთაშესხმული იყო. ის მართლაც ზღაპრული შემოსავალი, რასაც მარგანეცის დამუშავება შემოიტანდა, პოეტს პირადი კეთილდღეობისათვის არ ესაჭიროებოდა: „მე ასე მეგონა, თუ ის მრეწველობა მარტო ჩემ ხელში იქნებოდა და ისე მოვიხმარდი, როგორც სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისთვის და ეროვნულ მოთხოვნილებებს დავაკმაყოფილებდი. მიწები ხომ ქართველების იქნება, — ვამბობდი გუნებაში, — მუშებსაც ქართველებს ავიყვან და ის დიდი მოგება, რომელიც მოსალოდნელია, ჩვენებს შეძლებას მისცემს, რომ სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებაც დააწესონ“ (იხ.: წინამდებარე კრებულში წერილი „შავი ქვის თავგადასავალი“). სამწუხაროდ, ეს, თავად აკაკის თქმის არ იყოს, მხოლოდ პოეტური ოცნება გამოდგა. აკაკის არათუ არავინ ამოუდგა მხარში, პირიქით, ხელი შეუშალეს და საბოლოოდ საქმეს კიდევაც ჩამოაშორეს. აკაკის გული არ გაუტეხავს. ის ყოველთვის იმედოვნებდა, რომ მარგანეცის საქმე ადრე თუ გვიან გადამწყვეტ როლს ითამაშებდა ქვეყნის „გამობრუნების“ საკითხში. ყველაფერთან ერთად, აკაკის პირველაღმომჩენის სახელსაც შეეცილნენ. პოეტი, ცხადია, არ იკადრებდა, რომ ამის გამო დავა დაეწყო, მაგრამ მას გული დამცინავმა კილომ ატკინა. ზოგიერთი ავტორის სტატიიდან ისე გამოდიოდა, რომ აკაკი თვითმარქვია იყო და სხვისი ღვაწლის მითვისებას ცდილობდა, ამიტომაც საჭიროდ ჩათვალა პოეტმა, ყოველივე კიდევ ერთხელ დაწვრილებით მოეთხრო საზოგადოებისათვის, რათა ბოლო მოღებოდა უსამართლო შენიშვნებს, თუმცა სტატია აღარ დაუბეჭდავს. წინამდებარე კრებულში, საზოგადოებისათვის უცნობ სწორედ ამ წერილს გაეცნობა მკითხველი

აკაკი წერეთელი აქტიურად თანამშრომლობდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ჟურნალ-გაზეთებთანაც. სამწუხაროდ,

[1] აკაკი წერეთელი, შავი ქვის ამბავი, თხზ. სრ. კრებ., ტ. XIII, თბ., გვ. 78.

დღემდე საგანგებო ყურადღების საგნად, ფაქტობრივად, არ ქცეულა ის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც რუსულ ენაზე შექმნა აკაკიმ. ამჯერად წარმოვადგენთ 1894 წელს დანერილ რამდენიმე წერილს, რომლებიც გაზეთ „Новое обозрение“-ში დაიბეჭდა და შემდეგ არცერთ კრებულში აღარ მოხვედრილა. პირველი ორი წერილი „М.г. г. Редактор“ და „Ответ автору банковиады“ ბანკების საკითხსა და მათთან დაკავშირებულ უთანხმოებას ეხება. აკაკი, რომელიც საზოგადოების ყოველგვარი „პროგრესული მოთხოვნილების“ ხორცშესხმის ხელშემწყობი და მხურვალე მხარდამჭერი იყო, იმთავითვე სიფრთხილით მოეკიდა სათავადაზნაურო ბანკის დაარსების საკითხს. ცხადია, მას სხვებზე ნაკლებად არ ესმოდა, თუ რამხელა მნიშვნელობა ექნებოდა ქართველი ერისთვის ბანკს, რომელიც არაერთი მამულიშვილური წამოწყების ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობას მოგვცემდა. ბანკი ზღაპრულ ნატვრისთვლად შეიძლებოდა ქცეულიყო ქართველი კაცისთვის და მისი სამი ყველაზე სანუკვარი სურვილი შეესრულებინა: 1. საკუთარი მიწა-წყლის ბატონ-პატრონად ექცია; 2. განათლება მიეცა; 3. ეკონომიკური დამოუკიდებლობის წყალობით პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებაც რეალური გაეხადა; მაგრამ ფული, ისევე, როგორც ყველა სხვა იარაღი — თოფი, ხმალი თუ სხვა რამ — ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სარგებლობის ნაცვლად საზოგადოებას ზიანს მოუტანდა. წერილში „М.г. г. Редактор“ აკაკიმ ბანკი სამართებელს შეადარა, გამოუცდელი ქართველობა კი - პატარა ბავშვს.

პოეტი არცთუ უსაფუძვლოდ შიშობდა, რომ საბაზრო ეკონომიკის კანონების, ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციფიკის უცოდინარ ხალხს ბანკის დაარსება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა: წვრილი მემამულენი დაუფიქრებლად დააგირავებდნენ თავიანთ მიწებს და ჩვენთვის დამახასიათებელი უგულისყურობითა და არასერიოზულობით უკანასკნელ სარჩო-საბადებელსაც დაკარგავდნენ. თუმცაღა პოეტის ამგვარი პათოსით გამსჭვალული პუბლიკაციები უფრო თანამედროვეთათვის რეალობაზე თვალის ახელას ისახავდა მიზნად და არა ბანკის გახსნისთვის ხელის შეშლას. აკაკის არც შემდეგში დაუტოვება უყურადღებოდ ეს საკითხი.

ამ წერილების გაცნობა მკითხველს კიდევ ერთხელ დაარწმუნებს, რამდენად მძიმეა საზოგადო მოღვაწის ხვედრი. თუ

თვით აკაკისაც კი, რომელიც ხალხის უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, ასე ხშირად სტკენდნენ გულს, რა მდგომარეობაში იქნებოდნენ დანარჩენები? ჭეშმარიტად გაუზვიადებლად თქვა აკაკიმ:

„დიახ! ქართველ მოღვაწეს
ყველას თვალში ვამცირებთ:
სიცოცხლეში ვატირებთ,
რომ მოკვდება — ვიტირებთ!“[1]

კრებულში მკითხველი არანაკლებ საინტერესო სხვა პუბლიცისტურ წერილებსაც გაეცნობა. აქვეა წარმოდგენილი ღირსეულ მამულიშვილთა (გრიგოლ ეპისკოპოსის, დიმიტრი ყიფიანის, გ. ღოღობერიძისა და სხვ.) ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვები; ამა თუ იმ საქვეყნო მნიშვნელობის მოვლენასთან დაკავშირებული მიმართვის ტექსტები, ინტერვიუები და სხვა ჩანაწერები.

აკაკი წერეთლის შემოქმედება ჩვენი კულტურული საგანძურის ნაწილია. ამდენად, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ აკაკის ახლად გამოვლენილი თუ უსამართლოდ მივიწყებული პუბლიცისტური ნაწერების ერთად თავმოყრა და მკითხველისათვის შეთავაზება, ვიმედოვნებთ, მნიშვნელოვან კულტურულ-ლიტერატურულ მოვლენად იქცევა.

ნანა ფრუიძე

[1] აკაკი წერეთელი, დამარხვა, თხზ. სრ. კრებ., ტ. III, გვ. 222.

წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე

სიმართლის ჭორიკანობა

დიდი ხანია ამ „ცისკრის“ უპატივცემულესთ მკითხველებთან ლაპარაკი მსურს, მაგრამ აქამდის სხვადასხვა მიზეზები მაბრკოლებდნენ. ამჟამად მრავალი აზრი მაქვს გამოსაცხადებელი და არ ვიცი, რომელი დავიწყო და როგორ ვილაპარაკო. მე მხოლოდ ეს ფიქრი მაწუხებს, რომ არ ვიცი, რა უფრო სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ჩემთა მკითხველთათვის? სხვადასხვა ქვეყნის რომ მოვჰყვე, თუ ჩვენს საზოგადოებაზედ რომ დავიწყო ლაპარაკი, ჩვენს სულზედ და ხორცზედ? ვაითუ ამ პირველსავე შემთხვევაში მრავალნი დამემდურნენ და ჰსთქვან: სხვა ქვეყნების ანბავი რა საჭირო არისო, ჯერ ჩვენიც რომ არ ვიცითო, და თუ ჩვენს თავზედ ლაპარაკს შეუდექი და სხვა და სხვა ჩვენი ღირსება თუ ნაკლულევანება წარმოვსთქვი, ვაითუ ამაზედაც გამიწყრენ და სთქვან: ეს ანბები რა საჭირო არისო, ვინ არ იცისო. ამას გარდა, ჩვენს თავზედ ლაპარაკი ცოტა ძნელიც არის ამისთვის რომ ჩვენ ქართველებს, როგორც მოგეხსენებათ, პატარა ამპარტავნობა გვაქვს და ჩვენის ნაკლულევანების გამოცხადება არ იქნება, რომ არ ვიწყინოთ. მაშ რა ვქნათ, როგორ დავმალოთ ეს სწორე ანბავი, ამ ახლო ხანებში რომ მოხდა? არას ქვეყანაში არცა ყოფილა, არც არის და არც იქნება სრული, საზოგადო მთელი ერის განათლება. ყოველგან ასეა, რომ ზოგნი წინ არიან წასულნი, ზოგნი უკან დარჩენილან, როგორც მაღალი ხე — ზოგს ტოტი რომ ცამდისა აქვს ასული და ზოგი რომ დედამიწას ძლივს ასცილებია, ამითი ვინუგეშოთ თავი და მივუტეოთ იმ ჩვენის საზოგადოების ნაწილსა, რომელიც გონიერებით და მხედველობით უკან არის დარჩენილი და ისე მოქმედებს, როგორც მუშტის კრივის სამართლის დროები

რომ ყოფილა, იმ დროებს შეეფერება. ახლანდელს დროში კი შეიძლება ცოტაოდენი ნება ვიქონიოთ და ზოგიერთი ანბავი შესაბამის თავისუფლებით წარმოვსთქვათ — ოღონდ კი პატიოსნებისა და წესდებულების წინააღმდეგი არა იყოს რა.

პირველად მოგილოცავთ საყვარელნო ქართველნო, ორ სასიამოვნო ანბავსა: ერთს სიბრძნე სიცრუის წიგნის დაბეჭდვასა და მეორეს ერთის ყმაწვილის კაცის რუსეთში გასანათლებლად გაგზავნას.

მადლობა ღმერთს, ძლივს ერთი ქართული წიგნი დაიბეჭდა! ეს დიდი და იშვიათი ანბავია ჩვენში. ან როგორ არ უნდა იყოს დიდი ანბავი, თვითქმის ამ ათს წელიწადში წიგნი არ დაბეჭდილა რა ჩვენს ენაზედ ამ „ცისკრის“ გარდა. უმორჩილესად გთხოვთ, ეს ანბავი სხვაგან არსად წამოგცდესთ, რომ ანგლიჩანებმა ან ამერიკელებმა არ შეგვიტყონ, თორემ რას იტყვიან? სხვა არა იყოს რა სასაცილოდ აგვიგდებენ. იმათს ქვეყნებში წელიწადში იმდენი ფურცლები გამოდის, რომ ერთიერთმანეთს გადააბან, ცამდის ასწვდება. ერთხელ მახსოვს, „ცისკარში“ განცხადება ეწერა, რომელითაც ერისთავი გვატყობინებდა თავის წადილსაც — ყველა ქართული წიგნების დაბეჭდვასა, — მაგრა ამ კეთილმა განზრახვამაც ისე ჩაიარა, როგორც მრავალ სხვა სასარგებლო აზრს ჩაუვლია აღუსრულებელსა, ბევრს კი უთქვამს, თუ არ უნდოდათ დაბეჭდვაო, რაღათ გვპირდებოდნენ, ძალას ვინ ატანდაო. მაგრამ რატომ? იმედიც კარგია. ამას მაინც იტყვიან, ამა და ამ დროს ჩვენცა გვქონია კარგი განზრახვით. არცთუ ჩვენც გახლავართ მართალნი ამ საქმეში, პირი რომ დაგვიღია და რაღაცას შევსცქერივართ, ვითომ რას ველით? ყოველიფერს ხომ მთავრობა ვერ გაგვიკეთებს: „მთავრობა ერთია, ხალხი ასი ათასია. ჩვენ თუ არას ვიმეცადინებთ ჩვენის სარგებლობისათვის, თუ ჩვენვე თუ არ გავანძრევთ ხელსა, მარტო მთავრობამ რა უნდა ჰყოს. როგორც მოგეხსენებათ, ლაპარაკი ქართველებს ხშირად გვიყვარს და როცა ლაპარაკში მიზეზის ძებნაზედ მთავრდება საქმე, მაშინვე მარშლებს წავსწვდებით ხოლმე: ვისი ბრალია თუ არა მარშლებისაო; ბალებისათვის თუ იმდენ ფულს გვართმევენ, ერთხელ ამგვარი საქმისათვის გამოგვართონო, „მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო“, ერ-

თი მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე, აქ მარშლებისა რა ბრალია, თუ გსურთ, თქვენ თვითონ შეაგროვეთ ფული და ისე კეთილად მოიხმარეთ, როგორც ამჯობინებდეთ. ძმებსა და დედ-მამას ადვილად გავეყრებით ხოლმე, ჩვენი თავის პატრონობა თვითონ ჩვენვე უნდა შეგვეძლოს. დაუდევნელობა კი მაშინ უფრო მძიმედ დაგვაწვება ხოლმე ზურგზედა, როდესაც საზოგადო საჭიროება გაგვიჩნდება ხოლმე. და ამას კი აღარა ვფიქრობთ, როს საზოგადო საჭიროება ის არის, როდესაც ყველას უჭირს. რაც მთავრობისაგან იქნება ჩვენი ხელის გასამართავი, იმაში მარშლები დიახ წაგვეხმარებიან და რაც მთავრობას არ შეეხება, იქ მარშალიც ის არის, რაც მე ვარ, შენა ხარ, ის არის, თქვენა ბრძანდებით და ისინი ჰსუფევენ. მხნეობა, ბაქარ ქართლელისა არა იყოს, მარტო ერთსა და ორს კი არა, ყველას გვმართებს.

რა არის ამ სიტყვებში სიბრძნე და რა არის სიცრუვე, ეს თქვენ გაშინჯეთ, საყვარელნო და მე მხოლოდ ეს ნება მიბოძეთ, რომ ორიოდ სიტყვა კიდევ მოგახსენოთ: ერთს საზოგადოებაში დიდი დავა იყო, უნდოდათ შეეტყოთ, ეს ახალი „სიბრძნე სიცრუის“ წიგნი ვისგან არის გამოცემული: ერთი იძახდა უ. ჩუბინოვისაგანაო, მეორე უ. ტოპაძისაგანაო, სხვანი კი ანბობდნენ: მაგათი რომ ყოფილიყო, თავისს სახელს უთუოდ გამოაცხადებდნენო, მაშ ვისგან არისო? ჰკითხეს იმათ, — უ. პეტერბურლის სტუდენტებისაგანაო. თუმცა სახელი და გვარი არც იმათ გამოუცხადებიათ სხვადასხვა მიზეზებისა გამო, მაგრამ, სწორედ ვიცით, რომ მათგან არის გამოცემულიო. რადგან ასე ჰსწორეთა ჰსცოდნიათ, — გვიკვირს, რატომ ვერ გაუბედავთ უ. სტუდენტებს თავისი სახელისა და გვარის გამოცხადება, უნდა იმალებოდეს ცუდი და სათაკილო. კეთილი და სასიქადულო რათ უნდა იმალებოდეს. ადრე რომ ყოფილიყო, არ იქნებოდა გასაკვირველი, მაგრამ ეხლა სწორეთ მოგახსენოთ, ამგვარი შიში ცოტა უცნაურიც არის. მე მგონია, უ. სტუდენტებს თვითონაც კარგად მოეხსენებათ უმიზეზო ეჭვები არასდროს არ ვარგა. ვინ რას იტყოდა, რომ თავიანთი გვარები გამოეცხადებინათ. ვინ რა დანაშაულობას იპოვიდა ამაში. იქნება იფიქროთ ვინმე! რომ ჩვენი განათლება არ უნდოდეს ვინმეს! მაშ, მაგდენი ყმაწვილები რას იზრდებიან ხელმწიფის ხაზინის ხარჯითა. იქნება

იფიქროს ვინმემ, რომ ჩვენს ქართულს ენაზედ წიგნების დაბეჭ-დვა საწყენოდ მიაჩნდეს ვისმე! მაშ რათ დაუბეჭდამს მაგდენი ქართული წიგნი იმპერატორის სამეცნიერო აკადემიასა? ღვთის გულისათვის, რა საფიქრებელია ესა. მაშ შეგვატყობინეთ ღვთის გულისათვის, რამ დააბრკოლა უ. სტუდენტები, რომ თა-ვისი სახელი არ გამოაცხადეს და ახლა არ ვიცით, ვის უნდა შევსწირვიდეთ მადლობასა „სიბრძნე სიცრუის“ მშვენივრად დაბეჭდვისათვის? რა გაეწყობა! დაუსახელებლად უნდა დავ-ლოცოთ: ღმერთმა გვიცოცხლოს კეთილი სტუდენტები და გვიმრავლოს იმათი ღირსი ამხანაგები: იმათგან ველით საზოგა-დოდ სასარგებლო საქმეებსა. ისინი უნდა იყვნენ ჩვენი განმა-ნათლებელნი, იმათ უნდა გადმორგონ ჩვენს ქვეყანაში ახალი ჰსწავლა, ახალი აზრი, ახალი მდგომარეობის მოწყობა, ისინი უნდა იყვნენ წინამძღვარნი ჩუ̂ენის საზოგადოებისა და მოცი-ქულნი კეთილზნეობითის განათლებისა.

ათას ხუთასი წიგნი დაუბეჭდიათ „სიბრძნე სიცრუისა“. ორასი ქაღალდის ვალში მიუციათ, დანარჩენი აქ გამოუგზავ-ნიათ გასასყიდათ. მადლობა უნდა შევსწიროთ უ. ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და იმისს თანაშემწეებს, რომელთაც შრომა მიუღი-ათ ამ წიგნების გასყიდვაზედ. ეგრეთვე ვმადლობთ უ. ინოკენტს მოძღვაროვს — ხუთ დღეში რომ ორმოცი წიგნი დაარიგა. დიდ მადლობას უძღვნით უ. დიმიტრი აფხაზს, სამასი წიგნი რომ აუღია იმ პირობით, რომ თუ ვერ დაარიგა, ფასი თვითონ გა-იღოს, აგრეთვე, ვმადლობთ იმათ, ვისაც თვითო წიგნის მაგი-ერად ორ-ორი და უმეტესი აუღიათ და ვმადლობთ ყველა ჭეშ-მარიტს ქართველსა, ვისაც სიამოვნებით მიუღია ამ წიგნების დაბეჭდვა. ამასთან არ შემიძლიან ესეც არ მოგახსენოთ, საყვა-რელნო მკითხველნო, რომ ზოგიერთს შემძლებელს ჩვენის სა-ზოგადოებისაგანს ყიდვის მაგიერათ, დაუცინიათ კიდეც და უთქვამთ: რა საჭირო არისო, რომ მაგაში ფული არ მივსცეთო. ხელნაწერებიც ბევრი გვიყრია შინაო. ორის შემძლებელის კა-ცისათვის ეთხოვნათ, რომ ერთი წიგნიც არის აეღოთ, მაგრამ იმათ უარი ეთქვათ, მერე რომ არ მოშვებოდნენ, სანახევროთ ეყიდნათ ერთი წიგნი. ამისთანა საქმეს ახსნა აღარ უნდა. ნამ-დვილ ანბავს მოგახსენებენ, რომ უ. ჩვენი სტუდენტები კიდევ

აპირობენ სხვა ქართული წიგნების გამოცემასა, ღმერთმა კეთილად აღასრულებინოს ეს სურვილი.

ეს ხომ კარგი ანბავი იყო. ახლა სხვა უნდა მოგახსენოთ, ერთი ყმაწვილი კაცის გაგზავნა სასწავლებლად პეტერბურგის უნივერსიტეტში. პირველი აზრი ამ საგანზედ ეკუთვნის, როგორც შევიტყეთ, ორს ყმაწვილ კაცსა, რომელთაც სახელის გამოცხადება კარგი იქნებოდა, მაგრამ ნება არა გვაქვს. ერთს იმათში ეთქვა მეორისათვის, ამა და ამ ჩემმა მცნობებმა ერთი ყმაწვილი ქართველი მიქესო და იმისი სრული თხზულება წამიკითხესო, სწორეთ გითხრა, ძალიან მომეწონა და იფიქრე ჩემი გაკვირვება, როცა მითხრეს, რომ მაგ მშვენიერის თხზულების ავტორი (დამწერი, შემთხზველია) სასწავლებელში არსადა ყოფილაო და ამ მცირე ჟამში ვიღასაც უჩვენებია რუსული ანბანი, იქიდამ უმოძღვროდ თვითონ შეჰყოლია ჰსწავლასა და ისე განუვითარებია თავისი თავი რუსულს ენაში და გაუხსნია თავისი გონება, როგორც დიაღ კარგსა და დიდიხნის მოწაფესო. ცოდვა არ არის რომ ამისთანა ნიჭსა რიგიანი ჰსწავლა არ მიეცესო. რა გვარიაო, ჰკითხა თურმე მეორემ, ესა და ეს გვარიო. ვიცი, მაგისი ქება მეც მრავალი გამიგონიაო. მართლა სამწუხარო იქნება, რომ მაგისთანა გონიერმა ყმაწვილმა კაცმა რიგიანი ჰსწავლა ვერ მიიღოსო. და აი რა მოუხერხოთ: ფულები მოვკრიფოთ, ხელი შეუწყოთ და სასწავლებლად რუსეთში გავისტუმროთო. ამდენს პატიოსანს ქართველებში თხუთმეტიოდ კაცს როგორ ვერ ვიპოვნით, რომ წელიწადში თორმეტი მანეთის გამოღება არ გაუჭირდეთო. მე თუნდა ახლავე მოგითვლი ათას, თორმეტ კაცსა, რომ უეჭველად დიდის სიხარულით გამოიღებენ წელიწადში თორმეტ-თორმეტს მანეთს ამ კეთილი საქმისათვისაო, — დიახ კარგი იქნებაო, უპასუხა თურმე პირველმა, ეხლავ ნავალ და იმ ყმაწვილის ამხანაგებს შევატყობინებ, ისინიც უთუოდ შეგვეწევიან ამ საქმეშიო. ამათ დიდის სიამოვნებით მიუღიათ ეს ანბავი, მაშინვე გაეკეთებინათ სია ფულების მოსაკრეფი და რაც ამ საგანს შეეფერებოდა ორიოდ სიტყვა დაეწერათ და თვითონაც თვე და თვე თვითო მანეთის მიცემა მოეწერათ მინამდისინ ის ყმაწვილი სახელმწიფო ხარჯზედ მიიღებოდეს: მერე აქა-იქ დაეტარებინათ სია და შეეგროვებინათ თვრამეტ

თუმნამდინ. ეყიდნათ სამგზავრო ტანისამოსი, აეღოთ პოლიციიდამ მოწმობა, ეშოვნათ მგზავრი და ყმაწვილი კაცი გაესტუმრებინათ. აბა, როგორ არ გვმართებს მადლობა იმათთან, ვინც მიიღო მონაწილეობა ამ კეთილს საქმეებში. ღმერთმა ინებოს, რომ ამგვარი კეთილი საქმე ხშირად მოხდებოდეს ჩვენს ქვეყანაში, დავრდომილი რომ არის ახლა და მოელის აღდგენასა და აღყვავებას, მხოლოდ ჭეშმარიტის ჰსწავლისაგან.

რასაკვირველია, ამ აზრის წინააღმდეგნიც გამოჩენილან და უთქვამთ: „ვინ არის, ვისა ჰგზავნითო და რისთვის ჰგზავნითო; ეგ ჰსწავლულები და მეცნიერები აქაც ბევრნი არიან და ასე ვიცი, ვის რა ხეირი დააყარესო“. რამდენი ამისთანა სიტყვები გაეგონათ კიდევა, ვისაც დაჰქონდათ მოსაწერი სია, აი, მაგალითად, ერთს ეთქვა: რა უნდა მოვაწერო, ეგ უმაღლესის ჰსწავლისათვის მიდის და მე უმდაბლესიც არ მიმიღიაო. მეორეს მდიდარს სიტყვით ძალიან ექო ყმაწვილის გაგზავნა, მაგრამ საქმით ვერ დაემტკიცებინა, რადგანაც ცოლი ახალ კაბას თურმე იკერამდა საბალოთ. მესამეს მანათი მოეწერა, მაგრამ აღარ მიეცა, პალტოს ვაკერვინებ და ფული მჭირდებაო. მეოთხეს ხუთის მანეთის მოწერა თურმე ეთაკილებოდა, მომატებული უმძიმდა და ამ კეთილის მიზეზით არა მოეწერა რა. ერთს პატივცემულს გვამსაც ეკითხნა სიის მიმტანისათვის: თქვენ რა საბუთით აგროვებთ მაგ ფულებსაო? არ ვიცოდი, რომ კეთილს საქმეს საბუთი მოუნდებოდაო, სიის მიმტანს მიეგო. პატივცემულს გვამს ეთქვა: მეორე ესა, მაგ ყმაწვილის გვარი ქართველისას არა ჰგავსო და არც მე ვარ ქართველიო, თუმცა... ვარ ქართველებისაო. როცა ყველა სიტყვის პასუხი მიეგო სიის მტარებელს, მაშინ ეთქვა: მე ვერ მოვაწერ ხელსა და თქვენც გაფრთხილებთო. ერთი პატივცემული გვამისათვისაც ეთხოვნათ რომ მოეწერა, მაგრამ უარი ეთქვა, მოაწერეთო, თორემ „ცისკარში“ ჩაგწერთო, — „ცისკარში“ არა და ლოცვანშიაც რომ ჩამწეროთ, მაინც არ მოვაწერო.

მ. რუსეთუმე.
[1860]

ახალი ამბები

კარგია დიდი კაცის შვილობა და ნამეტურ დიდი ჩინის ქონა; დიდი ჩინოსანი რომ ვიყო, უეჭველია რომ რაც უნდა დავწერო, ყველა დიდი სიამოვნებით წაიკითხავენ და მეტყვიან: „ღმერთს შენთვის დიდი კაცის შვილობა და ჩინიც მოუცია და მასთან ძალიან ნიჭიერი კალამი; თქვენი სტატია „ცისკარში“ ისე ბრწყინავდა, როგორც ვენერა თავის თანამეტოლიდგან“. მაგრამ მე საწყალი, არა თუ დიდი, არც პაწაწინა ჩინის პატრონი ვარ და რაც უნდა დავწერო, მაინც არავინ წაიკითხავს და ამ მიზეზისათვის დავიწყებ ნელ-ნელა ლაყბობას და მოვახსენებ აქაურს ამბებს, ვისაც არ გაუგონია და სურს, რომ გაიგოს.

ბატონებო, ჩვენში ისეთი ჩვეულება გახლავს, რომ როგორც „ცისკარს“ მიიღებენ თუ არა, მაშინვე დახედავენ, თუ ვისი რა სტატიები არის, თუ ავტორის გვარი მოეწონათ, მაშინ ხომ დიდი სიამოვნებით წაიკითხავენ, თუ არა, დააგდებენ და დახევენ. ახლა მოგახსენებთ, ზოგს ძველს და ზოგს ახალ ამბებს, მაგრამ ბატონებო, არ გეგონოთ, თუ ამ ჩემს სტატიას ვისმეს შეგონებით ვსწერდე, ან გამოჯავრებით (ზოგიერთებივით) არა, ღმერთმანი არა! წარსული თვის თებერვლის „ცისკარში“ უ. ეფთვიმე წერეთელმა ინება, რამოდენიმე სიტყვის დაწერა თ. ი. ჭავჭავაძეზე და ამ სტატიამ ძალიან ბევრი ხალხი აგვილაპარაკა, ასე რომ თითქმის რა დროსაც უნდა გაგევლოთ ბულვარში, უეჭველია, რომ გაიგონებდით „ჩვენი ეფთვიმეს სტატია წაიკითხეო“. თქვენ ნუ მომიკვდებით, ძალიან კარგი სტატიაო, ძალიან კარგა დაუწერა თ.ჭავჭავაძესო“. ეგრეთვე ბევრს ოჯახებში გაიგონებდით ეფთვიმე წერეთელზე ლაპარაკს. ვგონებ, არ ვიცი, მეჩვენებოდა თუ რა მიზეზი იყო, როცა ბულვარში მარტო დავდიოდი, სულ ეს სიტყვები მესმოდა: „ეფთვიმეს სტატიაო“.

საშინელი, შეჩვენებული რამ არიან პეტერბურღში ჩვენი ყმაწვილები! გუშინ ერთმა ჩემმა ამხანაგმა მიამბო, რომ ვითომც უ. ეფთვიმე წერეთლის სტატიაზე პასუხს აპირებენ და ვნახოთ, რავარი ან როგორი იქნება უ. თერგდალეულების სტატიები. ჩვენ არ გვეშინიან იმათი, გარწმუნებთ, რომ ძალიან ვემზადებით, მიუგოთ ჩვენ მაგიერი პასუხი — „არა საკვირველია,

არა საწინააღმდეგო საზოგადოებისა“. მართლა, ეს რას გავს, ბატონებო; ახლანდელი ჭრელაძეების მოქმედებაები, თითონ არ იციან, რას შობიან, იძახიან: „ჩვენა ვართ, ჩვენ“, და ბოლოს კი ვხედავთ, რომ სულ ტყუილად ყვიროდნენ. მათ ყვირილს აბა რა სარგებლობა მოუტანია? სრულიად არასფერი! სულ ერთი ეფეკტის და თერგდალეულების წამხედურობით ყვირიან და აშენებენ: თუ რას, ანგარიში არ აქვთ ამათ პლანებს.

წინეთ ამისა, როცა მარშალს ვირჩევდით, რა პლანები დასახეს რომ იცოდეთ, ბატონებო, გაგიკვირდებათ. აბა, თქვენი ჭირიმე: რიონში პარახოდი შემოიყვანეს ქუთაისამდის, მერმეთ ქუთაისიდგან ქალაქამდის რკინის გზა გააკეთეს, ასე რომ იტალიის ოპერაში წავიდნენ საღამოს და ვახშმათ კი ოპერის შემდგომ ქუთაისში მოვიდნენ. ბარაქალა რკინის გზავ! რაღა, რჩევა რომ კითხოთ, არიან ყოჩაღები, მაგრამ საქმეში სუსტობენ; არაფერია, ყმარწვილები ბრძანდებიან, ყოველთვის მიეწევიან, თითქმის არც ჯეერანი წაუვათ მუხლად!!! ამას წინეთ, გიმნაზიელებმა საზოგადოების შეწევნით წარმოადგინეს ქუთაისში სხვადასხვა თეატრები „ღარიბების სასარგებლოდ“, მაგრამ თეატრის გათავების შემდგომ კლუბში კარგი მასპინძლობა ქონდათ, ასეთი მასპინძლობა კი ჰქონდათ, რომ თითქმის „ღარიბები“ დაავიწყდათ. ღმერთმა უშველოთ, მეც დამალევინეს ერთი ორი ჭიქა ღვინო და არ ვიცი, რაღაცა შუშხუნა იყო ისეთი კარგი რამ იყო, ბევრი ვლოცე იმის დალევინებისათვის.

დიდი ხანი არ არის, რაც გიახლენ ჩვენ ქუთაისში კომედიანჩიკები, არ ვიცი, რა მიზეზისთვის ეძახიან კომედიანჩიკებს ქუთაისში; უფრო მართალი სახელი უნდა იყოს, ვგონებ, თუ არ მეშლება, „ვოლტიჟორები“? თავის დღეში არ შეხთომიან ამისთანა ბედნიერებას ეს კომედიანჩიკები; ვგონებ, ბოშვიც არ აკლია არც ერთს ამათს წარმოდგენებს. ძალიან ფულის მოგებაში არიან, იძახიან, ამისთანა ძვირად ყოფილა სადმეო, თითქმის ევროპაშიდაც სახელგანთქმულნი არიანო და დასამტკიცებლად თავიანთი სიტყვებისა მოწმობენ იმ პირებთ, რომელიც ყოფილან რუსეთში. მაგრამ ბატონებო, ეს რასა გავს? რუსეთუმეებს რომ მოეწონოთ, უეჭველად ჩვენც უნდა მოვიწონოთ? რა პირობაში ან რათ. ნუთუ ყოველიფერი უნდა მოვიწონოთ, რაც იმათ

მოეწონოს? არა, არა! თუ არ გამიწყრებით ერთს მოგახსენებთ: ამდონ ფულს რომ ხარჯავს ჩვენი საზოგადოება სულ ტყუილა უბრალოდ, ის უმჯობესი არ იყო, რომ ჩვენი საკუთარი თეატრი გვქონოდა? ძალიან სასარგებლო რამ იქნებოდა.

ნუთუ კომედიანჩიკების ყურება სჯობდეს? არა, თამამად ვიტყვი, არა. ასეთი რამ ფოკუსნიკი გახლავს ჩვენი წვერიანი გერმანი, რომ მართლა გასაკვირალი რამ არის უბრალო ხალხისათვის, მაგრამ ერთჯერ თუ ორჯერ. აბა, ერთი დაუკვირდით, ვისაც თქვენგან თეატრი უნახავს, და წარმოიდგინეთ კი პირუთვნელად თ. გ. ერისთავის მელოდრამაში „შეშლილი“, საცა გიჟი ქალი შავ კაბაში თმაგაშლილი მღერს და ლაპარაკობს. მე არა მგონია, ქართველისათვის ამაზე უკეთესი კარტინა ვინმემ მოძებნოს. მაგრამ თუ ისე წარმოადგინეთ ქართული თეატრი, როგორც „ვეფხვის ტყაოსნის“ წარმოდგენას აპირებდით, მაშინ უეჭველია, რომ ცუდი რამ იქნება ჩვენი ქართული თეატრი. ბატონებო, თქვენვე კარგად მოგეხსენებათ, რომ აკტიორობა და აკტრისობა თვალ-ტანადობაზე კი არ არის, ესეც ერთი დიდი ნიჭია და ნამეტურ იმ კაცმა ან ქალმა როგორ უნდა ითამაშოს რამე როლი თეატრში, რომელსაც არც თეატრი უნახავს, და არც შეუძლიან წარმოიდგინოს, თუ რარიგ ან რა არის თეატრი.

შარშან ვეფხისტყაოსნის წარმოდგენას რომ აპირებდნენ, მაშინ მისთანა აკტიორებს ეძებდნენ, როგორიც მოქმედნი პირები ახოვნებით არიან „ვეფხვის ტყაოსანში“ წარმოდგენილი, ის კი აღარ განიძრახეს, რომ იმ კაცებს, რომელიც დღეს თავიანთი ახოვნებით სახელგანთქმული არიან იმერეთში, შეუძლიანთ თუ არა ითამაშონ როლები იმ გრძნობით, როგორიც გრძნობას და აკტიორის მიხრა-მოხრას თვითონ პოემა თხოვილობს. ნუთუ ჩვენ, მაყურებელნი, უნდა დავჯერდეთ აკტიორების მოსულობას, ე. ი. იმათ სიმაღლეს, მოსულობას და პირის სახეობას? მე მგონია, რომ ამგვარი სიკეთე აკტიორებისა ძალიან ფუჭია, ნამეტურ „ვეფხის ტყაოსნისათვის“, რომელიც ძალიან ცუდათ არის გადაკეთებული და მეტის მეტი დიდია თეატრში წარმოსადგენათ. და ამგვარი კომედიანჩიკები, როგორიც ესენი ბრძანდებიან, იშოვნიან ფულებს თუ არა, მაშინვე თავის გზისკენ გაუდგებიან. ან კი რაღა მოგება ექნებათ მაშინ, როცა ერთი

და იგივე წარმოდგენას ათასჯერ განიმეორებენ, მაგრამ ახლა კი ცხოვრებაში არიან.

ვისაც უნდა შეხედოთ, ყოველი კაცი მირბის ამ ბულვარში. რომ დაუძახოთ, აი, მიხაილ, კონსტანტინე, გიორგი, ვახტანგ და სხვებს, სად მიდიხარ, უეჭველია თავითაც და ხელებითაც გაჩვენებენ, რომ კომედიაჩიკებთან მიეშურება. გული შემიწუხეს ამათზე ამდონმა ლაპარაკმა, აი, გუშინ იმისთანა წარმოდგენა იყო, რომ ჯერ იმისთანა არ ყოფილა. სასამართლო ადგილებშიდაც მეტზე აღარაფერზე ვლაპარაკობთ — აი, კომედიაჩიკები და კომედიაჩიკები. საშინელ რამ ზარალი მოუვიდა ჩვენ ბულვარს, სასამართლოების წინ რომ ალაყაფის კარებია, აღარ ეშვებიან ხალხი დილიდამ საღამომდი. თუ ჭიან პაპიროზს სმენ, თუ ლაპარაკობენ, ვისაც ახალი ამბის გაგონება გნებავთ, აქ მობრძანდით და გაიგონეთ. არც კვირეა ამისათვის და არც აღდგომა, მოუსვენებელი რამ არის საწყალი. ჩვენი საზოგადოება დილიდგან საღამომდის ვიზიტს უკეთებს ამ პატარა ადგილს. ისე გაუჭირდა საწყალს ამტონი სტუმრიანობით საქმე, რომ ქვესკნელში გაპარვას აპირებს. ძალიან ძირს დაიწია ამ ადგილს ჩვენმა ბულვარმა, ასე რომ ცოტა წვიმა როცა არის, მისთანა ტბა დგება ხოლმე ამ ალაყაფის კარებთან, შეიძლება რიონის პარახოდმა თავისუფლად იაროს. ღირს მხოლოდ, რომ პატარა თხრილი გაჭრან ახალ ხიდამდის და მერე, რასაკვირველია, რომ თავისუფლად შამოვა რიონის პარახოდი. როგორ უნდა ვიფიქროთ, თავშესაგროვებელი ადგილი იქნება ბუტკასთან და უნდა განვიძრახოთ, რომ გვიან თუ ადრე ის ადგილიც ძირს დაიწევა, მაშინ უეჭველია, რომ გათხრიან თხრილს და შეაერთებენ ასე, რომ აზიის ვენეცია იქნება ჩვენი ქუთაისი. მაშინ უყურეთ ჩვენს საზოგადოებას. პატარა ნავებს გაიწყობენ და დაიწყებენ სეირნობას და ვიზიტობას. ერთი სიტყვით, განათლდა ჩვენი ქუთაისი; კომედიანჩიკები ხომ ქვეყანაზე არ არის ამათთანა. რიონში პარახოდი შემოდის ბუტკამდის და მერე კი რკინის გზა არის ქალაქამდის, მაგრამ ძალიან შიშობენ, რომ ხარაგაულის გზაში ვაგონი არ დაემტვრეთ და ამისთვის ჩვენმა ჭრელაძეებმა განიძრახეს, რომ ბუტკიდან გაიყვანონ თხრილი და წყალწითელას შეაერთონ, მერმეთ წყალწითელა უნდათ, რომ

შეაერთონ ჭიშურას. ცოტა ჯაფა მოუვათ, მაგრამ ამათ ფანტა-ზიას ვერაფერი ვერ შეაყენებს.

მერმეთ შეყვებიან ყვირილას და ყვირილიდგან სხვა წყლე-ბით მივლენ მოლითამდის, მოლითიდგან ცოტა ჯაფა დაჭირდე-ბათ, რომ ტკვარს შეაერთონ. აი, ბატონებო, რა პლანია და ან როგორ ნათლდება ჩვენი ქუთაისი? ახლაც კი ღვთის მოწყალე-ბით, კარგი განათლებულია, შვიდ საათზე ამოდის მზე და ექ-ვსზე ჩადის. სიცხეებიც ძალიან არის, ასე, რომ განათლებასთან არც სიცხე აკლია. რაღა უნდა მეტი ჩვენს ქუთაისს? კმარა ამ-დონი ლაპარაკი ჭრელაძეებზე, ვიცით, როგორც ბრძანდებიან. მაგრამ ნუთუ არაფერი ვთქვათ იმ ყმარწვილ ქალებზე, რომე-ლიც ბრძანდებიან ჭრელაძეების მსგავსი? იმათი ისტორია რომ მოგიყვეთ, სწორეთ იმდონი იქნება, რომ ეს ჩემი სტატია თავს მოგაბეზრებს მკითხველებს და უმჯობესია, ვეტტო, რომ მოკ-ლედ ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა ჩვენ ყმარწვილ ქალებზე: წმინდა ნინოს სასწავლებელს, რომელიც არის დაფუძნებული უგანათლებულესის კნეინა ვარანცოვისაგან, დიდი სარგებლო-ბა მოაქვს, აი, როგორ: ჩვენი ქალები დიაღ კარგა სწავლობენ რუსულის ტანციობას, საზოგადოებაში თამამად სხვა და სხვა საგნებზედ სჯიან. მათ თუმცა არ ასწავლიან ძველ ხელსაქმეებს და ოჯახის მოვლას, რომლითაც აქამდის იმერლის ქალები იყ-ვნენ ნაქები, მაგრამ ან კი რაღა საჭიროა ახლანდელ დროში (მართალი არ გეგონოსთ)? მაგრამ ერთი ეს საზოგადო შენიშვნა უნდა მივსცეთ განათლებულ ქალებს: თქვენ რომ ქართულად ელაპარაკებოდეთ, ის პასუხს გაიგებს ყოველთვის რუსულებ (დიაღ, დიდი მოსაწონია ვაიმე)! მაგრამ ხანდისხან სიჩქარის გამო ურევს ქართულს, აი, ამ რიგათ: ეიბოღუ კი მართალია, პა-ჟალუსტა, წადი ია ნენავიჟუ შენ, ეტო რას ნიშნავს, მნე ნენრა-ვიტსია ძალიან, შალიკო, ზაჩემ გაბუტული ტი დღეს და სხვანი მრავალნი. ვაიმე, ვაიმე, მე საბრალოს! რამოდენი გინებას და წყევლას გამომიგზავნიან ყმაწვილი ქალები, მაგრამ ბევრი იმათგანი კეთილი გულის ბრძანდებიან და იტყვიან: რას ერჩით საწყალს მართალის წერისათვის, როცა თქვენ მაგრე ლაპარა-კობთ, კიდე ცოტა დაგიწერათ, უეჭველია აღარ გაახსენდებოდაო.

არა, ბატონებო! გახსენებით და მოაზრებით ბევრს გავიხსენებდი, მაგრამ თქვენს წყენას ვერიდები. ამას წინეთ სადილად ერთ ჩემ მეგობარ კაცთან ვიყავი, ერთმა ყმაწვილმა ქალმა ფანჯარაში გაიხედა და იკითხა: ეტო რა არის? სახლის სახელი ვეღარ მოიგონა ქართულებ; ვეღარ მოიგონა თუ მოიწონა თავი მით, რომ ქართული დაავიწყდა, ისიც არ ვიცი. ამ პატიოსან ქალს ისეთი კითხვა მოუვიდა, როგორც ერთმა იმერლის ღარიბის ქალმა სული მოიდგა და მერმეთ კითხვა დაიწყო: ნეტავი ვიცოდე, ის რა ბა-ლა ქია, რომელიც ქორცს და ქელს ცვამს, მაშინ მეორე იმერელმა მიუგო: ეგ ის ბალახია, რომელსაც ყმაწვილობაზე თქვენ კრეფდით და რჩებოდით: მაგ ბალახს ქვიან ჭინჭარი. არც ერთხელ დაუშაშხავს თქვენთვის ხელები და ძალიან კეთილის გულის ყოფილხართ, რომ ავის დავიწყება გცოდნიათ.

მართლა, ერთში კი ძალიან საქები ბრძანდებიან ის ზოგიერთი ყმაწვილი ქალები, რომელსაც ვეძახით ჭრელაძეებს; ძალიან მლოცველი ბრძანდებიან, ხშირად დადიან ხან მოწამეთას, ხან გელათს — არა თუ მარტო ისინი? არა, ბევრი სხვა ყმაწვილები ჭრელაძეებითურთ, როცა წაბრძანდებიან, აი, როგორც ამას წინეთ გელათს, ერთი ორმოც ცხენოსან ნაკლებ არ წავლენ, ცხენოსნობაზე რა უნდა ვთქვა: ერთი-მეორეს ჯობიან. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ხანდისხან ჩამობრძანდებიან მოსასვენებლად წყალწითელას პირზე, გელათისაკენ მწვანე მოლზე, ხის ჩრდილის ქვეშ (რომლითაც ამტკიცებენ ქართლის შვილობას) და არის საშინელი სმა და მოლხენა; ასე რომ საცა აპირებდნენ მისვლას, ის ადგილი ავიწყდებათ და ყვირიან. მერე წავიდეთ, აი, ხვალ, ხვალეობაში რომ მიდიან, მაშინაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვეღარ ასრულებენ იქ მისვლას, და რომ კითხოთ: სად იყვნენ, უეჭველია, გეტყვით, გელათსო, მაგრამ აშოროს კი, ბატონებო!!! დრომდის მშვიდობით.

თერგ დალეული

1862 წელსა
15 აპრილი
ქ. ქუთაისი

ჭეშმარიტების აღდგინება

ყმაწვილი რომ ენას ამოიდგამს, მშობელი ისეთ აღტაცებაში მოდის, რომ ნამეტანის სურვილითა და ნდომით უცნაურად იხატავს თავის ნაშობს და მის უბრალო ტიტინში, მომავლისათვის გენიოსურ რამესა ჰხედავს და იმედისაგან მოტყუებულს, ათასნაირათ, ამაოდ უტკბება აწმყო. რა მაგისთანა ჭკვიანი იყოს მშობელი, მაინც ებმევა ამგვარ მახეში და მით უფრო ადვილათ, თუ სხვა შვილები იმ ერთის გარდა ყველა გლახები ჰყავს. ე. ი. ყრუ და მუნჯები! სწორედ ამ გვარად მოუვიდა უ. გიორგი წერეთელს მოენიძის შესახებ: 1867-სა წ. ერთ დღეს ტფილისში შევხვდი გიორგი წერეთელს, რომელიც მეტის სიხარულისაგან კრიკინაზედ (ყურძენზედ) დამთვრალ შაშვივით ჭყლოყინებდა; მე კარგად ვიცოდი, რომ იმას კერძო რამე ისე ვერ აიტაცებდა და რომ კიდეც აეტაცნა, ისე არ გამოაშკარავებდა!.. შევატყვე, რომ რაღაც საზოგადო უხაროდა და ამისათვის მეც მოვინდომე შეტყობა და აი, რა მითხრა: „მომილოცავს, ჩვენ შეგვეძინა ერთი პოეტი, რომლის ენერგიულმა ლექსებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მკითხველებში. არა თუ ჩვენში, ასე გასინჯე რომ, სხვების ლიტერატურაშიდაც ძვირათ ვინმეს გადოუდგამს ასე ძლიერად პირველი ბიჯი!.. აი, ის ლექსები წაიკითხე და მითხარი შენი ჰაზრიც!“ — როდესაც წავიკითხე სუყველა, მე სიცილი ამიტყდა და ეს ვუპასუხე წერეთელს: „ეს ლექსები დაუწერია ძალიან ჭკვიან თავს, იქა-აქ ეტყობა, რომ ჰაზრს გულიც გაუთბია, მაგრამ პოეტიკური და ხელოვნური კი, აქ არა არის რა. ეს ლექსი გაკვეცილი პროზაა. ლექს-გვარად რომ არ დაწერილიყო, მაინც სასიამოვნო საკითხავი იქნებოდა; ქვედა მუხლები მაგ ლექსების ზემოთ მოაქციოთ და ზედა ქვმოთ, სიტყვებიც რომ გადასვ-გადმოსვათ, მით მაგ ლექსები არასა ჰკარგავენ. ეგ იმ გაკრეჭილ ლექსებთაგანია, რომელსაც ახლა ჩვენს ლიტერატურაში ბევრნი ეძალებიან. ყარაბახის ბედაურს რომ ფაფარი გაუკრიჭო, ბაჩა არ იქნება, მაგრამ ბედაურის ღირსებას მაინც არ დაჰკარგავს, სწორეთ, ისეა ეგ ლექსებიც“. ერთი სიტყვით, ეგ მოენიძე არის ფურცელაძე. მაგგვარი ლექსების წერა, სამწუხაროდ ჩვენდა იმან დაიწყო, როდესაც, ქერელ-ბიჭობაზე ხელი

აიღო და გაირინდა პისარევვივით. წერეთელმა ძალიან იხუა ამ-
გვარი შედარება და მაჩვენა თემარ-ხან-ბურიდან მოწერილი
წიგნები ვიღაც აფიცერის მოენიძისაგან, ვინც გულ-წრფელო-
ბას გულის ტკივილამდი და წყლულებამდი არ მიუყვანია. მისი
ამით მრწმუნებიდამ გამოყვანა ძნელია და ამის გამო მეც აღარ
გაუწიე ბაასი წერეთელს ამ საგანზედ და მოვშორდი. როდესაც
„სამის თავ-გადასავალი“ გამოვიდა, მე ძალიან მომეწონა. ის
რომანი იყო დაწერილი ჩერნიშევსკის რომანის „რა ვქნათ“-ის
მიბაძვით. წერეთელს არ მოსწონდა და არც ბაასში გაჰყვა
მოენიძეს, თუმცა ის კი ითხოვდა ომს. მიზეზად ეს მითხრა
წერეთელმა, რომ მე მოენიძის შესახებ იმ აზრისა ვარ, რა
აზრისაც ჩერნიშევსკი იყო პისარევზედაო. ჩერნიშევსკიმ მისწე-
რა ანტონოვიჩს, როდესაც პისარევს ებაასებოდა; ე. ი. პისარევი
ჩვენს ლიტერატურის ბაღში შესანიშნავი ყვავილია და უფრ-
თხილდი უზომოდ ნურც ცივ წყალს გადაასხავ და ნურც ცხელს,
რომ არ დასჭკნესო!“ — იმავ გიორგი წერეთლის წყალობით სა-
ზოგადოებაში დაიწყეს ქება მოენიძის ისე რომ, ერთს ოჯახში,
ერთმა ქალმა აღტაცებაში მოსულმა მოენიძისაგან, მირჩია მეც
ჯერ-ჯერობით მისი მიბაძვით მეწერა და როდესაც უმტკიცებ-
დი, რომ ეგ მოენიძე იგივე დაწუნებული ფურცელაძეა-თქო,
სულ იკივლა და საცინლად ამიგდო ამ უგუნურებისათვის. ერ-
თის სიტყვით, არავის არ ეჯერა მოენიძისა და ფურცელაძის
ერთი და იგივეობა. ერთხელ ანტონ ფურცელაძესთან ავედი; ის
ჩვეულებრივ საწერ სტოლზედ დამიხვდა. ჩამოვაგდეთ ლაპარა-
კი ლიტერატურაზედ და სხვათა შორის მოენიძეც ვახსენეთ.
ანტონმა მოენიძეს ქება დაუწყო. მე სიცილით ვუთხარი, რომ
მოხარული ვარ, რომ ჩვენს ლიტერატურას დღემდი მარტო ერ-
თი ფურცელაძე ჰყავდა და დღეს კი ორი ეყოლება-თქო და ბო-
ლოს გამოტეხით ვუთხარი, რომ მოენიძე ის იყო!.. ფურცელაძე
უარზე დადგა და მაჩვენა თემარ-ხან-შურიდამ მოწერილი წიგ-
ნები. „ეგ არა ფერია! — ვუთხარი მე — უთუოდ ნაცნობი ვინმე
გყავს იქ, იმას უგზავნი შენს ლექსებს და იქიდამ გადაწერილს
აგზავნის!“

— ეგ რა ანგარიშით უნდა ვქნა? რა ჰაზრია მაგაში? — მომიგო.

— ის ჰაზრი, რომ მოენიძეს რომ ქებას დაუწყებენ და ფურცელაძეზედ კი არას იტყვიან, შენ გამოუხტები იმათ ერთ დღეს და იტყვი, მე გახლავარ მოენიძეო. — ამ სიტყვაზედ იმან თავის ცოლს შეხედა და მითხრა: „მე და ჩემი ცოლის მეტმა და ერთიც კიდევ სხვა პირის მეტმა არ იცოდა ეგ ანბავი. შენ სწორეთ გულში ჩამიხტიო“, მითხრა და თანაც მთხოვა, რომ ნურავის ეტყვიო და კიდევაც ავუსრულე ის თხოვნა. ახლა იმას ავხსნი, თუ რათ მოიგონა ეს საშუალება ფურცელაძემ: 1860-ს წლების წრის სტუდენტებში ერთი ცუდი ზნე იყო, რომელიც დიდხანს მოჰქმედობდა შემდეგ სტუდენტებზეც: ეს ზნე იყო მიდგომა. ზოგიერთი ახალგაზრდები, რომელნიც პირველობას ეპოტინებოდნენ ახალგაზრდობაში, მაგრამ თვითონ კი არავითარი ნიჭი და განსხვავებული ღირსება არა ჰქონდათ და ვინც კი იმათ თაყვანსა სცემდა, ისინიც მიდგომით აქებდენ იმას, სულ უღირსიც რომ ყოფილიყო და ყოველ ნიჭიერ მოწინააღმდეგეს, რომელიც, რასაკვირველია, მათ არ დაემონებოდა, ყოველ-გვარათ აძაგებდენ. ამ გვარათ სტუდენტობაში გაჩნდა ბატონ-ყმობა, ის ბატონყმობა, რომელიც აქა-იქ დღესაც კი იხედება, მაგრამ ამ საგანზედ უფრო დაწვრილებით გვაქვს ნალაპარაკევი ერთს სტატიაში „სტუდენტობა“, რომელიც იმედი გვაქვს მალე დაიბეჭდება და ახლა განვაგრძობ ისევ ფურცელაძეზედ: ფურცელაძეს, როგორც ნიჭიერ კაცს ეს გარემოება დანახული ჰქონდა და ეგონა, თუ გიორგი წერეთელიც იმგვარ სტუდენტთაგანს ეკუთვნოდა, მაშინ როდესაც ღვთის მადლით ამ ცოდვებს ის აცდენილია!.. ერთის სიტყვით, იმ მოწერებით, რომელზეც ზემოთ მოვიყვანეთ, წერეთელი მოსტყუვდა შესახებ მოენიძისა, რომ ისე აქებდა ადრე და, ჩვენის აზრით, დღესაც მოტყუებულია, რომ ასე აძაგებს ამ ჟამად, როდესაც მის გენიოსობაზედ წინასწარ-მეტყველება აღარ აუხდა. ფურცელაძე სცდილობს, რომ ამით ისარგებლოს და დაამტკიცოს წერეთლის ან გულ-მზაკვრება ან სრული უნიჭობა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ წმინდის გულით ამას თვითონ ვერ იფიქრებს, ისე როგორც გ. წერეთელიც სტყუა, როდესაც ფურცელაძეს

აძაგებს და გულში კი სხვასა ჰფიქრობს. ამ შემთხვევაში, ორივე სტყუიან მკითხველებთან და დამნაშავეც არიან, რომ ერთმანეთს დაჯიბრებული პუბლიკას ატყუებენ. ძალიან სასიამოვნო იქნება, რომ პირადობას თავი დაანებონ, კერძოთ არ ეხებოდენ ერთმანეთს და იშრომონ ისე, რომ მკითხველი ჰქონდეთ სახეში, და არა უხეირო თავ-მოყვარეობა, რისთვისაც ჩვენც მადლობელი ვიქნებით და მაგათი, ვითომ პოლემიკისაგან, თავ-მობეზრებული პუბლიკაც შეისვენებს.

[1879]

ქართული თეატრი

ჩემი მოლოდინი მართლდება: ქართული თეატრი ფეხს [იკიდებს] და სწორი გზით აპირებს სვლას. მისთანა მხატვრული მორთულ-მოკაზმულობა სცენის და მოთამაშეების შეთანხმება, რომელსაც ჩვენ დღეს ვხედავთ, ჯერ არ ღირსებია ქართულ სცენას. მისი აღყვავება უეჭველია, თუ იმ სენმა, რომელიც ყოველ-გვარ დაწესებულებათა წინ ეღობება, არ იჩინა თავი... მე მოგახსენებთ უდისციპლინობაზე და სიზარმაცეზე, რომელიც დღევანდელ ქართველს ღირსებას უქარ-წყლებს. ქართველი საზოგადოდ ბუნებითად ნიჭიერია. ამას მისი წარსული ცხოვრება, ისტორია, გვიმტკიცებს. რამდენიმე ათასი წელი მოუსვენრად ისტორიულ ქარ-ცეცხლში გაატარა ამ ერთმა მუჭა ხალხმა და გული არ გატეხია, არ დაცემულა!.. შეირჩინა თავისი ენა, ეროვნული ელ-ფერი და ბოლოს სარწმუნოებაც, მაშინ როდესაც სხვა მსოფლიო ქვეყნები კი ამოიფხვრენ და სრულიად გაქრენ. დაუკვირდით მამებისაგან გადმონაცემ „ზეპირსიტყვაობას“ და დაინახავთ იქ, თუ რამდენი მარგალიტია გრძნობა-გონების ჩამარხული, მომავლისათვის საგულისხმო? ეს ყოლიფერი ეკუთვნის [წარსულ] დროს, როცა მტრები მხოლოდ ხორციელად გვიპირებდენ მოკვლას და დღეს კი ხორცს აღარავინ ეხება, ბრძოლის ტაქტიკა გამოიცვალა: გვიხუთვენ სულს იმ მოსაზრებით, რომ ხორციც უეჭველად თან გაჰყვეს. ამ ტაქტიკას თავისი ნაყოფი მოაქვს და დღევანდელი ქართველი ისე მოგავს თავის წინაპარს, როგორც აჩრდილი ნამდვილს. დღევანდელი საქართველო ერთი თვალის გადავლებით, თვითქმის აღარ არსებობს, საცოდავი რამეა!.. არა თუ სიცოცხლის, გამოფხიზლების ნიშანწყალიც არ ეტყობა! მაგრამ მასთანაც, რომ დავუკვირდეთ, მიხვდებით, რომ გულს ტყვილა ვიტეხთ: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“ და მხოლოდ მისი კეთილგამოღვიძებაა საჭირო! და მასთან ერთად თავ-დადებული ბრძოლა იმათთან, რომელთაც გამოღვიძებული უკუღმართი გზით მიჰყავთ...

მართალია, დღეს საქართველოს ზედაპირი სჭკნება, მაგრამ საქმე ფესვია და მისი ძირი ჯერ კიდევ ხელშეუხებლად მაგარია!

ეროვნულ არსებას დიდი ანალოგია აქვს უბრალო ხესთან: ვინ არ იცის, რომ როცა ხეს ქარიშხალი დაჰკრავს და დაჭრაქავს, ჯერ მაღლა — მწვერვალში ფოთლები გაუყვითლდებიან და ის შტოები, სადაც ყვავილები ესხმის და ნაყოფი ებმევა, ჭკნობას დაიწყებენ ხოლმე. მაგრამ თუ იმ ხეს დაბლა ფესვები ჭიანი არა აქვს და მაგრად აქვს მიწაში გადგმული, არა უჭირს რა. დამ-ჭკნარი შტოები დაცვივდებიან, მათ გადანასხეპზე სხვა ახალი ამოიყრის და გამობრუნებული ხე ისევ ნაყოფის მომცემად გა-დაიქცევა. ასეა ჩვენი ეროვნობის ხეც: მართალია წვეროში ჭკნება, მაგრამ საშიში მაინც არა უჭირს რა! რომ ჩვენი დაბალი წოდება თვისის ნიჭით და მეცადინეობით მომავლისაკენ იყურე-ბიან, ამისი იჭვი არ არის! ვინც ჩვენ დაბალ ხალხს, სოფლიდან გამოუსვლელ გლეხ-კაცობას იცნობს და დაკვირვებია მის სი-ტყვა-პასუხს, დამემოწმება ამაზე. ხშირად შეხვდები ჩვენში მისთანას, რომელსაც სიტყვა-პასუხი, მიხრა-მოხრა, თვითქმის მოქმედებაც ინტელიგენტური აქვს; ზოგი ადვოკატია მათ შო-რის, ზოგი მწიგნობარი, ზოგი მღვდელი და სხვანი... ეკითხები: სად გისწავლიაო? და — „არსად, ბატონო! არსად! ჩემით! ხო-ლოდ ჩემითო!“ მაშ თუ ეს ღარიბ-ღატაკი წოდების შვილები, გა-ჭირვებული და ხელ-[ცარიელები] მეტი გზა რომ აღარა რჩებათ, თავის თავათ იკვლევენ გზას, მაშინ რაღა უნდა ვსთქვათ იმ შეძლებულებზე, გაკვალული გზით რომ მიდიან, მართლა ათა-ვებენ მაღალ სასწავლებლებს? ისინი ხომ ცაში ვარსკვლავებს უნდა ჰკრეფდენ?!... უეჭველია, ასეც იქნებოდა, რომ ის გზა, რომლითაც ინტელიგენცია მიდის, უკუღმართი არ იყოს! „ღა-ლატში“ [ ][1] ეუბნება ზეინაბს ქართველების გაღვიძების შესა-ხებ: „მოაშორეთ ცხენს ის საპალნე, რომელიც ისე [მძიმედ] აწევს და მაშინ ნახავ, თუ როგორ შეკუნტრუშდეს, ვარსკვლა-ვებს შეეთამაშოს!“ და ჯერ კი დიპლომები ყველგან მფრინავ კაჭკაჭებს ამრავლებენ და დაბალ წოდებაში კი ხშირად ვხე-დავთ ჯაჭვით დაბმულ ლომებს [ ][2] ვეღარ მიიწევენ!

[1] ტექსტი არ იკითხება.
[2] ტექსტი არ იკითხება.

შეხსენით საბელი, აუშვით ის ლომები და მაშინ ჰნახავთ, თუ სადამდი მივლენ ის, დღეს დაბმულები!?.. გალიაში ბევრს ვერას ისწავლის... სწავლა-განათლებასაც თავისი კანონები აქვს – თავისუფალი და სწორ მიმავალი გზა. თუ მოსწავლე ამაებს ასცდა, იმას, უეჭველია, გზა და კვალი აებნევა და ტყეში გზა დაბნეული, დაიწყებს ხეტიალს და აი, ამას კვლავაც ვხედავთ. ჩვენი ნასწავლები, როგორც მაცდური გზით წატყუებულები, ფართხალობენ, მაგრამ გზადაბნეულად და უნაყოფოდ...ველარ ვარჩევთ ავსა და კარგს, აღარ ვიცით, რა ეჭირვება ჩვენს ძალ-დატანებით დასნეულებულ სამშობლოს? და თვალს ვარი-დებთ!.. მაშ ვინ უნდა მიგვითითოს ამ სნეულებაზე? და გაგვით-ვალისწინოს მისი სატკივარი, რომ ჩვენ სამკურნალოს მიწოდე-ბა მოვახერხოთ? — თეატრმა!.. თეატრი უნდა იყოს სარკე ხალ-ხის ავისა და კარგის მაჩვენებელი. ის უნდა ჩაუკვირდეს თავისს ქვეყანას წვრილმანამდი. ყოველ ერსა აქვს თავისი განსაკუთ-რებითი ენა, ბუნება, გამოთქმა, მიხვრა-მოხვრა, მოქმედება და სხვანი. და ამ წვრილმან რამეებს დიდი ისტორიული მნიშვნე-ლობა აქვსთ. მაგალითად: ქართველი გაჭირვების დროს „ვაი დედას“ იძახის, რუსი კი „Охъ Матюшки“-სა ყვირის. ქართველი ტანჯვის გამოსახატავად თმაში იტაცებს ხოლმე ხელს, რუსი კი თითებს იმტვრევს. სულ სხვა და სხვა მიმიკაა! მაგრამ არც ერ-თი კი უმიზეზო არ არის. და ერთის მეორეში არევა დიდი შეც-დომაა. შეიძლება ქართველმა მსახიობმა შემეცნურად ითამა-შოს რომელიმე იბსენის, კნუტ გამსუნის, გაუპტმანის და სხვა ევროპიელთა მწერლების პიესებში, მაგრამ იმით ქართველი მსახიობი ვერას ეტყვის ქართველ-გულს! ეს იქნება ცხოვრება ნორვეგიელების, გერმანელების და სხვათა და არა ქართული. მეტყვიან: აქ იქნება გატარებული მსოფლიო აზრები, სანამდი-ნაც უნდა ქართველი ავიყვანოთო!.. შეიძლება, რომ ეს მართა-ლიც იყოს, მაგრამ ყოლიფერს შესაფერი დრო ეჭირვება. როდე-საც მტერი შენ მოსაკლავად მოდის, მაშინ ყოლიფერი უნდა და-ივიწყო მის მეტი, რომ მტერი როგორმე მოიგერო. და როცა მოიგერებ, მერე იფიქრო სხვაზე. როცა შენს ოჯახში შესვლას აპირებ, ჯერ პირველ საფეხურზე უნდა მოიმაგრო ფეხი, აჰყვე მომარჯვებულადაც კიბეს და ისე ახვიდე. თორემ ფეხაცილებუ-

ლად რომ ხტუნვა დაიწყო, მიზანს ვერ მიახწევ. ამითი ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ გარეშეს ყოლიფერს თვალი ავარიდოთ-მეთქი. არა. ყოველივე გარეშესაც თვალ-ყური ვადევნოთ და რაც გამოსადეგია ჩვენთვის, მხოლოდ იმას ჩავჰკიდოთ ხელი, თორემ გაურჩევლად, მაიმუნურად მიბაძვა სავნებელია და მართალსაც გვეუბნება ერთი ანდაზა: „წამწყმიდა წამხედურობამ“. ყველაზე უმალ ეს წამხედურობა არ შეშვენის თეატრს და ჩვენმა თეატრმაც უნდა აიცდინოს თავიდან და ხშირად არ გვიმასპინძლდებოდეს ნათარგმნი პიესებით. ის უნდა იყოს ხალხის აღმზრდელად და ხალხს ისე ექცეოდეს, როგორც აუდიტორიას. და აკი ისეც იქცევა ჯერ-ჯერობით სათეატრო კომიტეტი!... პირველად წარმოდგენილი იყო ამ სეზონში, თუ არ ვსცდები, სამჯერ „სამშობლო“. აპირებენ „ღალატის“ წარმოდგენასაც და ეს კარგი ნიშანია!.. რას წარმოადგენენ ეს პიესები? ან ერთი და ან მეორე?

აკაკი
[1882]

წერილები ჩვენს მწერლობაზე

კაცი რომ შინ და გარეთ, ორგანვე საქმეს მოსცდება, იმაზე იტყვიან ჩვენში:

„აგიაშვილის გამდელსავით მოუვიდა, შინ სადილს მოსცდა და გარეთ წირვასაც ვეღარ მოუსწროო!“. ეს ანდაზა სწორედ ზედ გამოჭრილია უმეტეს ნაწილ ჩვენთაგანზე! რაც ჩვენმა წინაპრებმა იცოდენ, ის აღარ ვიცით, მათებური თითქმის ყოველიფერი უცხოა ჩვენთვის და სხვებისგანაც სამკვიდროდ ვერა შეგვიძენია რა. დავრჩით ორთა შუა, ამის დასამტკიცებლად საკმაო იქნება მივმართოთ ჩვენს მწერლებს და ამ ოცდა ათის წლის ჟურნალ-გაზეთებს გადავავლოთ თვალი!.. იქიდან ცხადად გამოჩნდება, რომ ჩვენს მოწინავე დასს გრძნობაც და გონებაც ნასესხები ჰქონია დროებითად და არა შეხორცებით ძვალსა და რბილში გამჯდარი. რაც უთქვამთ, ის ყოფილა მხოლოდ სხვისი ნათქვამის განმეორება თუთიყუშ-კაჭკაჭივით და არა აბრეშუმის ჭიასავით გულიდან ამონაქსელი. მართალია, ხან-დახან ვითომ დროიანათა და რიგიანათაც თქმულა ხოლმე თვითო ოროლა რამ, მაგრამ ის მხოლოდ შემთხვევითი ყოფილა, მაინც კიდევ თუთიყუშურად წამონაძახები.

— ერთხელ თურმე რუსის გლეხები შევიდნენ ბატონის სახლში და შინ არავინ დაუხვდათ. ვიღაცამ კი დაუძახათ იმ გაცეტებულ მუჟიკებს: „დურაქო!“ გლეხებმა მიიხედ-მოიხედეს და შენიშნეს მხოლოდ ფრინველი გალიაში და გაოცდნენ. მაშინ წარსდგა გალიის წინ სტაროსტა, ქუდი მოიხადა, წამოიჩოქა და მოახსენა უცნაურ ფრინველს: „თქვენო აღმატებულებავ, უბრალოთ ნუ შეგვრისხამ, მოგვისმინეთ ვედრებაო!“ მაგრამ თუთიყუშმა კიდევ დაიძახა: „გასწი, დაიკარგე, შე ლოთოო!“... წამოცვივდენ რუსის გლეხებიცა, თავქუდმოგლეჯილი გავარდენ გარეთ და ჰკვირობდენ!.. ვინ შეატყობინა ამ ჩიტს ჩვენი ანბავი და ან ის ვინ უთხრა, რომ სტაროსტას არყის სმა უყვარსო“? წავიდენ და მთელი სოფელი დაარწმუნეს: ჩვენს ბატონს გულთმისანი ფრინველი ჰყოლიაო! რა იცოდნენ და იმ მართლა „დურაკებმა“, რომ თუთიყუშს ის სიტყვები დასწავლილი ჰქონდა, წამდაუწუმ სულ იმას იძახოდა და მაშინ მხოლოდ შემთხვევით კარ-

გათ მოუვიდა?.. .ვიცი, სასიამოვნოდ ბევრს არ დარჩება ეს ჩემი აზრი, მაგრამ რა ვქნა?.. და მეც ვაღვიარებ, რომ უმეტესობა ჩვენში თუთიყუში, კაჭკაჭია და არა თავის თავის მოაზრე — ამას მე წამითი გულისთქმა არ მალაპარაკებს... ეს მე ბევრჯელ მითქვამს სიტყვით და წერითაც გამოვტეხილვარ!... ახლა კი ბ. ნიკოლაძის სტატიამ „ახალ მიმოხილვაში“ „ჯეჯილის“ საწინააღმდეგოდ დაწერილმა, განმამეორებინა და ნურაფერს უკაცრავად!

ეს, რაც ზოგიერთ უმეტესობაზე ითქვა, რასაკვირველია, არ ითქმის ნიკოლაძეზედაც!.. პირიქით, ის მრავალაზროვანი და ორჭოფი მწერალია! მისი აზრი შადრევანივითა სცემს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ საჩვენოში რომ ამოჰჩუხჩუხებს, სხვისს ჰრწყავს და, ამის გამო, მის საზოგადო მოღვაწეობის ოცი წლის სარბიელი შიგა და შიგ ჭრელია. აკვირდები და ვერ გაგირჩევია: ან თავი სადა აქვს და ან ბოლო? ვინც იმას ჩვენ-სავით დაახლოვებით იცნობს, ის, ცხადია უგულწრფელობას ვერ შესწამებს, მაგრამ ეს კია, რომ მის მოუსვენარ ბუნებას უკიდურესი თავისმოყვარეობა უჩხიკინებს და მაშინ არის, რომ გულ-გადაყოლილ ნიკოლაძეს ნახტომი ეშლება ხოლმე. — პირადად მისთვის ეს ნაკი მაინცა და მაინც საშიში არ არის. ბევრჯელ გამოსულა ხოლმე ისევ სწორ გზაზე, მაგრამ, სანაღვლო ის არის, რომ იმას ყოველთვის ჰყოლია და ჰყავს ხოლმე მიმდევრები და ისინი კი, ერთხელვე შეცდომაში შეყვანილნი, უნაყოფოდ რიყეზე რჩებიან.

— დღეს ნიკოლაძის თხზულება იბეჭდება და, როდესაც სრულად გამოვა, მაშინ საბუთი გაექნება ხელში მისი ნაწარმოებიდანვე დავამტკიცოთ, რომ მის ნაღვაწს ერთი ფერობა და ერთი აზრობა აკლია და მანამდი კი გაკვრით სიტყვას ვხმარობთ, მით უფრო, რომ დღეს საზოგადოდ მაინც არა გვსურს იმაზე ვილაპარაკოთ და და მხოლოდ ერთს კერძო ახალ-ნახტომს შევეხებით.

— ვისაც კი „ანა-ბანა“ უსწავლია ჩვენში და ნებართვაც აუღია, რომ იგივე „ანაბანა“ სხვებსაც ასწავლოს, ვისაც კი გაუგონია შორიდან პესტალოცისა და დისტერვეგის სახელები, გადაუთვალიერებია, უშინჯავს და წაუკითხავს ვოდოვოზოვი, თავი მწიფე პედაგოგი ჰგონია და დიდ მოძღვრათაც მოაქვს.

გაუგონიათ აგრეთვე, რომ „ტენდენცია“ მავნებელია ყმაწვილებისათვისო და თვითონაც ფეხისხმის აყოლით გაიძახიან ამასვე. დიდი პედაგოგობა რა საჭიროაო? ვინც კი სრულიად გამონიჭებული არ არის, ვინ არ იცის, რომ მოსწავლე ყმაწვილისათვის მავნებელია ის, რაც მის ბუნებას არ შეჰფერის და ის ჭკუა-გონებას ძალას ატანს, გინდ წინა განძრახულის აზრით იყოს ნათქვამი, გინდ ისე, უაზროდ, სულ ერთია, ეს გაუგონიათ, მაგრამ თავისთავად მაინც ვერ აუხსნიათ, თუ რა არის ტენდენცია და ნაძალადევი აზრი? როცა „კალინა-მალინას“ შიგ ცხვირპირში სტენიან და „სერინკი კოზლიკებს“ აყვირებენ — ის არაფერიაო და ჩვენ ბუნებასთან და ცხოვრებასთან შესაფერ რამეს კი უკან უდგებიან, „ვაი თუ ტენდენცია შეგვწამონო“. ეჰ, ამათ ხომ ღმერთიც აპატივებს და კაციც, მაგრამ სასაცილოა, რომ დღეს ბ. ნიკოლაძე იმ გუნდს ეკუთვნოდა, რომელიც გაიძახოდა: „ხელოვნება ცხოვრებისათვის და არა ხელოვნება ხელოვნებისათვისო!“ მაშინ ის ერთი გულმოდგინედ მძახილთაგანი იყო და არა თუ პოეტი ჯუსტის, მეორე ხარისხის იტალიელ მწერლების საპატრიოტო ტენდენციებს აღტაცებაში მოჰყავდა. ისეთი ხელოვნური ნაწარმოები, როგორიც მაიკოვის „სამგვარი სიკვდილი“ და ტოლსტოის „ივანე დამასკელი“ სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა და ზაიცევის ტენდენციური ობროდობა, მინაევისაგან გადალექსილი, საზეპირო ლოცვებათა ჰქონდა გახდილი. ვინც მისი აზრისა არ იყო მაშინ, იმას არა თუ საზოგადოდ, კერძოთაც აღარ ჰზოგავდა, ყოველგვარად იმეტებდა და თავსაც მითი მართლულობდა, რომ „საშუალებას მიზანი ამართლებსო“. დღეს კი ეს ვაჟბატონი სულ სხვას გაიძახის იმავე ყმაწვილურის აღტაცებით და იმ გვარისავე თავდაუჭერელ მედიდურობით და აქაც კიდევ იმ აზრისაა, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებასაო“... მართალია, იმან საქვეყნოდ აღიარა ერთის წერილით, ახალ მიმოხილვაში“: მე ის აღარა ვარ, რაც ვიყავიო, მაგრამ არც ის ვარგა, რომ კაცმა ერთს უკიდურესობას თავი დაახწიოს მხოლოდ მისთვის, რომ მეორეში, და უფრო ცუდში ჩავარდეს!...

* * *

ვოლტერმა სთქვა: მხოლოდ ის წიგნებია ყმაწვილებისათვის სასარგებლო, რომელიც დიდებისათვისაც კარგიაო. შეიძლება ტენდენციები სულ არ იყოს რა რომელიმე ნაწარმოებში, მაგრამ მაინც მავნებელი იყოს ყმაწვილებისათვის, და აგრეთვე, ისიც კი შესაძლებელია, რომ ტენდენციებით სავსე წიგნი სრულიად საყმაწვილო გამოდგეს. თუ მოთხრობა ხელოვნურად არის დაწერილი, ტენდენცია ვერას დაუშლის. ყმაწვილის ნორჩ გრძნობა-გონებას ზღაპრული სახე იტყუილებს, ენის მარგალიტობა და ლექსთა წყობა. მაგალითად, ავიღოთ გიოტეს ზღაპრული პოემა „რეინეკელას“ — ერთი უკეთესი თხზულებათაგანი ყმაწვილებისათვის. ისინი აღტაცებით კითხულობენ ამ თხზულებას, მოსწონთ ფაბულა მისი და სხვადასხვა პირუტყვების სასაცილოთა და უტყუვრად გამოხატული ხასიათ-მოქმედება. მაგრამ ვინ არ იცის, რომ დედა აზრი ამ თხზულებისა სულ სხვა არის და იმ პირუტყვებათ ავტორმა გამოხატა მისი თანამედროვე ვეიმარელები. თვითონ ის მეიგავ-არაკე კრილოვი, რომელზედაც ბ.ნიკოლაძე გვითითებს, განა უაზროთა სწერდა? მის ნაწერებში ტენდენცია არ არის? და მხოლოდ მიტომ არის ყმაწვილებისათვის კარგი? სულაც არა!.. აბა მოიგონოს თავისი ყმაწვილობის დრო, თუ რა აღტაცებით ჰკითხულობდა და სწავლობდა მის იგავ-არაკებს მთავარ-აზრის შეუგნებლად! როდესაც მის არაკს, „მგელი ფარეხში“, ვკითხულობდით, იმ ადგილს, სადაც ძაღლი ეუბნება მგელს: „შენ ძმა, რუხი ხარ, მაგრამ მეც თეთრი ვარ და ვერ მომატყუებო“ — ძალიან აღტაცებაში მოვყავდით ხოლმე! მაგრამ ის კი არ ვიცოდით, რომ, თურმე, ფარეხში შემოჭრილი მგელი რუსეთში შემოსული ნაპოლეონი იყო და მარჯვეთ დამხვედრი თეთრი ძაღლი — თმაგათეთრებული კუტუზოვი. ან კიდევ მეორე არაკი: „ქაშაპი — თევზი და კატა“. რა ნაირად გვაცინებდა ხოლმე თევზის სისულელე, როდესაც იმას მოსწყინდა თევზების ჭერა და კატის ხელობა შეეხარბა: მოინდომა ხმელეთზედაც თევზებზე ნადირობა, მაგრამ მშრალზე რომ დარჩა, საცოდავათ დაიწყო ფართხალი. განა გვესმოდა მაშინ, რომ იმ თევზის სახით გაკიცხული იყო ადმირალი ჩიჩაგოვი, რომელმაც ხმელეთის ჯარის სარდლობა მოინდომა და დამარცხდა.

მაშ თუ გაუგებარი რჩება ბავშვებისათვის, რაღა საჭიროა მაინცა და მაინც მაგგვარი აზრების გატარებაო, ეგებ სთქვან, და, აი მართლდება ვოლტერის ნათქვამი!.. ამგვარი თხზულება ერთსა და იმავე დროს პატარა ბავშვებსაც აკმაყოფილებს და დიდებსაც!.. მართალია, ყმაწვილებს არ ესმით ის მთავარი აზრი, ანუ უკეთ ვსთქვათ, თავისებურად ესმით და მხოლოდ სულ სხვა მიზეზებით ითვისებენ ხოლმე, მაგრამ, როდესაც დაიზრდებიან და გონებაში ჩახვდებიან, მზა მზარეულად, გაუჭირებლად, ადვილად ხელში კი რჩებათ. ბავშვებს საზოგადოდ თავის საკუთარი საყმაწვილო ასპარეზი აქვთ; დიდებისას არ ჰგავს, მაგრამ მათი ნორჩი ბუნება მაინც მოითხოვს, რომ ის ასპარეზი დიდებისას დაამსგავსონ ხოლმე — თავის გუნებაში და დიდებს მიჰბაძონ. მაგალითად, ბავშვები რომ იარაღში ჩამჯდარ ცხენოსნებს უყურებენ, ისინიც ჯოხის ცხენზე გადაჯდებიან, დიდგულას თოფს ხელში იღებენ, ხის ხმალ-ხანჯალს ჰხმარობენ და ჰგონიათ თუ, მართლა საქმეში ვართო.

ეს ხომ სასაცილო ბავშვობაა, მაგრამ ამას თავისი კარგი და სასარგებლო შედეგი მოაქვს: როდესაც ასაკში შედის ბავშვი და ძალ-ღონეს იკრებს, მაშინ მისთვის უცხო აღარ არის არც ცხენოსნობა და არც თოფ-იარაღი და ისე ადვილად ითვისებს, თითქოს დაბადებიდანვე სცოდნიაო. ახლა გამოუყვანეთ და დაუყენეთ გვერდით იმას მისთანა ჭაბუკი, რომელსაც ყმაწვილობაში არა თუ ჰქონია სათამაშო თოფ-იარაღი და ცხენი, პირიქით, კიდევაც აშინებდნენ! აბა რა მოუვიდეს! მოახერხებს იმ პირველ ჭაბუკის ოდნობას, თუ არა?! ასევე უნდა ვსთქვათ აზრების შესახებაც. განა რჯულისა და სარწმუნოებისა ესმით რამე, ყმაწვილებს?.. მაგრამ, სიყრმიდგანვე რო ეჩვევიან, ძალაუნებურათ საუკუნოდ ძვალსა და რბილში უჯდებათ. სიყვარულიცა და სიძულვილიც იმ თავითვე, ბავშვობიდანვე იწყება... აბა ყმაწვილს ელაპარაკეთ ზიზღით და აგდებით თავის მშობლებზე, თავის ქვეყანაზე, თავის წარსულზე და სხვ., თუ ყველა არ შეიძულოს, და დიდობის დროსაც მათი ზიზღი არ ჩარჩეს გულში. პირიქით, უქეთ მტერი და ორგული, აღტაცებით და მოწიწებით ესაუბრეთ მათზე, თუ არ შეიყვაროს. ეს ცხადი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბევრი კი იმ აზრის არის (რასაკვირველია, ან იეზუიტობით და ან

სისულელით), რომ არც ერთის თქმა არ არის საჭირო პატარე-ბისათვის და, რომ გაიზრდებიან, თვითონვე მიხვდებიანო!.. ამის მთქმელს ისიც შეუძლიან სთქვას „რა საჭიროა ბავშვს რომ ძუძუს აწოვებთ!“... რომ გაიზრდებიან, თვითონვე დაიწყებენ მწვადის ჭამას!“... საზოგადოდ ტენდენციების წინააღმდეგობა შეცდომაა, მაგრამ ტენდენციაც არის და ტენდენციაც. მისთანა, რომელიც რყვნის და აფუჭებს მოზარდს, რასაკვირველია, და-საწუნებელია და სადევნელი, და, მაშასადამე, ბ. ნიკოლაძემ რომ გამოილაშქრა „ჯეჯილზე“, ალბათ ამგვარი მავნებელი ტენდენციები ჰქონდა სახეში და მისმა გულწრფელობამ ვეღარ აიტანა სხვების ვერაგობა, კეთილი და პატიოსანი! მაგრამ რად-გან მარტო ცარიელ მის სიტყვებს და სხვა ენაზედ კრიმანჭუ-ლად გამოთქმულს, ვერ ვენდობით, ამისათვის ნუ გაგვიწყრება, რომ ჩვენც ჩვენი საბუთი წარმოვადგინოთ და შეუდგეთ მისი აზრის დარღვევას. დავიწყოთ რიგისად:

მშვენიერი და საუცხოვო ლექსი „შვიდნი ვართ“ სასაცილოდ აუღია და ამტკიცებს საქვეყნოდ სისულელეაო. ეს პატარა ლექ-სი, როგორც ვიცით, ჯერ ინგლისურ ენაზე არის დაწერილი, მე-რე სხვა ენებზეც გადატანილი და თითქმის ყოველ საყმაწვილო ლექსთა კონაში ჩართული; რუსულათაც კაზლოვის გადმოღე-ბული, მერე იქიდან კი ქართულად გადმოკეთებული და გადმო-კეთებული ხელოვნურად.

მაინცა და მაინც მარტო ეს მოგვყავს საბუთად! ადვილად შეიძლება, რომ ყველა სცდებოდეს და ბ. ნიკოლაძე კი მართალს ამბობდეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მისი სიტყვებიდანაც ვე-რა გაგვიგია-რა: რა არის გასაკვირველი, რომ პატარა „ყმაწვი-ლი მკვდარ და-ძმასაც ცოცხლებზეც ათვლის და ამბობს: „შვი-დი ვართ და არა ხუთიო?“ მარტოკა დარჩენილი თუკი ორ ძმას ზღვაზე წასულს, ორსაც სოფელში წასულს ანგარიშობს, რატომ სასაფლაოზედაც წასულებს არ მიათვლის? იტყვით: როგორ არ იცის, სიკვდილი რა არისო? დიახ, იცის, მაგრამ იმის წარმოდგე-ნა კი არ შეუძლიან, რომ სიკვდილის შემდეგ ყოლიფერი ჰქრე-ბაო! ხედავს, რომ მოშორდნენ მას, გადავიდნენ სასაფლაოზე, იქიდან სადღაც ზეცას წავიდენ და იქ არიან, სწორეთ ისე ხორც-

შესხმულად, როგორც დანარჩენი ძმები, ზოგი ზღვაში და ზოგიც სოფელში.

ხშირად ყმაწვილები, მარტო რომ დარჩებიან, არა თუ პირუტყვებს, მცენარეებსაც კი ესაუბრებიან ხოლმე. განა არ ეალერსებიან, ჰკოცნიან, გულზე იკვრენ, ეტიტინებიან და საჭმელ-სასმელსაც კი უდგამენ ხოლმე წინ დედო-ფალებს (ტიკინებს)? ეს სისულელითა და შეუგნებლობით კი მოსდისთ!.. კარგად ჰხედავენ, რომ ის უსულო საგნები ვერც ხმას გასცემენ, ვერც რამეს სმენ და სჭამენ, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიან ბავშვები, ამიტომ რომ ამას მათი ბუნება მოითხოვს და არა უგუნურება... მაშ თუ ეს ასეა, ის რაღათ უნდა იყოს გასაკვირველი, თუ ყმაწვილს სამარეში მყოფი გამქრალი არ ეგონოს და სათვალავში აკლდებოდეს? უცხო ქვეყნებში სასაფლავოები ყვავილების ბაღად აქვსთ გადაქცეული, ყოველ-დღე მოდიან მშობლები, დროს ატარებენ თავის შვილების საფლავზე... მიჰყავთ იქვე დანარჩენი და-ძმანი და ჩასჩიჩინებენ: აი, შენ დაიას თუ ძამიას ყვავილები მოუკრიფე, მორწყე წყლით გარშემო ამოსული და აყვავებული ბალახები... აი, ეს, აი, ის! და სხვ... ამ გვარად განუყრელი კავშირია გაბმული მკვდრებსა და ცოცხლებს შუა და რაღა გასაკვირველია, რომ ყოველთვის გულში ჰყავდეს პატარა ყმაწვილს მკვდარი ძმა ან და მუდამ თვალწინ ედგას, ეალერსებოდეს და აღარც დანარჩენ ცოცხლების წრიდან გამოირიცხოს?

მეტყვიან, ჩვენში ეგრე არ არისო. თანახმა ვარ! მიაბარებენ მიწას თუ არა ჩვენში, მერე ზედაც აღარ შეხედავენ, კავშირი გაწყვეტილია. ჩვენში არა თუ მკვდრები, ცოცხლებიც — კი არავის ახსოვს, მაგრამ განა ეს სასურველია? ეს გულგრილობა პირუტყვს უახლოვებს ადამიანს და მაშასადამე, ამ გვარი ლექსები, როგორც „შვიდნი ვართ“, დიდად და დიდად საჭირო და სასურველი ყოფილა ჩვენის ყმაწვილობისა და დედ-მამებისათვის, გინდ ბ. ნიკოლაძემ სენტიმენტალურიც ეძახოს.

„სპილო და ჭიანჭველების“ შესახებ ამბობს ბ. ნიკოლაძე: ის აზრი, რომ ხანდახან სუსტებიც დააჩოქებენ და დაამარცხებენ ძლიერს, ახალი არ არისო და ან რაღა საჭიროა განმეორებაო. საკვირველია, რომ აქაც ბ. ნიკოლაძემ იმ ჭკუის კოლოფების დასში ამოჰყო თავი, რომელნიც ყოველ დღე ახალ ახალ სისუ-

ლელეებსა ჰბადამენ და, მგონია, თავის გასამართლებლად გაიძახიან, ძველი ჭეშმარიტების განმეორება არ ვარგაო... ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენ ბ. ნიკოლაძე მათ შევადაროთ, მაგრამ წინდაუხედაობით ბედაურიც წაიფორხილებს ხოლმე. იმათი რო დავიჯეროთ და კანონათ მივიღოთ, მაშინ მთელი ქვეყანა უნდა დამუნჯდეს. ავიწყდებათ იმ დალოცვილებს, რომ სიტყვას გარემოება გამოიწვევს. უეჭველია, როცა ადამი აღვიძებდა ევას, ანუ ევა-ადამს, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ადექი, კმარა ძილიო!“ ეს ხომ ძველი ნათქვამი იქნება და მაშ, ჩვენის ჭკუის კოლოფების კანონით, როდესაც ესენი წამოწვებიან მხარ-თეძოზედ და ამოუშვებენ ხვრინს, ნება არ გვექნება მოვახსენოთ: — გაიღვიძეთ და გააკეთეთ რამე-თქო! ყოველ საუკუნეში უთქვამთ სულელისათვის, ნუ სულელობო! მაგრამ დღესაც იმასვე ეტყვიან. ვიმეორებთ, რომ გარემოება გამოიწვევს სიტყვას და, მაშასადამე, ჭეშმარიტების განმეორება დასაგმობი არ არის. მართალია, ძველადვე უთქვამთ, რომ ხანდახან სუსტებიც მოერევიან ძლიერსო, მაგრამ ეს ისეთი ჭეშმარიტება არის, რომ ბევრჯერაც რომ ვუთხრათ ყმაწვილებს და მაგალითებიც მოვუყვანოთ ხოლმე — ამით არა დაშავდება-რა.

„ჩვენი მამალი“ ისე ხელოვნურად არის დაწერილი, რომ არ შეიძლება ყმაწვილმა სიამოვნებით არ წაიკითხოს, ამიტომ — რომ მას ყოლიფერი ენიშნება. არმ მოეწონება მხოლოდ იმ ყმაწვილს, რომელიც ქალაქში დაბადებულა, არც მამალი უნახავს და არც ინდოურები. ეს პატარა მოთხრობა ხელოვნურად არის დაწერილი და, თუ არ გაზვიადებული ოცნება, ტენდენციასაც ვერავინ წარმოიდგენს.

ახლა გადავიდეთ პატარა პოემაზედ — „მერცხლისა და ჭივჭავის ომი“.გვიკვირს, რომ ბ.ნიკოლაძეს შინაარსი ვერ გაუგია და სულ სხვა გვარად მოუთხრობს თავის მკითხველებს.

საკვირველია, რომ იმას არ სცოდნია, ჭივჭავი რა არის, და чижикъ-ად გადაუთარგმნია. Чижикъ, ქართულად ნიშნავს ნარჩიტას, მთის ჩიტია და მხოლოდ ბუდობის დროს ჩამოფრინდება ბარად, რომ კაკლის ხეებზედ ბუდე გაიკეთოს, თორემ სახლში თავის თავად შეფრენილი ის არავის უნახავს და არც არაფერი სიახლოვე და დამოკიდებულობა აქვს მერცხალთან. მაშასადა-

მე, მე რომ ამ ჩიტებისა და მერცხლების ერთმანეთში ბრძოლა ამეწერა, ის იქნებოდა სრული უმართლოება და რაღაც პოეტური მიჩმახვა. მაგრამ ჭივჭავი, ანუ ბელურა რომელიც რუსულად ნიშნავს воробей და არა чижикъ-ს, სულ სხვა არის. იმავე სახლში სცხოვრობს და ბუდობს, სადაც მერცხალი, და ხშირად ჩხუბიც მოსდის ხოლმე მერცხალთან. ამის უარს არც ერთი ბუნების მკვლევარი არ იტყვის და ბ. ნიკოლაძემაც მათ თხზულებას რომ თვალი გადაავლოს, აი, თუ გინდ ბრემს, იქ სიტყვითსიტყვად ნახავს იმას, რაც მე გავლექსე, და მაშინ ამ ჩემ იეზუიტურ ტენდენციებში იმათაც მონაწილედ გახდის, მაგრამ ვინ არ მიხვდება, რომ იმათ ქართველები მხედველობაში არ ჰყოლიათ, და მეც გადმოვლექსე, როგორც სასიამოვნო და საცოდნო რამ საკითხავი ყმაწვილებისათვის, და არა ძალდასატანებელი ტენდენციური რამ. ჩემგან უმეტნაკლებოდ არის გადმოღებული ის ამბავი ისე, როგორც ნამდვილად მოხდება ხოლმე და მოგვითხრობენ: ჩემის მხრივ ის არ მირჩევია ყმაწვილებისათვის, რომ გძულდეთ მერცხალი და გიყვარდეთ ჭივჭავი-თქო. კიდევ ვიტყვით, გაზვიადებული ფანტაზია უნდა, რომ აქ კაცმა ტენდენციები დაინახოს. მაგრამ სურვილს ბევრი შეუძლიან. გაჯიუტებულ კაცს ზოგჯერ რწყილიც აქლემად მოეჩვენება. ბ. ნიკოლაძეს, სწორედ ასე მოსვლია:მარტო ტენდენციები კი არ დაუნახავს, იეზუიტურ მოქმედებასაც გვწამებს, იეზუიტების მცნება დღეს მარტო იმას აღარ სჯერდება, რომ ლოიოლას[1] ნამოძღვრები დაამტკიცოს და ფანატიკურად ემსახუროს კათოლიკობას. დღეს ფარისევლობით შეკაზმული მცნება საპირადო იარაღად უჭირავთ ხელში და წინა-განძრახულ მიზანს სწირავენ ყოველივეს, არღვევენ ათივე მცნებას და ისეთ რამეს ჰქადაგებენ, რომელიც რყვნის და ამცირებს ადამიანის ბუნებას. ასეთი რამ, რასაკვირველია, გასაკიცხავია, მაგრამ ამასვე რო შევუდაროთ კეთილშობილური გატაცება, მაშინ ყოველი მამულიშვილი, რომლისაც მოთაყვანე თვით ბ. ნიკოლაძეც კი ბრძანდება, იეზუიტები გამოდგებოდნენ. შეიძლება ბრძანოს, მაგაზედ არ გვიხმარნია „იეზუიტებიო“ და, თუ სხვებმა ვერ გაიგეს, ჩემი რა

[1] იგნატიუს ლოიოლა, 1539 წელს იეზუიტური ორდენის დამაარსებელი.

ბრალიაო. ამიტომაც ჰმართებს მისთანა მწერალს, როგორიც არის ბ. ნიკოლაძე, ასჯერ გაზომვა და ერთხელ გამოჭრა, თორემ ხომ იცის, რომ ზოგან ყურისმგდებლები ჰყავს და მიზეზს ეძებენ, გამოძებნონ რამე ხელის ჩასაკიდებელი. აი ეხლაც ბ.ნიკოლაძის სიტყვიდან გამოდის, ვითომც მერცხლები უცხოეთიდან იყონ მოსული, ჭივჭავები კი შინაურები, და მათ შორის ბრძოლა წინდაუხედავობით გამომეწვიოს. ეს ხომ ცხადი შეცდომაა. როგორც ჭივჭავი, ისე მერცხალი ჩვენებურია და ჩვენ ქვეყანაში დაბადებული და, თუ მაინცადამაინც არ დაგიშლიათ, აი მხოლოდ რა აზრი შეიძლება გამოიყვანოს კაცმა იმ ლექსიდან: ძალიან გამრავლებულნი არიან დღეს ჩვენში მერცხალა მამულიშვილები. ღორმუცელობის პატრიოტობა უკიდურეს ხარისხამდეა მიყვანილი, ისე ღვინოს არ დალევენ, მწვადით პირს არ ჩაიტკბარუნებენ და ლეჩაქიან ქალს ალერსს არ დაუწყებენ, რომ არ დაიძახონ, „გაუმარჯოს საქართველოს!“, მაგრამ იმავე საქართველოს გულისათვის არამც-თუ არ გაირჯებიან, წარბსაც არ შეიხრიან, მხოლოდ ლხინი და ქეიფი მოსწონთ და ჭირსკი თავს არიდებენ და თვითონ ჩვენ მწერლებშიაც განა ცოტანი არიან მისთანები, რომელნიც უცხო ენაზედ სწერენ არა იმ განზრახვით, ჩვენს მხარეს სარგებლობა მოვუტანოთო, მხოლოდ იმ მოსაზრებით, თავი უფრო მეტად გამოვიჩინოთო. მაშ, რა არიან ყველა ესენი, თუ არა მერცხლები, რომლებსაც ჭივჭავები ეუბნებიან: ზამთარი გძულსთ ჩვენი ქვეყნისა და ზაფხული კი მოგწონთო; სანამდი ჭიკჭიკი და ნავარდი შეგიძლიათ, ჩვენთანა ხართ და, რო აცივდება, სხვა მხრით გიჭირავსთ თვალიო, გიყვარსთ ლხინი და ჭირს — კი ერიდებითო. ეს გამოთქმა, მე მგონია, უფრო პირდაპირი და რაინდული იყო, ვიდრე იეზუიტური, და გვიკვირს, ბ. ნიკოლაძეს რად ასე თავისებურად გაუგია?!

აკაკი

1890

[ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულების შესახებ]

„რა უთქვამს? რა მოუჩმახავს? რა წიგნი დაუწერია?“

ახალგაზრდა მგოსანი, დღევანდელი ჩვენი ცხოვრების სულიერ საზრდოთი გაკაჭკაჭებული და ვერ გაწინასწარმეტყველებული, იმასვე იმეორებს, სამწუხაროდ, რაც ბრბოს, თავისის შეუგნებლობით წარმოუდგენია და ნამდვილი კი ჰგონია!... სვანის თქმისა არ იყოს, „ვისაც წვერები ასხია, ყველა რომ მღვდელი იყოს, მაშინ ჩემი ვაციც ხომ დეკანოზი იქნებოდაო“. ვის როგორ ესმის სიტყვა: „ინტელიგენცია“, „ახალთაობის კაცი“, „საზოგადო მოღვაწე“, „მეთაურობა“ და ან სხვანი. მაგრამ მე კი გარჩევით მყავს ყველა გათვალისწინებული და მათი შესახები სასწორსაზომიც სხვაგვარი მიჭირავს ხელში: დღევანდელი ჩვენი საზოგადო მოღვაწეებს შორის უთანხმოება და ხალხისაგან ანაზდად გაბურთავებული „მეც წავხდი შენც წაგახდინეობა“ თუმცა ასე ახლოს არიან ერთმანეთთან, როგორც სიკვდილი და სიცოცხლე, მაგრამ იმავე დროს განსხვავებაც ასეთია მათ შორის, როგორც სიკვდილისა და სიცოცხლის შუა.

საჯაროდ თავისთავზე საუბარი არც სასურველია კაცისათვის და არც მოსაწონი, მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გარემოება ჩაითრევს და გამოიწვევს საპასუხოდ. სწორედ ამისთანა მდგომარეობაში ვართ ჩვენც ახლა და ბრბოს აზრს, მე და ილიას შესახებ, მგოსნისგან ბეჭედ დასმულს, უპასუხოდ ვერ გავუშვებთ, მით უფრო რომ მარტო ჩვენ არ გვეხება და შიგვე უეჭველად უნდა მოყვენ სხვებიც საზოგადოდ.

ორმოც წელიწადზე მეტია, რაც მე და ილია ერთმანეთს ვიცნობთ და არაოდეს ერთმანეთთან პირადი უსიამოვნება და უკმაყოფილება არ გვქონია. პირიქით, გარდა სიამ-ტკბილი შეყურა-შეხვედრისა და ზრდილობიან, დარბაისლურ სიტყვა-პასუხისა ერთი-მეორისაგან არა გვინახავს რა, და ან კი რა გვქონდა გასაყოფი, რომ ერთმანეთში უთანხმოება მოგვსვლოდა? რა მაქვს მისთანა, რომ იმას შეეხარბოს? ან და რას ვეძებ მისთანას, რომ ილიას აქვს და მეც მომენატროს? მართალია, ერთსა და იმავე განყენებულ მიზანს საზოგადოს და არა საპირადოს

მივყავართ თავისკენ. მაგრამ გზა სხვა და სხვაა და არ მოხერ-ხდება, რომ ერთმანეთს გადავეღობოთ და მსვლელობა შე-უფერხოთ ერთმა მეორეს! „რომში ყოველი გზით შეიძლება შეს-ვლაო“, — ნათქვამია და თუ ჩვენც, ერთი მიზნის მიმდევარი, ორი სხვა და სხვა გზით მივდივართ ცალ-ცალკე — ის აღმოსავ-ლეთის და მე დასავლეთის გზით, ეს არ ნიშნავს უთანხმოებას და მტრობას. და ან კი რა საჭიროა, რომ როცა ილია თავისი სა-კუთარი გზით მიისწრაფის, მეც მაშინ თან ვახლდე, მისი საგ-ზალი მიმქონდეს და აბჟანდს დავუწევდე ხოლმე? ან როცა მე ჩემი გზით მივდივარ, რათ უნდა უეჭველათ ჩემ გვერდში იდგეს ილია ჭავჭავაძე?

ეს ვერ გაუგიათ, შემცდარ-აზრის შემდგენლებს! მაგრამ მათთვის, როგორც ჩანს, მეორე გარემოება უფრო გაურკვევე-ლია: ილიას, როგორც გამოჩენილ მწერალს, გაურჩევლად „ვა-შა-ვაშას“ შეღაღადებენ. როგორც საზოგადო მოღვაწეს – ეთაყ-ვანებიან გამოურკვევლად. მათი სწორ-მხედველობის ისარი გა-ხიბლულია და „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდე-ბის“. რასაც ისინი გრძნობენ და როგორც ისინი მოქმედობენ, იმასვე მოითხოვენ ყველასაგან და თუ ვინმე გაუდგათ, სხვა გვარად ჰხსნიან.

აკაკი ილიას ყოველგვარ ნაწერს ქების ტაშს არ უკრავს და ყოველგვარ მის საზოგადო მოღვაწეობას არ ეთანხმება! სჩანს, რომ ემტერება და სძულსო. იგივე ჩემ შესახებაც ილიაზედაც ამას ჰფიქრობენ. იმათ ჰგონიათ, რომ სიყვარულის და მეგობ-რობისათვის, ერთის მხრით ყიზილბაშური სათვალთმაქცო თეთრი კბილების ჩენა, „ბაშუსტაობა“ და [...][1]მედიდურად ბრძანება საჯაროთ და მერე კი ვიზანტიური საცბიერო თავის მოკატუნება და „კი, ბატონო, შენი ჭირიმეს“ წამდაუწუმ გამე-ორებაა. თუ მტერზედაც კარგი ითქმის და მოყვარეზეც ძვირი, ვერ წარმოუდგენიათ!

იმას, ვინც ვერ მიმხვდარა, სად არის ტყუილი და სად მარ-თალი, ავი და კარგი ვერ გაურჩევია და საზოგადო და კერძო ერთი და იგივე ჰგონია, ან რა მოეთხოვება და ან რა დაეჯე-

[1] ტექსტი არ იკითხება.

რება? იმაზე ლაპარაკიც არ ღირს, მაგრამ ნათქვამია: „რაც შეენდობა ერსო, არ მიეტევოს ბერსო“. რაც სოფლის მითქმა-მოთქმას ეპატივება, ის არ დაეთმობა მწერლობას და ჩვენი მწიგნობრებიც რომ ცოტაოდენ სიფრთხილეს დაიჭერდნენ, არ იქნებოდა ურიგო!...ვისაც წვერები გამოუშვია, ყველა მღვდელი არ არის?! ვისაც კალამი აუღია, ყველა მწერალი და ვინც რამეს ამბობს, ყველა მართალი!...

ეს არის მხოლოდ უეჭველი ჭეშმარიტება და როდესაც ჩვენი ქვეყანაც ამ ჭეშმარიტებას შეიგნებს, მაშინ თავის თავად გადავარდებიან გულსაკლავი ანდაზებიც და მანამდე კი, მეტი გზა აღარ არის, უნდა გავიგონოთ ხოლმე:

„შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა, გიხაროდესო“.

აკაკი
[1894]

საპასუხო წერილი

ჯერ კიდევ ისევ აშლილი აქვს საჭორიკანაო საღერღელი „ნაცარქექიებს“: ფუსფუსობენ და ბზუიან!... ხან ერთი გამოილაშქრებს ხოლმე ჩემკენ საწინააღმდეგოთ დიდგულის თოფითა და ხან მეორე. ისლისა და ჩალის მშვილდ-ისრით ფიქრობენ ჩვენს დაფრთხობას... იმ ერთი გოჭისა არ იყოს, კუდი რომ გაიბზიკა და ჭყიოდა: „მეც ნახირ-ნახირაო!“- ამათაც თავი რაინდათ მოაქვსთ და ვერ მიმხვდარან, რომ „ცირკობანაობას“ კი თამაშობენ. ცირკში რომ ოჩაფეხაზედ შემდგარი, ცხვირპირგამურული, კლოვნი გამოიპამპულებს, სხვა მისი ამხანაგებიც თანვე მოგანგაშედ მისდევენ ხოლმე და ტაშის კვრით ამხნევებენ, ეგებო ქანდარა როგორმე გავაცინოთო! და თუ ვერ შესძლეს, მაშინ კი ერთმანეთს დაერევიან ხოლმე ცემა-ტყეპით და ბოლოს სულ კოტრიალ-კოტრიალით მიგორავენ საჯინიბოსკენ. ეს ყოლიფერი სასაცინოა, მაგრამ საწყენი კი ის არის, რომ ზოგიერთა ჟურნალ-გაზეთის ფურცლები საკლოვნო სარბიელად გამხდარა. მართალია, ამ ჯურა-რაინდების აყოლა და მათთან პირდაპირი გამოხმაურება საკადრისი არ არის, მაგრამ იმათი გამოისობით, სხვებთან ლაპარაკი კი შესაძლებელია და ჩვენც მიტომ აუხვიეთ მათ გვერდი და წერილით მივმართეთ ერთ პატივცემულ რედაქტორს და ზრდილობიანად დავეკითხეთ: ნუთუ თქვენი სიტყვიერების ტაძარი, თქვენის თანხმობით არის გადაქცეული საკაჭკაჭო მინდვრად-თქო? რედაქციამ „ფულიკოთი“ გვიპასუხა. ამ მაღლით ჩანაბერმა პოეტურმა თხზულებამ სადღესასწაულო ხარხარი გამოწვია „ცირკის მოყვარულთა და კლოუნთა წამქეზებელთა“ წრეში: „ფულიკოს“ საავგაროზო მნიშვნელობას აძლევდენ: თვითონ ხომ გულზედ იდებდენ, სხვებს რეკლამებად არიგებდენ და დროშასავით ფრიალობდა ოსტატურად შერხეული „ივერიის ფურცელი“, „სადაც მგონი ოსური“ და არა გენიოსური ძილის პირი იყო დასტამბული. მაგრამ ეს სოფელი დიდხანს ვის შერჩენია? არა არის რა დაუბოლოებელი! „ფულიკომ“ „ჟულიკო“ გამოიწვია და შეიცვალა მე-

განგაშეთა დეკარაცია,* ანუ, როგორც ცაგარელი ამბობს, ფორ-თრე...თი! ემწუთხათ, იტკიცეს და აწუწუნდნენ: „რა საკადრისია ამგვარ რამეების წერაო?“ ფიე! მათი „ფულიკო“ კიდეც დაიბეჭდა, დიდათ მოსწონდათ, და გამვლელ-გამომვლელებს ხელში აჩეჩებდნენ, როგორც უმაღლეს სატირის ნიმუშს და „ჟულიკო“ კი, რომელიც არ დაბეჭდილა, არც არავინ ცდილა მის ხალხში გავრცელებას და მხოლოდ „ფულიკოს“ მიბაძვითა და მისივე საპასუხოდ, ხუმრობით დაიწერა, არ უნდა დაწერილიყო? რა ძნელია ბატონობის სურვილი!! ჩვენ ლიბერალ-პუბლიცისტ-კრიტიკოსებს ჯერ კიდევ ვერ მოუნელებიათ გადასული ბატონ-ყმობა და სულ უკანა რიცხვებით წუწუნობენ და გულში კი თურმე, თვითონ ბრძანებულან მტარვალ-ბატონები. აი, დამამტკიცებელი საბუთებიც: 1) სილოვანის სახელით „ივერიის“ ფურცლებზედ გამოიბეჭდა უცნაური პროკლამაცია, რომლითაც ამტკიცებენ, რომ აკაკი ქვეყნის ორგული და მოღალატეაო და თანაც განჩინებას გვიდგენენ: „თავი დაგვანებოს აკაკიმ, გაშორდეს ქართველობასო! ამას თხოვილობს მთელი საქართველო და მისი მეგობრებიც ამასვე ურჩევენო“ და სხვანი... რომ წავიკითხეთ, გაგვიკვირდა!.. ყველასა აქვს უფლება, თავისთვის, ჩუმად, რადაც უნდა, თავი იმად წარმოიდგინოს და საშინაო დავთარშიც რაც უნდა, ის ჩასწეროს, მაგრამ გაზეთი ხომ ერთი ვინმეს კუთვნილება არ არის? ის მთელი ერის არის საშვილიშვილოდ და რაც იქ იბეჭდება, საყურადღებოა!.. ჩვენც მიტომ შევეკითხეთ რედაქციას: გვიბძანეთ, შეგვატყობინეთ, ვინ არის ეს სილოვანი, რომელიც მთელი საქართველოს სახელით განჩინებას ადგენს და ცოცხლადვე საფლავებში გვაძვრენს მისის აზრით? მეფეა გვირგვინოსანი? ამორჩეული პრეზიდენტი? თუ გარიბალდზედ უდიდესი საერო გმირი-დიქტატორი? ან უკან რა ბარგი მოსდევს საქვეყნოდ და ან წინ რა საგზალი მიუძღვის, რომ ასე დიდათ მოაქვს თავი-თქო? ამას ყველა იკითხავდა ჩვენს ადგილზედ და ჩვენც ვიკითხეთ. ახლა, აი, როგორ გადაუსხვაფერებიათ ეს ჩვენი სიტყვები „სილოვანის“ თანშეთქმულებსა და მეგანგაშეებსა: „აკაკი ამბობს: „მე,

* დეკორაცია

დიდ ვინმეს, როგორ მიბედავს ვიღაც პატარა სილოვანია სიტყვის შემოკადრებასო?“ „ხანდახან სინდისიც კარგი საქონელიაო!“ — ნათქვამია ვაჭრებში. თვითონ გამოუჭრიათ და თვითონვე ჰკერავენ!.. მოჰყოლიან კაჭკაჭურ ოცობოდიას ჩვეულებრივად, რომელიც თავის გუნებაში სიბრძნე-მეცნიერება ჰგონიათ, და ჭკუის მასწავლებლათაც გამოპეტრიგლახავებულან... მოდით ახლა და გამოეკამათეთ მათ?! 2) როდესაც ჩვენ წყევლა-კრულვით და მუქარით გამოგვიხტენ ახალმოდის რაინდები, გაგვიკვირდა. მით უფრო, რომ ჩვენდა თავად არც კერძოდ და არ არც საზოგადოდ იმათთან საქმე არა გვქონია რა და მიზეზიც არა მიგვიცია რა. ჩვენი დამნაშაობა მხოლოდ ის იყო, რომ მათი ბრძანებით მათ ჭკუაზედ ვერ გავიარეთ!.. ეს არ ეჭაშნიკათ!.. მათ ფერხულში, რომელიც ჩვენ არ მოგვწონს, რომ არ ჩავებით, გაბრაზდენ, დაჰკარგეს ზრდილობაც კი და მოგვდგენ... მაგრამ რანაირათ?!!.. რაც კი საუკადრისო სიტყვა იყო ქართულ ლექსიკონში, ამოწერეს, ამოიღეს და მოგვაყარეს ქვაგუნდად. რას არ გვეწამებოდენ? რას არ ამტკიცებდენ? აკაკიმ ეს ჩაიდინა და ისაო! ქვეყნის ორგულია, მოღალატეა, გრძნობაგონების გამყიდველია, გონება ჩლუნგი, უმეცარი, უსწავლელი, მაგისი აღარა ვარგა! სისულელის მეტს ვეღარას სწერსო და სხვანი... ხმა არ გაგვიღია, მაგრამ ალბათ იმათაც იგრძვნეს, რომ სიჩუმე მარტო თანხმობის ნიშანი კი არ არის, ზოგჯერ ზიზღის ბრალიც არისო და ჩვენმა სიჩუმემ და ხმის გამოუღებლობამ სულ გადარია ისინი! იმდენზე მიაღწიეს, რომ ჩვენ შესახებ სიტყვა „გამოსუქინსინებულიც“ კი იხმარეს. ჩვენ არც მაშინ დაგვიძრავს კრინტი და მხოლოდ ესა ვსთქვით: არ ვიღებთ ხმას იმიტომ, რომ ჩვენზედ მოსეულები არ მიგვაჩნია ყურადღების ღირსად, როგორც არა ნორმალურ მდგომარეობაში მყოფნი! გვეუკადრისება კიდეც მათი აყოლა და იმ ვაჟბატონების სახელის ხსენებაც კი, რომელთაც იაგოს როლით შემოუდგამსთ ფეხი ცხოვრებაში და დესდემონას ცხვირსახოცით უნდათ ცხოვრებაში გაიმკვლიონ გზა-თქო. აქ ჩვენ არც ვისმესი გვარი გვიხსენებია და არც სახელი... განყენებულად იყო ნათქვამი, მაგრამ, ჰოი საკვირველებავ, ჩვენ დაუსახელებლადაც გამოცვივდენ კანდიდატები და აყვირდენ: ჩვენა ვართ ის იაგოო! ვიცანით

ჩვენი თავიო და აპილპილდენ. აი ესეც კიდევ ნიმუში მათის მედიდურობისა და ბატონ-ყმური გრძნობის!.. ჩვენ პირდაპირ შეურაცხებას მოგაყენებთ, სახელსაც გიხსენებთ, გვარსაც, მწერლობასაც და ეს არაფერიო!.. და თქვენ კი ვიღაცეებს ზიზღს რომ უცხადებთ, ის ჩვენ უნდა ვიყოთ და როგორ გაბედეთ ჩვენი ასე აგდებაო? და სხვანი. რწყილ-ტილებს და ჭია-ღუებს გვეძახისო, რომ შებღავიან ქვეყანას. განა ეს მართალია? აბა ერთი დამისახელონ, ვის მივათითეთ და ან რომელი მათგანი პირადათ მოვიხსენიეთ?.. იგავ-არაკი, რომელშიაც კერძოდ, პირადად, არავინ არ არის დასახელებული, რათ უნდა სწყინდეს ვისმეს? როდესაც ნათქვამია, რომ ამა და ამ წრეში, ამა და ამ გუნდს, სადაც კარგიც ურევიაო, უმეტესობა არა გვწამსო, რათ ვინმე ეჩრება იმ უვარგისებში და კარგებთა შორის ვერა გრძნობს თავს, თუ გული საგულეს აქვს და ნიორი არ უჭამია? ის რა ჩვენი ბრალია, რომ ზოგიერთებმა ჩვენს არაკში თავის თავი დაინახონ? აი, საგულისხმო მაგალითი: ის „ნაცარქექიებზე“ იგავ-არაკი, რომელმაც ასე გააბრაზა დღევანდელი ჩვენი კენჭოსნები, ამ ოცდაშვიდის წლის წინეთაც იყო ნათქვამი „დროებაში“ ცხელ-ცხელ ამბებში. მაშინდელმა მეკენჭეებმა იუცხოვეს და აურზაური ასტეხეს, ჩვენა ვართო, სწორეთ ისე, როგორც დღეს მათი შვილები იდებენ თავის თავზე და რომელს დაუჯეროთ მამებს თუ შვილებს? არც ერთს!.. იგავ-არაკი ცხოვრების სარკეა. მესარკეს ის კი არა აქვს მიზნათ, ესა და ეს მახინჯი გავაჯავროო! არა, ის საზოგადოდ ჰფიქრობს: აი მე ამ სარკეს ვაკეთებ, დეე, ყველამ ჩაიხედოს შიგ, მშვენიერმაც და მახინჯმაც, წმიდამაც და გასვრილმაც. ჩაიხედონ და სასარგებლოდ გამოიყენონო!“ ეს ცხადი ჭეშმარიტება დღევანდელ ჩვენ ზოგიერთ პუბლიცისტებს ან არ ესმით და ან, თუ ესმით, განზრახვ იუგნურებენ თავს და ამიტომაც ამ ვაჟბატონებთან ჩვენ აღარა გვაქვს რა საკამათო!.. სადაც უნდათ და რაც უნდათ სწერონ!.. ჩვენ პასუხის გამცემი არა ვართ, მით უფრო, რომ დროც არა გვაქვს: ვამზადებთ ქართველ მოღვაწეების ორმოცი წლის თავგადასავალსა.

აკაკი

5 მარტი, 1900 წელი

განცხადება

ამ ბოლო დროს ხშირად სასაყვედურო წერილები მომდის ხოლმე: ხან სიზარმაცეს მეწამებიან და ხან — ჟინიანობას, რომ აღარ სწერო!.. ერთიცა და მეორეც შემცდარი აზრია. და აი სიმართლე: მიმიღია რა მხედველობაში ქართული ჟურნალ-გაზეთების ხელმოკლეობა და აგრევე ნახევარ საუკუნის ლიტერატურული შრომის შემდეგ ჩემი მდგომარეობაც, ვაცხადებ შემდეგს: მე კიდევ შემიძლია და მზათაც ვარ ვიშრომო ჩვენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ყველგან შემდეგის პირობით: 1) ჩემი ნაწერები საზოგადოდ ხელშეუხებელი უნდა იბეჭდებოდეს რედაქციის მხრით და რაშიც არ მეთანხმება, იმას შენიშვნა გაუკეთოს. 2) მოკლე ლექსებში სტრიქონში თითო აბაზს ვიღებ და პოემებში ორ-ოლ შაურს. 3) პროზაში საერთოდ თითო შაური, მაგრამ ეკონომიურად კი ნუ სბეჭდავენ და მაშინ მეც იძულებული აღარ ვიქნები, რომ სხვაგვარი სამუშაო ვეძიო! აი, სრული სიმართლე, რომლის გამომჟღავნებაც არ მინდოდა, რომ უსაფუძვლო წერილებს და უმრთო მითქმა-მოთქმას ყბით არ ავეღე.

აკაკი

[1908]

მცირე რამ შენიშვნა

თეატრი საზოგადოდ სასკოლო სარბიელია, საიდანაც ხელოვნურად შეზავებული, სასიამო და იმავე დროს სასარგებლო რამ, მსმენელ-მაყურებელს გრძნობა-გონებას უხიბლავს და ცხოვრების ბრძმედში ატარებს, და თუ ეს ღირსება აკლია, მაშინ უბრალო სალაზღანდარო საფუნდრუკოდ გადაიქცევა.

გ. ერისთავის მაღალმა ნიჭმა და ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს მ ე - ო ხ ე ბ ა მ თავდაპირველადვე უტყუარ გზაზე დააყენა ქართული სცენა და მიტომაც მაშინდელ თეატრს მშობლიური სული ედგა და ხორცი ესხა; მურავიოვმა დღე დაუმოკლა ძლივ ფეხადგმულს და მას შემდეგ ქართველებს თეატრი აღარ გვღირსებია.

ამის თქმას, ვიცი, ბევრი იუცხოვებს: „სად მაშინ და სად ახლაო, — იტყვის, — როდესაც საკუთარი შენობა გვაქვს სათეატრო ყოველგვარ მასალებით სავსეო, სახელოვანი აქტიორ-აქტრისები გვყვანან და პიესებიც უთვალავი გვიჭირავს ხელშიო“. მართლა, ახლა საკუთარი შენობა აქვს ქართულ თეატრს და ძალიან მაგრათაც აშენებული, თვარა რაც იქ „ვაშა“, „ვაშას“ ძახილია, კედლები უნდა ინგრეოდეს. მსახიობთა გუნდი შესანიშნავია და პიესებიც მრავალი, განსაკუთრებით ნათარგმნი; ერისთავის დროს კი არც სახლი იყო, არც სცენის მოწყობილობა, არც პიესები, გარდა ანტონოვისა და ერისთავის ვოდევილ-კომედიებისა, მაგრამ მაინც შედარებით მაშინდელი სჯობდა დღევანდელს. რაც მაშინ იყო, ქართველისადმი საშინაო და სათვალთვალო იყო და დღეს კი ყოლიფერი: „გარეთ მტერს გულს უკლავს და შიგნით მოყვარეს“.

— დღეს ქართულ თეატრში, ქართულ სცენაზე, დედა-ენა განსაცდელშია ჩავარდნილი. გულითაც რომ უნდოდეს კაცს, ჩიქორთულის მეტს ვერას გაიგონებს, მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში, სხვა ხალხებში, ახალგაზრდობა თეატრში მიტომ უფრო დაიარება, რომ დედა-ენა უფრო საფუძვლიანად შეისწავლოს, ჩვენში კი პირიქით, რაც იცის, ისიც უნდა დაივიწყოს და გასწორების მაგივრად გადიმახინჯოს ენა.

ამ ჭეშმარიტებას ჩვენში დღეს ყველა ნათლად ხედავს, მაგრამ მაინც ყველა თავს მართლულობს და ერთი მეორეს

აბრალებს: „მწერლები ვერ სწერენ კარგის ენითაო“, „ცუდად თარგმნიანო“, „კომიტეტი ყურს არ უგდებს და არას დაეძებსო“, „რეჟისორი არ გვყავსო“, „აქტიორები როლს არ იზეპირებენო“— და სხვანი.

ეს ყველა თუმცა მართალია, მაგრამ გამტყუნებით კი ყველაზე უფრო აქტიორ-აქტრისები არიან გასამტყუნარი: მწერლობა და კომიტეტი საქველმოქმედო სარბიელია, უსასყიდლო და აქტიორ-აქტრისები კი სასყიდელს იღებენ. ამას გარდაც ბევრჯერ დავსწრებივარ, რომ კარგი ენით დაწერილი პიესა ავტორს ვეღარ ეცნოს აქტიორების ყბაში ჩავარდნილი. „აქანეი“, „მაქანეი“, „მასთენ“, „ბიჭი ვცემე“, „ფაეტონი დამიძახე“, „ჭკუისაგან შეშლილიაო“ და სხვანი.

დღევანდელი სასცენო სამკაულები გადამთიელია და არა ჩვენებური. ისტორიულ პიესებისთვის ათიოდე დაგლეჯილი ქულაჯა აქვთ, რამდენიმე ქუდბოხოხა და ორიოდე უქარქაშო დანა-ხანჯალი — და მორჩა გათავდა... ამით აფერადებენ ისტორიულ პიესებს, რომელ საუკუნესაც უნდა ეკუთვნოდეს, შორეულს თუ მახლობელს. გვინახავს რუსთაველი რუსული ტალმით მორთული და გურიელ-დადიანები სატაკიმასხარო კინტურ ქამარ-ტანისამოსით გამოწყობილი და სხვანი... მაგრამ ქართულად კი არც ერთხელ...

პიესებიც, რასაკვირველია, ბევრი გვაქვს, განსაკუთრებით ნათარგმნები. ბიორნსებმა, მეტერლინკებმა, იბსენებმა და სხვათა სცენა მოიკავეს, მაგრამ მათი ხელოვნური დეკადენტობა დღევანდელ ქართველის გრძნობა-გონებას ბევრს ვერას ეუბნება, რადგანაც, ახალ პიესებზე ის ძველი ქართული, ანტონოვ-ერისთავის ნაწერები უფრო ახლოს არიან: ერისთავის დასის ხსენებაც აღარსად არის დღეს. მაშინდელ აქტიორების სახელიც დავიწყებულია და დღევანდელებს კი მოწონებით იხსენიებენ ჟურნალ-გაზეთებში, მართლაც ბევრი ნიჭიერი ერევა მათში, მაგრამ მაინც ქართული აქტიორ-აქტრისები კი არსად არიან. რაც ადამიანს ბუნებითად არ შეუსისხლხორცებია, იმას როგორ დაასურათებს?...და მიტომაც ჩვენი ნიჭიერი მოთამაშეები საბრალონი არიან ევროპიულ, დღევანდელ, დეკადენტურ პიესებში. მაგალითად, რა უნდა იყოს გაბუნიას ქალი გრეტხე-

ნის როლში და ჩერქეზიშვილის ქალი რუსის მათუშკაში? აქ იმათ ნიჭიც უმტყუნებს და შემოქმედებაც.

ახლა ვნახოთ, რა გზასა და მიმართულებას უნდა დაადგეს ჩვენი თეატრი. — სწორეთ იმისთანას, როგორსაც ადგიან რუსუკები (მალოროსიელები). მცირე რუსეთს და დიდი რუსეთს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ამერეთსა და იმერეთს შუა. რუსეთთან ერთად რუსუკებიც ერთის ჩამომავლობის არიან და მათი ენაც ერთსა და იმავე ძირზე ამონაყარი, მხოლოდ ცოტაოდნად (გამეტებული) ისე როგორც მეგრულ-ქართული ენა და მეგრული კილო-კავი. ამიტომაც მცირე რუსეთის მაცხოვრებლებს, ანუ რუსუკებს თავისი მწერლობა, რასაკვირველია, არ ჰქონიათ და უკეთესი მათი მოღვაწეები რუსულათ სწერდნენ, როგორც მაგალითად გოგოლი. მხოლოდ წარსულ საუკუნის შუა ხანებში ტარას შევჩენკომ დაიწყო რუსუკების კილოთ წერა და ამით მორჩა და გათავდა! მიმბაძველები მაინცა და მაინც ბევრი აღარ გამოუჩნდა.

ამ ოცი წლის წინად კრაპივნიცკიმ შეადგინა სათეატრო დასი, რომ თავშესაქცევარი წარმოდგენები გაემართა ხოლმე დაბალ-წოდებისათვის, რომელიც უქმე დღეებზე უსაქმურობის გამო კაბაკებში ლოთობით იხრჩობდნენ თავს. სურვილი კარგი იყო, მაგრამ საქმე საძნელო, როდესაც ერთი პატარა ვოდევილის მეტი არა მოეპოვებოდათ-რა მათ კილოზე დაწერილი, გარდა კოტლიარევსკის „ნატალკა პალტაველისა“. ამ ნაკლმა მაინც ვერ შეუშალა ხელი კრაპივნიცკის: იმან მიჰყო ხელი რუსული პიესების გადმოკეთებას. ჩაუდგა ადგილობრივი სული, მისცა მშობლიური ფერ-ხორცი. ზოგი თანამედროვე ცხოვრებიდან იყო აღებული, ზოგიც და უმეტესი, ვითომ ისტორიული მიკიბ-მოკიბვა და გააჩაღა საქმე. პირველ ხანებში სასა-

ცინოდ არ ჰყოფნიდათ ეს საქმე, როგორც საბურჭალო რამ, არა თუ რუსებს, თვით რუსუკებსაც კი. მაგრამ მოკლე ხნის განმავლობაში ფუტკარივით იყარა კრაპივნიცკის დასმა და დღეს ათ გუნდზე მეტია, მოიკიდა ფეხი არა მარტო სამშობლოში, მთელ რუსეთსაც კი მოედვენ. დადიან ხან აქ, ხან იქ, ყოველ ქალაქებში ადგენენ და სახსართან ერთად სახელსაც იმკობენ. — ამ საქმეს ისე შეხედეს რუსუკებმა, როგორც საზოგადო წმინდა მოღვაწეობას და არა საბავშვო, საბურჭალო რამ გასართობს, როგორც ჩვენ გვგონია. იმათ დასებში უმაღლეს სასწავლებელ-დასრულებულიც ბევრი ურევია. ზოგი დოქტორია, ზოგი იურისტი და ზოგი კიდევ ვინ არ გინდა, თითქმის ყველა შეგნებულია და გონება განვითარებული. ნათარგმნ პიესებს ხელს არ კიდებენ. მისთანას არას წარმოადგენენ, რასაც პირდაპირი კავშირი არა აქვს მათს სამშობლოსთან ან ისტორიულად, ან თანამედროულად და მომავლის საგულისხმოდ. სუვორინმა ურჩია ზნაკოვეცის ქალს: თუ ჩემ თეატრში გადმოხვალ და რუსულად დაიწყებ თამაშს, წელიწადში თორმეტ ათას მანეთს მოგცემ და სახელი და დიდება კიდევ სხვა იქნებაო. შენს დიდ ნიჭს რათ ხარჯავ მაგ პატარა საქმეშიო? ამ სიტყვებით შეურაცხყოფილმა არტისტმა ქალმა უპასუხა: მილიონიც რომ მომცე ჩემი სამშობლოს სამსახურს მისის გაჭირვებით არ გავცვლი სხვა რამეზეო. ჩვენში კი გარდა აბაშიძისა, საფაროვას ქალისა და ვ. გუნიასი არ მინახავს და არც დღეს მეგულება, რომ სასხვათაშორისოდ არ უყურებდეს ქართულ სცენას და, თუ უკეთესი რამ იშოვა, წიხლი არ კრა ჩვენს თეატრს... ნიჭით სავსესა და ჩვენგან ცამდი აყვანილ არტისტს მესხიშვილს აბა თუ ერთი რომელიმე როლი შეუქმნია, რომ ჩვენის ცხოვრებიდან იყოს აღებული და ქართული სული ედგას? ამ მხრით ბალანჩივაძეც კი სჯობნის. და თუ უკეთესი ჩვენი არტისტები, ჩვენი მხატვრებისა არ იყოს, გარეწრები არიან ყოველივე მშობლიურის, სხვებზე რაღა გვეთქმის.

ამ გარეწრობის გასამართლებლად ჩვენი ე.წ. მოღვაწეები წარა-მარა გაიძახიან: ჩვენ რა ვქნათ, რომ ქართველებში არა არის რა, რომ საყურადღებო იყოსო.

ან სამხატვრო სად არის და ან პიესები სადა გვაქვსო? — ვისაც გული უშლის, ის ვერც არას ნახავს და ვერც გაიგებს... რა მიზეზია, რომ რუსუკებს სულ ათი თუ ოცი პიესა აქვთ, ისიც გადმოკეთებული, მეტი არა, და ამდენი ხანი იოლად მიდიან: თითო პიესას წელიწადში ოც-ოცჯერ ადგენენ და ხალხი მაინც სიამოვნებით ესწრება და ჩვენები კი გვარწმუნებენ, რომ ქართველი კაცი ერთხელ ნახულს პიესას მეორედ აღარ ნახავსო? ეს დიდი ტყუილია. ხელოვნება ისეთი რამეა, რომ ვისაც ხიბლავს, მისგან მოხიბლული კი არ გაურბის, პირიქით, სცდილობს, რომ ხშირად ადევნოს თვალ-ყური და ინეტაროს...

პიესა რაც უფრო ნიჭიერად არის დაწერილი, მით უფრო ძნელი სათამაშოა. უნიჭო არტისტებს შეუძლიათ ისე დაამახინჯონ ჩინებული პიესა, რომ მაყურებელს ზიზღი მოგვარონ და შეაძულონ. და აგრეთვე უბრალო რამეც ისე კარგათ შეიძლება ითამაშონ, რომ დამსწრეთ ისიამოვნონ.

რაც უფრო ძლიერი და მაღალი როლია, იმას უფრო ძლიერი ნიჭი ეჭირვება, მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველ როლებს ყველანი ეტანებიან. „აი, ქალო, კარგი როლიაო და თავისთავადაც გამოიტანს ჩვენ უნიჭო თამაშსო!“ ავიწყდებათ, რომ უნიჭო აქტიორისთვის ყველა როლი მიუწვდომელია დიდიც და პატარაც და ნიჭიერისთვის კი სულ ერთია: დიდშიდაც და პატარაშიაც გამოიჩენს ღირსებას. რუსუკების არტისტებს ეს ჭეშმარიტება შეუგნიათ და მწყობრად თამაშობენ და ბუტკას არ შეჩერებიან. ჩვენები კი ისე გამოდიან სცენაზე, რომ თავის სათქმელი სიტყვებიც არ იციან, თორემ მთელი პიესა არც წაკითხული აქვთ და არც მისი დედა-აზრი იციან და რაღა უნდა დაგვისურათონ.

რაღა ბევრი გავაგრძელო სიტყვა?.. ვიტყვი გადაჭრით:

1. გადათვალიერდეს ჩვენი პიესები და რაც სასარგებლო არ არის, გამოიგავოს რეპერტუარიდან.

2. ენა გადასწორდეს.

3. რეჟისორმა ჯერ უნდა წაუკითხოს არტისტებს თავიდან ბოლომდე პიესა, გააცნოს დედა-აზრს, აუხსნას თვითეულს მოქმედი პირის ხასიათი და ყველას მისთანა როლი დაურიგოს, რომელიც მის ნიჭს შეჰფერის.

მოთამაშეებმა ჯერ უნდა გაიზეპირონ თავთავისი როლები და მერე დაიწყონ რეპეტიციები. ინტრიგებსა და კულისებში მითქმა-მოთქმას ერიდონ და სუფლიორების იმედათ არ იყონ ხოლმე. თუ ამ გზას დაადგებიან, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თეატრი სახელს გამოიბრუნებს და მაშინ ესენი კი აღარ შეეხვეწებიან პუბლიკას „იარეთ ღვთის გულისათვისო“, „საქ-ველმოქმედო საქმეაო“, არამედ თვითონ პუბლიკა ეცდება მათ ხშირად ნახვას და სცენის თვალყურის დევნებას.

[1908-1914]

ქართული არქეოლოგიური ნაშთები
და ზეპირსიტყვიერება

მე საფილოსოფოსო და სამეცნიერო საუბრით თავს არ შეგაწყენთ, უბრალო რამეზე მსურს გესაუბროთ, იმაზე, რაც მე დიდი ხანია ნაღველშხამათ მაქვს გულზე და რაც მარტო ჩემი საპირადო არ არის. იგი თქვენც შეგეხებათ და თუ თქვენში თანაგრძნობა გამოვიწვიე, ჩემი ჯილდოც ეს იქნება. ბედაურები, ძველი ბაჩები გადაშენდნენ, დღევანდელი ქართველები ისე გვანან თავიანთ წინაპრებს, როგორც ბახი ცხენები წინანდელ ბედაურებს. ჩვენებური თავისებური აღარა გვაქვს და ახალს კი მაიმუნურათ ვითვისებთ. ბევრი იმასაც ფიქრობს და მზაკვრულად ამბობს: რა ჰქონია ჩვენს წინაპრებს, რა დაგვიტოვეს, რომ იგი დავკარგოთო! მათ დაგვიტოვეს „აკლდამა“, ანუ გმირთა სავანე, რომელსაც მთლიანად საქართველო ეწოდება. ეს მშვენიერი სანატრელი ქვეყანა, დიდებული ნაყოფის მომცემი და ყვავილოვან-სურნელოვანი ედემი, მოწამეთა სისხლით არის გაჟღენთილი და თავდადებულთა ძვლებითა გაპოხიერებული. იმ თავიდან ქართველებს მტრებთან ბრძოლაში, სისხლის ღვრაში თავი უსახელებიათ, თავისი ვინაობა გმირივით დაუცავთ, მაგრამ ამავე დროს ჰქონდა მას კულტურული რამე, ცალოდა მას ამისათვის, ან დაგვიტოვა მან რაიმე ნაშთები ქართველი ხალხის კულტურისა? ის ხალხი, რომელიც თავის სიცოცხლეში ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდა, სულიერ მოძრაობითაც არ ჩამორჩებოდა სხვა ბედნიერ ერებს კულტურის მხრით და მათ არა თუ გვერდში ამოდგომია, კიდევ ბევრისათვის გადაუჭარბებია.

ჩინგის-ყაენებმა, მურვან-ყრუებმა, ლენგ-თემურებმა, ბაიოზეთებმა, შაჰ-აბასებმა და სხვებმა მრავალჯერ ააოხრეს საქართველო, ცეცხლითა და მახვილით სპობდნენ ყველაფერს. ამ დროს მრავალი კულტურული ქმნილებანი გაოხრდა, მოისპო და მხოლოდ მცირედიღა დაურჩა მტარვალების ხელს, სწორედ ის, რისიც გადამალვა, მიუვალ ადგილებში აგებულ ტაძრებსა, საყდრებსა და ციხეებში შენახვა მოასწრეს. მრავალი სიძველე, ხალხის კულტურის მაჩვენებელი ნივთები ინახებოდა სვანეთში

„კვირიკეს ეკლესიაში“, რაჭაში — ნიკორწმინდის ტაძარში, იმერეთში — გელათის მონასტერში და მრავალ სხვა შესანიშნავ ტაძრებში.

ჩვენს მახსოვრობაში, ჩვენივე თვალის წინ ყველა ეს შესანიშნავი ნივთები ისე დაიკარგა, ისე მოიტაცეს, რომ არც ერთი თვალსაჩინო რამ ამ ტაძრებში აღარ მოიძებნება. სვანეთში „კვირიკეს ეკლესიის“ ვითომდა ყაჩაღების მიერ გაძარცვის დროს დაკარგული თამარ მეფის ნაქონი მოზაიკური ქამარი ერთი წლის შემდეგ დაკარგვისა ერთ ადგილობრივ მოსამსახურეს მოურთმევია ერთ ვინმე წარჩინებულისათვის და მისგან სამაგიეროდ მიუღია ალმასის ბეჭედი და სამსახურშიც დაუწინაურებია. აგრეთვე გაიტაცეს 25 წლის წინათ გელათიდან ფასდაუდებელი მინანქრიანი სახარება და მოსკოვში რუმიანცევის მუზეუმს ამშვენებს. დასწვეს და დაადნეს იქვე დარჩენილი საკუთარი ოქროს ქსოვილი, თამარის ქოშები და დავით აღმაშენებლის ბეჭედი.

ამაზე რაღა გვეთქმის, როდესაც გუშინწინ კავკასიაში, ვითომდა ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ბრძანება გამოსცა, რომ ქართულ ეკლესიაში რაც შენახული ძვირფასი ნივთები იყოს, გამოიტანეთ, გაყიდეთ, ფულად აქციეთ და ეს ფული საზოგადოებას მოახმარეთო. და მართლაც ამათი აუქციონი თბილისის კანტორაში მოუხდენიათ არქიმანდრიტ კესარიონის თავმჯდომარეობით. რამდენი უნდა დაღუპულიყო მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული ჩვენ დრომდე უპატრონობით? მაშ თუ ამოდენი განძი დაგვეღუპა, რაღაა ჩვენი ძველი კულტურის მაჩვენებელი მოწამე? „ქვათა ღაღადი“ ესენია ციხეების ნანგრევები, ეკლესიები და ტაძრები. აი, ესენი მოწმობენ ხუროთმოძღვრების აღორძინებას ჩვენში და ეს ხომ ერთი დარგთაგანია ერის კულტურის მაჩვენებელი. მაგრამ ვაქცევთ რაიმე ყურადღებას „ქვათა ღაღადს?“ ქუთაისში, მაგალითად, ერთი უძველესი ბაგრატის ტაძარი ისე უყურადღებოდაა მიტოვებული, რომ მისი მოზაიკური ქვებით მცხოვრებლები კერძო სახლებს აშენებენ. ბევრს იგი გულდასმით არც კი აქვს ნანახდათვალიერებული, ბევრ ნასწავლს საზღვარგარეთ უფრო გულდასმით და სიამოვნებით დაუთვთალიერებია, მაგალითად,

ჟენევაში შილიონის ციხე და ქუთაისში ბაგრატის ტაძარი კი არ უნახავს.

მაგრამ ჩვენ კიდევ დაგვრჩენია ისეთი ნაშთები ძველი კულტურისა, რომელიც არც აგრე ადვილად წარიხოცება პირისაგან ქვეყნისა. ესაა „ძველი ლიტერატურული ნაწერები“, რომელნიც რაღაც მანქანებით გადარჩენილან და მოუღწევიათ ჩვენამდე. როცა ამგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინვე „ვეფხისტყაოსანს“ წავავლებთ ხელს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ათასში ერთს არ წაუკითხავს სასწავლებელშიაც და არ შეუგნია მისი შინაარსი. ერთ დიდ ქართულ ოჯახში ქართველი ინტელიგენტი ქალი ლეონიდ ანდრეევის თხზულებას გატაცებით კითხულობდა და იქ მყოფს შემეკითხა: თქვენ რა აზრისა ხართ ანდრეევზეო? მე ვუპასუხე: ჯერ თქვენ მითხარით რაიმე რუსთაველზე და მერე მეც მოგახსენებთ ანდრეევზე-მეთქი. მან კი ამაზე გაკვირვებით მითხრა: „კტო ტაკოი ეს რუსთაველიო!“ — ეს ფაქტები ერთეული არ არის, არამედ ამგვარ მასწავლებლებს ეკუთვნის დღეს უმეტესობა. ძველად არა თუ ზეპირად იცოდნენ „ვეფხისტყაოსანი“, ხალხში იგი ზეპირი გადმოცემითაც იყო გავრცელებული, მაგრამ დედა-ენაზე დაწერილს ვინღა აფასებს...

ძველთაგან დატოვებული ერთი რამ გვაქვს დღესაც შესისხლხორცებული. ეს არის ქველმოქმედება. დღევანდელი გარემოება და განსაცდელი, თუმც არ გვაძლევს შემთხვევას გულუხვობისა და ხელგაშლილობისას, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და მცირე რიცხვსაც დიდად ვაფასებთ და ვხდით ერთი ასად და ათასად. მაგალითად, საკმაოდ ვიხდით იუბილეებს, საოცრად ვმარხავთ მკვდრებს და ზედმეტად შეგვაქვს წვლილი სხვადასხვა ფონდებში. მაგრამ ამაებს ყველას, რაღაც კუდაბზიკური ხასიათი აქვს. ვეტანებით მხოლოდ იმისთანა რამეებს, რაც მალე ეჩხირება სხვების თვალსა და ყურს და მასაც დიდი დრო არ უნდა.

საზოგადოება რომ სრულიად ხელს არ ანძრევს ჩვენს ხალხში მრავლად დარჩენილ ხალხურ ზეპირსიტყვაობის შეგროვება-გამოცემაზე, ძველი, საჭირო ხელნაწერების დაბეჭდვაზე და მისი, ეს, ხალხის გონებრივი ძალის მაჩვენებელი ნაშთები იკარ-

გება, ქრება, მასზე მზრუნველს ვერავის ვხედავთ, ცხადია, ამიტომ მე ვბედავ და ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, რომ შეადგინოს საკუთარი ფონდი ამ ორი ფრიად საჭირო საქმისათვის და დაუტოვოს იგი შვილებს და შვილიშვილებს მოსამკალად ერთი ასად. ამგვარ ქველმოქმედებას კი დიდი გულუხვობა, ხელგაშლილობა არ უნდა! საკმაოა მხოლოდ გულწრფელი სურვილი, მოთავეობა და მიყოლა. საკმაოა ამ საქმისათვის თითოეულმა ქართველმა მთელ თავის სიცოცხლეში გამოიღოს ერთად-ერთი აბაზი და დასდვას საეროვნო ტრაპეზზე და ამით შესდგება ის თანხა, რომლითაც შეიძლება ამ ორი საქმის: ხელნაწერების დაბეჭდვას და ხალხურ ზეპირსიტყვაობის, რასაკვირველია, სასყიდლით შეგროვება-გამოცემას. ამას დასჭირდება მიყოლა და ყურის გდება და ამიტომაც თქვენს შორის აირჩიეთ რამდენიმე პირი, რომ საქმეს წინ წაუძღვეს. მე ჩემი მხრით მომიხსენებია და აწი თქვენ იცით.

1910

წერილები საქართველოს ისტორიის, რელიგიისა და კულტურის საკითხებზე

პოლემიკა

ოსმალეთის ქართველებს

ჩვენო ერთო ტომო და ერთ მოგვარე ძმებო!

დიდი ხანი არ არის მის შემდეგ, რაც უკუღმართმა ბედმა დაგვიკარგა ჩვენი მრავალსაუკუნოებითი ერთობა, გაგვაპო შუა, გაგვყო ორად, გაგვასხვავა სარწმუნოებით და დაგვაშორა ერთმანეთს ქვეშევრდომობით. მაგრამ ჩვენ კი მაინც იმავე ერთის ტომის ხალხი ვართ, რაც ადრე ვიყავით; იმგვარივე სისხლი სდუღს ჩვენში დღესაც, რომელსაც ადრე ჩვენ და თქვენ ჩვენის ერთობისათვის თავგანწირულად შეერთებულად ვანთხევდით; იგივე გული სძგერს ჩვენში, რომელიც ძველად ჩვენის ქვეყნის ერთობისათვის სიყვარულით იმსჭვალებოდა, — და იგივე ამაყი და პატიოსანი სული გვამხნევებს, რომლითაც ჩვენ მაშინ ერთად გაუყოფლად ქვეყანაში ქებით ვიხსენიებოდით. კიდევ მეტი ვსთქვათ: დღესაც ჩვენ მივენდობით იმავე ერთს ღმერთს, რომელიც ადრე გვფარავდა. ჩვენა გვაქვს ერთი ისტორია, რომელიც საქართველოსადმი ღვაწლში თქვენ უფრო დიდ წილს გიდებსთ, როგორც შემხებს, მოსამძღვრეებს, — ის არ დაიკარგება უკუნისამდე, სანამ კი საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედა ენა არ გამქრალა, ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნურად უცხოობაშიც კი შეგინახავსთ. სადაც უნდა ვიყოთ, რაგინდ შორს ვიყოთ ერთმანეთზედ, დიდათ რომ განვსხვავდებოდეთ გარეგნობით, ჩვენ მაინც ყოველთვის ერთი უნდა ვიყოთ იმ მიზეზებით, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. ჩვენი ცალცალკეობა, ჩვენი გაყოფა ორად — ჩვენი ბედისა და ძალის განახევრება არის. როგორც ძველად, ისე დღესაც უთქვენოდ ჩვენი ჭირი ორკეცდება და ლხინი კი ნახევრდება. თუ თქვენ ცუდ მდგომარეობაში გვეგულებით, მაშინ ჩვენი კეთილდღეობაც აღარაფრად გვიღირს და თუ თქვენც ჩვენთან ერთად ჩვენი თანამგრძნობი და ერთად უღლის გამწევად გხედავთ, მაშინ ჭირსაც აღარ შევუშინდებით. ღმერთმა ნუ ქნას უთქვენობა ჩვენთვის და უჩვენობა თქვენთვის. ორი ნახევარი ცალცალად ყოველთვის უსრულო ნაწილებად დარჩებიან, მაგრამ ერთად შეერთებით კი ერთ სრულს შეადგენენ. დიახ, სულითა და გულით ჩვენ ერთი, ერთის ბედსქვეშ უნდა ვიყოთ

ყოველთვის. [*][1]დღეს ისეთი დრო დაგვიდგა და ისეთი ნიშნები სჩანს, რომ ორივეს გვმართებს დაფიქრება ძმურად და საერთოდ: თუ ვინცობაა, ჩვენს მფლობელებს შუა მოხდეს შუღლი და ასტყდეს ომი, ჩვენ როგორ უნდა დავიჭიროთ ჩვენი თავი? ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენ ჩამოვიდეთ თქვენს მხარეში, მაგრამ მიტომ კი არა, რომ თქვენზედ ხელი ავიღოთ და მოგინდომოთ ამოწყვეტა-აოხრება და ძმებზედ ვილაშქროთ, — მაშინ ჩვენი წინაპრების ძვლები საფლავში შეიძვრიან! არა, ჩვენ თუ ჩამოვალთ, მხოლოდ მისთვის, რომ ამდენის ხნის მოშორებულ მოგვარეებს ძმურად გადაგეხვიოთ, სამოყვროდ და სანათესავოდ. თქვენც თქვენის მხრით ასევე გმართებსთ ჩვენთან მოქცევა. ჩვენს ერთმანეთზედ გულ-გასაგრილებლად და საორგულოდ ის მიზეზი საკმაო არ არის, რომ თქვენ მაჰმადიანები ხართ და ჩვენ ქრისტიანები. ღმერთი ერთი და იგივეა ყველასათვის, ის არის გამრჩევი ყველასი ზეცას და აქ არავის მართებს თავისთავად ამათ ანგარიში. ამ მიზეზებმა ჩვენი ძმობა ვერ უნდა მოშალოს და ვერ უნდა გაგვაორგულოს ერთმანეთზედ. ვიმეორებთ, რომ ჩვენი ვალია დღეს მოფიქრება! ჩვენ ნუ შევეხლებით ერთმანეთს, მოვიცადოთ, ველოდეთ საერთო კეთილდღეობას, მოვემზადოთ მისთვის და ბედი თვით გვიჩვენებს, სად და რა სჯობს ჩვენთვის.

[1875-1877]

[1] ტექსტის მომდევნო ნაწილი ქვეყნდება პირველად. რედ.

სიტყვის ბანზე აგდება

დიდი ფაცა-ფუცია დღეს თბილისში:[1]) გახურვებული ეძებენ ქალაქის თავს; ხან ერთი კუთხისაკენ გარბიან და ხან მეორისაკენ, მაშინ როდესაც ყველამ კი კარგათ იცის, რომ ვინც უნდათ არჩეულიც ჰყავთ და სხვა და სხვა კანდიდატების დასახელება უბრალო „ასკი-კუკუს“ თამაშია და თვალის ახვევა. ბისმარკიც რომ იყოს ქართველი, მაშინაც არავინ მიაშავებს მას დღეს ქალაქის მოურავობას. მაშ, რაღათ ასახელებენ მათ? საბოდიშოთ და სალაღობოთ!.. მათი გულ-წრფელობა ამ შემთხვევაში უკუდო დიპლომატობა არის და სხვა არაფერი. „ნიკოლაძე კარგი იქნებაო“ — ამბობენ. რომელი ნიკოლაძე?! ის ხომ არა, რომლის რჩევასაც, როცა მათთან იყო, ყურადღებასაც არ აქცევდენ... ჭავჭავაძეო?. რომელი?! ტრიხინის ავტორი?! რა თქმა უნდა, ძალიან ეპიტნავებათ! ზუბალოვიო? რომელი?! ის რომელიც, როცა მათთან იყო, ეჯავრებოდათ, როგორც მართალი და ღირსეული კაცი? არა, ეს სუყოლიფერი იაფი ფასის ლათაიაა. აკი იყო ამორჩეული დიმიტრი ყიფიანიო, — მეტყვიან, მართალია, მაგრამ ის აუცილებელმა საჭიროებამ ამოარჩევინათ მხოლოთ და ანგარიშმა: ოცი, ოც-და-ათი წლის აწეწილ-დაწეწილი, აბურდულ-დაბურდული საქმე გამოაწყობიეს, კანცელარია რიგზე დააყენებიეს, იმსახურეს და, როცა გამოსასწორებელი აღარა იყო რა, მადლობის მაგიერათ, უბრალო ხმოსნათაც აღარ აირჩიეს არა თუ ქალაქის თავად. ივანენკო? მე და ჩემმა ღმერთმა, რომ კარგი ასარჩევია მათთვის, თუ კი მათი წესდება ნებას მისცემს მათ. ცხადია, რომ ისევ ერთი მათგანი უნდა აირჩიონ, მაგრამ ვინ? იზმაილოვის შემდეგ კ. ა. ბებუთოვს ვერავინა ჯობს, მაგრამ ის ხომ სხვა საქმეს ადგია და ვერ მოაცდენენ. ალიხანოვი არ თანხმდება, ევანგულოვი ყოყმობს, ბორისგოდუნოვობს!.. რეიტერი? წესდების წინააღმდეგი იქნება. დარჩა ისევ მარტო გ. თუმანოვი და, ჩვენი აზრით, უკეთესსაც ვერ გამოძებნიან!...მაგრამ, ვაი, თუ არ აპატიონ ის, რაც ვითომ და

[1] ეს წერილი მესამე ნომრისათვის აწყობილი იყო, როდესაც ქალაქის არჩევნები გათავდა.

ღირსებათ ჩაუთვალა მათმა გაზეთმა: „ერთ დროს ის ქართულ ინტერესებს მისდევდაო“. მაშ, ვისღა აირჩევენ? რასაკვირველია, ევანგულოვს. სხვების დასახელება-კი უაზრო, ბანზე სიტყვის აგდებაა!.. რას ნიშნავს „ბანზე სიტყვის აგდება“ და საიდან წამომდგარა ეს ანდაზა?

კაცი რომ ლაპარაკის დროს გადაუხვ-გადმოუხვევს და პირდა-პირ პასუხს არ იძლევა, იმაზე იტყვიან: „სიტყვას ბანზე აგდებსო“. ეს ანდაზა ძველის-ძველია. ეტყობა, რომ ჩვენ მამა-პაპებსაც ცოდნიათ სიტყვების გაბანდ-გამობანდვა პასუხის ასაშორებლათ, და სიტყვის ბანზე აგდებაც ისე, როგორც ჭირვეულ ბავშვების მოსაშორებლათ ბურთს მაღლა ბანზე ააგდებენ ხოლმე. „სიტყვის ბანზე აგდებას“ დღეს ჩვენში უფრო მეტი ბაზარი აქვს, სადიპლომატო იარაღათ არის გადაქცეული და უფრო მზაკვრული ხასიათიც აქვს, ვიდრე ძველათ.საქურდალზე რომ ვინმეს მიასწრო და ამხილო, ის მაშინვე „ბანზე შეაგდებს სიტყვას“ და პირ-აქეთვე დაგიწყებს მტყუნებას: „რადგანაც მე და შენ სულ სხვა-და-სხვა ტომის კაცი ვართ და შენ კი ჩემი ტომის ხალხი საზოგადოთ გძულს, მეც მიტომ მწამებ ცილსო“. ტყვილათ კი არ არის ნათქვამი: „წყალ-გაღმა შეედავე და წყალ-გამოღმა დაგრჩებაო“. ქურდი პირ-აქეთ დაგწამებს ცილს: „ამა და ამ კაცს ჩემი გვარის ყველა სძულს და ემტერება!..არა დაუჯეროთ რაო!“ ამას რომ ყურს მოჰკრავენ მისი ტომის კაცები, ისინიც ზოგი სისულელით და ზოგიც ბოროტი განძრახვით მიექომაგებიან და ატეხენ ერთ ვაი-უშველებელს. რამდენიც უნდა იძახო: „ბატონებო! რა შუაშია აქ უცხო ტომობა? ეს, რომელ ნაციასაც უნდა ეკუთნოდეს, სულ ერთია, თუ შეარცხვენს, თვარა ვერას ასახელებს! პირად საძაგლობას მთელს მისს ნაციას აწერს და მითი უნდა თავი გაიმართლოს!.. ამით ეს ჩირქსა ცხებს თავის ტომის ხალხს და მე-კი, პირ-იქით, ვამბობ, რომ ეგ არ არის მისი ნაციის წარმომადგენელი ტიპი!.. მაგისთანა გაფუჭებული აქაც იშვიათია და სხვანი და სხვანი. „ამისთანები რაც უნდა იშველო, დამჯერე აღარსად არის!. ყურსაც აღარავინ გიგდებს და გამოდიხარ პირ-აქეთ შენვე მტყუანი!..ძალიან მაგარი ხასიათისა და თავ-განწირული იუნდა იყოს კაცი, რომ ქურდს ქურდობა ამხილოს, ავაზაკს ავაზაკობა და მეზვერეს

მეზვერობა!.. დღეს ამ ხერხს, ესე იგი საპოლიტიკო ბანზე სიტყვის აგდებას, ხელს სჭიდებენ, არა თუ სხვა ტომების, თვით შენივე გვარ-ტომის გაფუჭებული მოძმეებიც, რომ წმინდა წყალი აამღვრიონ და შიგ მერე თავისუფლათ ბადე გაშალონ. ამავე ხერხს ხმარობს დღეს ჩვენი ვაჭარი ხალხიც, რომელსაც ჩვენ შემკრებელობითად, გვარ-ტომობის გაურჩევლათ, ყველას ერთად სომხებათ ვუწოდებთ.

საიდან და როგორ გაჩნდენ ჩვენში ეს ვაჭრები? უხსოვარი დროიდან ჩვენი ქვეყანა უმთავრესად ორ წოდებათ იყო გაყოფილი — დაბალ-წოდებათ და მაღალ-წოდებათ. თვითოეულ მათგანს თავ-თავისი მოსაზღვრული მოვალეობა აწვა უღლათ; პირველი ქვეყნის მუშა იყო, მიწის მომქმედი და მეორე — მხედარი, რომელიც ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდა. ვისაც უძლურების გამო ანუ სხვა რამე მიზეზით ამ ორი უმთავრესი მოვალეობის ატანა არ შეეძლო, ის ან ბერათ შედიოდა მონასტერში და ან აღებ-მიცემობას ჰკიდებდა ხელს. ამ უკანასკნელს ეკუთნოდენ ებრაელები და სომხები. ებრაელები ბაბილონის ტყვეობის დროს გადმოსახლებულან ჩვენში; სომხები-კი მეშვიდე საუკუნიდან დაწყებული გვეხიზნებოდენ ნელ-ნელა. ჩვენ იმათ ძმურის სიყვარულით ვეგებებოდით, მით უფრო, რომ მათი სარწმუნოებისა, ე. ი. გრიგორიანები ქართველობაშიაც ბევრი იყო დარჩენილი.

შემოხიზნულებს მზა ეკლესიები დაუხვდათ და ქართველობამ ისინი მამა-შვილურადაც შეიტკბო. ისინიც ისე გაქართველდენ, რომ არაფრით, გარდა სარწმუნოებისა, ქართველებისაგან აღარ გაირჩევოდენ. ბევრმა მათგანმა ქვეყნის ერთგულებისა და კარგი სამსახურისათვის თავადობისა და აზნაურობის ღირსებაც მიიღო; ზოგმა მიწის მუშაობას მიჰყო ხელი, მაგრამ უმეტესობამ-კი ვაჭრობა ირჩია და აღებ-მიცემობაც საკუთრად მათ ხელში გადავიდა. აი, ამ მოვაჭრე ხალხს, რადგანაც მის უმეტესობას სომხობა შეადგენდა, თუმც შიგ ურიები და დაჩიავებული ქართველებიც ერიენ, შემკრებელობითად დაერქვა სომხობა; ასე რომ ჩვენში სიტყვა „სომეხი“ და „ვაჭარი“ ერთსა და იმავეს ნიშნავდა. ამ წრის ხალხს დიდი უფლება არა ჰქონია რა ჩვენში!..ისინი საბატონო იყვენ და გადასახადიც დიდი ემართათ. გაყოფილების საბუთებში ანუ ფარდის წიგნებში, ხშირად

შეხვდებით რომ ერთ ვაჭარს,სომეხს ანუ ურიას, რომელსაც, გარდა სახლ-კარისა სხვა ადგილ-მამული არა აბადია რა, ოცსა და ოც-და-ათ დიდ მემამულე გლეხებს უფარდებენ.დიდი გვარის შვილები მითი უფრო იყვენ შეძლებული, რომ საკუთარი ბაზრები ჰქონდათ, მაგალითად: საჩხერეში, ონში, ხონში, კულაშში, ჩხარში, სურამში, ცხინვალში და სხვა და სხვაგან. სანამ ქართველების ცხოვრება ძველი წესითა და რიგით მიდიოდა, თავად-აზნაურობაც უზრუნველი იყო, რადგანაც ერთი მხრით გლეხები ეჭირათ ხელში და მეორეთი—მოვაჭრე სომეხ-ურიები; რაც-კი დასჭირდებოდათ, ყოლიფერი მზათ ჰქონდათ და ფული მხოლოთ სათამაშო, საქეიფო მასალათ მიაჩნდათ. არა თუ ძველათ, რუსობამდე, რუსის შემოსვლის შემდეგაც, სანამ კავკასიის მთები არ დაიპყრეს, იმავე ძველ გზას ადგენ ქართველები. მართალია, ფული რომ დაჭირდებოდა რომელსამე თავად-აზნაურთაგანს, მაშინაც ვაჭარს გამოართმევდა და, დროზე თუ ვერ გადაუხდიდა, პასუხიც მზათა ჰქონდა: „რა დაგემართა, კაცო, რომ მაწუხებ? რა დიდი რამე გგონია ეგ შენი რაღაც ოხერი ფული! აღარ დაგვაცლი?!.. აგერ ჯარში წავალ, გავიმარჯვებ, პენციას დამინიშვნენ და მაშინ შიგ თავში გახლი შენს ფულებსო“!.. ამგვარი პასუხი დღეს თუმცა სასაცილოა, მაგრამ მაშინ კი ხშირათ გამართლდებოდა ხოლმე და რომ კიდევაც არ გამართლებულიყო, უნდა მაინც ორივე მხარეს მოეცადა. მხოლოთ ბატონ-ყმობის გადავარდნიდან შეიშალა ძველი წესი და რიგი: თავად-აზნაურობას რაც ჰქონდა, ხელში გამოეცალა და უნუგეშოთ დაიწყო ფართხალი, ისე როგორც თევზმა რიყეზე, — გლეხობას რაც ჰქონდა, ის აღარ შერჩა!... მართალია, პირადათ განთავისუფლდა, მაგრამ მიწა-წყალი კი ჩამოერთვა და მცირე ნადელი რაც დაუნიშნეს, იმაშიაც მეოთხედი უნდა ეხადა; ამას გარდა, პირ-და-პირ გადასახადს ბევრი შეპარებული გადასახადიც მიემატა და ფული საჭირო შეიქნა!.. ეს ფული კი არც მაღალსა და არც დაბალ წოდებას არა ჰქონდა!.. რომ კიდეც ჰქონოდა, მისი მოხმარება, მიუჩვევლობის გამო, არც ერთმა არ იცოდა... ორივე მხარე შეკრთა და ფეხი გადაუბრუნდათ, მოგეზაში დარჩა მხოლოთ ის წოდება, რომელსაც არა დაკარგვია და არა დაკლებია რა, ე.ი. ვაჭრობა: მათი სიმდიდრე ფული და სა-

ვაჭრო საქონელი იყო და იმათთვის ხომ ხელიც არავის უხ-ლია?!.. მოვიყვანთ სანიმუშოდ ერთ მაგალითს: წერეთელს მისი ყმა-ვაჭარი ცხრაას თუმანს აძლევდა: მარტო-ხელი ვარ და გა-მიშვიო. ბატონი ათას ნაკლებ არ შეელია; მოუსწრო რეფორმამ და ოცდახუთი მანეთი ერგო იმ ვაჭარში, მეტი აღარაფერი! დიახ, ბატონ-ყმობის გაყრამ ვაჭრობას ბედი კარზე მოაყენა და მათი ხელობის სარბიელიც გადიდდა. უფულო და ფულის უმე-ცარი, როგორც მაღალი, ისე დაბალი წოდებაც ორივე ბურჟუ-აზიის ხელში ჩავარდა და დაეშვა უფსკრულისაკენ. ეს რომ დაინახეს სხვა მხრის ვაჭრებმა, მოაშურეს ამ ჩვენს მხარეს სხვა-და-სხვა ქალაქებიდან: ნახიჩევნიდან, ერევნიდან, განჯი-დან, აზრუმიდან და სხვა. შეიქნა ეკონომიური ბრძოლა! მაგრამ რას ვამბობ? რის ბრძოლა?!.. ერთი მხრით დაგეშილი მგლები და მეორით კი საბრალო ცხვრები!.. ცუდი დრო დადგა აქაურ მცხოვრებლებისათვის... ბოლოს, როცა იქნა, ზოგიერთმა შეგ-ნებულებმა თვალი გამოახილეს და ყვედრება დაიწყეს: „შეგვჭა-მეს ვაჭრებმაო“! მაგრამ ბურჟუაზიამ სიტყვა ბანზე ააგდო და ფარად სომხობის გვარ-ტომობა იხმარა: „გეტყობათ, რომ თქვენ მტერი ხართ მთელი სომხობისა, თვარა ჩვენც არ დაგვიწ-ყებდით მტრულად ყურებას?! ეგ, ამ დროში, არ ეკადრება თქვენ განათლებულობასო!.. ნაციის ათვალწუნება უმეცრების ნიშანია და ბარბაროსობისო!“ — „რა ბძანებაა! რა შუაშია აქ გვარ-ტომობა? სომხის ნაციის მიზანი (ჩვენ ვფიქრობთ) სრუ-ლიადაც არ მოითხოვს იმას, რომ სხვა ხალხი ამოფხვრას და გა-დაყლაპოს!.. თქვენ არა ბრძანდებით სომხობის წარმომადგენე-ლი!.. თქვენ მხოლოთ საკუთარ თავსა და კუჭზე ფიქრობთ და გვარ-ტომობას-კი მხოლოთ ფარად და პირბადეთ ხმარობთო“! — ასე დაიძახეს ზოგიერთებმა ჩვენში, მაგრამ გამგონი ვინღა იყო, როდესაც უმეტესობა ღრიალებდა და ზუოდა?!.. ქართვე-ლების მხრითაც ფუჭმა ინტელიგენტებმა და ცრუ ლიბერა-ლებმა — აქაო და გაუნათლებლობა არავინ შეგვწამოსო, პირზე ხელი დაიფარეს: გაჩუმდენ, ხმას აღარ იღებდენ!.. ამით ბურჟუ-აზიამ თავი უფრო აიშვა, გათამამდა და ხელშეუშლელათ გააბ-გამოაბა ქსელი. ხალხი გულში იკლავდა ჯავრს და ნაღველი თან-და-თან უსივდებოდა. სიძულილი ჩამოვარდა, რომელსაც

ბოლოს კიდეც უნდა გამოეხეთქა; მაგრამ ამ დროს ვითომ და გამოდის ასპარეზზე სომხის ახალგაზდობა, ნამდვილი ახალთაობა და სულ სხვა პროგრამმა შემოაქვს ცხოვრებაში!.. აი, რას გვეუბნებიან ჩვენ, ქართველებს, (თუ დასაჯერებელია): „თქვენ მართალი ხართ! ეგენი არ არიან სომხის ინტერესების წარმომადგენელნი!.. სადაც თაფლია, მაგათი ბაღდადიც იქ არის! ეგენი ისეთივე მტრები არიან ჩვენი, როგორიც თქვენიო; ჩვენ არ მოგვწონს მაგათი საქციელი, არ თანავუგრძნობთ მაგათ მოქმედებასო“ და სხვა. — ეს აღსარება წმინდა გულითაც რომ არ ყოფილიყოს ნათქვამი, მაშინაც არ უნდა დაგვეგდო უყურადღებოთ, მაგრამ ჩვენ კი ასე არ მოვიქეცით: ქალაქის გამგეობაში რომ უსიამოვნება ჩამოვარდა ქართველ და სომხების ხმოსნების შუა, ჩვენებმა ეს შუღლი მთლათ სომხობას მიაწერეს! ვეღარ შენიშნეს, რომ აქ მხოლოთ ვაჭრები იბრძოდენ და არა სომხობა, რომლის წარმომადგენელი ახალი თაობა იქვე იყო და ქართველების უარყოფა არ სურდა. ეს მხოლოთ ერთადერთმა გიორგი წერეთელმა შენიშნა და დარჩა ხმოსნათ, მაგრამ მარტოობა-კი დაუჯდა ფასათ: უმეტესობამ ექსორია უყო და შეაჩვენა არა მარტო ის პირადათ, — თვით ის ჟურნალი „კვალიც“ კი, სადაც გიორგი მუშაობდა. ამგვარ სასტიკობაზე კიდევ არას ვიტყოდით, რომ სულ მხოლოთ ცარიელი პირადობა არ გამომდგარიყო: ჯერ ერთ წელიწადსაც არ გაუვლია და ის ვაჟბატონები, რომელნიც გიორგი წერეთელზე განაჩენსა სწერდენ, პირიქით, მიდიან იმავ ვაჭრებთან, ეკავშირებიან, ემხრობიან, იმხრობენ და ამტკიცებენ: ჩვენ ორივეს ერთი და იგივე ინტერესი გვაქვსო! ფიე!.. „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“, რომ იტყვიან სწორეთ ეს არის. ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ, — ის, რომ სულ სხვა აზრისა ვართ: იმ ახალგაზდობას, რომელიც ზემოთ დავასახელეთ, ჩვენ ვიწამებთ თანამოაზრეებათ, თუ საქმითაც დაგვიმტკიცებენ ნათქვამს!.. რაც შეეხება ძველი თაობის წარმომადგენელ ბურჟუაზიას, იმათი კი რა მოგახსენოთ!.. ჩვენ ისინი მოყვრებათ არ მიგვაჩნია და წუნსა ვდებთ იმ ქართველებსაც, რომელნიც საპირადო ანგარიშით იმათ ეკედლებიან და მათთან ერთად სიტყვას ბანზე გვიგდებენ.

1897

ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაისტანის და სომხეთის

დედა-მიწის ზურგი, როგორც ვიცით, ყველგან საერთოთ ძალ-მომრეობის სარბიელს წარმოგვიდგენს, სადაც დიდი პატარას ერევა და ძლიერი სუსტსა სჩაგრავს. მაგრამ ამ ძალ-მომრეობასაც თავისი კანონი აქვს: შიგ, ცხოვრების გაფერადებული ხერხი და ფარიც ტრიალობს, უმისოდ ქვეყნის წინ მსვლელობა შეფერხებული იქნებოდა. ხალხის სიბრძნეს ორ პატარა არაკში ჩაუყენებია მსოფლიო ცხოვრების დიდი სარკე: „მოდი ვნახოთ ვენახიო“ და „არ შეგრჩებაო“. პირველში ჩამოთვლილია, თუ როგორ შეჭამა მიწა ვენახმა (ვაზმა), ვენახი — თხამ – თხა მგელმა, — მგელი — თოფმა და ამ გვარათ, რგოლს რომ შემოივლის ეს ცხოვრების კანონი დასაბამი ისევ დასაწყისს უერთდება და უკანასკნელ შემჭმელს ისევ მიწა შეჭამს.

მეორე კიდევ უფრო საგულისხმოცაა: მატლს იჭერს ჩიტი შესაჭმელათ: სიკვდილის წინეთ ეუბნება პატარა მსხვერპლი მის მომრევს: „არ შეგრჩებაო!“ მართლაც, ჩიტს ქორი იჭერს, ქორს — არწივი, არწივს კაცი ჰკლავს, კაცი კვდება და ისევ მატლი სჭამს. არავის არ შერჩება რა! ყველას ხდება გადასახადი. და ამ დაუსრულებელ მსოფლიო ბრძოლაში გამარჯვება, თუმცა, მხოლოთ დროებითი, მაგრამ მაინც გამარჯვება, იმასა რჩება, ვინც შეგნებული და წინ-დახედულია. აქ საგულისხმო ის არის, რომ ზოგჯერ უზარ-მაზარს, მოძრავსა და მომქმედ ცხოველს, პატარა უჩინარი მწერი აზის ტანზე, სისხლსა წუწნის და ბატონურათ იკვებება. ამ გვარი მკბენარები არა თუ ცხოველებში, მცენარეებშიც არიან, მაგალითად, სურო და ფითრი. დედამიწაში მაგრათ ფესვებ გადგმულს, ქარ-გრიგალის შეუპოვარს და მეხის გამძლე ხეს გარს ეწმახვნება სურო, კანში უჯდება ფითრი და ხე-კი ნელ-ნელა ხმება. თვალ-საჩინოთ გვიხატავს ამას ერთი ქართველი ახალგაზრდა მწერალი:

„მცივა, მცივა, შემიბრალე, თავშესაფარი მომეცი, სიცივით ნუ მომკლავ, ხომ ხედავ, პატარა ვარ...ლამის ქარმა გადამაგდოს და თოვლმა დამარჩოს!... ბინა მომეცი!“ ასე ევედრებოდა

სიცივისაგან სიკდილილის პირზე მისული პაწაწა ფითრის თესლი მსხლის ხეს. მსხალმა შეიბრალა, იფიქრა მადლია ვუპატრონებო და უთხრა: „შემოძვერი, შე საწყალო, ადგილს როგორ დაგიჭერო?“ ფითრის მარცვალი შეძვრა მსხლის ქერქ ქვეშ, სადაც უფრო ღრმათ იყო გახეთქილი და ზედ ცილამდე მიეკრა. მოიკალათა აქ მყუდროთ, თავისუფლათ, ხელ-შეუშლელათ. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენათ იცვლებოდა მსხლის ქერქზე ტკიპასავით დაკრობილი ფითრი: „იზრდებოდა, იბერებოდა, სულ გან-გან იწევდა, მსხლის ცილა რამდენსამე ალაგას ჩაეხვრიტა და ტუჩებით დაჰკვროდა. მსხალს აღარც-კი ახსოვდა აქ იმის ყოფნა და ამბობდა:„რაღაც მიღიტინებს, თითქო არცა მკბენს და არცა მწუწნისო“. მსხალს ჯერ ვერა გაეგო-რა და ფითრი-კი ნელ-ნელა იზრდებოდა: ღერს ღერი ემატებოდა, ტოტს ტოტი, ფოთოლს ფოთოლი; გასუქდა, გალაღდა, გაიბარჯღა, გაიზარდა, გაშალა შორს თავისი ბრჭყალები. ფესვიდან მომდინარე წვენს წვეროებისაკენ აღარ უშვებდა, წოვდა, როგორც ობობა ბუზს, წუწნიდა, როგორც ბალღი შაქარს, ძრებოდა, როგორც სვავი სისხლითა. მსხალი-კი თან-და-თან იმშეოდა. ბოლოს, მაგრამ გვიან-კი მწვავეთ იგრძნო მსხალმა ტკივილი იმ ადგილზე, სადაც ფითრი აჯდა“.

— „ვინა ხარ, რა ხარ და რა სულიერი? აღარ მოშორდები? თუ სტუმარი ხარ, სტუმრობა ამდენი ხნის არ გაგონილა, სტუმრის წესი აასრულე და თუ მტერი ხარ, გამაგებინე მაინც, რას ჩამციებიხარო? — დაეკითხა მსხალი“.

ფითრმა გადაიხარხარა ისეთი საძაგელი და საზარელი ხმით და კილოთი, რომელშიაც გამოიხატებოდა მწარე და გულის მომკვლელი დაცინვა.

— „რათ უნდა წავიდე?! ვერა ხედავ, რამდენი ვართ? აბა მიიხედ-მოიხედე, გაიხედე იმ ტოტებზე! ჩვენი სამშობლოც აქ უნდა იყოსო“.

ამ შეუპოვრობის შემდეგ, თითქო ჯიბრზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა წოვდა მსხალს; აღარ იმალებოდა და აღარც ადრიანდულათ თავს იკატუნებდა.

მსხალი ნელ-ნელა ხმებოდა და ფითრი-კი ხარობდა. „უდროვოთ დაბერდა, მოიკაკვა, დახავსდა, დაიღმიჭა, ქერქი დაეღრი-

ჯა, კანი დაუსკდა, ტოტები დაუკოპიტდა, ზოგი დაემტვრა, ზოგიც ნახევრათ ხმელი აქა-იქღა გაეშვირა. საცოდავი შესახედი პატრონმა რომ ნახა, მსხალი ხილს აღარ იძლეოდა, მოჭრა დაუპირა, მაგრამ მეზობელმა ურჩია: ვერ ხედავ, რომ ეგ ხე ფითრს შეუწუხებია? მაგას რათა სჭრი? შენ მაგას მხოლოთ გამხმარი შტოები გადასხეპე, ფითრი გააცალე, მოაშორე და მაშინ ნახავ, თუ ისევ ისე ადრინდულათ არ გაიხაროსო. დაუჯერა მსხლის პატრონმა. „კაპ-კუპ, კაპ-კუპ“ — იძახოდა ცულის კაკუნი, თან მოჭრილი ტოტების ჭრიალი და ბარტყუნი. „ახლა-კი დაითვალა ჩემი დღეები, აღარაფერი მიხსნისო“ — ჰგოდებდა შეშინებული ხე, მაგრამ ძირიდან, მიწის ჯურღმულიდან ხმა მოესმა: „ნუ გეშინია! ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ, არ მოვკვდებით რაღაი-კი ფითრი აღარ გვაწუხებსო!“ ის ხმა იყო ფესვების ძახილი. „ისინი ისევ ღონიერნი, მძლავრნი, მრავალნი, უთვალავნი იყვენ, თავისთვის ჩუმათ ბნელს, უმზეო, თვალ-ჩაუხედველ უკუნში მიმალულ-მიჩქმალულნი, მსხალს ახალ-ახალი ტოტებისათვის უხვ საჭმელ-საზრდოს უმზადებდენ და აწვდიდენ“.

როგორც მცენარეებში ფითრი, სურო და ხავსი, ანუ ცხოველებში მკბენარი მწერები, ისე ადამიანის ტომებშიაც ურევიან მისთანა გუნდები, რომელთაც თვით-არსებობა თავის თავად არ შეუძლიათ და უნდათ სხვის სხეულზე იხარონ. ამის მაგალითს გვიჩვენებს ის დიდი გუნდი მოვაჭრეთა, რომელსაც ჩვენ შეცდომით სომხებათ ვუწოდებთ. უხსოვარი დროიდან, იმ თავითვე, გადმოუდგამს თუ არა ბიჯი ივერიელ ტომს, ისინიც ადევნებიან, გამოუვლიათ მცირე აზია, გადმოულახავთ მასისი (არარატი) და იქამდე ჩამოჰყოლიან, რომ ფითრივით გარს შემოხვევოდენ და კანში ჩაჭროდნენ.

თუ გულ-და-გულ და უფრო მეტი დაკვირვებით გადავავლებთ თვალს ისტორიას, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ხალხი, სადაც-კი შეხიზნულა და თავი შეეუფარებია, ცოტა სულის მობრუნების შემდეგ, დაპატრონება მოუნდომებია, თავიც იქაურ მკვიდრათ აღუარებია და ბოგანოთ მოსულობა გადაუფუჩეჩებია. მიუხედავად ქართულ-ბერძნულ ისტორიის წყაროებისა, მათმა ისტორიამ მეფის წართმევაც-კი მოგვინდომა და დიდი დავით კურაპალატი თავის მეფეთ აღიარა, რასაკვირველია იმ

განძრახვით, რომ ქვეყანა დაერწმუნებია: თუ მეფე ჩვენი იყო, მაშასადამე, მისი სამფლობელო — ტაოსის კარი ანუ ახლანდელი ჭოროხის ხეობაც სასომხეთო ყოფილაო. მომავლის გასაკვლევათ სხვისი წარსულის მისაკუთრება და მისივე ყოფილის უარის ყოფა უპირველეს ხერხათ უჭირავთ ხელში. იმათ ისტორიას რომ დავეკითხოთ, თვით-არსებობა ქართველთა არასოდეს არ ყოფილა სახსენებელი, ენაც იმათ უწყალობებიათ ჩვენთვის, ანბანით მათს მესრობს შეუფხზავს ჩვენი და წეს-წყობილებაც მათგან მიგვიღია!... გუშინ არ იყო, რომ მათი მეცნიერი — პატკანოვი ამტკიცებდა: ქართველებს ისტორია არ ჰქონიათ, მხოლოთ მეთვრამეტე საუკუნეში, ვახტანგის დროს, შეთხზეს და ისიც სომხურ ზღაპრიდანო? იმათი შეგონებით არ იყო, რომ გრენმა საჯაროთ წარმოთქვა: „თამარ-მეფე მხოლოდ სომხებისა და ოსების ინტრიგამ დასვა ტახტზე, თვარა იმ დროს, მეთორმეტე საუკუნეში, ქართველები მცირესა და უმნიშვნელო, შეუგნებელ ბრბოს წარმოადგენდაო?! იმათი ჟურნალ-გაზეთები არ ამტკიცებენ, რომ ქართული ენა ისე ღარიბია, რომ რთული აზრის გამოთქმა შეუძლებელია და სიტყვებიც სომხურიდან მიუღიათო, მაშინ როდესაც სულ სხვას ამბობენ ევროპიელნი მეცნიერნი და მათ რიცხვში თვით მათივე სასიქადულო ავტორიტეტი ბ. გატერიასი, რომლის აზრით სომხური ენის შესწავლა ისე არ მოხერხდება, თუ არ ქართული ენის წყალობით და საშუალობითო?! ნეტავი ვინ უნდათ, რომ დააჯერონ და შეცდომაში შეიყვანონ — მსოფლიო ისტორია თუ ჩვენ? ვთქვათ, დავეთანხმეთ მათ: აღარ ვიწამეთ და აღარ ვირწმუნეთ არც უცხო ერების ისტორიული წყაროები ჩვენი ერის შესახებ, არც ჩვენი საკუთარი ქრონიკები, არც გუჯრები; ყალბათ ვიცანით ჩვენი პერგამენტები, არხეოლოგია, ნუმიზმათიკა და სხვანი, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, რაც ახალ ჩვენს თვალსა-და-ხელს-შუა ხდება და რასაც ასე ნათლად ჩვენი თვალითა ვხედავთ?! გუშინდელი ამბავი არ არის მათი შემოხიზვნა და ჩვენ მიერ მათ საპატრონოთ ხელის გაშვერა? ჩვენმა უკანასკნელმა მეფეებმა, ისინი შიგ შუაგულ საქართველოში შემოხიზნეს და როგორც ვაჭარ-ხალხს, ომში გამოუსადეგარს, ქალაქები ჩააბარეს. ქართველი ხალხი-კი ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდა. სანამ ძლიერი რუ-

სეთი არ მიეშველა და მტერი არ ჩამოაშორა! დაღალული, დაქანცული და დაწყლულებული ქართველები, შინ რომ შემობრუნდენ, რა დაუხვდათ? ის, რომ მათი ყოფა-ცხოვრება, შემოხიზნულ და მოძმეთ მიღებულ ვაჭრების ხელში იყო და ბოდიშის მაგიერათ, პირ-იქით მედიდურად ჰყვიროდნენ: „ვინ ხართ და საიდან მოდიხართო? თქვენ როდის ყოფილხართ აქო? ეს ყოველთვის ჩვენი ყოფილაო!“ დასამტკიცებლათ ქართველებისვე ტაძრებ-მონასტრებს მიუთითეს, სადაც ქართული ზედ-წარწერა ამოეფხიკათ და „დავით-ბაგრატების“ ნაცვლათ „არშაკ-მარშაკები“ ჩაეწერათ!... ჩვენ გვაკვირვებს შეცდომა და გულ-უბრყვილობა ჩვენი მეფეებისა და ქართველი ხალხის, თვარა ეს სწორეთ ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ბრძოლა არსებობისათვის მსოფლიო კანონია და ვერც სომხები აცდებოდნენ ამ კანონს, მით უფრო, რომ ძველი ანდერძი ხელში ეჭირათ და მისი გატეხა ისე არ შეეძლოთ, როგორც საკუთარი რჯულისა! აი, რა უანდერძა მათ საშვილიშვილოთ მათმა პატრიარხმა აბრაამმა „დვინის კრების“ დროს — 596 წ. „ჩვენ ვბრძანებთ, რომ სომხებმა ამის შემდეგ არ იქონიონ ქართველებთან არავითარი კავშირი არც ლოცვაში, არც სმა-ჭამაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში; არ გაბედონ მგზავრობა სალოცავათ, როგორათაც სახელ-განთქმული მცხეთის ჯვარისა, აგრეთვე მანგლისის ჯვარისა; არ მისცენ მათ ნება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში; ერიდნენ იმათთან დამოკიდებულობას ცოლ-ქმრობისას. ნება ეძლევათ მხოლოთ აღებ-მიცემობისა იმათთან, როგორც ურიებთან. ვინც ამ ბრძანებას უარ-ჰყოფს, წყეულიმცა არს იგი სულით და ხორცით და ყოვლის ცხოვრებით!“ ამის შემდეგ ჩვენ რაღათ უნდა ვეცადოთ სომხების სინდისში ჩაგდებას, რომ მსოფლიო კანონს ეწინააღმდეგონ და რჯული გატეხონ? მაგრამ სრული ნება კი გვაქვს, ვუსაყვედუროთ იმ შეუგნებელ და ცრულიბერალ ქართველ ინტელიგენტებს, რომელნიც ბანს აძლევენ სომხებს და გაიძახიან: „იბრძოლეთ თქვენც მხოლოდ იმ იარაღით, რომელსაც ისინი ხმარობენო!“ რა ეთქმის იმ მწყემსს, რომელსაც ფარეხში მგლები შეცვენია და მის ნაცვლად, რომ მან კომბალი აიღოს ხელში მოსაგერიებლათ, მხოლოდ იძახის: „უნდა მეც ისე მოვიქცე, როგორც ისინი იქცევიანო!. ე. ი. მოვიცა-

დო იმ დრომდი, სანამ ჩემ ცხვრებსაც არ ამოუვათ მგლის კბილები და საკბენათაც მგლურათ არ აეშლებათ საღერღელიო?!.“

ჩვენ კი, ჩვენი მხრით, არ შეგვიძლია, რომ თვალყური არ ვადევნოთ არა თუ დღევანდელ მათ მოქმედებას ჩვენში, თვით მათ წარსულსაც. საჭიროა, ვიცოდეთ: მართლა ესენი არიან ის ძველი ჰაიასტანის ხალხი, რომელსაც არც ჩვენ უარვყოფთ, თუ სხვები შემოპარულან მათი სახელით? გავსინჯავთ, შევამოწმებთ მათ ისტორიულ პასპორტს და მისთვის აქვე მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით, შეუცვლელათ ერთი ჩვენი ახალგაზრდა-ქართველი მეცნიერის აზრს.

„ყველა ახლანდელი მეცნიერები თანახმა არიან, რომ ბევრათ ადრე შვიდი ათასი წლებისა ქრისტეს დაბადებამდე, შუა-აზიის მთა-ვაკების არემარეში მოხდა იმნაირი ბუნებითი მოვლენა, რომელმაც უმთავრესი ნაწილი კაცობრიობისა ამ ადგილებიდან გაახიზნა. ამ ბუნებითი მოვლენას უძველესი ზეპირთქმულობა უწოდებს „წარღვნას“ და ამის მიზეზათ ახლანდელი მეცნიერები სხვა-და-სხვა შემთხვევას ხდიან. ერთ ამნაირ შემთხვევათ აღიარებენ დედა-მიწის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ თან-და-თან გაგრილებას; მეორეთ — იმას ამბობენ, რომ ისტორიის დასაბამის წინა-დროებში წვიმის ღრუბლების მიმდინარეობა თბილი ადგილებიდან მაღალ და ცივ მხარეებისაკენ თანასწორი არ იყოვო და ამით ზოგიერთი ადგილების წყლები ძალიან უნდა გადიდებულიყვნენ და წარღვნა უნდა მოეხდინათო. სხვა მეცნიერები, ვარსკვლავთ-მეტყველობით ანგარიშობენ, რომ იმ უძველეს დროში დედა-მიწას უნდა დატაკებოდა ერთი დიდი კვიმატი ანუ მთელი კვიმატთ ჯგუფი და კვიმატის ზღვაში ჩავარდნას ის ზღვა ძირამდის, 150 ეჯის სივრცეზე, უნდა გაეშროს და წყალი ხმელეთზე გადაესროლოსო“.

„რა მიზეზითაც უნდა მომხდარიყო წარღვნა, მაინც ეს ნამდვილია, რომ თეთრი მოდგმის ერები შუა-აზიიდან სხვა-და-სხვა მხარეებისკენ გაემგზავრენ და, ერთი ნაწილის გარდა, რომელიც გადავიდა ინდოეთში, ყველა მათგანმა მიმართეს დასავლეთისკენ — აზიის წინა-მხარეში და შემდეგ დასავლეთ-ჩრდილოეთისაკენ — ევროპაშიაც“.

„აზიის წინა მხარეში მეცნიერებას უპირველესათ მოჰყავს ტომ-ნათესაობა, რომელს, ძველი აღთქმის მიბაძვით, ხამიტ-ქუშიტათ უწოდებენ. ქუშიტებმა გამოიარეს კასპიის და ორმუ-ზის (სპარსეთის ყურე) ზღვებ შუა და მათმა უმთავრესმა შტომ მიაღწია წილოის მდინარის კიდეებამდე, სადაც სამუდამოთ და-ბინავდა და შეუერთდა აქაურ შავი მოდგმის ერებს, რომლებთან მას არაფერი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა, როგორც ეს დაამ-ტკიცა მეცნიერულმა შესწავლამ შემურული გვამების (მუმიები) უძველეს ეგვიპტელთა. მათგან იყო დამყარებული ღირს-სახსო-ვარი ძველი ეგვიპტის ყოფა-ცხოვრების წარმატება და მათგან დღეს დარჩენილან ფელახნი. ხამიტ-ქუშიტებსვე გამოსდია ტომ-ნათესაობამ, რომელსაც უმრავლესი ნაწილი ახლანდელ მეცნიერებთა უწოდებს ტურანულათ, მაგრამ იმ მიზეზისა გა-მო, რომ უფრო მტკიცე და მეცნიერული სახელწოდება ჯერ ვერ მოუგონიათ. ამ გვარ-ტომობის „ტურანლობა“ იმათ არ არის დასაჯერი, რომ მისგან დარჩენილი ერების ენები იმდენათ გა-ნირჩევიან ტურანლების ენებისაგან, რამდენათაც სხვა ენები-საგან ფლექსიური (მცვლელი) მოდგმისა. გარდა ამისა, უძვე-ლესი კაცობრიობის თქმულებანი, მაგალითად: მოსეს წიგნები და ზენდავესტი, მოწმობენ, რომ იმ დროთა წყვდიადში ნამდვი-ლი ტურანლები არ გამოსცილებიან ჯიონის მდინარის და კას-პიის ზღვის ნაპირებს და წინა-აზიაში შემოსულან უგვიანეს ყვე-ლა სხვა დიდ ტომ-გვარობისა, ე.ი. სიმიტებისა და არიელებისა“.

ამ განცალკევებულმა, ხამიტების შემდეგ, წინა-აზიაში უძ-ველესმა გვარ-ტომობამ შემოუარა კასპიის ზღვის სამხრეთ-კი-დეებს თავისი ნაწილით, მივიდა მცირე აზიაში და იქ დასახლდა. ახლანდელი მეცნიერება გვაუწყებს, რომ ამ ტომ-გვარობისა იყვენო, სანამდის სემიტები და არიელები არ შემოერიენ, მიდი-ელ-არარატიელები, მესხებ-მთაბარიანი, სეთები, უმრავლესი მცირე-აზიის ერები და ქალდეველნი ორიოდე ქვეყნებისა, ე.ი. შავი ზღვის (სპერიის) და შუამდინარეთისა. ამ ერებთა შორის ყველაზე უფრო თვალ საჩინო იყვენ შუამდინარეთელნი ქალდე-ველნი, რომელნიც, ევფრატის და ტიგროსის მდინარეებს ჩაჰ-ყვენ და მათ ბოლო-კიდეებზე იქაური ხამიტებითურთ უპირვე-ლესი კერა კაცობრიობის სწავლა-წარმატებისა ააგეს. რა ტომ-

ნათესაობისა იყვნენ ეს ქალდეველნი — ამაზე დიდი დავობა ქონდათ და ახლაც აქვს მეცნიერებს. პირველ-შეხედულობით, რასაც ასაბუთებდა გაკვრით მარტო შესწავლა ლურსმულ წარწერებისა, ზოგიერთნი, ფიქრობდენ, რომ ეს ქალდეველნი სემიტების თანამეტომენი იყვენო, მაგრამ ეს აზრი ბევრმა რამ მოსაზრებამ გააცრუა, და უფრო იმან, რომ გამოჩნდა უძველესი ლურსმულ-წარწერები, რომელნიც არ იყო დაწერილნი სემიტურ-ენებზე. ამნაირი წარწერები პირველათ ოპპერტმა შენიშნა და წარმოთქვა მათი ენის „ტურანლობა“. ეს მოსაზრება თითქმის ყველა მეცნიერებმა მიიღეს და განსაკუთრებით ლენორმანმა. მაგრამ ამ ბოლო დროს მისი მოწაფე ბაბელონი ამის წინააღმდეგი შეიქმნა. ბაბელონის აზრით, ტურანლების ერების ისტორიით ცნობილი თვისება იმნაირი არ იყო, რომ იმათ დაემყარებიათ რამე სწავლა წარმატება. ამ მოსაზრებიდან და იმ გარემოებიდან, რომ ქალდეველების და ეგვიპტელ ქუშიტების სწავლა-წარმატების ფესვ-დასაწყისი მსგავსი არიან, ბაბელონი ასკვნის, რომ ისინი თანამოგვარე იყვენო, რასაც ძველი აღთქმის ცნობებიც მოწმობენო. ბაბელონის ნათქვამი იმ შემთხვევაშია დასაჯერი, თუ უძველესი ლურსმული და იეროგლიფიური წარწერების ენები ემსგავსებიან ერთმანეთს. საქმე იმაშია, რომ ეს მსგავსება არა ჩანს. ხამიტური და სემიტური ენები თანამოგვარე ენები არიანო, ამ ენების ერთ უმკვიდრეს თვისებას შეადგენსო: ემფატიური (აღტაცებითი) ბგერები, მტკიცეთ განსაზღვრა მსტვენავ ბგერების და სხვაც, რაც ოპპერტმა შენიშნა და რითაც უძველესი ლურსმულ-წარწერების ენა განირჩევა სემიტურ ენებისაგან. მაშ, შუამდინარეთელ ქალდეველების ვინაობაზე მეცნიერებას ჯერ უკანასკნელი სიტყვა არ წარმოუთქვამს და უფრო მისაღებათ რჩება ის მოსაზრება, რომ ისინი იყვნენ იმ ტომ-გვარობისა, რომელმაც წინა-აზიაში ხამიტებს მოსდია და რომელიც ჯერ მეცნიერულათ დასახელებული არ არის, როგორც ზემო-თქმულია“.

„რამოდენიმე საუკუნოებით წინა-აზიაში ხამიტებისა და „განცალკევებულ“ ტომ-გვარობისა შემდეგ შემოდიან სემიტები. ისინი მიჰყვენ თავიანთი მონათესავე ხამიტების კვალს და შუამდინარეთელნი ქალდეველნი დაიმონავეს, როცა ამ უკანას-

კნელების მფლობელნი იწოდებოდენ მძლავრ ვაშკაცებათ, მეფეებათ „ურისა“ და მეფეებათ „სუმირის და აკვადის“ (არქადის[1]) ქვეყნებისა. შემდეგ აქ დაარსდენ დიდი სახელმწიფოები ბაბილონისა და ასურეთისა. სხვა სემიტების შტოები დაემკვიდრენ: არანეთის ნახევარკუნძულს (არაბები), პალესტინას (ებრაელები) და ხმელთა-შუა-ზღვის აღმოსავლეთის კიდეებს (ფინიკიელნი და სხვ). ამნაირათ „განცალკევებული“ გვარ-ტომობის ერები იყვნენ განდევნილნი ჩრდილოეთით მცირე აზიისაკენ — და მდინარეების ევფრატის და ტიგროსის სათაურებისაკენ“.

„2500-2000 წ.წ.ქ. დაბადებამდე აზიის წინამხარეში შემოდიან ორი გზით არიელები. ისინი არიან ძველი მიდიელები და სპარსელები, ერთი მხრით, და მეორეთი — ის არიელები, რომელთაც შუა აზიიდან სამხრეთი ევროპა გამოიარეს და ბალვანის ნახევარ-კუნძულიდან მცირე-აზიის დასავლეთ-ნაპირებზე გადავიდენ“.

„ამ კაცობრიობის გადასახლებ-გადმოსახლებაში შეუძლებელი იყო, რომ არ მიექცია ყურადღება, ვინც კი გაიარა, იმ მთა-ქედებისათვის, რომელნიც ტიგროსის, ევფრატის, ჰალისის და არაქსის სათაურებ შუა არიან აბურთებულნი. ესეც ადვილათ წარმოსადგენია, რომ სამხრეთ ვაკეებზე მცხოვრებთ, რომელთაც კი ახსოვდათ ზეპირ-გადმოცემით წარღვნის ამბავი, ეს მთები, როგორც უფრო ახლობელი, ცნობილი და გასაოცარი მათთვის, უნდა გაეხადათ იმ ნავთსადგურათ, რომელშიაც შეიხიზნა კაცობრიობა, მართლაც, ებრაელთა ნოე ანუ ბაბილონელთა იზდუბარი (იგივე ნოე) მიმართავს თავის კიდობნით ამ მთა ქედების ბოლოცომას, აქ იკიდებს ფეხს და აქ იწყებს ახალ ხანას კაცობრიობის ისტორიისას“.

შუამდინარეთით ჩრდილოეთისაკენ ეს უზარმაზარი მთასიმაღლეები სემიტურ ენებზე იწოდებიან: „არარატათ“, „ურარადათ“, ანუ „ურარატათ“ (არა-სიმაღლე, მთა და „არარატ“ — სიმაღლეთ-სიმაღლე, მთათა-მთა[2] უმწვერვალესი ქედი). მთიან ადგილის აღსანიშნავათ სემიტურ ენებს კიდევ სხვა სახელწო-

[1] მოსეს წიგნი. 11 თ.მუხლ.10.
[2] უსლარი. უძველ.თქმულ. კავკ. გვერ. 17-27.

დებაც აქვთ „არმენი“[1], ე.ი. მთიულეთი. როდესაც სამოცდა ათთა მთარგმნელთა გადმოიღეს ებრაელ ენიდან ძველი აღთქმის წიგნები, იმ დროს ზემოხსენებულ სახელწოდებათაგან უფრო გავრცელებული იყო უკანასკნელი და, აი, მიზეზი, რომ თარგმანში სიტყვა „არარატი“ ყოველგან შეცვლილია სიტყვით „არმენი“. არა თუ სემიტურ ენებს, მათ მონათესავე ხამიტ-ქუშიტურ ენებსაც მთიან ადგილის აღსანიშნავათ ჰქონიათ იგივე სიტყვა „არმენ“, „არამი“ ანუ „რამენ“[2].

„ზემოთქმულიდან ხომ ცხადია, რომ სახელწოდება „არმენი“ არ იყო ვინმესი ეროვნული (ნაციონალური) სახელწოდება და ეკუთვნოდა, დამოუკიდებლად მისი გვარ-ტომობისა, ყოველ ერს, რომელსაც კი უცხოვრია ამ ადგილებში.

„რა გვარ-ტომობის იყვნენ ამ არმენიის, მთიულეთის მკვიდრნი, სანამდის არიელთ ტომ-ნაწყვეტები არ ჩამოსახლდენ, ამაზე უტყუარს, მეტათ ძლიერს და მაღალ საბუთს წარმოადგენს თვისება ადგილობრივი ლურსმული წარწერების ენისა. პირველნი მკვიდრნი ამ მიწა-წყლებისა, რომელსაც „არმენია“ ეწოდება, რაულინსონის და ლენორმანის, ამისთანა თვალ-საჩინო მეცნიერების, დასკვნით, იყვენ იმავე ტომ-ნათესაობისა, რომელსაც ეკუთვნოდა ქართველთ წინაპართ თანამოგვარეობა, რომელსაც დაბადება[3] უწოდებდა. „თოგორმათ“ (ქართულათ — „თარგამ) და რომელსაც არავითარი ერთობა არ ჰქონია არიელთ ტომ-ნაწყვეტებთან“[4].

„მაშ, ამ მთიულეთში და საზოგადოთ მცირე აზიის აღმოსავლეთ მხარეში რა დროიდან იწყება არიელების ჩამოსახლება? ამაზედაც დღემდის დაცულია უტყუარი ცნობა. მე –XII საუკუნიდან მერვეს ბოლომდის პ. დ-მდე საზარელნი ასურეთის და ბაბილონის მფლობელნი განუწყვეტლათ ებრძვიან[5] მესახ-მთა-

---

[1] ლენორმანი. ისტორ. უძველ. აღმოსავ. (1 გვ. 1-81).

[2] ლენორმანი. ასირიოლოგიური წერ.!

[3] დაბადება. თავ. X. მუხლ. 3.

[4] ლენორმანი. ასირიოლოგიური წერ. 1

[5] ფიმლათ-ფალასარის (1120-1080 წ.წ.) და სალმანასარის 860-825 წ.წ. წარწერები ამბობენ: „ორჯელ ვსძლიე მესხებს და იმათ ხუთ მეფესო...“ „ჩემი მეფობის 22 წელს მე 21 ხელ გავედი ევფრატს გაღმა, შევედი მთა-ბარის ქვეყანაში და 24 მეფეს ამ ქვეყნისას ხარკი დავადეო“.

ბარლებს და ურადიელებს, ე. ი. თარგამოსლებს, ქართველ წინაპართ თანამოგვარეებს, როგორც ზემოთ თქმულია. ამ ხანგრძლივმა ომიანობამ თარგამოსელნი შესამჩნევათ დაასუსტა და უფროსი იმათი ნაწილი ამიერ-კავკასიისაკენ გასწია. მერმე მიდიელ მეფის ქიაქსარის (634-685[1]) გაძლიერება იმათ ადგილებში ასახლკარებს არიელებს. ამ დროს იმათვე მიწა-წყლებში დასავლეთიდან შემოდის ერთი ერი, რომელიც, ლენორმანის და ლანგლუას მეცნიერული დასკვნით,[2] იყო აი ახლანდელი ჩვენი სომხების წინაპართ ტომი, რომლისაც ენა, შეურყეველი საბუთების ძალით, ეკუთვნისო არიელთ მოდგმის ენებს და რომელმაც მერმე შეითვისაო არმენიელ თარგამოსიელთ სახელწოდება და დაირჩინაო დღემდის უცხოელთ მწერლობაში. არმენიაში (იგივე მთიულეთში) ახლანდელი სომხების წინაპართ შემოპარვა მიდიელთ და სპარსელების მძლავრობის დროს (634-490 წ.წ.ქ. დ-მდე) ისე ჩუმათ მოხდა, რომ ისტორიას თითქმის ვერ შეუნიშნავს და მხოლოთ დარიოს (521-490) მეფის ერთი წარწერიდან გაიგება იმათი ამ დროს ევფრატის დასავლეთ სათაურის ხეობაში დაბანაკება. საოცარი ეს არის, რომ შემდეგშიაც ამნაირი გადაცოცვ-გადმოცოცვა და შეთვისება უცხო ერთ სახელწოდებისა შეიქმნა მთელი იმათი ისტორიის მიზნათ და ეროვნულ (ნაციონალურ) ხასიათად“.

„ამნაირივე ისტორია აქვთ სიტყვებს „სომხეთს“ და „ჰაისტანს“. არ მოიპოვება ცნობა იმაზე რა სახელწოდებას ხმარობდენ არმენიის აღსანიშნავათ ქართველთ წინაპართ თანამოგვარენი, როცა ისინი იქ ცხოვრობდნენ. შესაძლებელია, რომ იმავე არმენიათ ანუ რამენათ უწოდებდენ და ეს სახელწოდება იმათ მიიღეს ხამიტებიდან, რომლებიც იმათ წინეთ შემოვიდენ წინააზიაში. ეს კი უეჭველია, რომ ამიერ-კავკასიისაგან წამოწეულ ერებისათვის „არმენია“ მთიულეთი კი აღარ იყო, არამედ იყო სამხრეთით ქვეყანა, შემოკლებით „სამხრითი“, „სომხითი“, ე. ი. სომხეთი. უკეთესი დამამტკიცებელი ამის ის გარემოებაა, რომ

[1] ქიაქსარი „ქართლ-ცხოვრების“ სპანდიატ-რვალი უნდა იყოს (?).

[2] ნახეთ-ლენორმანის „ასირიოლოგ. წერ. 1 და ლანგლუას „არმენ. ისტორიული თხზულებების კრებული“, 22. 1 ლანგლუა ხომ დიდათ პატივს სცემდა სომხების ისტორიულ თხზულებებს, მაგრამ ამ შემთხვევას უარს ვერ ჰყოფს.

ეს სახელწოდება მხოლოთ ქართულმა და იმის ახლანდელ თანამოგვარე ენებმა იციან. უძველესი თქმულება „ქართლის-ცხოვრებისა“, რომელიც შეადგენს მატიანეთა კრებულს, იწყება მეტათ თვალსაჩინო ცნობებით. — პირველათ ის ვახსენოთ, რომ[1] სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა, ამათ ყოველთა ერთი იყო მამა სახელათ თარგამ (ბიბლიის-თოგორმ) და სომეხთა მამა, თარგამის უფროსი ძე — ჰაოს (იგივე ჰაი, გაიკი) ყოველთა უმეტესი გმირი იყოვო“.

„ამ სიტყვებზე ზოგიერთები აფუძნებენ იმ მოსაზრებას, რომ „ქართლის ცხოვრება“ შედარების ახლო დროის დაწერილიაო და დაწერილია უსათუოდ უმეცარი სომხისაგანო. უმეცრობა მწერალს იმით ეტყობაო, რომ ერთმანეთთან ანათესავებს იმისთანა ერებს, რომლებსაც არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვთ, მაგალითად, — სომხებს, ქართველებს, და ლეკებს. მწერლის სომხობა იმითიც-კი გაიგებაო, რომ სომხებს ანიჭებს უპირველესობას. სამწუხაროთ ამისთანა მეცნიერებისა, ეს თქმულობა ქართული მატიანეებისა რომ არ ეთანხმება იმათ ისტორიას, არამედ გასაოცრათ ეთანხმება ახლანდელ ევროპიელთ მეცნიერების გამოკვლევას. „ვინ არ იცისო, ამბობს მეცნიერი სენ-მარტენი, რომ ზეპირ-თქმულობაში, ყოველი ერის ისტორიის დასაწყისში, სიტყვები, „მამა“, „ძე“, და ამნაირი სხვა მოასწავებენ ეროვნულ შტოებს და მიწა-ადგილების ნაწილებსო“. მაშ, „ქართლის ცხოვრება“ იმაშია შემცდარი, რომ მეგრელნი და კავკასიანნი (სვანები) ქართველების თანამოგვარე არიან? ანუ ჰერ-კახელების და ლეკების (კახეთის მთიულების) ნათესაური კავშირი ქართველებთან სიცრუეა, როცა ახლანდელი ლეკების წინაპრები იმავე მატიანეში ორი ფურცლით (გვერ. 21,22 და 23) კახეთის ლეკების შემდეგ იხსენებიან? ეგებ ის იყოს ბაქი, რომ „რანთა და მოვაკნელთა“ (ძველი ჰილიპნი ანუ ალბანელნი) და ქართველებთა მამა ერთი იყო, როცა ტაციტი მოწმობს, რომ იმის დროს ეს ერები ერთ-შთამომავლობას აღიარებდენო?“

[1] აქ მკითხველმა უნდა მიაქციოს ყურადღება მნიშვნელობას კავშირისა „და“.

„რაც შეეხება მატიანეს ცნობას ქართველების და სომხების თანანათესაობაზე და რა სომხებზეა აქ ლაპარაკი, ამას დიდი გამჭრიახობა არ უნდა და ადვილი მისახვედრია, თუ გაიხსენებთ ზემოხსენებულ ვინაობას უძველესი მცხოვრებლებისა სომხითის ანუ არმენიისას. ეგებ იკითხავთ, რანაირათ სახელწოდება „სომხობა“, რომელიც ეკუთვნოდა ქართველთ წინაპართ თანამოგვარე ერს, შემდეგ სულ სხვა ტომ-ნათესაობის ხალხს მიეთვისა და დღემდის შერჩა? აქ გასაოცარი არ არის რა, და ისტორიამ ბევრი იმისთანა შემთხვევა იცის. აი, სიტყვა „რუმი“, „ურუმი“. ყველას კარგათ მოგეხსენებათ, რომ ამ სახელით უწოდებდენ რომაელთ სამფლობელოს წინა-აზიის დასავლეთ მხარეში. რომის იმპერიის ორათ გაყოფის შემდეგ ეს სახელწოდება ვიზანტიას მიეთვისა, მერმე სელჯუკების იმავე ადგილების სასულტნოებს, ბოლოს და დღემდის – ოსმალების თურქობას“.

„აქამდიც უნდა იყოს მკითხველი მიმხვდარი, რომ „ჰაისტნობაც“ ანუ „გაიკანობა“, იგივე „ჰაოსიანობა“ არ არის ეროვნული სახელწოდება არიელ სომხებისა, ე.ი. ახლანდელ სომეხთ უძველეს მამა-პაპებისა, რადგანაც იმათ არა რიგათ არ ეკუთვნის „თოგორმიანობა“, რომელიდან შთამომავლობს „ჰაოსიანობა“. ბიბლიის მოწმობით,[1] თოგორმის ერები უკვე დაბინავებული არიან სომხეთ-არმენიაში მე-VI-დან მე-VII საუკუნემდი ქ.დ. წინეთ, ე. ი. იმ დრომდი, სანამდის, არიელ-სომხები შემოვიდოდნენ. ახლანდელ სომეხთ წინაპარნი, რომელნიც მუდმივი გადაცოცვ-გადმოცოცვის გზას ადგენ, რასაკვირველია, თავის საკუთარ ეროვნულ თქმულობას ვერ ინახავდენ და მიითვისებდენ იმ ადგილებისას, სადაც რამდენსამე ხანს შეჩერდებოდნენ. თუ ვინმე მეცნიერის სიტყვა დასაჯერია შესახებ ისტორიისა უწინდელ სომეხთ-არმენიისა, რაოდენთაც ეს ისტორია აღმოიკითხვის ალაგობრივ და ასურელ ლურსმულ წარწერათა შორის, მაშინ ყველაზე უფრო უნდა დავუჯეროთ პენნი ს, რომლის ვინაობა ყველას მოგეხსენებათ და რომელიც გარდაწყვეტილად ამბობს, რომ ახლანდელ სომეხთ წინაპარნი სომხეთ-არმენიაში დასავლით შემოვიდნენ, ნელ-ნელა იქ დასახლ-კარდენ და

[1] დაბადება, თ.X, მუხ. 3. და ხევიელი, თ. თ. XXVII, და XXXVIII, მუხ. 24 და 6.

შეითვისეს იქაურ მაცხრვრებლების სახელი, სარწმუნოება და ზეპირ გადმოცემანიო“.[1]

„ამნაირათ, ახლანდელ სომხებს სრულებით არ აბადიათ არავითარი ეროვნული სახელ-წოდება და არც ჰქონებიათ საკუთარი ეროვნული ისტორია, სანამდის იმათი ეკლესია მართლმადიდებლობის ეკლესიას არ მოშორდა. უძაელეს იმათ ისტორიაზე ლაპარაკი ხომ უქმი იქნება, და ის ისტორია, რომელსაც მოგვითხრობენ იმათი ისტორიკოსები მე-VII საუკუნიდან ქ. დ. წინეთ, მე-VI შემდეგ წარმოადგენს იმისთანა ზღაპრულ რამ ამბავს, რომ მსოფლიო ისტორია, რასაკვირველია, სრულებით არ ეთანხმება. მათი დიდებული „ჰაისტანის“ მაგიერ მსოფლიო ისტორიას ქ.დ. წინეთ მე VII და IV საუკუნეებ შუა გვიჩვენებს დამონავებულ მიდიელ-სპარსელებისაგან სომეხთ-არმენიას, სადაც ცხოვრობენ სხვა-და-სხვა ტომ-გვარობის ერები და სადაც ახლანდელ სომეხთ მამა-პაპებს უკავიათ მხოლოთ ერთადერთი ევფრატის სათაურის ხეობა“.[2]

მე-IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელი (327-323) ქ.დ. წინეთ) იპყრობს სომხეთ-არმენიას, როგორც ერთ ნაწილს სპარსეთის სახელმწიფოისას. მისი სიკვდილის შემდეგ 193 წლამდის არმენიის მიწა-წყლებს ეპატრონებიან იმისი ლაშქართ-მწეების შთამომავლობისა — ანტიოქელი ბერძნები. სტრაბონის მოწმობით, იქამდეს მცირე სომხეთ-არმენიის საზღვრები გაავრცელესო ორმა ანტიოქ დიდის ლაშქართ-მწეებმა, გვარ-ტომობით ბერძნებმა არტაქსიასმა და ზარიადრესმა, რომლებიც ჩვენს სომხების ისტორიკოსებს თავის ეროვნულ მეფეებათ მიაჩნიათ და რა მიზეზით, იმათ გარდა არავინ არ იცის! ამ დროს მარტო ჩვეულებრივი სიჩუმით და ნელ-ნელა უნდა გადმოებიჯათ ჩვენს სომხებს არაქსის მარცხენა კიდეებზე. ანტიოქელი ბერძნების შემდეგ არა თუ სომხეთ-არმენიას, — სპარსეთსაც და მთელ აღმოსავლეთს დაებატონენ სულ უცხო ტომ-ნათესაობის საზარელნი პარფიელები. ერთი შტო ამ პარფიელებისა, რომელსაც ქ. დ.წ. ასოთხმოც-და-ცამეტი წლიდან 150-მდე ქ.დ.

---

[1] ლენორმანი. ასირიოლ. წერ. 1.

[2] ნახე ჰეროდოტის (480-426) და ქსენოფონტის ცნობები განის 1 წიგნ. 15-22 და 26-33 გვერ.

შემდეგ ეპყრა აღმოსავლეთის ნაწილი სომხეთ-არმენიისა, ჩვენ-მა სომხების ისტორიკოსებმა კიდევ თავისებურათ გადააგვა-რეს. რაც შეეხება დასავლეთის ნაწილს, ის ქ.დ.წ. სამოცდა მე-ორე სხვა ადგილებს მოგლეჯილი ჰქონდა და ეკუთვნოდა რო-მაელების იმპერიას. ქ. დაბადების შემდეგ, 250 წლებიდან, სპარ-სეთი ხელ-მეორეთ ძლიერდება და ამ ძლიერების დროს და არა თუ სომხეთ-არმენიის თვით-არსებობას არა აქვს ადგილი, არა-მედ სპარსეთისაგან დაჩაგვრას უფრო მოშორებული და ძლი-ერი ერები ძლივს გადაურჩებიან, მაგრამ ჩვენი სომხების ისტო-რიკოსები მაინც არ იშლიან ღაღადებას იმათი ერის დიდებაზე. ამ საგანზე, უკეთესი მცოდნე იმათი ისტორიისა, სენ-მარტენი ამბობს. უცხო-ტომთ მეისტორიენი სრულებით არ უჩვენებენ სომხების ისტორიკოსებიდან მოხსენებულ შემთხვევათა და არც არის საფიქრებელი, რომ იმათ არა ეთქვათ რა, თუ ეს ჭეშ-მარიტება ყოფილიყო. ყოველივე სიცრუით სავსე ძლევამოსილი მოღვაწეობა გამოუგონიათ რომელთამე სომხეთის მეისტორი-კოსეთა თავის ერის ცრუ-სიყვარულის გრძნობის დასაკმაყო-ფილებლათ.[1] ხელ-მეორეთ გაძლიერებული სპარსეთის მფლო-ბელნი იყვნენ სასინიდები ხოსროელები. იგინი მეტათ გულ-მხურვალეთ აღიარებდენ ცეცხლ-მსახურებას და იარაღით ხელში ეს აღსარება გაავრცელეს მთელ სპარსეთში, სომხეთ-არმენიაში და მცირე-აზიისა და საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილებშიც. იმავე ადგილებში და იმავე დროს მეორე მხრით შემოაქვთ ქრისტიანობა. წმიდამან გრიგოლმა, სომხების ისტო-რიკოსების თქმით, რასაკვირველია, იმათმა თანამოგვარემ და ჩვენით პარფიელთაგანმა, გააქრისტიანა კარგი ნაწილი სომ-ხეთ-არმენიისა და ამიერ-კავკასიისაც. თითქმის ორი საუკუნე ეს ქრისტიანები, დამოუკიდებლათ იმათი გვარ-ტომობისა, არაფრით არ განირჩეოდენ სხვა მართლ-მადიდებლებისაგან. მაგრამ შეუძლებელი იყო, რომ იმისთანა მძლავრ ხელმწიფეებს, როგორიც სასანიდები იყვნენ, რომელთაც შეძლეს დიდი რომის იმპერატორის ვალერიის დატყვევება, მოეთმინათ და მიეშვათ იმათი საბრძანებელ ქვეყნებში სხვა აღსარება, გარდა იმათგან

[1] ბაქრაძე. ვახუშტ. ისტ. გვერ. 33, შენიშ.1.

გულ-მხურვალეთ შეყვარებული ცეცხლის-მსახურობისა. მართლაც, სასტიკი დევნის შემდეგ, 300-400 წლებს შუა, მეფემ ჰხოსრო ფარვიზმა (ფეროზმა) თავის ქვეშევრდომ ქრისტიანებს გამოუცხადა: „აგყრი თქვენი მიწა-ადგილებიდან, თუ ბერძნების სარწმუნოებას არ უარ-ყოფთო“. როცა შეშინებული სომეხთ-არმენიის ქრისტიანები დათანხმდენ, მაშინ სპარსეთის მეფემ შემოგზავნა სირიიდან მოქადაგენი იაკობითნი და იმათ გაავრცელეს თავის აღსარება. ამავე დროს (მე-V საუკ.) ემჩნევა, რომ არაქსის შუახეობაში ახლანდელი სომხების ენა უფრო გავრცელებულია, ვიდრე სხვა ალაგობრივი ენები და კიდევაც ამ დროიდან ამ სომხურ ენაზე იკიდებს ფეხს სომხური მწერლობა. აი, მხოლოთ ამის შემდეგ ახლანდელ სომხებს თავის საკუთარი ისტორია ებედებათ და ესეც-ისტორია მარტო საეკლესიო, რადგანაც იმათ სხვა ისტორიას დღემდის ადგილი აღარ ჰქონდა უცხო-ტომთაგან დამონავებისა გამო: სპარსელებისა 639 წლამდი, არაბები — 1040 წ. სელჯუკების — 1121 წ., ქართველების — 1225 წ. ჯელელედდინის — 1238 წ. და მერმე მონგოლებისა, თემურ-ლანგისა, ხელ-მესამეთ სპარსელებისა, ოსმალო-თურქებისა და ახლანდელი ძლევა-მოსილი რუსეთის იმპერიისა“.

1898

პროფესორ მარრის საპასუხოთ

თურქები რომ კონსტინტინეპოლს შემოადგნენ და ბიზანტიას ამხობდენ, იმ დროს ბერძნების სწავლულ-მეცნიერები, ორ სხვა და სხვა გუნდათ დაყოფილი, დოგმატური ბაასით იყვნენ გატაცებული და ერთმანეთს აკვირდებოდენ. აგრეთვე, რომაელებმა რომ სირაკუზი აიღეს და იმ დროის გამოჩენილ მეცნიერ მათემატიკოსს არქიმედსაც სახლში შეეჭრენ, ის, ფანატიკოს-მეცნიერი, იატაკზე იყო გაშხლართული, წინ სილა ეყარა, ზედ რაღაც სამეცნიერო ფიგურები გამოჰყავდა და მტრებს არხეინათ ეუბნებოდა: „ხაზი არ შემიშალოთო!“ არც მისი სამშობლოს აოხრება და არც თვით მისივე სიკვდილი იმ დროს ფიქრადაც არ მოსვლია! ამ გვარი ახირებულობა საზოგადოდ სჭირთ მეცნიერებს. ხშირათ რომელიმე მეცნიერი არხეოლოგ-ისტორიკოსი, სადმე მიყრუებულ ოთახში ჩამჯდარი, სადაც ძველი ტყავების გასინჯვის დროს მტვერსა ჰყლაპავს და ობობას ქსელებში ეხვევა, მთელი დღე იმას იკვლევს, თუ როდის დაიბადა ესა თუ ის ისტორიული პირიო? ან და მაშინ ღამე იყო თუ დღე? და თუ ღამე იყო, მთვარიანი თუ უმთვარო? და იმავ დროს ის კი აღარ იცის, გარეთ დღეა თუ ღამე, დარია თუ ავდარი? ამ გვარი რამ შეჰყრია ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერს, სომხური ენის პროფესორს — ბ-ნ მარრსაც და ამიტომაც გამოსულა სომხებსა და ქართველებს შუა დღევანდელ მსაჯულათ, ანუ, უფრო ნამდვილი რომ ვთქვათ, მოსარჩლეთ. დიდათ გულ დაწყვეტილი და უფრო მეტათ მრისხანე, მთელი მისი, როგორც სამეცნიერო, ისე საადვოკატო ბარგით მოგვადგა კარზე მოულოდნელათ და მასთანაც კიდევ უცხო გზით! რასაკვირველია, მის სამეცნიერო ბარგხანას უყურადღებოთ არ დავაგდებთ შემდეგში და ახლა კი ხელთ მარტო საადვოკატოს მივმართავთ. მიზეზი მისი აღშფოთებისა და ამხედრების ჩვენს „კრებულში“ სომხების საპასუხოთ დაბეჭდილი სტატია გამოდგა. უკვირს და გვისაყვედურებს მის ავტორობას! ცდილობს იქ აღნიშნული საბუთების დარღვევას და ჭეშმარიტების აღდგენას. კეთილი და პატიოსანი. ამას რაღა ეჯობინება, მაგრამ ვაი, რომ მის საბუთს, გარდა სურვილისა, სარჩულათ არა უდევს რა! მხოლოთ

ცარიელი საპირეა, ნაძალადევათ გადაჭიმული და ვერ რას გვიმტკიცებს, რომ დაგვითანხმოს! ჩვენი სტატიის დედა აზრი იყო — დაგვემტკიცებია, რომ სომხები იქ ეძებენ, სადაც არა დაჰკარგვიათ, რა; ის უნდათ დაისაკუთრონ, რაც მათ არასოდეს არა ჰქონიათ! ეს არც ახალი მოვლენაა მათი მხრით. ძველათაც, იმ თავითვე ასე ჩადიოდენ: აუკუღმართებდენ თვით ისტორიასაც კი, ასე რომ მათი ისტორიული წყაროები ქართველებისა და საქართველოს შესახებ სარწმუნო არ არიან. ამ აზრის დამასტკიცებლათ სამაგალითოდ, სხვათა შორის, ის ფაქტიც მოვიტანეთ, რომ მათმა ისტორიამ ქართველთა მეფე – ტაოსელი დავით კურატ-პალატი, ზემო ქართლის მპყრობელი, მიისაკუთრა და, როგორც თვით ის, ისე მისი სამფლობელოც სასომხეთოთ აღიარა. დღესაც კიდევ მთლად საქართველო სასომხეთოთ აქვთ ნაჩვენები და ცდილობენ ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, ქართველობის ნიშან-წყალი მოსპონ, ქართული კვალიც კი მოშალონ და ზედ თავისი დასდვან წინააღმდეგ ყოველ-გვარი სიმართლისა!.. და ამიტომაც ჩვენი მხრით მათდამი ძმობა-სიყვარულს ყურადღებასაც არ აქცევენ და მათი მტრობა და გაუტანლობა ჩვენდამი ძველი დროიდანვე მომდინარეობს. ამას ვამტკიცებდით ჩვენ. ეს სწყენია ბ-ნ მარრის და ცდილობს ეს აზრი დაარღვიოს და რწმენა გაგვიქარწყლოს. ვნახოთ! რაც შეეხება მის პირად გრძნობას და უსაბუთო მსჯელობას ან სომხებისა და ან ქართველების შესახებ იმას ჩვენ დიდ ყურადღებას არ მივაქცევთ. ნათქვამია: „კაცია და გუნებაო“, მაგრამ იმ საბუთებს-კი რომლებსაც ის ეპოტინება, ავწონ-გავზომავთ და შევუმოწმებთ.

1) „უძველეს დროიდანვე სომხებს დიდი გავლენა ჰქონდათ ქართველებზე და საღმრთო წერილიც ქართველებმა სომხებისაგან მიიღესო, დაბადებაც მათგან უთარგმნიათ და მწერლობაც მათი მოწყალებაოო“ და სხვანი — ბრძანებს ბ-ნი მარრი, ნათქვამია: „ურია ღმერთს ნუ ფიცულობ და არა ღმერთმანიო“ — ამისი არა იყოს, ჩვენ უარსა ვჰყოფთ სომხურ წყაროებს და ის კიდევ იქითკენ გვითითებს! მაგრამ ჩვენი მწერლობის შესახებ უცხოელების მოწმობა რა საჭიროა? ჩვენ თვითონ უკეთ არ უნდა ვიცოდეთ?

ჩვენა გვაქვს: ერთი ათონის დაბადება, მთაწმინდელების ნათარგმნი, და მეორეც ვახტანგისაგან სლოვიანურთან შესწორებული. ამათ გარდა გვქონია კიდევ ნაწყვეტ-ნაწყვეტები დაბადებისა, სარიულიდან ნათარგმნი, მაგრამ განა სარიელები სომხები იყვნენ? თუ უფალი ც ერთად დღევანდელ სომხის პატრიოტებთან ამ აზრზე დგას, რომ, რადგანაც, აისორები ანუ კრუები დღეს გრიგორიანელები არიან, გვარ-ტომობითაც სომხებათ უნდა ჩაითვალონო და თუ არა დღეს, ძველითაც-კი ე.ი. მაშინაც-კი, როდესაც სულ სხვა სჯული სჭერიათო — კარგი ვაჭრობაა!.. ვინ არ იცის, რომ ჩვენი სასულიერო ლიტერატურა მდიდარია და ორიგინალს გარდა, რაცა გვაქვს ნათარგმნი, ის სულ ბერძნულიდან გვაქვს და რამოდენიმეც სლოვიანურიდან ანტონ კათალიკოსის მეოხებით. სომხურიდან-კი არა მოგვეძევება რა, გარდა ერთი „მხიტარის რიტორებისა“, რომლის არსებობა არც-კი იციან ჩვენში. აბა ერთი გვიჩვენოს ბ-ნმა მარრმა, რა წიგნები გვითარგმნია სომხურიდან? სანამ ამას არ აასრულებს, ჩვენც სრული უფლება გვექნება ვთქვათ, რომ ბ-ნ მარრს სომხურ ენასა და ისტორიასთან ერთად მათი ხასიათიც შეუთვისებია, ე.ი. სხვისას შეუპოვრათ, უსაბუთოდ ისაკუთრებს და ჩვენიაო — ბრძანებს.

2) სომხებისაგან ჩვენი სიძულვილის საბუთად მოვიტანეთ ჩვენ ჩვენს სტატიაში „დვინის კრების განჩინება 596 წ., რომლითაც სომხებს ეკრძალებოდათ ყოველ გვარი დამოკიდებულობა ქართველებთან, გარდა მტრულისა, და თანვე ურჩევდა: ისე მოპყრობოდნენ ქართველებს სომხები, როგორც ურიებს. აი თვით ისტორიაში მოხსენებული მეცხრე საუკუნის გასულს: „ქართველებზე ჩვენ ვბძანეთ — ამბობს სომხის კათალიკოსი აბრაამი, — რომ სომხებმა ამას შემდეგ არ იქონიონ იმათთან არავითარი კავშირი არც ლოცვაში, არც სმა-ჭამაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში; არ გაბედონ მგზავრობა სალოცავად, როგორათაც სახელგანთქმული მცხეთის ჯვარისა, აგრეთვე მანგლისის ჯვარისა: არ მისცენ მათ ნება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში; ერიდნენ იმათთან დამოკიდებულობას ცოლ-ქმრობისას. ნება ეძლევათ მხოლოდ აღებ-მიცემობისა იმათთან, როგორც ურიებთან. ვინც ამ ბრძანებას უარჰყოფს,

წყეულიმცა არს იგი სულით და ხორცით და ყოვლის ცხოვრებით“. აი, ამ ცხადი საბუთის დასარღვევათ ამბობს ბატონი მარრი, რომ ეს განჩინება-კი არ იყო კრებისაო, აბრამ პატრიარქის საერო ეპისტოლე იყოო. მერე და ეს კიდევ უარესი არ არის? განჩინება შეიძლებოდა სისრულეში არ მოეყვანათ როგორმე და პატრიარქის ეპისტოლე მთელი ერისადმი კი სავალდებულო გამხდარა. ეს კარგათ ესმის ბ-ნ მარრსაც და, მეტს რომ ვეღარას ახერხებს, მერე ის ახირებული დასკვნა გამოჰყავს, რომ „მაშინდელი სომხობა როდი მიაქცევდა ყურადღებას მაგას და ეგ ფაქტი უმნიშვნელოთ დარჩებოდაო“. რათაო ნეტავ? თუ იმ პირველ საუკუნოებში, როდესაც სარწმუნოებრივი ფანატიკოსობა უმაღლეს წერტილამდე იყო მოქცეული, არ მიაქცევდნენ ყურადღებას კრების განაჩენს და არც თავის პატრიარქს დაუჯერებდენ, მაშ როდისღა? ეს განა წარმოსადგენია და დასაჯერებელი? ამას საბუთი ეჭირვება და, სხვა რომ ვეღარა უშოვნია რა, ბ-ნ თ. ჟორდანიას ეჭიდება: „ალბათ ბაქრაძის წიგნიდან იცის აკაკიმ ეს ამბავი და ჟორდანიას ქრონიკები არ წაუკითხავს, სადაც ის ამოწმებს, რომ ამ განჩინებას და ეპისტოლეს მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდესო„. თუმცა ამ შემთხვევაში, როგორც თვით მარრის, ისე თ. ჟორდანიას „მგონიაობა“ საბუთი არ არის, მაგრამ მაინც ვნახოთ რას წერს, მოწმედ მოყვანილი ბ-ნი ჟორდანია. „მართალია, დვინის კრებაზე 596 წ. დადგენილი იყო: ყოველი კავშირი მოისპოს ქართველებთან, გარდა აღებ-მიცემობის კავშირისა, მაგრამ ამ განჩინებისათვის ყურადღება ალბათ არავის მიუქცევია, რომ ამაზედ არსენი არას ამბობსო“. აი, რას ჰფიქრობს დღეს ბ.ჟორდანია, მაგრამ ამ გვარი უსაფუძვლო მოსაზრება, თვით მარრის მოსაზრებისა არ იყოს, საკმაო საბუთია? მართალია, არსენი არც, „ჰოს“ ამბობს ამის შესახებ და არც „არას“, მაგრამ განა უთუოდ უნდა ეთქვა? რამდენიც ვიცით, არც ბ-ნ მარრს და არც ბ-ნ ჟორდანიას არ უთქვამთ რა ზეციერი მთიების შესახებ. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ერთმა ვინმე ახირებულმა მეცნიერმა რომ დაიჯინოს: მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს არც მზე ყოფილა, არც მთვარე და არც ვარსკვლავებიო და საბუთად ის მოიტანოს, რომ მარრისა და ჟორდანიას არ უთქვამთ რაო — ეს მისი მოსაზრება

შესაწყნარებელი იქნება?! ასეა სწორეთ ამ ზემოხსენებული არსენის საქმეც. „ეს განჩინება დღეს ისე მივიწყებული და მიმალულია, რომ თუ არა ბიბლიოგრაფებმა, სხვამ აღარავინ იცისო“ — დაამატებს ბ-ნი მარრი თავის მხრით. შეიძლება, რომ იქ, სადაც ქართველები არ არიან, სადმე სასომხეთოში ეს განჩინება, როგორც გამოუსადეგარი რამ, აღარავის ახსოვდეს და ან კი რათ უნდა ახსოვდეს? მაგრამ ერთი აქაც მოიკითხოს, საქართველოში, ბ-ნმა მარრმა: იცის თუ არა ეს საბუთი აქაურმა სომხის სამღვდელოებამ და მრევლის დამწყვსის დროს ხელმძღვანელობს მითი თუ არა? დიდი პატივის მცემელი ვართ ბ-ნი მარრის, მაგრამ დაჯერებით-კი უფრო ჩვენს თვალსა და ყურს ვუჯერით, ვიდრე მარრის და ჟორდანიას „მგონიაობას“, მით უმეტეს, რომ ჩვენ დღევანდელ დღესთან გვაქვს საქმე და არა გარდასულ საუკუნოებთან, რომელთაც სხვათა შორის ვიხსენიებთ. ბ-ნ მარრი თვითონაც ჰგრძნობს მის მიერ მოყვანილ ფაქტების სისუსტეს და, რომ ვეღარ არღვევს ჩვენგან მოყვანილ ფაქტს, მერე კიდევ სხვა გზას ადგება. „მართალია, რომ განჩინება დვინის კრებისაა და აბრაამ პატრიარქის ეპისტოლეც იყოო, მაგრამ მაგგვარი რამ განა ქართველს-კი არ ჩაუდენიაო?“ და უთითებს ერთ მისთანა რამეზე, რომლის გამოთქმაც ვითომ კიდეც ეძნელება და ერცხვინება! რომ მკითხველს მართლა უცნაური არა ეგონოს-რა, იმას, რასაც მეცნიერის უმანკოება ვერ იმეორებს, ჩვენი პოეტური თავხედობა გამოააშკარავებს. აი, რა იყო, ის საიდუმლო: ერთი ზღაპრული ლეგენდაა, რომელიც გაკვრით ისტორიასაც მოუხსენებია, მაგრამ სახალხოთ-კი ბევრს არც კი გაუგონია, რომ ერთხელ ქართველებისა და სომხების სამღვდელოებას ბაასი ჰქონდათ: ვისი სარწმუნოება უკეთესიაო — სომხების თუ ქართველებისაო? რომ ვეღარ მორიგდენ, მიიყვანეს მშიერი ძაღლი და მის წინ დადვეს ორი სებისკვერი: ერთი ქართველების და მეორე სომხების. ძაღლმა ვერ მიბედა ქართველებისას და სომხების კი ჩასანსლაო. აი ეს გახლავთ ის უცნაური ამბავი, რომელსაც ბ-ნი მარრი იგონებს. მაგრამ აქ რა არის საერთო ამ ზღაპრულ ოხუნჯობისა და ისტორიული ფაქტების შორის? სად ლეგენდა, რომელიც ბევრს არც კი გაუგონია და სად მთელი კრების განჩინება და პატრი-

არქის ეპისტოლე? აბა გვიჩვენოს ერთი რამ მისთანა ბ-ნმა მარრმა, რომ ან ქართველ ერს, ან მის სასულიერო წოდებას სადმე დაედგინოს სამტრო რამ? პირიქით უტყუარი და სარწმუ-ნო ფაქტები ამტკიცებენ, რომ ქართველებს მათი სარწმუნო-ებისა და ეროვნების დასაცველათ ბევრჯელ გარეთ სისხლი დაუთხევიათ და შიგნით-კი მზა-მზარეულათ თავისი საკუთარი ტაძრები და სამლოცველოები დაუთმია სომხებისათვის. ნუ თუ ესეები-კი ავიწყდება ბ-ნ მარრს?

3) „ცამეტი წელიწადია, რაც მე სომხურს ვკითხულობ, ათიც შესრულდა, რაც მეცნიერულად ვიკვლევ და ჯერ არსად შევ-ხვედრივარ, რომ სომხების მწერლებს უარ ეყოს და სიმართლით არ მოეხსენიებიოს ქართველებიო“ — ამბობს ბ-ნი მარრი. მარ-თლა, ხან-და-ხან ზოგიერთი სომხის მწერლებიც იძულებული არიან ხოლმე, რომ ქართველები სიმართლით მოიხსენიონ, მაგ-რამ მათი უმეტესობა-კი განძრახ ამახინჯებს ყოველიფერს ქართველების შესახებ და, თუ კი მოახერხა, უარსაცა ჰყოფს. საკვირველია, ამდენი ხნის განმავლობაში, რათ სულ იმ მცირე მოკეთეებსა ხვდება ბ-ნი მარრი და იმ მეორე უმეტესობის გუნ-დისას-კი ვერავის?! მართალია, დიდი სურვილი აქვს ხელი და-აფაროს, მაგრამ თვითონაც გრძნობს ამის მოუხერხებლობას და, ზემო მოყვანილ ფაქტებისა არ იყოს, ჯერ სულ უარზე დგე-ბა, „არაო“ — იძახის, მერე რბილათ „ჰოზედაც“ გადადის და ამ-ბობს: „მართალია ხან-და-ხან სომხის მწერლები ასე არა სწერენ, როგორც ქართველებიო: საღებავს ასქელებენ და ფერს უცვლი-ანო (ე.ი. შავათ), მაგრამ იმათ მეტი არ მოეთხოვებათ და ეს კრიტიკამ უნდა გაარჩიოსო“. ჰო, და, ჩვენც ამას მოგახსენებთ, რომ ხშირათ საღებავს ასქელებენ, ფერსაც უცვლიან და სხვანი. მაშ ვიღას ესარჩლება და რაღაზე ბ-ნი მარრი?!

ენის შესახებაც, რომ ვითომც ენა იმათ მოეცეს ჩვენთვის, არსად არა თქმულა რაო, — ამტკიცებს მარრი, მხოლოდ ერთი სომხური წყარო (რაც ქართულიდან ნათარგმნია)) კი ამბობს, რომ ადრე ქართველების ენაც სომხური იყოო. კიდეც ეგ გახ-ლავთ დამახინჯება. ქართულ დედანში სწერია: „ყოველთვის ქართულად ლაპარაკობდენო“ და სომხებს კი გადაუკეთებია: „სომხურადო“ და მარრსაც სჯერა!

4) ყველაზე უფრო ის აწუხებს ბ-ნ მარრს, რომ ჩვენს წერილებში მოწიწებით ვერ მოვიხსენიეთ მისი სასიქადულო მოძღვარი პროფესორი პატკანოვი და ვითომ ცილიც შევწამეთ. ბ-ნ პატკანოვმა ერთ თავისს თხზულებაში გადაჭრით ბრძანა, რომ ქართველებს ისტორია არ ჰქონიათ და მე-XVIII საუკუნეში, მეფე ვახტანგმა შეთხზა და ესეც სომხური ზღაპრიდან, რომელიც ერთმა უმეცარმა ბერმა დასწერა მეთერთმეტე საუკუნეშიო. ამაზე განსვენებულმა დ. ბაქრაძემ ღირსეული პასუხი მისცა და მიუთითა უეჭველ საფუძველზე თავის წიგნაკით: „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები“. ამ ნათელმა საქმემ დაგვანახა ჩვენ, რომ პატკანოვს ან უმეცრებით მოსვლია ეს ცხადი და სათვალთვალო შეცდომა ან და განგებ ჩაუდენია. ორ ცეცხლ შუა გამომწყვდეულმა პროფესორმა პატკანოვმა ჩაყლაპა დ.ბაქრაძის შენიშვნები და გაჩუმდა. მაგრამ მარრი კი არ დუმდება და მაინც კიდევ გაიძახის: არაო! არც ერთი და არც მეორეო! ის სხვებსავით პატრიოტულ მეთოდით არ სწერდაო, რადგანაც ის მხოლოდ სარწმუნოებით იყო სომეხი, თორემ რუსის მეცნიერი იყოო და მისმა გამოკვლევამ მაინც ნათელი მოჰფინა ისტორიასო და სხვანი. ერთი ის, რომ სიცრუე ვერაფერს მოჰფენს ნათელს და მეორე კიდევ ისიც, რომ გაგვიგია, რისთვის ბრძანებს ბ-ნი მარრი პატკანოვზე, რომ რუსის მეცნიერი იყოო? აგრეც რომ იყოს, განა რუსის მეცნიერები კი არ სცდებიან და მიუდგომელი არიან? პატკანოვმა სომხების სასიქადულო ისტორიკოსი — მოსე ხორენელიც არ დაზოგა და ეჭვის თვალით შეხედაო — ამბობს მარრი. მართალია, მაგრამ ეს მაშინ ინება მხოლოთ, როდესაც სხვებმა, გარეშეებმა, მიუთითეს და სულ გადათქმა იმასაც აღარ შეეძლო. კაცი რომ მის დამნაშაობაზე იძულებით გამოტყდეს და სხვისას კი უსამართლოთ აზვიადებდეს და ცილს სწამებდეს, განა ამას მიუდგომლობა ეთქმის? ბევრს ამისთანებს ბრძანებს ბ-ნი მარრი, როგორც მოსარჩელე მისი მოძღვრის ბ-ნი პატკანოვის და, სხვა საბუთი რომ აღარა აქვს რა — ამბობს: „1858 წ. თვით ბაქრაძემაც აკი ეჭვი შემოიტანა ქართლის ცხოვრების სიძველის სინამდვილეზეო?“ ბაქრაძეს ეჭვი არასოდეს არ შემოუტანია. ის მხოლოდ ჩიოდა, რომ ისტორიული წყაროები დაკარგუ-

ლა და საკმაო საბუთი ჩვენი ქართლის ცხოვრების სიძველისა ხელთ არა გვაქვსო. აი, რას ამბობდა, მაგრამ ეს მაშინ იყო, როდესაც განსვენებული დ. ბაქრაძე ახალგაზრდა იყო და პირველათ გამოდიოდა სარბიელზე. შემდეგში-კი, როდესაც ნახა საბუთები და მათ შორის მარიამ დედოფლის ვარიანტიცა, სულ წინააღმდეგს ამტკიცებდა. რასაკვირველია, რომ ბ-ნ მარრს ის 1858 წელს დაწერილი სტატია ახსოვს და სხვები, ახლები კი, არა სცოდნია!..

დასასრულ, როდესაც საკუთარი გრძნობა-მოფიქრებით გულს იჯერებს ბ-ნი პატკანოვის ქება-დიდებით და მასთან ერთად საზოგადოთ სომეხთა მეცნიერთ კეთილად მოხსენებით, ბ-ნი მარრი ამას კი ამბობს: „რაც რამ პატკანოვის შრომისა და ღვაწლის მნიშვნელობაზე ვთქვით, აქედან მკითხველი მაინც და მაინც იმას-კი ნუ იგულისხმებს, რომ ვითომც ის, პატკანოვი, უცოდველი და შეუცდომელი ყოფილიყოს წვრილმანებშიო, რადგანაც ქართულში სპეციალისტი არ იყო, რასაკვირველია, შეცდომებს თავიდან ვერ აიცდენდაო“ და სხვა. მაშ, ჩვენც ამის მეტი რაღა დავაშავეთ, რომ გვირისხდება!? ახირებულია თქვენმა მზემ!.. ჯერ ცივ უარზე დგას და მერე კი „მართალიაო“ თვითონაც იმას გვიჩურჩულებს!..

5) „გრენს სომხები რათ შეაცდენდნენო და რათ დააწერიებდენ ქართველების გასაკითხ რასმეო?“ — ბრძანებს მარრი. სწორეთ იმავე მიზეზით და განძრახვით, რითაც კუტულსა და ხვოლსონს დააწერიეს, რომ თბილისი ყოველთვის სასომხეთში ყოფილა და ქართველობა აქ არასოდეს ყოფილაო. სადაც ათასი სხვა არის, იქ რატომ ეს ერთიც არ იქნება შესაძლებელი?

6) „სომხურ ჟურნალ-გაზეთებს არასოდეს არ უთქვამთ, რომ ქართველებს ენა არა აქვთ თავისი საკუთარი, რომ რთული აზრი გამოთქვანო“ — ამტკიცებს ბ-ნი მარრი. „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს“ — ეს არის სწორეთ! იმ უტყუარ დღევანდელ საბუთებს, რომლებიც ჩვენ ხელში გვიჭირავს, განძრახ მხარს უქცევს და იძახის: „ეგ არასოდეს არ ყოფილაო!“ და ბოლოს-კი ჩვეულებრივათ თანხმდება და ამბობს: „იმას მხოლოდ უმეცრები სწერენ და მეცნიერები-კი არასოდესო“. კი მაგრამ ჩვენ ამ უმეცრების მეტს ვერსად ვხედავთ სხვას და თუ ბ-მა

მარრმა იცის, აბა გვიჩვენოს: ვინ არის და ვინ იყო ის მეცნიერი სომეხი, რომელიც ჩვენ სასარგებლოთ ამბობდა და ამბობს რასმე? დღესაც ეს უმეცრები სწერენ და რატომ ის მეცნიერები არ უმტყუნებენ მათ და წინააღმდეგს არა სწერენ?! რათ არ ურღვევენ იმ უმეცრებს, რომელთაც საზოგადოთ სომხობა საბუთად ხელზე აქვთ დახვეული? და ან თვითონ ბ-ნმა მარრმა რატომ არ ამოიღო ხმა მათ საწინააღმდეგოთ, მაშინ, როდესაც ჩვენ-კი უბრალო თავის გამართლების ნებასაც არ გვაძლევს?! აქ რაღაც სხვა ამბავია!..

7) „ქართველებზე რომ გავლენა ჰქონდა სომხურს და სიტყვებიც სომხურიდან მიიღეს, ამას ქართველებიც აღიარებენო, მაგალითად, საბა-სულხან-ორბელიანი და დ. ჩუბინოვიო“ — ამბობს ბ-ნი მარრი, მაგრამ ცდება. საბა ამბობს, რომ, რადგანაც ჩვენი ძველი ლექსიკონი დაკარგული იყო და ქართული ენა გარყვნა სხვა-და-სხვა ხალხის ენებიდან შემოპარულმა სიტყვებმა, ამისათვის მე შევუდექი ქართული ლექსიკონის შედგენასო. აქ, ვგონებ, სომხების სასარგებლოთ არაა რა ნათქვამი. რაც შეეხება ჩუბინაშვილს, განსვენებულს ყოველი სიტყვა, რომელიც-კი ან „ლ“-ზე დაბოლოვდებოდა ან „კ“-ზე ქართულში, — სომხური ეგონა. მაგალითად „მგა“ ანუ „მკა“ ქართულია და ნიშნავს შემოსული პურის მოჭრას. „მამგალი“ ანუ „ნამგალი“ იმ იარაღს ნიშნავს, რითაც მკიან. ეს სიტყვა სომხებს ჩვენგან მიუთვისებიათ და „მანგალს“ ეძახიან. „ბოლოკი“ ქართულია, რადგანაც დიდი კუდი და ბოლო აქვს ამ მცენარეს. სომხებს მიუღიათ და „ბღოკს“ ეძახიან. „ბინა“ ნიშნავს სამუდამო ადგილს და „ბანაკს“ ეძახიან. ამ გვარი რამ ბევრია სომხურში და ქართული ვის რათ ჰგონია?! თუ მართლა იმ აზრის არის ბ-ნი მარრი, რომ ქართული სომხურ სიტყვებიდან არის შემდგარი, მაშინ აიღოს ლექსიკონი, მაგრამ ბუნოვის-კი არა, — ივანე ჭირჭიმელის, პეტრიწად წოდებულის, რომელიც X საუკუნეში ცხოვრობდა, ამოწეროს სიტყვები და მაშინ დაინახავს, რა მიგვიღია ჩვენ სომხებისაგან, ან იმათ ჩვენგან და მაშინ გაიგებს, ვის როგორი გავლენა ჰქონია და რა მხრით? მეზობელი ხალხი მეზობლისაგან იმას მიიღებს, რაც იმას აკლია თვითონ და ჩვენც, ისე, როგორც სხვებისგან, სომხებისგანაც გვაქვს მიღე-

ბული სიტყვები: „ძუნწი“, „მაჭანკალი“, „ავაზაკი“, „სასტიკი“ და სხვა, მაგრამ ამითი უპირატესობა არ მტკიცდება.

8) ჩვენ გვქონდა „კრებულის“ სტატიაში ნათქვამი, რომ „ქართული ენის სომხურზე ზედ-გავლენას უცხო ქვეყნის მეცნიერები პირ-იქით ამტკიცებენ და ამას ამოწმებს მეცნიერი ორიენტალისტი გატტერიასიც“. ამას ძალიან თამამათ უკიჟინებს ბ-ნი მარრი და ფიცავს: ეგ არ შეიძლებოდაო და არც გატტერიასს უთქვამს არაფერიო. მაგრამ აი, რას ამბობს გატტერიასი: „ქართულის შესწავლით მე ვცან დიდი მნიშვნელობა ამ ენისა სომხური ენის გამოსაკვლევადო და ვიდრე სომხურ ენის გრამატიკას გამოვცემდი, შევუდექი, თვით ედ. დიულორიეს რჩევით, ქართულის შესწავლას იმ განძრახვით, რომ გამომეკვლია: რა ეკუთვნის სომხურში ქართულ ენას? უამისოთ სომხური გრამატიკა მოკლებული იქნებოდა მეცნიერულ საძირკველსა და მეთოდს“.

ამის შემდეგ დიდი გამბედაობაა ბ-ნი მარრის მხრით უარზე დგომა და ჩვენი სიმართლის გატრიზავება, მით უფრო, რომ ჩვეულებრივათ, ისე, როგორც ზემოთაც ვნახეთ ამის ნიმუშები სხვა საკითხების შესახებ, თვითონვე თანხმდება და ამბობს: „ქართულის შესწავლამ ბევრი ვერა შემატა რა გატერიასს და არ ვიცით, რათ ჰგონია, რომ ქართული საჭირო იყოს სომხურის შესასწავლადო. ეს საიდუმლო იმან საფლავში თან ჩაიტანაო“. და სხვ. შემდეგ კი აქვე ამბობს: „მე თვითონ უგატტერასიოთ, ჩემდა თავათ, მიველ იმ გამოკვლევამდე, რომ ქართული ენის გავლენა სომხურზე ეჭვს გარეშეაო“ და სხვა. დიდება შენს სახელს, ღმერთო! აბა, ან ჩვენ რაღას გვერჩოდა და ან გატტერიასს?!

9) „ყოვლად შეუძლებელია, რომ ძველ-ნანგრევებზე სომხები ქართულ ზედწარწერას ფხეკდენ და სამაგიეროთ სომხურს აწერდენო. იმათ ეს ჩვეულება არა აქვთო: მე თვითონ ჩემის თვალით ვნახე, რომ ალექსანდროპოლის მაზრის ერთ სომეხს ეპოვნა ქვის ჯვარი ქართული წარწერით და შეენახაო“. საკვირველი გაკერპება სწორეთ ამასა ჰქვიან!.. ჩვენ აქ ჩვენი თვალით ვხედავთ და ის კი იქიდან გვარწმუნებს და რაღაც უაზრო საბუთზე გვითითებს, თითქოს არ ესმოდეს ჩვენი ნაწერის აზრი

და მნიშვნელობა!.. იქ, ალექსანდროპოლში, სულ სხვა არის და აქ, ჩვენში, კიდევ სულ სხვა, იქ, ვინც ის ჯვარი იპოვნა, რათ უნდა გადაეფხიკა ზედ ნაწერი ქართული, მაშინ, როდესაც კარგათ იცოდა, რომ ის ნივთი ღირებული რამე იყო და შეეძლო გაეყიდა? აქ კი, როდესაც ტაძრებზე და ციხეებზე ქართულ ნაწერებსა შლიან და ბაგრატის, დავითის, თამარის და გიორგის ნაცვლად არშაკ-მარშაკებს აწერენ, ამით ისა ჰსურთ დაამტკიცონ, რომ აქ ადრეც სასომხეთო ყოფილა და იმათი გავლენა არ მოშლილაო. ნუ თუ ეს არ ესმის ბ-ნ პროფესორს და ჰგონია, ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებდეთ, რომ სომხებს ისე სძულდეთ ქართული ნაწერები, რომ სადაც უნდა ნახონ, უმიზეზოთ მოშლიან?! არა, ეს კარგად ესმის ბ-ნ მარრსაც და მიტომაც ბოდიშსა ჰხდის სომხობას: „ამას უმეცარი ნასწავლები შვრებიან და ხალხის რა ბრალიაო?!“ საუცხოვოა თქვენმა მზემ!.. როცა უმეცრები ჩვენ წინააღმდეგ ცუდს ჩადიან, მაშინ იძახის ბ-ნი მარრი: „ეგ რა მეცნიერების ბრალიაო?“ როცა მეცნიერები — „უმეცრებმა რა ქნანო?“ როცა ხალხი — „ინტელიგენციას ბრალი არა აქვსო“ და როცა ინტელიგენცია — „ხალხს რა მოეთხოვებაო?“ ამგვარი რამეებით არის გაჭედილი მისი სტატია და, სწორე მოგახსენოთ, თუ არა პირადი ჩვენი პატივის ცემა ბ-ნ მარრისადმი, პასუხის ღირსად არასოდეს არ გავხდიდით ამ აბლაკატურ მრავალ-მეტყველებას. ამიერიდან-კი ამ გვარ რამეებზე ჩვენგან პასუხს ნუ ელის და, თუ სამეცნიერო რამ გამოკვლევით, ისე, როგორც შეშვენის და ეკადრება მეცნიერს, რომელიმე სიმართლისა და ჭეშმარიტების დასამტკიცებლათ ინებებს მობრძანებას ჩვენს დაჩაგრულ უბანში, მაშინ კი დიდი სიყვარულითა და პატივის-ცემით მივეგებებით, რომ უპასუხოთ არ დავაგდოთ და მანამდის კი მშვიდობით!

1898

სიმართლე

დღევანდელი ქართველი ისე მოჰგავს თავის წინაპარს, როგორც აჩრდილი მის გამომსახავ ცხოველ საგანს:

თუ ერთი ვინმე იხსენიებოდა ძველად, ქართველიც ხსენებულა, რადგანაც ეს სიტყვები: „ჭირსა შინა გამაგრება, ისე უნდა ვით ქვიტკირსაო“ და „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“, მცნებად ჰქონდა გადაქცეული. იყო გულ-გაუტეხი მებრძოლი, გამბედავი, შემმართი, საოცარი მამაცი და გვარიშვილობის მეძიებელი, მაგრამ სხვაგვარად კი ესმოდა მაშინ „გვარიშვილობა“: „თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო!“ — ამბობდა. დიახ. ცალ-ცალკე, მაგრამ შეერთებულად ამას გაიძახოდა როგორც აღმოსავლეთი (ქართლი), ისე დასავლეთი (იმერეთი) საქართველოც და ორივე ერთად, მიდიოდა სწორი გზით ხელიხელ ჩაკიდებული. ავიღოთ სამაგალითოდ უახლოესი დრო. მოადგა უეცრად დასაპყრობად და ასაოხრებლად იმერეთს სერასქირი. გვალი-ფაშა ხრესილზე შეჩერდა და იქიდან უთვლის მეფეს: „მეტი გზა აღარა გაქვს, უნდა დამნებდეო!“ შეჯდა ცხენზე და ელვასავით მიაშურა მეფე სოლომონ პირველმა პირდაპირ. იცის, რომ მეომრები გზა-გზა წამოეწევიან, თქმა აღარ უნდა.

მართლა შეიძრა იმერეთი და მესამე დღეს მეფე ჯარით პირდაპირ უდგა მტერს და რაზმებად დაწყობილ ჯარსა ჰყოფს. „მემარცხენე სარდალო! რათ მოგიწყენია? — ეკითხება მეფე აგიაშვილს, — ომში მიმავალს სახე რისხვითა და მხიარულებით უნდა გიღელავდეს და შენ კი...

— უთვალავია მტერი, ბატონო... — ყოყმანით მიუგებს აგიაშვილი.

— უთვალავი?.. ჰმ. კი, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ისინი მომსვლელები არიან და ჩვენ კი — დამხვდური. შინაურს უცხო ებრძვის!

— ეგ ხომ მანგრეა, მაგრამ ციხე შიგნიდან გატყდებაო! როსტომ ერისთავი საიდუმლოდ მხარს უჭერს [მტერს], იმიტომ

აღარ მოგვახმარა რაჭველები და ბიძათქვენი, ლევან აბაშიძე კი თავის საყმო-საბრძანებლით პირდაპი მიემხრო.

— ეგ ორი?.. არაფერია!.. ჩვენსკენაც ორი იქნება: ღმერთი და ბედი!.. ამ სიტყვებით შევდივარ ხოლმე მომსვლელ მტერზე. აბა ჰე! მზემ არ დაგვასწროს!.. ჰკა მაგათ!.. ასტყდა საოცარი ომი და ჯერ კიდევ მზე არ ჩასულიყო, შუბის ტარზე იყო მიწურული, რომ მეფეს გამარჯვებას ულოცავდენ!.. მოკლა აბაშიძე და ფაშებიც ტყვედ ჩაუცვივდა ქართველებს (იმერლებს). დატყვევებული გვალი-ფაშაც ძღვნად მოართვეს მეფეს!..

ძაუხვზე თათრის ჯარი სდგას. [სერასფრას] გვერდში უდგია ჩერქეზ-ბატონიც. ჯარის სიმრავლეს ნუღა ვიკითხავთ და მხოლოდ ისა ვსქვათ, რომ სამოცი ზარბაზანი აქვსთ. ეს იმ დროსათვის დიდი ძალაა, მაგრამ გულ-მაგარი მეგრელები ამას არ ერიდებიან და უშიშრად მიდიან პირდაპირ, მით უფრო რომ იმერლები უდგანან გვერდში და წინ მიუძღვის მეფე სოლომონი. ატყდება საოცარი ბრძოლა და გამარჯვება დარჩებათ ქართველებს. იმ სამოც ზარბაზანს დავლად იღებენ სხვათა შორის. გახარებულია დადიანი. ოცდაათ ზარბაზანს უთმობს იმერლებს და მეფეც თითო ოროლას დიდებულებს ურიგებს: თქვენ თქვენი ციხეებიც გაამაგრეთ, რომ მტერმა ვეღარ მოგბედოსთო!..

დასავლეთ საქართველოში (იმერეთში) რომ ეს ამბავი ხდებოდა, აღმოსავლეთში (ქართლი, კახეთი) უარესობაც იყო: ყოველი კუთხით ესეოდა მტერი, მაგრამ ერეკლე, როცა კი მოასწრებდა, საითკენაც მიაშურებდა, მუსრს ადენდა. წვრილები რომ არ ვიანგარიშოთ, მარტო დიდი და შესანიშნავი ომები სამოცზე მეტი აქვს გადახდილი და მათ რიცხვში „ასპინძისაც“, — ასპინძას, სადაც დიდძალ თურქობას მხარს აძლევდენ გამოჩენილი ბელადებიც, თვითონ დაესხა თავზე ერეკლე. სრული დარწმუნებული იყო, რომ იმათ მოსრესდა, რადგანაც რუსის ჯარიც ეხმარებოდა. მაგრამ შეიქნა თუ არა ბრძოლა, რუსის სარდალმა ტოტლებენმა უღალატა, გააბრუნა ჯარი და ტფილისისკენ წამოვიდა. იმავე დროს აღარც მემკვიდრემ მიაშველა კახელები და დაეცა ქართ-კახეთის მეფე მტერს. შემოჰკრეს ქართველებმა და იწყეს ხელჩართული ბრძოლა. „დედა შეირთოს ცოლად,

ვინც დღეს ამ ომიდან ცოცხალი გავიდესო!“ — დასძახა მხცოვანმა, მაგრამ ჭარმაგმა სარდალმა.

— „ამინ და კრილეისონო!“ — მიაყვირეს მთიულებმა და ასტყდა ომი. შედეგი საარაკო გამარჯვება იყო!.. წყალში გადაჰყარეს თათრები!.. მტკვარი დამხრჩვალს ველარ იტევდა!!.. ამავე დროს კახელებს გული ჰქონდა გატეხილი; მოსვენება არა ჰქონდათ: ქურდულად ეპარებოდენ ლეკები და ხან აქ, ხან იქ დაეცემოდენ ხოლმე სოფელს. დააძახებდენ ბუკს, ატყდებოდა განგაში: „არიქა, მდევარი!.. ვინ ხართ მამაცი!.. ლეკები დაესხნენ ამა და ამ სოფელს“ და სხვანი... წამოვარდებოდა ზეზე ძილდამფრთხალი მდევარი; ცოლ-შვილი იარაღს მიაწოდებდა, ცხენს შეუკაზმავდა, ისიც ფაცა-ფუცით მოახტებოდა ცხენს და მიაშურებდა მტრისკენ. იმას არ ნაღვლობდა, რომ მარტო ვარო. მდევარი იყო. იცოდა, რომ სხვებიც, მისთანები, იქნებოდენ, წამოეწეოდენ გზა-გზა და თუ დაეწეოდენ მტერს, ნადავლს დააყრევინებდენ. — ამისთანები იყვენ ჩვენი მამა-პაპები და სულტანმაც განასხვავა სხვა ქრისტიანებისგან: ქართველებს ფირმანი ჰქონდათ, რომ უბაჟოდ შესულიყვნენ ხოლმე იერუსალიმში.

მაშინ ყველა გმირი იყო. ასლან ყაფლანიშვილი ჩააბეზღეს მთავარ-მართებელ ერმალოვს, რომ ქართველობს და რუსების არა სწამს რაო!.. ერმალოვმა მოიხმო და უბრძანა, „ხმალი აიხადეო!..“, ასლანს ჯერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ ბოლოს რომ დარწმუნდა, რომ აღარ მეხუმრებიანო, გაუკვირდა და უთხრა: „ეს ხმალი ერეკლეს ნაბოძებია და მის მეტიც ვერავინ ამხდისო!.. თქვენი ეს არის და მიირთვიო“ — მოიხსნა ყელის ჯვარი და დაუდვა წინ სტოლზე. მოთმინებიდან გამოსულმა ერმოლოვმა მიაყვირა: „შენ იცი, რომ მაგ ურჩობისათვის სიკვდილდი გეკუთვნისო?“

— ვიციო, მაგრამ არც ის დამვიწყებია, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო!“ — მიუგო დინჯად და შეუპოვრად გაუჩერდა ზრდილობიანად. დღეს კი ერთი წაილაპარაკა პრისტავმა: ქართველობავ, იარაღი აიყარეო და [დანის ერთაც] აღარავისა აქვს მთელს იმერეთში!.. სოფელში რომ ბრაზიანი ძაღლი შეიჭრეს, მომგერებელი არავინ არის!!..

გაიგებენ თუ არა, რომ ამა და ამ სოფელში რამდენიმე რუსი მოდისო, მთელი მაზრა ძრწის! დამტუქსველი რაზმიდან რომ ორი კაზაკი-რუსი შევიდეს რომელიმე სოფელში, კმარა. მთელი სოფლის ენა ჩავარდება და დიდი და პატარა სასოწარკვეთილებას მიეცემა. ის კაზაკებიც, სოფელს რომ ზარი დასცენ და გაამართლონ მათი შიში, გულგრილად უკიდებენ ცეცხლს რომელიმე სახლს. მათთვვის სულ ერთია, პეტრეს სახლი იქნება თუ პავლესი, ბრალიანის თუ უბრალოსი, ოღონდ შიშის ქარი კი გაუყენონ საერთოდ სოფლელებს! — იწვება სახლ-კარი, იღუპება ქონება, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამავე დროს სახლის პატრონი ჰხედავს, რომ მის დედას შეურაცხყოფას აყენებენ, ცოლს ნამუსსა ჰხდიან, მცირეწლოვან შვილს სასიკვდილოდა ჰხწნიან... ამაებს ყოლიფერს შეჩერებია გულ-ხელ დაკრებილი და ხმაც ვერ ამოუღია, არ მომკლანო!.. „სიცოცხლე ტკბილიაო“, — ამბობს გუნებაში და მადლობა ღმერთს, თუ გადავრჩიო!“ ძველი თქმულება: „ერთი ყველასა და ყველა ერთისათვის“, არც კი გაუგონია. პირიქით, მიდის და თავისიანს აბეზღებს!.. ცილსა სწამებს და მით უნდა თავი გადაირჩინოს. სულითა და ხორცით დაცემულა. კაცის კვლა ჩალად მიაჩნია, მაგრამ მხდალია და ვერ ბედავს, სხვას შეჰბედოს. თავისიანს კი, რადგანაც იცის, რომ იმისთვის თავს არ გამოიდებენ, არა ჰზოგავს, მაგრამ აქაც რაგვარად? ათი ან ოცი თუ გაბედავს ერთზე მისვლას და ისიც უიარაღოზე. მიეპარებიან, შორიდან მოკვლენ და ეს მიაჩნდათ ვაჟკაცობად!.. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენი ძველებური ვაჟკაცობა „კუდაბზიკობად არის გადაქცეული და ადამიანობა — ნაცარქექიობად“...

ასე გარდაიქმნა ხალხი სულ ერთი საუკუნის განმავლობაში და ვისი ბრალია ეს? — რუსეთის ბიუროკრატიის და მისი მმართველობისა ჩვენში. მაგრამ სანამ ამის დამტკიცებას შევუდგებოდეთ, ცოტა უნდა გადავუხვიოთ განზე, მივმართოთ ისტორიას და მერე ისევ დავუბრუნდეთ ამ საკითხავს.

უხსოვარ დროიდან მისთანა ხალხი არ გამოჩენილა, რომ საქართველოს არ დაძგერებოდეს და დამხობა მისი არ მოენდომებიოს. და ეს სასტიკობა იმითი იყო გამოწვეული, რომ საქართველო საკუთრის ელ-ფერით ერთხელვე [არჩეული] გზით მი-

დიოდა და არავის ემორჩილებოდა, რომ მის ზნე-ჩვეულებას გადაჰყოლოდა. საბერძნეთმა, ასურეთმა, ბაბილონმა, არაბეთმა, რომმა, ვიზანტიამ, და ბოლოს, მონგოლებმა, თათრებმა ბევრჯელ მოაოხრეს და გადალეკეს ხოლმე სტიქიონურის ძალით, მაგრამ ხანგრძლივად შიგ ფეხის მოკიდება მაინც ვერ შეიძლეს და მთებში დროებითად შეხიზნული ქართველობა მტრის წასვლის შემდეგ ჩამოდიოდა ბარად და ძველ შტოებზე ისევ ამოიყრიდა ხოლმე ახალი ქართველობა, მაგრამ შორეულებმა ის ვერ მოახერხეს, რაც მეზობელმა სპარსეთმა დღე დააყენა!.. ყაენები მოსვენებას არ აძლევდენ!! შაჰ აბაზი პირველი დარწმუნდა, რომ იმ ხალხის დაპყრობა, რომელსაც თავისი ეროვნება რჯულში განუხორციელებია, ძნელია, თუ რჯული არ გამოეცვალა და მოინდომა დედა-მიწის პირიდან მათი ამოფხრობა და საქართველოს სიმაგრეების კი თვითონ დაჭერა. ტყვედ წაყვანილ ქართველებს სპარსეთში გზავნიდა გადასასახლებლად და იმათ ნაცვლად საქართველოში თათრებს ასახლებდა. განახევრდა ქართლ-კახეთი, მაგრამ არც ეს ნახევრობა იშლიდა თავისს ქართველობას!.. მით უფრო, რომ დასავლეთ საქართველო ამოღებული ჰყავდა მიზანში სტამბოლს, რითაც დროზე სარგებლობდენ იმერლები და სპარსელებსაც სურამს იქით ფეხის გადადგმაც არ შეეძლოთ. მართალია, მრავალი საუკუნოების განმავლობაში, ამ უბედურ ყოფაში იყვენ ქართველები, მტერს იგერიებდენ, მაგრამ თავისი სამეფო და საკუთარი ელფერი არ დაუკარგავთ, სანამ რუსებზე არ მიდგა ჯერი. რუსების პოლიტიკამ კი ბოლო მოუღო მრავალტანჯულ საქართველოს.

პეტრე დიდმა ჩვეულებრივის შორსმჭვრეტელობით გადაიწყვიტა გუნებაში, რომ თუ რუსეთმა ფეხი არ მოიკიდა აზიაში, მარტო ევროპიაში ხეირი არ დაეყრებაო და კიდევაც გაილაშქრა დარუბანდისაკენ. უნდოდა სპარსეთს დაახლოებოდა და ზოგიერთი ადგილები კიდევაც დაიჭირა კასპიის ნაპირებზე... მაგრამ ადგილობრივმა ბუნებამ უმტყუნა და იძულებული გახდა ჯერ-ჯერობით შეეჩერებია განძრახვა. — ეკატერინე მეორემ, რომელიც სცდილობდა ყოოლიფრის შეხედვას პეტრეს თვალით, მიხვდა, რომ აზიაში ფეხის ჩასადგმელად კავკასიონის დაპყრობაა

საჭირო. იმას კი ისე ვერ დაიპყრობს, თუ საქართველო ან მტრობით და ან მოყვრობით არ ჩაიგდო როგორმე ხელში. მაგრამ სამტრო მიზეზი რომ არა ჰქონდა რა, მელური მოყვრობა მოინდომა!.. ღენერალ-პორუჩიკმა პოტიომკინმა ითხოვა მეფე ერეკლეს ქალი, ანასტასია ბატონიშვილი და პირობასა სდებდა, რომ დუშეთში დაესახლებოდა, ჩამოიყვანდა რუსის ჯარს და დარიალის ხეობას გაამაგრებდა, რომ მტერი ველარ შემოსულიყო. აქ განძრახვა სულ სხვა იყო: უნდოდა, რომ გახსნილი გზით შემოეყვანა რუსები საქართველოში, რაც ძალადობით შეუძლებელი იყო! — მეფე მიუხვდა ამ ვერაგულ განძრახვას თუ იუკადრისა: უბრალო გენერალი როგორ მიბედავს ქალის თხოვასო, უარი შეუთვალა და აღარ მოხდა საქმე. მაშინ რუსეთი სხვა გზას უნდა შედგომოდა, რომ განზრახული აზრი სისრულეში მოეყვანა და კიდევაც მალე მიეცა შემთხვევა.

თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისული საქართველო ხელახლად ისევ გამოაბრუნა ერეკლემ. ამ „პატარა-კახმა“ [ ][1] სამეფო და იმდენად შეზღუდა სპარსეთი და ოსმალეთი, რომ ისინი იძულებული გახდენ, შუღლი შეეწყვიტათ საქართველოს მეფეებთან და სამეგობრო კავშირი დაეჭირათ. აი, მაშინდელი სრული ტიტული ერეკლე მეფისა: „მეფე ქართლ-კახეთისა, მემკვიდრე და მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი [ ],[2] მთავარი შირვანისა, მთავარი და მფარველი განჯისა, ერევნისა და სხვათა მთავართა. აქედანა სჩანს, რომ მან აღუდგინა ძველი, თვითქმის, დაკარგული დიდება საქართველოს. იმავე დროს დასავლეთ საქართველოში ჰმეფობდა სოლომონ-დიდი, კაცი სახელგანთქმული და შორსმჭვრეტელი, რომელიც მხარს აძლევდა ქართლ-კახეთის მეფეს — ერეკლეს და ოსმალებსაც საქმეს უჭირვებდა. ერთი სიტყვით, საქართველოს მდგომარეობა იმ დროს გამოვარგისებული იყო. სწორეთ იმ დროს რუსეთმა გამოუცხადა ომი ოსმალეთს და ეკატერინე მეორემ მინისტრ ნიკიტა პანინის პირით შემოუთვალათ საქართველოს მეფეებსაც: „თქვენ როგორც ერთმორჯულე ჩემი და

[1] სიტყვა არ იკითხება.
[2] სიტყვა არ იკითხება.

ჯვრის თაყვანისმცემელნი, ვალდებული ხართ გასწყვიტოთ ყოველივე კავშირი მაჰმადიანებთან და ომი გამოცხადოთ მათ, რომ ჩვენ, საქრისტიანო სამეფოები ამიერიდან ხელიხელ მიცემული ვიდოდეთ ერთის გზითა“. საქართველოს მეფეებმა ვერ წარმოიდგინეს, რომ მეფური სიტყვა გატყდებოდა და პოლიტიკაც ხშირად სიმართლეს ღალატობს, დაიჯერეს ეკატერინეს აღთქმა, გასწყვიტეს კავშირი, გამოუცხადეს ომი ოსმალეთს და კიდეც გაებენ მახეში. მართალია, მაშველი ჯარი რუსებისა ჩამოვიდა საქართველოში ტოტლებენის წინამძღოლობით, მაგრამ რაც მაშინ იმ ტოტლებენმა ჩაიდინა, დაფარული აღარ არის: „ასპინძის ომში“ უღალატა მეფეს და გამობრუნდა, ხუთი თვე ადგა შორაპნის ციხეს და ვერა გააწყო რა, სადაც (16) თექვსმეტი თურმე მეციხოვნე იყო და მეტი არა. ეს მერე გაიგეს, როცა სოლომონმა იერიში მიიტანა მარტო იმერლებით და ერთ დღეს აიღო; ქუთაისში რომ ჩავიდა ტოტლებენი, [ ][1]-დან ზარბაზნები დაუშინა ქალაქ ქუთაისს და შესანიშნავი შენობა ბაგრატის ტაძარი მაშინ დაანგრია და გაუდგა გზას ფოთისკენ. გზათ მიმავალმა გეგუთის ნაციხვარში შეიყვანა ჯარი და ღამე გაათევინა და მერე მიადგა ფოთს, რომ ზღვით წასულიყო, მაგრამ აქაც დიდ-განსაცდელში კოღოებმა, ცივებამ დასცადა და ნახევარზე მეტი მეგრელებს ჩაუვარდათ ხელში. სწორეთ იმ ხანებში ფილოსოფოსი ვოლტერი წერილით ულოცავს ეკატერინეს, რომ შენი ჯარი და სარდლები იმარჯვებენ საქართველოში და საოცარი ციხე გეგუთი აუღია ტოტლებენსო. — ეს კი არაფერია, ტოტლებენმა ეკატერინე მოატყუა და ვოლტერმაც ეკატერინეს დაუჯერა და გეგუთის უბრალო ციხე მეორე გიბრალტარი ეგონათ. საქმე ის არის, რომ ცხადათა სჩანს რუსების განძრახვა: საქრისტიანოს მოხმარება კი არ ედვათ გულში, საქართველოს როგორმე ხელში ჩაგდება უნდოდათ, რომ მოეხერხებინათ და ამიტომაც ჩაუგდეს მარტოკა ხელში თათრებს. მაშინდელი პოლიტიკური მოსაზრება რუსეთის ის იყო, რომ საქართველო დაუძლურებულიყო და იძულებული გამხდარიყო ძალა-უნებურად მიემართნა რუსეთისთვის. 1795 წ. ხოჯა ხანის

[1] სიტყვა არ იკითხება.

შემოსევა და ტფილისის აოხრებაც ამ აზრით იყო გამოწვეული; ციხე შიგნიდან გატყდებაო, ტყუილა კი არ არის ნათქვამი!.. საქართველოს დამცირებას მაშინ რომ ერთი მხრით რუსეთი უცდიდა, მეორე მხრით ისინი სცდილობდენ დამხობას, ვისაც მის ნაოხარზე უნდოდა თავისი აეგო. მაგრამ ტფილისის აღება კიდევ არ ნიშნავდა საქართველოს საბოლოოდ დამხობას. ჯერ ერთი, რომ ხოჯა-ხანს არ შეეძლო სურამს იქით, იმერეთისკენ, სადაც ორი წილი საქართველო იყო, ფეხი გადაედგა და მეორე ის, რომ თვით ქართლ-კახეთიც დაუპყობელი დაურჩა ხოჯა ხანს და სიჩქარით გაბრუნდა სპარსეთისაკენ. და მეორედ რომ წამოვიდა დასაპყრობლად, გზაში მოკლეს. ამ დროს გარეგან მოუსვენარობას, შინაგან განხეთქილებას და ერეკლეს ღრმა მოხუცებულობას ზედ დაერთო სნეულებაც და ყოველივე ამან იქამდი მიიყვანა გმირი მეფე, რომ მოასურვა რუსეთთან შეერთება, მაგრამ ისეთი კი არა, როგორსაც დღეს ვხედავთ. იმას უნდოდა, რომ სამეფო ხელ-შეუშლელი ყოფილიყო და მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში დამოჩილებოდა რუსეთს. ეს სურვილი კიდევაც მოიყვანა სისრულეში მისმა მემკვიდრემ, გიორგი XII^{მ} 1800 წელს. მაშინ რუსეთსა და საქართველოს შუა დაიდვა ფიცითი-მტკიცითი ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც უნდა დაკმაყოფილებულიყო ორივე მხარე. ეს პირობა მეფემ და ზოგიერთა დიდებულებმა შეჰკრეს რუსებთან, ხალხს არც კი გაუგია და მიტომაც ხალხში ამბოხება მოხდა, მაგრამ რაღა დროს, რომ რუსობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ძალადობაზე დადგა... რა პირობა? რისი პირობა? რაც ჩვენ გვსურს, ის უნდა მოხდესო. დაუწყეს ნგრევა საუკუნოებით დაწესებულ წეს-წყობილებას ჩვენში, რომ მათი სახსენებელიც აღარ ყოფილიყო და შეუდგენ ახალს, თავისას. მას აქეთ სწორეთ ერთი საუკუნეა და ხალხმაც იდღესასწაულა, ვითომ, ეს ბედნიერი მოვლენა, შეერთება, მაგრამ რას ვანბობ, როგორ თუ ხალხმა? ორმილიონ ხალხში — მხოლოდ რამდენიმე ასმა კაცმა თუ იტლინკა და ისიც ღენერლებმა და გარუსებულებმა. ხალხს მონაწილეობა არ მიუღია! მაზრის უფროსებმა მოახსენეს მთავრობას, რომ ხალხს სიხარულში არ მიუღია მონაწილეობა, ერთი ზარიც არ დაკრულა, რომ პარაკლისი ვისმეს გადაეხადოსო! ასე... ის გული ხალხის

მართალი იყო და ან კი რა მართებდა ქართველ ხალხს სასიხარულო, რომ ასი წლის განმავლობაში რუსების ხელში უკანუკან შედიოდა... რუსეთი ჰხედავდა, რომ ის ხალხი, რომელმაც რჯულში ეროვნება განიხორციელა და იძახის: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო!“, ძნელი დასამონებელია, სანამ სარწმუნოება არ ჩამოერთმევა და ზნეობითად არ დაეცემაო. ეს განიძრახა და ხელი შეუწყო მის დაცემას. ცხოვრების ყოველგვარი სარბიელი დაიჭირეს რუსებმა ხელში და ხაფანგად მოუწყვეს ხალხს, რომ რჯული, აღზრდა, სამჯავრო და სხვა ყოლიფერი მიტომ უნდოდათ, რომ ხალხში სული მოეკლათ და მერე უფრო ადვილად გაერუსებიათ. და თუ ეს აღარ მოხერხდებოდა, ქართველობა [ამოეფხვრათ] და მათ ადგილზე რუსები დაესახლებიათ. ავიღოთ მაგალითები:

1. [ახალი] რჯული

ზემოთაც გვითქვამს, ქართველობამ სარწმუნოებას შეუკავშირა ეროვნება. ერთი მეორეს შეუსისხლხორცა, ძველად ქართველი ჰნიშნავდა ქრისტიანს და ქრისტიანი ქართველს. მაჰმადიანთა რჯულის დევნამ უფროც გაამტკიცა რჯული და მასთანვე ერთად ეროვნებაც. ასე რომ, რუსეთს ჩაბარდა ეკლესია გასპეტაკებული და შეუბღალავი და თანაც გულ-გაუტეხელი ერი, მართალის და სწორის გზით მიმავალი. ხალხს რომ გარეშე მტერი მოშორდებოდა რუსეთის მეოხებით, როგორი [აქაურების] იმედიც იყო, მაშინ ქართველობა იმ ძალასაც, მტრის მოსაგერიებლად რომ ხარჯავდა, შინაურ მოძრაობაში დახარჯავდა და დღეს დიდად დაწინაურებული იქნებოდა, მაგრამ ეს ეწინააღმდეგებოდა გარუსების პროგრამას და სულ სხვა გზაზე დაყენეს ქართველები. ეროვნების დასავიწყებლად უეჭველად რჯულიც უნდა დაევიწყებინათ და კიდევაც შეასრულეს თავისი. დღეს ქართველი ურჯულოა: აღარ სწამს ეკლესია, მსოფლიო კრების დადგენილება, ყველა დაივიწყა და ეროვნებაზედაც გაგულგრილდა. წყალი ერევე ცეცხლს, მაგრამ თუ ცეცხლმა წყა-

ლი მიიმწყვრია როგორმე, ცუდად აატირებს!.. სწორეთ ისეა გულიც: გული ერევა კუჭს, მაგრამ თუ კუჭმა როგორმე ეშმაკობით ხელში ჩაიგდო ერთხელვე გული — მორჩა, გათავდა! რას არ აქმნევინებს. ქართულ ეკლესიას დიდ-ძალი საკუთრება, დიდძალი ქონება ჰქონდა, ასე რომ, არა თუ თვითონ ჰყოფნიდათ, ზურგ-მომაგრებული ქვრივ-ობლებსაც ეწევოდა. ის ქონება სახელმწიფომ ჩამოართვა. დღეიდან თვითონ მე ვუპატრონებ ქართველ სასულიერო წოდებასაო. გადააყენა მსოფლიო კრებისაგან დადგენილი კათალიკოსი და მის მაგიერად დააყენა რუსი — ეკზარხოსი, მისცა პროგრამა ახალი და მიანიჭა ძალაც. მათი პროგრამა იმაში მდგომარეობდა, რომ ძველი ყოლიფერი დაევიწყებია ხალხისათვის!.. ქართული სახარება უწმინდურია, რადგანაც ძაღლის ენაზეა დაწერილიო, — ამბობდენ, — ქართველებს წმინდანები ვინ მისცა, მათი ეკლესია რა ეკლესიაოო და სხვანი! — სემინარიაში და სასულიერო სკოლებში ქართული მოსპობილ იქნა. ქართულად წირვა-ლოცვა უნდა მოესპოთ და ნაცვლად შემოეღოთ „სლოვიანი“, რომელიც თვით რუსებსაც არ ესმისთ.

ათას გვარ საგულისხმო მაგალითიდან მოვიტანთ ერთს და ისიც საკმარისი იქნება, რომ ჩვენი ჰაზრი დაასაბუთოს. წინათ ქართველებს ისეთი შიში ჰქონდათ და პატივის ცემა საყდრისა, რომ, არა თუ თვით ეკკლესიაში, გალავანშიაც რომ გდებულიყო ძვირფასი რამ, ვერავინ გაბედავდა ხელის მოკიდებას და გამოტანას. ამ ოცდა ათის წლის წინეთ გელათი გაიძარცვა და იმას მოჰყვა სხვა საყდრებისა და მონასტრების ძარცვაც. სამკაულები გამოჰქონდათ და ცხადათ მიჰქონდათ. იმავე დროს ჩვენში არსდებოდა „ქრისტიანეთა [აღმდგენლების] საზოგადოება კავკაზიაში“ და ბევრიც მონათლეს აფხაზეთსა და სვანეთში, როგორც მათი ანგარიშიდანა სჩანს. — ნათლიდენ და ძალიან მაგრათაც: რადგანაც ახალმონათლულს ეძლეოდა მონათვლის დროს რამდენიმე აბაზი და ერთი ჯვარი, ერთი და იგივე პირი თურმე ათჯერ და ოცჯერ ინათლებოდა სხვა და სხვა სახელით და ერთი ათად და ოცად გამოდიოდა ანგარისში. სვანეთში და აფხაზეთში, მაგალითად, გამოდგა ახლად გაქრისტიანებული (თუმცა ქრისტიანები იყვენ ადრევაც), რომ მცხოვ-

რებთა რიცხვს ერთი სამად აღემატა. — ამ საზოგადოებამ, რომელიც ამგვარ ანგარიშს ადგენდა, რასაკვირველია, დაიმსახურა სინოდის ნდობა. ამ საზოგადოებამ სხვათა შორის ურჩია სინოდს, რომ ქართული ეკლესიებიდან გამოეტანათ ხატებისადმი შეწირული სამკაულები, გაეყიდათ, ფულად ექციათ და სხვანი. — სინოდმა ნება დართო და სინოდის კანტორამაც გამოაცხადა მათი გაყიდვა. ჰყიდდენ ოქრო-ვერცხლს, ბეჭდებს, საყურეებს, ხატებიდან ამონაძრობ თვლებს, [—][1] ყდებს და სხვანი... ამ ნივთების ყიდვა ყველას შეეძლო, რა რჯულისაც უნდა ყოფილიყო, ოღონდ ფული კი მიეცა. — პირველად ამან ძალიან გააოცა ხალხი, იმას ჰხედავდა, რაც თათრების შემოსევის დროს იშვიათი იყო, და სასწაულს ელოდა: ეკკლესია მოიგერებს მის გამძარცველებსო, მაგრამ დრომ გაიარა და ხმა ვერავინ ამოიღო, ნელ-ნელა შეეჩვია. იფიქრა, რომ ალბათ არ ჰქონია საყდარს ძალა, თვარა როგორ გააგლეჯინებდა თავსო?.. ტყუილი ყოფილა ყოლიფერიო და თვითონაც მიჰყო ხელი. დღეს საყდრებს მცველები აყენია და ქურდებს ზარების რეკით აფრთხობენ. ეს მაშინვე წინდაწინვე [დასანახავი] კი იყო, რომ ეს შედეგი უნდა მოჰყოლოდა უწმინდესი სინოდის განკარგულებას, მაგრამ ცენზურა კრიჭაში იდგა და ვის ამოაღებიებდენ ხმას? ახალი მოძრაობა რომ შემოვიდა რუსეთში, ქართველმა ეფისკოპოსებმა გაბედეს და უკმაყოფილება გამოაცხადეს. მათმა წარმომადგენელმა ეფისკოპოსებმა ლეონიდმა და კირიონმა ხმა აიმაღლეს სინოდში და მოითხოვეს ავტოკეფალია, ესე იგი, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. მაგრამ ეს ჩამოშორებას კი არ ჰნიშნავდა! არც [წვალებლობა] შემოდიოდა ქართველების ეკლესიაში და არც რესეთს უარსა ჰყოფდენ. მხოლოდ უნდოდათ, რომ თავისი შინაგანი საქმე ასე გაფუჭებული ეკზარხოსების ხელში, როგორმე თვითონვე შინაურულად მოეწეს-რიგებინათ და მით ქრისტიანობა გამოებრუნებიათ. — ამ გვარ მოთხოვნილებას წინ არა დაუდგებოდა რა, მაგრამ ბიუროკრატიამ იტკიცა — შეხტა და შემოტრიალდა... ძველი უფლების დაკარგვა არ იამა ბიუროკრატიას და მიჰმართა

[1] სიტყვა არ იკითხება.

ჩვეულებრივ სახრიკო [—].[1] ვოსტორგოვის მოწაფეები დატრიალდენ ჩვენში. მღვდლებს ეუბნებოდენ: კაცო, რამ გადაგრიათ, ცეცხლში რად ვარდებით? დღეს ხომ პენცია და ჯამაგირი მთავრობისგან გეძლევათ? ავტოკეფალია რომ მოგეცეს, მაშინ ხომ მოგესპობათ და ცოლ-შვილი შიმშილით გაგიწყდებათო!.. — კი, მაგრამ მაშინ იმ ჩამორთმეულ ძველ საეკლესიო მამულებს ხომ დაგვიბრუნებენო, აი მაგალითად, როგორც სომხებს დაუბრუნესო? აძლევდენ პასუხს. არაო — განაგრძობდენ მქადაგებლები — ოდესმე ეგება დაგიბრუნონ, მაგრამ ეს ამბავი დიდხანს გასტანს, ბევრი წყალი ჩაივლის და თქვენ თქვენი დაგემართებათო... ამან მართლა ჩააფიქრა ზოგიერთები და იმათაც წამოაყრანტალეს: არ გვინდა ავტოკეფალია, ისევ ასე უნდა დარჩეთო... თუმცა ეს ზოგიერთები ცოტა არიან ჩვენში და მათ ნათქვამს რა ყურადღება უნდა მიექცეს, მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიამ კი ხელი ჩაჰკიდა და ამბობს: აი ყველას არა ჰსურს... და მეც არა ვარ დარწმუნებული, რომ ავტოკეფალია ქართული ეკკლესიისათვის საჭირო იყოსო... „მიზეზ-მიზეზაო, დოს მარილი აკლიაო“, ამისი არ იყოს, თორემ ის ზოგიერთები რა სახსენებელი არიან მაშინ, როდესაც მთელი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამღვდელოება ავტოკეფილიას თხოვილობს? თვით იესო ქრისტემ თორმეტი მოციქული აირჩია და იმ თორმეტში ერთი გამცემელი, იუდა, გამოდგა. მაგრამ ამითი ქრისტიანობა უარსაყოფელი არ გამხდარა!.. ერთი და ორი იუდა რომ რამდენიმე ათასში გამოერიოს რა სათქმელია? მაგრამ ეჰ... რაცა ვსქვით, ისიცა კმარა... და ახლა გადავიდეთ მეორე მაგალითზე... შვილების აღზრდაზე, სასწავლებლები რომ გამართეს ჩვენში და ახალთავობის აღზრდა ჩაიგდეს ხელში, მაშინ შემოიღეს მისთანა ანტიპედაგოგიური წესები, რომელიც მხოლოდ გრძნობა-გონებას უხრწნიდა ახალგაზდებს, რომ უფრო მალე გარუსებულ იყვენ. მათი ცდა ის იყო, რომ დედაენა მოესპოთ ყველგან, დაევიწყებიათ წარსული, შეეგონებიათ, რომ მთელი ჩვენი წარსული, ორი-სამი ათასი წლის განმავლობაში, უგნურებისა და უბედურების მეტი არა ჰყოფილა რა და მხოლოდ გარუ-

[1] სიტყვა არ იკითხება.

სებას შეუძლია ჩვენი გამობრუნება!.. ვისაც დედაენა დავიწყებული ჰქონდა და რუსულსაც მოსკოვურად გამოსთქვამდა, ის იყო მხოლოდ მოსაწონი. საგნებსა და მათ შესწავლას ყურს არავინ ათხოვებდა. ქართველმა პედაგოგებმა იუცხოვეს, ბრძოლა იწყეს, მაგრამ რა გამოუვიდოდათ, მაშინ როდესაც ყოველგვარი დაწესებულობა ხელიხელჩაკიდებული მოდიოდა? დაჰყარეს იარაღი და მოიდრიკეს ქედი. მხოლოდ ზოგიერთებმა სთქვეს: „არაობას ცალ უღელი ხარი სჯობიაო“ და შეუდგენ საქმეს, ეგებო ცოტას მაინც გამოვრჩეთ და ქორს რომ წიწილი მიაქვს „ჰაუ! ჰაუ! მაინც შევაძახოთო!.. რაც ერთმა მათგანმა იაკობ გოგებაშვილმა ჩაიდინა და აიტანა, მხოლოდ რომ საარაკოა. ამ ყველასაგან ნიჭიერ პედაგოგად ცნობილმა კაცმა სახელმძღვანელოც კი ბევრი შეადგინა, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ ვერ შეხედა კარგად და მის ჭეშმარიტ პედაგოგობას ფარისევლობა დაუყენა წინ: ერთ უნიჭო სახალხო დირექტორს შეადგენია სახელმძღვანელოდ მუნჯური მეტოდი და მითი დაუწყო ტანჯვა ახალგაზრდობას. სიტყვა რომ აღარ გავაგრძელოთ, მოვიტანთ მხოლოდ ერთ მაგალითს, თუ სანამდი მიაწია ადგილობრივმა მელიაობამ: 1871-ში საქართველოში ჩამობრძანდა ხელმწიფე-იმპერატორი და სიტყვიერად განაცხადა სურვილი: „რაც უნდათ ქართველებს, მთხოვონ და მეც ვეცდები ასრულებასო“. მესამოცე წლების მოღვაწეებმა მოინდომეს ეთხოვათ უნივერსიტეტი და ან სხვა რამე მაღალი სასწავლებელი, მაგრამ მაშინდელი მთავარ-მართებლის კანცელარიის მართველი, ბარონ ნიკოლაი გახდა ამის წინააღმდეგი; მოიხმო დამსახურებული ღენერლები და ურჩია მათ, რომ ამგვარის თხოვნით არ შეეწუხებიათ ხელმწიფე და ეთხოვათ მხოლოდ „კადეტების კორპუსი“ ტფილისში. — რა განძრახვა იყო და რა ენაღვლებოდა ბარონს, რომ მაღალი სასწავლებელი დაარსებულიყო ტფილისში? იმ ტიპის დაბალ სასწავლებელს, როგორიც [არის კადეტთა] კორპუსი, ხომ უმისოთაც აპირობდენ იმხანებში და თხოვნა რაღა საჭირო იყო?.. ამის მიზეზს აგიხსნით, მაგრამ ჯერ კი უნდა გადავუხვიო განზე.

ერთხელ მეგრელიის თავადმა გამასინჯვია მისი ბიბლიოტეკა და წერილებში სხვათაშორის ვასილ ოსიფიჩ ბებუთოვის წე-

რილიც შემხვდა შემდეგი შინაარსის: „[მამაო] დავით — სწერდა დავით დადიანს — შენ მოგისურვებია, რომ დავით აღმაშენებლის მიბაძვით წელიწადში ორმოც-ორმოცი ახალგაზდა მეგრელი გაგზავნო ხოლმე უცხოეთისაკენ სწავლა-განათლების მისაღებად და რჩევას მე მეკითხები? რა უნდა გირჩიო მის მეტი, რომ გონს მოხვიდე?! — ვირი რომ რაშად გადაიქცეს, თავს აღარავის გაახედნიებს. დღეს თუ შენ მთავარი ხარ, ბატონი და მეგრელებიც გემორჩილებიან, ეს იმიტომ, რომ არა იციან რა და რაღაი კი შენ განათლებას შეიტან სამეგრელოში, მაშინ შენს მთავრობასაც უნდა გამოეთხოვოო“. სწორეთ ამ აზრის იყო ადგილობრივი რუსობაც იმ დროს საქართველოს შესახებ და ბარონ ნიკოლაიმაც იმ განძრახვით არ მოისურვა ტფილისში მაღალი სასწავლებელი! — ეჰ, ასე იყო, თუ ისე, ახლა რაღა დროს გამოდგომაა, მაგრამ ისე კი მოხდა მაშინ, რომ ქართველობა ორად გაიყო: ზოგს უნდოდა მაღალი სასწავლებელი და ზოგიც, ღენარლების აყოლით, კორპუსს სჯერდებოდა. და საერთოდ გადასწყვიტეს: როგორც ახალი თაობიდან, ისე ძველიდანაც უნდა არჩეულ იყო ოთხ-ოთხი კაცი და იმათ მინდობოდა საქმე. — ახალი თაობის მხრით იყო ი. თარხნიშვილი, აკადემიკოსი, მაშინ ახალგაზდა და დროებით ჩამოსული ჩვენში. ხმები თანასწორად გაიყო, მაგრამ ძველ თაობამ გადაიყვანა თავისკენ ახალ-თაობის წევრი ბ. ღოღობერიძე და ხმის უმეტესობით კორპუსის დაარსება ითხოვეს. — ამ კორპუსში მარტო მკვიდრი ქართველობა უნდა მიეღოთ ხოლმე და არც ეს ეჭაშნიკათ რუსებს. მართალია, მეფური სიტყვა არ გატყდება, მაგრამ თავს კი შემოევლება და აქედან შეეკითხენ უმაღლეს მთავრობას: „მკვიდრებად, მარტო ქართველები ვიგულისხმოთ, თუ ის რუსებიც, რომელნიც საქართველოში დაბადებულან და გაზდილანო?“ — რუსებიცო! — მოუვიდათ პასუხი. — ეს კეთილი, მაგრამ იმ ჩინოვნიკებმა რაღა ქმნან, რუსეთიდან რომ ცოლ-შვილით ჩამოდიან საქართველოშიო? მათი შვილები მივიღოთ კორპუსში, თუ კარები დაუკეტოთო? — მიიღეთო! მოუვიდათ ბრძანება. — ესენი რომ [გაირიგეს], მაშინ აქვე შეუდგენ სხვა გვარ ხრიკს: დიდი მოთხოვნილებაა და საკონკურსო ეკზამენები უნდა დავ-

ნიშნოთო!.. დანიშნეს და რასაკვირველია, ქართველს, თუ მისი დედ-მამის ოჯახი გადარჯულებული არ იყო, არ იღებდენ. — ეს ერთი მაგალითიც საკმარისია მის დასამტკიცებლად, თუ როგორ მიჰყავდათ ჩვენში სწავლა-განათლება ამ ასის წლის განმავლობაში. — გრძნობა-გონება გალაყებული ქართველობა დაეცა სულით და დაადგა გადაგვარებას, ესე იგი, თვით არსებობის მოსასპობელ გზას. — გადავიდეთ მესამე მაგალითზე — სამსჯავროებზე.

რუსეთმა რომ ახალი რეფორმები შემოიღო თავის სახელმწიფოში, საქართველოსათვის გადაასხვაფერა ზოგიერთი რამ კანონი, ვითომდა იმ განძრახვით, რომ ადგილისა და ისტორიულის შესაფერად მიუდგესო, მაგრამ მთავარი ნიშანი სულ სხვა იყო: გარუსება და გარუსება!! მეტი არა ფერი!.. — მაგალითად, შიდა რუსეთში მსაჯულს ხალხი ირჩევდა თავისთვის, აქ კი, ჩვენში მთავრობა ნიშნავდა, რომ სადავე არ გაეშვა ხელიდან. — იქ ნაფიცი არჩეული მსაჯულები იყვენ, აქ მთავრობა ნიშნავდა, და ნიშნავდა მისთანაებს, რომელთაც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის არა გაეგებოდათ რა!.. იქ ყველას შეეძლო თავის დედაენაზე შეეჩივლა მსაჯულისათვის, რაც აწუხებდა და გულში ედვა. აქ კი უეჭველად უცხო ენაზედ, რუსულათ გადაეცა და თუ თვითონ ვერ მოახერხებდა, სხვა ვინმე ეშოვნა მის მაგიერ მოლაპარაკე და საჩივარიც რუსულად ყოფილიყო დაწერილი. ამ გარემოებამ ისეთ ცეცხლში ჩაჰყარა ხალხი, რომ ქვეყნის მცარცველ აბლიკატებს უნდა ჩავარდნოდენ ხელში, რადგანაც ნაფიცი ვექილები თვითო-ოროლა გროშისთვის არ წამოჰყვებოდენ [მთხოვნელებს]. ამან გააღარიბა ხალხი და მიიყვანა იქამდი, რომ სამართალი აღარა სწამდა და უკუღმართობის მონა გახდა. სუდისაგან გამართლებული, შეეძლო ადმინისტრაციას თავის თავად გაეგზავნა ციმბირში... დაეკარგა. კიდევაც ბევრი ჩაიდინა ამისთანა საქმე. — ჩვენ აქ სამი უმთავრესი ცხოვრების სარბიელი მოვიტანეთ სამაგალითოდ, მაგრამ ყოველგვარი სარბიელი, წვრილმანიც კი, მახედ ჰქონდა ხალხს დაგებული. ყველას ერთად საოცარის [იეზუიტურის] შეთანხმებით მიჰყავდა ერთი გზით, რომ გარუსების კარამდი მიეყვანა. და ამ გვარ-

მა, მთელი საუკუნის, მეცადინეობამ წეს-წყობილებაშიც უნაყოფოდ არ ჩაიარა: ხალხი დაეცა სულით, ხორცით და გაირყვნა. — მისი გამობრუნება, მხოლოდ იმას შეუძლიან, რომ ისევ ისე გაქართველდეს და რაც საუკუნოებით კეთილშესისხლხორცებია ადვილად არ [გაიშოროს]. ჯერ უნდა სულითა და ხორცით ამაღლდენ ისევ, რომ მერე, თუ სასარგებლოდ დაინახვენ, კიდეც შეეკავშირონ რუსებს ძალა დაუტანებლად. ეკლესია უნდა დამოუკიდებელი იყოს და თვითონ მოუაროს თავის თავს, რომ ეს ასი წლის უკულმართობა გამოასწოროს. სწავლა-განათლება უნდა იმ ენით დავიწყოთ, რომელიც უფრო ესმის, დედა ენით, ისე როგორც პედაგოგიკა მოითხოვს და არა ენის ამოგლეჯით! ადგილობრივ კანონებს პატივი ედვას და სამსჯავროებიც მათ ხელში იყოს, რომ სამართალი და არა უკულმართობა შემოქონდეს ხალხში! — აი ამას მოითხოვს ავტოკეფალიაც და ავტონომიაც და არა იმას, რომ ვითომ ქართველებს უნდოდესთ სულ ჩამოშორება, განცალკევება ან თავის ცალკე სამეფოზე ფიქრი! ამას ან ბიუროკრატიული ცბიერება იტყვის და ან მტკნარი უგნურება! — კაცი იმას უნდა ეძებდეს და ჰკიდებდეს ხელს, რაც დრო და ჟამს შეეფერება და არა ოცნების ნაყოფს! ბიჯი ბიჯზე უნდა გადაიდგას!.. ვისაც ოდაში შესვლა უნდა, უნდა საფეხურები ერთი მეორეზე აიაროს და ისე მიადგეს კარებს, თორემ ხტუნვით შორს ვერ წავა!.. ესეები რაც აქ მოგახსენეთ, სნეულსაქართველოსათვის [ ][1] გვაქვს დასახული და [თუ] ესეები ვერ მოვიპოვეთ, მაშინ უნდა გამოვეთხოვოთ ყოლიფერს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს კი ძველი ანდაზა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო“.

[1901]

[1] სიტყვა არ იკითხება.

[სოციალ-დემოკრატები და მათი შეხედულებები]

ას წელზე მეტია, რაც საქართველო ძილმა წაიღო და დღესაც კიდევ ბურანშია. ყოველგვარ სარბიელზე ბარგშენასვამს ხანდახან, სამ წელიწადში ერთხელ, როცა კენჭის ყრის დრო მოვა, ძალდატანებით გამოაჭყეტინებენ ხოლმე თვალებს და იმასაც მიტომ, რომ კენჭის კეთილად მოხმარება არ შეუძლია. როგორც ახალგამოღვიძებულს მზის სხივები სჭრის თვალებს და ვერასა ჰხედავს, ისე საბრალო ჩვენი ხალხიც ვეღარ უმართავს თვალს დღევანდელი ცხოვრების ჭიატს, ბარბაცობს, აქეთ-იქით ეხლება, არეულობას ახდენს შინაურობაში და ვნების მეტი ვერა მოაქვს რა და აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც არჩევნობითი უფლება მონიჭებული გვაქვს, მაგრამ ვერა ვხმარობთ თვითონ ჩვენვე, უკუღ-მართად გამოზრდილები. კენჭის ყრის უფლება ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამგვარია: მარშლების ასარჩევი, ბანკის მმართველობის და სახელმწიფო საბჭოს დეპუტატების, ამ ბოლო ხანში შემოღებული. მარშლების არჩევა კუჭზეა დამყარებული: ქუთაისში ზუთხი სჭრის და ტფილისში კი თართგელაქნური, წყალ-წყალაა და მიტომაც არას ვიტყვი იმაზე, ბანკის ამრჩევლების დროშაზე ასე სწერია: „აქამდე სხვები სჭამდენ და ახლა კიდევ სხვებმა სჭამონო“. არც ამათზე ღირს ხმის ამოღება. დაგვრჩა მხოლოდ მესამე: კენჭობია დეპუტატის ასარჩევათ. ამან სამად გაჰყო ქართველობა: სოციალ-დემოკრატებად, ფედერალისტებად და ნაციონალისტებად. ესენი ერთსა და იმავე კურდღელს მისდევენ. მაგრამ ისე კი არევიათ გზა და კვალი, რომ ერთმანეთს ეღობებიან წინ. ეს სამი გუნდი ერთმანეთის წევრს სასიკვდილოდ არა ჰზოგვენ და მით [ამღვრევენ] შინაურ საქმეებს. ახირებულ მონადირესავით აქ, შინ ხელში დასაჭერ ჩიტებს უშვებენ და ჰაერში მომფრინალ ქორს კი მისდევენ დასაჭერად და იმასაც უხერხულად, მხოლოდ „ჰაუ! ჰაუს!“ შეძახებით. ეს წრეები სამივე მომწონს მათის გულწრფელობით, მაგრამ არც ერთს არ ვეთანხმები სავსებით.

ავიღოთ სოციალ-დემოკრატები — რა არის მათი მიმდევრების მისწრაფება? ისევე, რაც მაცხოვრის: ხალხთა შორის კაცობრიობისადმი „ძმობის, ერთობის და თანასწორობის“ მინიჭება, ესე იგი სასუფევლის მიცემა — სადაც არც ეროვნება და სისხლხორცობა და არც მტერ-მოყვარობაა — ყველა თანასწორად იქნება ბედნიერი. მაგრამ მაცხოვარმა რომ ეს ამქვეყნად [შეუძლებლად] დაინახა, სასუფეველი საიქიოს სიკვდილის შემდეგ მიანიჭა ადამიანს და აქ კი თავისი მოძღვრება სასუფევლისთვის მოსამზადებელ იარაღათ დასტოვა. სოციალ-დემოკრატებმა კი [თავიანთი] სურვილით აქვე, ამ ქვეყნადვე მოინდომეს საიქიოდან ქვეყნად გადმოტანა სასუფევლის, სადაც არც ეროვნობა არის და არც სხვა რამ ქვეყნიური მოთხოვნილება, გარდა თანასწორობისა და ეს კი შეუძლებელია. ბუნების შემოქმედებითი ძალა ქარხანა და [მაშინა] როდია, რომ ყოლიფერი თანასწორად გამოიყვანოს... ის სხვადასხვაობის მშობელია და ამით აფერადებს ქვეყნიერებას, რომ მას მიანიჭოს მშვენიერება. უამისოთ რა იქნებოდა ქვეყნიერება? ერთგვარი რამ, მალე მოსაწყენი უდაბნო! მოვიტანოთ მაგალითი. დედამიწა ათას კუთხედ განიყოფება: აღმოსავლეთად, დასავლეთად, სამხრეთად და ჩრდილოეთად. თითოეულს მათგანს თავისი საკუთარი ელ-ფერი აქვს და ზეგავლენაც სხვადასხვანაირი. მცენარეობაც სხვადასხვანაირი იზრდება და ცხოველიც. ერთი მეორისას არა ჰგავს. ამათი ერთიმეორედ გარდაქმნა არაფერ ძალას არ შეუძლია. ასე რომ, საქართველოში შობილი ყოველთვის ქართულ ელ-ფერით დარჩება და იმას ვერ გარდაქმნი, ვერ გააესკიმოსებ ძალმომრეობით. გაერთიანება კი თანასწორობით, ძმობით და სიყვარულით მოსახერხებელია. და აი, ამას გვიქადაგებს ქრისტიანობა. ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი შეიძლება არაბიც იყოს, ელინიც, იუდეველიც და სხვებიც. სრულიად საჭირო არ არის მათი ელფერის შეცვლა და ეროვნებაზე ხელის აღება! ის, ვინც ცდილობს, რომ თავისი სამშობლო გააძლიეროს მხოლოდ გულწრფელის და კეთილის სამსახურით და მერე ისე შეუერ-

თოს მსოფლიოს, ის მთელ ქვეყანასაც ემსახურება — აი, რატომ მწამს მე სოციალ-დემოკრატობა და ჩვენი ქართველი სოციალ-დემოკრატებიც ეროვნობას რომ არ უარყოფდენ და თავის მოძღვრებასაც, იმ მოძღვრებას, რომელსაც ქრისტე მხოლოდ სიყვარულს უდებს საფუძვლად, ხანდახან მსხვერპლს არ უდებ-დენ, სრულის მათი თაყვანისმცემელი ვიქნებოდი.

აკაკი წერეთელი
[900-იანი წლები]

Ответ газете «Новое Время»

Сотрудникам газеты «Новое Время» хотя и не возбраняется лгать, но не мешало бы и им помнить иногда поговорку:

«Ври да знай меру!»

В № 11122 этой «истинно-русской газеты помещена корреспонденция из Тифлиса, за подписью какого-то «Затерянного», озаглавленная довольно странным образом: «Охота на русских людей».

Нет никакого сомнения, что автор этой невменяемой статьи хотел одним выстрелом повалить трех зайцев: грузин вообще обвинить в каком-то национальном сепаратистском стремлении, на меня указать, как на подстрекателя националистов, а местную власть облаял за, якобы, бездействие и попустительство.

Вот как начинается его иеремиада: «Русским людям, не слившимся с кавказскими «освобожденцами», держащимся в стороне от политической вакханалии и не гнущим шеи под обнаглевшим кавказским национализмом, жить на Кавказе становится просто не под силу. При благосклонном участии местной печати травят их словно диких зверей. Устраивается настоящая охота, и намеченная жертва, в конце концов, падает от пули, кинжала или бомбы гнусного убийцы».

Чтоб этой инсинуации придать более веса, корреспондент прошелся и по моему адресу:

«В первом номере грузинской газеты «Хумара», вышедшем за подписью, как редактора-издателя, престарелого грузинского поэта кн. Акакия Церетели, был сделан далеко недвусмысленный кивок по адресу г. Шаврова и этого лже-доноса, да еще появившегося в газете такого популярного грузинского националиста, как Акакий Церетели, было вполне достаточно, чтобы прикончить Шаврова. Через несколько дней после появления подлой клеветы, оглашенной авторитетным князем, убийцы уже подкараулили Шаврова и т.д.

Еще далее пишет: «Связь между статьей грузинской газеты и покушением на убийство Шаврова была настолько очевидна, что пресловутую «Хумару», по распоряжению генерал-губернатора, закрыли, а сиятельный редактор под конвоем был отправлен в тюрьму, откуда его, впрочем, на другой день выпустили».

Несмотря на энергичный прием власти, которая без суда и следствия распорядилась отправить меня без объяснения причин «в метехский замок», корреспондент все-таки накидывается на мес-

тную власть и, между прочим, говорит: «Людей нам дайте, людей, а не манекенов, занимающих их места из кавказской административной иерархии. Пора убрать и вашу чиновничью власть, дать приток свежего воздуха в затхлую атмосферу бюрократического лабиринта. А если мы уж так бедны людьми, так лучше совсем отказаться от Кавказа, лучше отдать его в собственность туземным автономистам, чем позориться и вести себя и других к гибели. Но нет, люди есть, не оскудела еще Россия — и Куропаткин найдет их, я в это пламенно верю».

Прочитав всю корреспонденцию от начала до конца, поневоле приходишь к следующим заключениям:

1) Русские делятся на две категории, из коих одни «истинно русские» люди, а другие — не истинно русские, к числу которых принадлежит и вся русская власть на Кавказе, сквозь пальцы смотрящая на действия грузинских автономистов и поддакивающая их сепаратистским стремлениям.

2) Современное всероссийское освободительное движение — не что иное, как подвохи грузинских автономистов, мнящих освободиться от России и

3) Я, как ярый националист, намечаю жертвы анархистам, и они тотчас же пускают в ход кинжалы, револьверы и бомбы!..

Что все это значит?! Сон? Или галлюцинация больного? От сумасшествия никто не гарантирован, но для сумасшедших должны открываться двери больницы, а не редакций, да еще столичных!.. Местная власть не нуждается в моей защите, я и не берусь, но насчет грузин грешно не сказать: в государственную думу Грузия послала в депутаты исключительно всех социал-демократов, которые не признают национальностей, стремятся к централизации и ими коноводит центральное русское бюро. И неужели это подтверждает все то, что говорит относительно грузин «Затерянный»? Чистосердечное желание грузин быть уравненными в правах с русскими и пользоваться законами наравне с ними без всяких изъятий, всегда говорящих не в пользу них, неужели и это преступно?.. Что же касается лично меня, то в виду налагаемого корреспондентом на меня непосредственного обвинения в подстрекательстве на убийство русских, поневоле поставлен в положение сказать следующее: 14 го февраля текущего года, с разрешения цензурного комитета, я выпустил № 1 юмористической газеты «Хумара». Карикатуры все были процензированы, а в тексте не было ни одного слова нецен-

зурного. Газета разошлась шибко. Это было в воскресенье, а на другой день, в понедельник, по совершенно случайному совпадению, учинено было нападение на какого-то Шаврова, о существовании которого я не знал и никогда в глаза его не видывал; только недавно узнал, что он сын того самого инженера Шаврова, который взялся устроить в Поти порт и бесцельно убухал несколько миллионов. Сам же он, сын, заведует в Тифлисе шелководческой станцией и, чтобы упрочить свое положение, приписался к «истинно-русским» и величает себя патриотом...

Г. «Затерянный» вводит читателей в обман, указывая на какую-то связь между покушением на г-на Шаврова и арестом меня. Верно только одно: я до сего времени не знаю, за что меня отправили в метехский замок, а в час ночи полицмейстер по телефону сообщил смотрителю тюрьмы, что я свободен. Ни при аресте, ни при выпуске из тюрьмы не сказали мне ни слова о причинах! Вспомнив местную горькую оговорку: «До Бога высоко, до царя далеко!» Я смолчал, но это молчание, как я теперь вижу, приняли за знак согласия с моей стороны и обдали меня грязью на страницах «Нового Времени».

Не зная, кто такой корреспондент «Затерянный» и не желая с ним связываться, обращаюсь к самому редактору, взявшему под свое покровительство этого, не говоря больше, странного человека, пересмотреть номер вышеупомянутого журнала «Хумара» и указать на статью, которая науськивает террористов на Шаврова, или кого бы то ни было. Если хоть что-нибудь из того, что пишет г. «Затерянный», окажется правдою, то я принимаю на себя вину и готов идти на распятие. Но если не окажется слова правды в целой иеремиаде, то пусть редактор исправит ошибку. Это я предоставляю его чести и совести. В противном случае, я принужден буду прибегнуть к суду чести, при чем медиаторское решение должно быть оглашено в печати.

Акакий Церетели.
1907

აღსარება

ზოგიერთები „სომხიყლაპიას“ მეძახიან და უსამართლობა რომ შევიფერო, შეუძლებელია. ჩემს გრძნობას ყოველგან და ყოველთვის სახარება უდევს სარჩულად, მრწამს ქრისტეს მოძღვრება და არავინ მიმაჩნია სამარიტელად. თანასწორად ვუყურებ ელინსა და იუდიანს, როგორც ადამიანებს. ყოველი ერი, რა ტომისაც უნდა იყოს, მიყვარს და თანავგურძნობ, თუ თავის ქერქში ეტევა და თავისის ეროვნული სწორი გზით მიდის!.. მაგრამ როცა რომელიმე ერი მარტო თავისას აღარ სჯერდება და მოინდომებს სხვა ერების დაჩაგვრით ამაღლებას, სხვისი უბედურებით თვისს ბედნიერებას და სხვისი ჩაყლაპვით გასუქებას, მე იმ ტომის თანაგრძნობა არ შემიძლია! — ამ შეგნებით გამოვედი იმ თავით ცხოვრების სარბიელზე და ამ ბარგითვე მივდივარ სამარისაკენ. და რაღა გასაკვირვალია, რომ სომხებიც, ეს ჩვენი ქრისტიანი მეზობლებიც, ჩვენთან ერთად ერთ საქრისტიანო ტაფაში ნაწვავ-ნადაგი მიყვარდეს და თანავუგრძნობდე?.. და მაშ რაღა უფლება აქვთ ან სიმართლე ვისმეს, რომ მე „სომხიყლაპია“ დამიძახოს? ნათქვამია. „კომლი უცეცხლოდ არ იქნებაო!“ — მაგრამ კომლიც არის და კომლიც, სახლს რომ ბოროტი განძრახვით ცეცხლს წაუკიდებენ — ბოლი ავარდება, კომლი ადის... საცეცხლურში რომ საკმეველს ჩაუყრიან და უკმევენ, ან ხატს რომ წმინდა სანთელს აუნთებენ, კომლი მაშინაც ადის, მაგრამ დიდი განსხვავებაა ამ ორ კომლს შუა: პირველი უკულმართობითაა გამოწვეული და მეორე კი – სიყვარულითა და სასოებით!.. ჩემი „სომხიყლაპიობის“ კომლიც, ეგებ, ამ უკანასკნელი კომლის გვარი იყოს? გავსინჯოთ გულდადებით! თუ დავუჯერებთ ისტორიას (და რომ არ დავუჯეროთ, რა უფლება გვაქვს?), ჩვენ წინაპრებს ყოველთვის ძმური განწყობილება ჰქონიათ მეზობელ სომხებთან და საუკულმართო რამ არა მიუძღვისთ რა მათდამი, არაერთ გზის მორწყულა სასომხეთის მიდამოები, მათ მომხმარე და მათთვის თავდადებულ ქართველებისაგან მოწამეთა სისხლით. სიტყვა რომ არ გავაჭიანუროთ, კმარა ისიც, რომ მოვიხსენიოთ დავით აღმაშენებლის დრო, მეათე საუკუნეში და გიორგი მესამის, მეთორმე-

ტეში, როცა ოცდათხუთმეტმა ათასმა მეომარ-ქართველმა თავი დასდვა ანის ქალაქში. ჭირვეულები მეტყვიან: რა ვუყოთ მერე, ეგ ხომ პოლიტიკური მოსაზრება იყოო? სომხეთში შემოსული მტერი, როცა სომხებს დაამარცხებდა, მერე ხომ საქართველოსაკენ წამოვიდოდა და ამ მოსაზრებამ შეაკავშირა ქართველები სომხებთანო?!.. შეიძლება ეს მართალიც იყოს: უმიზეზოდ ქვეყანაზე არა ჰხდება რა, მაგრამ რაო მერე? ფაქტი ხომ ფაქტადა რჩება და ძმური კავშირი მაინც არსებობს? და ეს კავშირი, ასე თუ ისე გამოწვეული, ამტკიცებენ სომხებ-ქართველების ერთობას. საქართველომ თავისი მეფობა, სარწმუნოება, ეროვნული ელფერი და ენა მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე მოიტანა შეუბღალავად და უმწიკვლოდ ჩააბარა რუსეთს. სომხეთი კი წინეთ... ბევრათ უფრო ადრე დაემხო, როგორც სამეფო, და სომხები აქეთ-იქით გაიბნენ ქვეყნის პირად. მაშინ ერთი გუნდი მოადგა საქართველოსაც, მაგრამ ძალმომრევად კი არა ცეცხლითა და მახვილით... მხოლოდ ქრისტიანული სიმდაბლით. ქართველები შეეგებენ ძმურის სიყვარულით, გაუღეს წიაღი და შეიყვანეს საქართველოში როგორც მკვიდრი შვილი, მიანიჭეს ყოველ-გვარი სამოქალაქო უფლება, რაც თვითონ ჰქონდათ: ხარისხი, მიწა-წყალი, ადგილ-მამული და მზა-მზარეული ეკლესიებიც კი. უთხრეს: აქ მოისვენეთ, შეგვიტკბეთ ძმურად!.. ამიერიდან თქვენც საქართველოს შვილები იქნებით!.. ჩვენ ხმლით ხელში საზღვრებზე დავდგებით დღე და ღამე მტრების მოსაგერებლად და თქვენ კი უშიშრად მიჰყავით ხელი სასწორ-საზომს, რადგანაც ეგ სამსახურიც სამეფოს ერთგულებაა და მისივე საჭირობაო. ორივე მხარე დათანხმდა: ვისაც რა ემარჯვებოდა, იმას მოჰკიდა ხელი და მართლაც, გულში თუ სხვა რამე ედვათ დაფარული, ეს ვინ იცის? მაგრამ მესამოცე წლებამდი კი სიამ-ტკბილობით იყვნენ ერთმანეთთან, სომხებიც ძმებათ [...][1], ასე გასინჯეთ, რომ რჯულის სხვადასხვაფერობაც ვერას უშლიდა ერთმანეთს. ბევრი ქართველის ჩამომავალიც აღიარებდა გრიგორიანელობას თავის უფლად და კანონი ხელს არ უშლიდა. მოვიყვანთ მაგალითს: ირაკლი მეფეს ერთი იმერელი შანშე

[1] ტექსტი არ იკითხება.

გამყრელიძე ახლდა, რომელიც ძალიან უყვარდა მეფეს ვაჟკაცობისათვის. ერთხელ უბრძანა მეფემ:

— შანშე, მოწყენილი რადა ხარო?

— ქალი შემიყვარდაო! — მიუგო დარცხვენით.

— მერე და რატომ არ შეირთავ?

— ქალი არ შვება!

— როგორ? რა დაგიწუნა: ვაშკაცობა, თუ თვალ-ტანადობა, რომ არ უყვარხარო.

— არც ერთი, შენი ჭირიმე, მაგრამ სომხის ქალია და ჩემს რჯულს ერიდება.

— მეტი არაფერი? ისინიც ქრისტიანები არიან! ის თუ არ გადმოდის, შენ გადადი მის რჯულზე და დაიწერე ჯვარიო.

მეფის ბრძანება ასრულდა. დღეს მისი ნაშიერები შანშიაშვილები არიან. სომხებათ აღიარებენ თავს, არა თუ რჯულით, ტომობითაც კი. ამგვარივე არიან სხვა გვარებიც: დუჩიძე, მუჩაიძე, ნაკაშიანი, ხიტარაშვილები და სხვანი.. და რას გვეუბნება ყველას ეს, თუ არა უკიდურეს კეთილ-განწყობილობას სომხებთან. მესამოცე წლებამდე სომხებსა და ქართველებში განსხვავება არა ყოფილა რა!..

სამოციან წლებში, კავკასიონი რომ დაიმორჩილეს და ბატონ-ყმობაც გადავარდა, ხმალს ფასი აღარა ჰქონდა, ხმალთან ერთად დაეცა ქართველობაც. ხმლის ადგილი ფულმა დაიჭირა; ქართველებს ფული არ ჰქონდათ და რომ ჰქონებოდათ, მაინც... მოხმარება არ იცოდენ. მაშინ ჩამოშორდენ ერთმანეთს ხმალდაკარგული, გაღარიბებული [ქართველები] და ფულიანი სომხები. იმათ ერთმანეთის აღარა გაეგებათ რა!.. ტყვილა კი არ გვიხატავს გ. ერისთავი ერთ თავისს კომედიაში შემდეგს: უფულო, უცბათ გაკოტრებული ქართველი, შედის ერთ ფულიან სომეხთან და ხმალს უგირავებს. სომეხი თვალს დააჭყეტს და ამბობს თავისთვის: „ვა! გიჟია?! რკინაში ოქროს და ვერცხლს თხოვილობსო!..“ ქართველსაც უკვირს: „ეს ხმალი პაპი ჩემის ნაქონია, ერთ სოფლადა ღირს და მას კი რამდენიმე გროშის მოცემა ეზარებაო!..“ ორივე თავისაზე დგას და ერთი მეორის ვეღარა გაუგიათ რა!.. სწორედ ამისთანა ორს. მესამოციან წლებში გაჩდენ საქართველოში უცხო ქვეყნებიდან სომხები და

თან შემოიტანეს თავიანთი პროგრამაც: იმათ უნდოდათ, რომ სასომხეთის აღსადგენად აღთქმითი ქვეყანა მოენახათ და ამ-ნაირ ქვეყანად კიდეც მიიჩნიეს საქართველო. ცხადია, რომ რაც მალე ასრულდებოდა მათი სურვილი, ისა სჯობდა. ოღონდ კი ხელში ჩაეგდოთ საქართველო სყიდვით, დაგირავებით, ადგი-ლების ხელში ჩაგდებით. ქალაქებში გამრავლებით, თუ სხვებ როგორმე, არაფერ საშუალებას არა ჰზოგავდენ. მაშინ იყო, რომ მათმა ყოველმა წოდებამ იერიში მიიტანა გაოცებულ და პირდაღებულ ქართველობაზე. როგორც ცხოვრებაში ვაჭრო-ბით გამოცდილმა ხალხმა, საქმეს შორიდან მოუარეს: იწყეს მი-სი დამტკიცება, რომ საქართველო ისტორიულად თავის დღეში არ არსებულაო და რასაც საქართველოს ეძახდნენ, ის სულ სომხეთი იყოო. ამ მოსაზრებით სიმართლე გათელეს. მათი ის-ტორიკოსები ამტკიცებდენ, რომ საქართველოს ისტორია არა აქვს და „ქართლის ცხოვრება“ შეთხზული ზღაპარია და ისიც ტერტერებისგანო (პროფესორი პატკანოვი). მეცნიერები პოლ-იტიკას უკიჟინებდენ (ეზოვი, მიასნიკოვი და სხვანი) და რომ მეტი გასავალი ჰქონოდა მათ სიტყვას — უცხო ენაზე სწერენ. უპირველესმა მათმა პოეტმა, რაფაელ პატკანიანცმა, რომელიც „კაგარ-ქატიბარის“ პსევდონიმით სწერდა, დასწერა ერთი ლექ-სი ქართველებისადმი ზიზღით სავსე. ის ლექსი აბგარ იონისი-ანმა „არძაგანში“ დაბეჭდა. იქ პირდაპირ იყო ნათქვამი: „წყე-ული იყოს ის სომეხი, რომელსაც ქართველი ძიძა ჰყოლოდეს და ქართველის ძუძუ ეწოვოსო“. სამღვდელოება ამბიონიდან ჰქა-დაგებდა, სომხებს ქართველებთან ერთობა ნუ გექნებათო. შეჩ-ვენებული იყოს ის სომეხი, რომელმაც ქართველის ოჯახში ან შეიტანონ მირონი ან გამოიტანოსო. იმავე დროს ციხე-დარბა-ზებზე ძველი, ქართული ზედ-წარწერა იფხიკებოდა და სომხუ-რი იწერებოდა. რაღა შორს წავიდეთ! გუშინ არ იყო, რომ მათ ერთ მეჯლისზე წარმოსთქვა მათმა ლიტერატორმა: „ოცი წელი-წადია საქართველოში ვარ, მაგრამ მაინც ქართულათ, იმ ძაღ-ლების ენაზე არ ვლაპარაკობო“. რაც ჩამოვსთვალეთ ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ გადაფიცვა არღარ მოხერხდება და, აბა, ერთი კეთილ ინებონ და გვიჩვენონ სომხებმაც, რომ რომელიმე წოდების, ანუ წრის ქართველს ამ გვარი რამე სომხების საწყენი

და საუკადრისო რამე წამოსცდენოდეს არა თუ წერილობით, სიტყვითაც კი!.. მაგას ხომ ხალხი არ ამბობს, კერძო პირები ამბობენო, გვეუბნებიან და კარგი თავის მართლებაა! ისტორიკოსი, მეცნიერი, პოეტი, პუბლიცისტი, სამღვდელოება, ვაჭრობა და სხვანი ყველა ლაპარაკობს და ვინღა დარჩა? ყველა ხომ ერთად ველარ ილაპარაკებს. ყოველი წრიდან, რასაკვირველია, თვითო ლაპარაკობს და სხვები სიჩუმით ბანს აძლევენ და თუ ჩვენ ხმა ამოვიღეთ და შევნიშნეთ, სომხის ყლაპიობას გვეწამებიან! „შენი მითხარ და გული მომიკალიო!“ — აბა, ამაზეა ნათქვამი.

[1911]

[ათასჯერაც რომ „სომხიყლაპია“ დამიძახონ]

არიან ჩვენში დღეს ქართველები, რომელნიც მხოლოდ თავისს საკუთარ პირადობაზე ზრუნავენ. საკუჭო რამეებს გადაჰყოლიან და იმდენად კი იჩენენ თავს საზოგადო მოღვაწეობით, რამდენადაც გამოდგება საკუთრად მათთვის. იმათ არც წარსული აგონდებათ თავისს ქვეყნისა და არც მომავალი. „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზედ ჰკიდიათ“. ამ ვაჟბატონებმა კარგად იციან, რომ ყოველივე საკუჭო საქმე დღეს სომხების ხელშია და როგორც ფულიანმდიდრებისგან, მათგან გამოვალს. ჩვენებიც იმათ შეცუცქურებენ და როცა სომხები „არასაკადრის“ საქმეს ჩაიდენენ, ესენი არათუ საპირადო გამოანგარიშებით პირში წყალს იგუბებენ, მათ ქომაგებადაც კი გამოდიან დაურცხვენლად. ჩვენ კი ღმერთმა აგვაშოროს ეს ხელობა... ათასჯერაც რომ „სომხიყლაპია“ დამიძახონ, მე კი მაინც მივუთითებ იმ უსამართლობისკენ, რომელიც მამვნებლად მიმაჩნია და არა მიტომ, რომ მე სომხები მძულს და მათი „ყლაპია ვარ“. არა! მიტომ, რომ ისინი მიყვარს და მსურს, რომ ჩვენ შორის ისეთივე განწყობილება იყოს, როგორიც წინაპრებს ჰქონდათ. მინდა, რომ ამიერიდან მათთანაც ძმურად ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთი სწორი გზით მივდიოდეთ მომავლისაკენ, თორემ ცბიერება და ერთმანეთის გადაკიდება შორს ვერც ერთს [ვერ] წაგვიყვანს. ჩვენ ქართველები ამოვვარდებით და ამით არც იმათ, სომხებს შეემატებათ რა!.. ორივეს ის მოგვივა, რასაც „ქილილა და დამანა“ თავის ერთ ზღაპარში გვეუბნება: „ორი შევარდენი ერთ მტრედზე ჩხუბობდენ და მტრედი კი ორივეს ქორმა გამოსტაცა“.

აკაკი წერეთელი
[1911-1915]

[აკაკის სიტყვა გიორგი სააკაძის შესახებ]

„გული, ცნობა და გონება
ერთმანეთზედა ჰკიდიან;
რა გული წავა, იგიცა
წავლენ და მისკენ მიდიან“, —

გვეუბნება „ვეფხის-ტყაოსანი“, და ამ მცირეოდენ სიტყვებში დიდი მსოფლიო სიბრძნეა გატარებული!..აქ გული ნდომად და სურვილადა აქვს ნახმარი რუსთველს. — ადამიანი, რაც უფრო მაღალ ცნობისა და გონების პატრონია, სურვილიც მისი მაღალია, საზენაო და მაღლიდან გადმოჰყურებს თანამედროობას. შორს წასულს, მაღალ საფეხურამდე ასულ კაცს დაბლიდან შევჰყურებთ ჩვენ პატარა-კაცუნები და სავსებით არა გვყავს გათვალისწინებული, პატარად გვეჩვენება; სიმართლით მისი აწონ-გაზომა მაშინ შეგვეძლება, როცა ჩვენც იმის სიმაღლემდე ავალთ და გვერდში ამოუდგებით! მაგრამ ჩვენ ეს არ შეგვიძლია და ქვემოდან შევგანგაშებთ და სწორედ ამის ბრალია, რომ მაღალ გრძნობა-გონების პატრონს, ზეკაცს თან დასდევს შური, მტრობა და ძრახვა მის თანამედროვეთა. ამის მაგალითებს ისტორია გვიჩვენებს: არ ყოფილა არსად, არც ერთ ქვეყანაში მისთანა ამაღლებული მამულის შვილი, რომ მასვე თანამედროვე მოძმეებს განსაცდელში არ ჩაეგდოთ: არისტიდოსი, უანგარობით განთქმული, ბერძნებმა სამშობლოდან განდევნეს, მექრთამობა რომ შესწამეს. ნიჭიერი მხედართ-მთავარი კორიოლანუსი, მხოლოდ იმიტომ, რომ ადვილად დაიმორჩილა საბინიელები, შურმა, როგორც ქვეყნის მაღალატე, რომიდან გააძევა. უთვალავია მაგალითი...მაგრამ რა საჭიროა უცხო ქვეყნების გადათვალიერება მაშინ, როდესაც ჩვენს სამშობლოშიაც, ამ პატარა საქართველოშიც ყოფილან მსოფლიო გმირები და იგივე განუცდიათ, რაც სხვებს სხვაგან... ავიღოთ გიორგი სააკაძე, დიდმოურავად წოდებული. რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ იმაზე წინეთ არ ყოფილიყოს დაწერილი, ის თვით ცოცხალი ტარიელი გვეგონებოდა. გარეგნობა მისი, მცნება-გონება, ნდომა-სურვილი და მათი სისრულეში მოყვანა დაუჯერებელი იყო!..

ზღაპრული! რაღაც საოცნებო! მტრებიც და მოყვრებიც თანასწორად გვიხატავენ. აი, რას ამბობენ მისი მეისტორიენი:

1) „იყო კაცი ესე — ამბობს სომეხთა მეისტორიე არაქელი, — სრული საქმითა, განძრახვითა, გონიერი ყველა საქმეში, წარმოსადეგი, ღონიერი, ტანადი, დიდი მებრძოლი, უძლეველი შემმართებელი და ვისაც ის ბრძოლას გაუმართავდა, ის ყოველთვის იყო დამარცხებული და თავის მოპირდაპირე მხედრობას, ვითარცა მხალსა აღხოცდა და გაჰფანტავდა დედამიწაზე“.

„ფშვინავდა მრისხანების დროს, — ამბობს იგივე არაქელი, — ვითარცა ცხენი მებრძოლი და შესძახებდა ვითარცა ლომი, ვითარცა გენიის მფშვინავი ვეშაპი“.

2) „გარნა ესე მოურავი გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემართებული უშიში“, — ამბობს ვახუშტი.

3) იოსებ თბილელის სიტყვით: „ამისი ერთი შეხედვა არევდა და გაჰფანტავდა ჯარს“.

4) პეისონელის სიტყვით: „ის იყო დიდი დიპლომატი და ღრმად მცოდნე ადამიანის თვისებისა და გულისა“.

აი, რას ამბობენ მასზე შინაური თუ გარეშე ისტორიკოსები! და ეს ყოლიფერი საქმითაც დაამტკიცა სააკაძემ.

საკვირველია, ამისთანა პატარა სამეფომ, საქართველომ, როგორ წარმოშობა ასე გაუზომელი „ტარიელი გმირთაგმირი?“ ჯერ სანამ ამაზე პასუხს მოგცემდეთ, ნება მიბოძეთ, რომ მივმართო ჩვენს ისტორიას და დავიწყო მეხუთე საუკუნიდან. ვახტანგ გორგ-ასლანმა ბევრი საგანძური შემოიტანა ჩვენს ისტორიაში და იმ საისტორიო მემკვიდრეობას ღირსეულად დაუხვდა მეათე საუკუნეში დავით აღმაშენებელი: განწმინდა მტრებისაგან საქართველო და მიტომაც ხალხმა და ისტორიამ უწოდა მას „აღმაშენებლად“ და, მიტომ კი არა, რომ ის აშენებდა ციხე-დარბაზებს, მონასტრებს, ხიდებს, გზებს და სხვათა. არა! იმიტომ, რომ იმან ააშენა მთელი საქართველო და გაადიადა მთელი სამეფო. ქართული თქმულობაა: „მამა შვილისაგან უნდა ითავსებოდესო“. ე. ი. რაც მამამ ვერ მოასწროს და დააკლდეს, ის შვილმა უნდა შეავსოსო. და, მართლაც, დავით აღმაშენებლის ჩამომავლობა ასრულებდა ამ ნათქვამს: შვილი მამას ათავსებდა, თანდათან უმატებდენ ძლიერებას და ძალზე გაძლიერე-

ბული სამეფო გადასცეს თამარ მეფეს. ოჯახის სიმდიდრე და ბედნიერება ყოველთვის დიასახლისია, მამასახლისის კი — გარეთ მოხვეჭა და შინ შემოტანა. ოჯახში შემონატანის შენახვა, მოვლა და გაწესრიგება დიასახლისის ვალია. ეს არის ცხოვრების ყოველ-დღიური საზოგადო კანონი! ამ ისტორიულ მამასახლისებსაც შესაფერ, ისტორიულ დიასახლისად დაუხვდა თამარი; მოიხმარა და გააწესრიგა მამა-პაპათა მონაგვარი. თამარი ორბუნებოვანი იყო; იმაში მარტო დიასახლისი კი არ ისახებოდა, იმავე დროს მამასახლისების შენაძენს, ხმლით ხელში მრავალი შეჰმატა და მიტომაც ქვეყანამ და ისტორიამ აღიარა ის მამაკაცის წოდებით: თამარ-მეფედ და არა თამარ-დედოფლად. ასე თუ ისე, მის ხელში საქართველომ მიიღო მსოფლიო მნიშვნელობა, გაძლიერდა, გადიდდა და ასეთი სამკვიდრო დაუგდო შთამომავლობას, რომ მისი სიკვდილის შემდეგ თუმცა სულ უკან-უკან მიდის ყოველიფერი... ირღვევა სამეფო, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც არ გათავებულა და კიდევ ღაფავს სულს სასიცოცხლოდ. თამარის სიკვდილის შემდეგ გაძლიერდენ მონღოლები, ადვილად დაიპყრეს მთელი აზია. ზარსა სცემდნენ ევროპასაც და როგორც პატარა, ურჩ საქრისტიანოს, შემოესიენ საქართველოს. დიდ განსაცდელში ჩააგდეს, მაგრამ სრულიად მოსასპობლად რომ ვერას გახდნენ მარტო ხმლით, გააყოლეს პოლიტიკაც, ქვეყნის ამრევი, შინაგან განხეთქილების და მოღალატეობის! ეს პოლიტიკური ხრიკები გაუჯდა ნელ-ნელა ძვალსა და რბილში ქართველობას და მიიყვანა იქამდე, რომ საქართველოს ზედა-პირი გახუნდა. გარყვნილმა და გულგადაბრუნებულმა დიდ-კაცობამ: ერისთავებმა, დიდებულებმა და თავადებმა მიიყვანეს სამეფო მეთექვსმეტე საუკუნეში უფსკრულის კარამდე. ერთი ბიჯი კიდევ და საქრისტიანო სამეფო, ოდესმე დიდებული, ჩაინთქებოდა სამარადისოდ. რა იყო ამ ხრწნილების მიზეზი და ან რამ გადაარჩინა ის განსაცდელს?

იმ დროს საქართველოს დიდკაცობა ორად იყოფოდა:

1. სოფლელ თავად-აზნაურობად, რომელსაც აღარაფერი ძალა აღარა ჰქონდა...აღარაფერი გავლენა! და დაბალ წოდებასთან იყო დაკავშირებული რჯულითა და შრომით.

2. სასახლის თავად-აზნაურობად, ესენი სასახლის კარზე იზრდებოდენ. შედიოდნენ შაჰის ჯარში მოსამსახურედ და დიდ-კაცდებოდენ. და მიტომაც ზნე, ჩვეულება, ხასიათი და ერთგულება სპარსელებისა ჰქონდათ. სამშობლო – საქართველოს ეგულგრილებოდენ. ისე უყურებდენ მხოლოდ როგორც საჭმოს და ქვეყნის მართვის სადავე კი იმათ ხელში იყო. ცხოვრების ჩარხსაც ისინი ატრიალებდენ. რასაკვირველია, სპარსეთის პოლიტიკას ხელს უმართავდა და ეს გადარჯულებული ზედაპირი, დაჩაგრულ მეორე ნახევარ ქართველობას თავის ნებაზე ატრიალებდა. ეს თავ-აღებული დიდებულები მეფეს თავს აღარ უდებდენ და შფოთი ჰქონდათ ერთმანეთში. ხშირად გარეშე მტრები შემოჰყავდათ მომხრედ და აოხრებდენ საქართველოს. ის იყო კინაღამ ბოლო მოეღო სამეფოს! თუ არ სასწაული რამ, ანუ საკვირველება, ვერა გადაარჩენდა რა! და კიდევაც მოევლინა საკვირველება! ეს იყო დიდი მოურავი სააკაძე!..

ხან და ხან ხეს დაჭრაქავს და მაღლა შტოები უხმება. არა თუ ყვავილი და ნაყოფი აღარსად არის, ფოთლებიც კი სცვივიან. ერთი შეხედვით, თითქოს გამხმარიაო, მაგრამ არა! ხე კიდევ არ წაიქცევა, თუ კი ფესვები,ის ფესვები, უჩინრად ღრმად რომ არიან ჩამჯდარი მიწაში და ქვეშიდან საზრდოს აწოვებენ ხეს, არ დაზიანებულან. გამხმარ შტოს მაგიერ, ფესვების წყალობით ამოიყრიან ახალი შტოები და ხე ისევ კალაპოტში ჩადგება. ასეა ცხოვრებაც... ცხოვრების ხე, ეროვნობის ძალას, როგორც ფესვები, ის დაბალი წოდება შეადგენს, თუ გაუხრწნელია. ისე მოუვიდა საქართველოსაც. იმ დროს, როცა ზედაპირი... მაღალი წოდება სრულიად გახუნებული იყო, ქვედა პირი, ანუ დაბალი წოდება, ჭირსა და ვაებაში გამობრძნილი, გამოფოლადებული, მაგარზე იდგა და მოელოდა მხოლოდ ახალ შტოს, ახალ ნერგს. ნერგს თავის თავზე ამონაყარს და კიდევაც აუსრულდა სურვილი.

შუაგულ ქართლში სცხოვრობდა ერთი მცირე აზნაური, გვარად სააკაძე და სახელად შიოში, რომელმაც გამოზარდა ოთხი შვილი ერთი მეორეზედ უკეთესი, მაგრამ ერთი მათგანი გიორგი კი საკვირველება რამ იყო. ჯერ ისევ ბავშვი იწვრთნებოდა მეფე სვიმონ დიდის რაზმში და საგმირო საქმეებით აკ-

ვირვებდა ქვეყანას და ოცდა ორის წლისას ხელთ ეპყრა მთავარ-სარდლობა. ჯერ დღესაც კიდევ ბევრს დიდ რამედ მიაჩნია ჩამომავლობა და გვარიშვილობა, და რაღა უნდა ყოფილიყოს ის, ვინც მიუხედავად წლოვანებისა და გვარიშვილობისა, თავში მოექცა ამ გაზვიადებულ თავად-დიდებულთ!? ამისთანა იყო ახალგაზრდა გიორგი სააკაძე, რომელთან დაჯდომასაც ვერ ბედავდენ მისდა ნება-დაურთველად დიდებულები. სვიმონის სიკვდილის შემდეგ, მეფე გიორგიმ ის მიუჩინა მსახურად და მეგობრად ახალგაზრდა მემკვიდრეს ლუარსაბს. შაჰ-აბაზისაგან მოწამლული გიორგი რომ მიიცვალა და მეფობა ახალგაზრდა, გამოუცდელ ლუარსაბზე გადავიდა, სამეფო საქმეები დიდ მოურავს ჩაუვარდა ხელში და ის საოცარის გამჭრიახობით განაგებდა ლუარსაბის სახელით. მიუალ ადგილებში სცხოვრობდენ ოსები და თვითონ კი ხშირად ჩამოდიოდნენ ბარად და უშიშრად აოხრებდნენ საქართველოს. რადგანაც კლდე და ღრეები იყო იქ, მთის არწივების სადგომი და იქ მისვლა ეგონათ, შეუძლებელი იყო, შიშის ზარით ატანილი იყო ყველა. დიდმა მოურავმა, მოულოდნელად გაილაშქრა მათზე, ელვის სისწრაფით გაიარა ის მიუვალი გზები, შეესია დვალეთს და გაავლო მუსრი. იმ დღიდან დამორჩილდნენ ოსები და გახდენ მონად და მოხარკედ ქართლისა. როცა მოიცალა, მერე მიაქცია ყურადღება დიდებულებს და ისე ალაგმა, რომ ერთი მეორეს ვეღარას ერჩოდენ და ემორჩილებოდნენ მეფეს. ერთი სიტყვით, მის ხელში დღითი-დღე ძლიერდებოდა სამეფო.

ლუარსაბმა, სულითა და გულით მინდობილმა დიდ მოურავზე, მოინდომა მისი უფრო დაახლოვება და სთხოვა და, ცოლად რომ შეერთო. შორსმჭვრეტელი მოურავი მიხვდა, თუ რა უნდა მოჰყოლოდა საბოლოოდ ამას და უარზე დადგა. სამჯერ გააწბილა მიგზავნილი მოციქულები; უბრალო ოჯახის შვილია ჩემი და, ან თქვენი რა საკადრისია, მეფის, და ან ქვეყანა როგორ იკადრებს დედოფლადო და ეს უსიამოვნებას ჩამოაგდებს ჩვენშიო! მაგრამ, მეფე რომ აღარ მოეშვა და გადაჭრით უთხრა: „თუ არ შევირთავ, თავს მოვიკლაო“, მაშინ კი, მეტი გზა რომ აღარ იყო, ჩამოართვა ფიცი, როგორც მეფეს, ისე დედამისდედოფალსაც: „რომ არც შენი და როდესმე გავიშორო და შენ

რამე გაგიჭირვოო“. — დაიწერა მეფემ ჯვარი და შეუდგა განცხრომას. ყოლიფერი კეთილად მიდიოდა ჯერ, მაგრამ დრო რომ გავიდა, ტრფიალების სურვილიც მოიკლა ახალგაზრდა ლუარსაბმა. დიდებულთა შურმა და მიძინებულმა მტრობამ ისევ იჩინა თავი. ცოლები და ქალიშვილები ესაყვედურებოდნენ ძმებსა და ქმრებს: „ჩვენ არ შეგვიძლიან, რომ ვიწამოთ დედოფლად და თაყვანი ვსცეთ ვიღაც უგვაროს შვილსაო“. ისედაც გულჩათუთქულ დიდკაცობას რაღა ეს ეჭირვებოდა?! შემოეხვიენ მეფეს, დღითი-დღე აწვეთებდენ ყურში მოურავისადმი სამტრო-საგინებელ სიტყვებს! ყველაზე უფრო ჰშფოთავდა და სცდილობდა, იმ დროში განთქმული, ვერაგი, ლუარსაბის გამზდელი შადიმან ბარათაშვილი. და დღეს ხვალიობით კიდეც მიახწიეს მიზანს. მეფე ველარ გაუმაგრდა სამეფოს კარის კაცებს და მოიშორა ცოლი. ამან ჩამოაგდო უსიამოვნება მეფესა და მოურავს შორის. ამ უსიამოვნებას დაუბერა ყოველ კუთხით დიდ-კაცობამ, გაიზარდა მტრობა და იქამდი მიაღწია, რომ მეფემაც გაიმეტა მისი მოამაგე: რაც გინდათ, ის უყავითო. დიდებულები მიესიენ მოსაკლავად. ოჯახი აუოხრეს, ძმა მოუკლეს, დედა გაუუპატიურეს და ისიც უნდა მოეკლათ... მაგრამ, ამ განხორციელებულმა ტარიელმა გადაირჩინა თავი. ცოლ-შვილით შეაფარა თავი სპარსეთს და იქ იწყო ახალი ცხოვრება. — ტყუილად კი არ ამბობს ავთანდილზე როსტევან: „თუ შენი თავი შენ გახლავს, ყარიბად არ მეგულებიო“. მოურავმა უცხოობაში მიიჩინა თავი: მოკლე ხანში ხელთ იგდო მთავარ-სარდლობა, დაუმონავა შაჰს მრავალი ქვეყნები, გადიდკაცდა, გაძლიერდა, გამდიდრდა და დაუმეგობრდა თვით დიდებულ შაჰაბაზს. ერთი სიტყვით, რაც კი პირადობისათვის საჭიროა, ყოლიფერი ჰქონდა, მაგრამ არ კმაყოფილდებოდა! ეს ყოლიფერი მისთვის უცხო იყო და გარეშე! ერთი რამ ჰქონდა გულში ჩარჩენილი და ჩრჩილივით ჰღრღნიდა საიდუმლოდ. ეს იყო მისი სამშობლო – საქართველო, რომლის ერთ თვალის გადავლებას ანაცვალებდა მთელს მისს საპირადო ბედნიერებასა. და აჰა, ამასაც, ბედი იყო თუ უბედურება მისი, მოესწრო.

ძველთაგანვე სპარსელები იჩემებდნენ ქართლ-კახეთის ბატონობას, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ცარიელი სიტყვა...სახელი,

თორემ არც შინაგან საქმეებში, მართვა-გამგეობაში, არც ხაზინაში და არც სხვა რამეში არ ერეოდენ, არ ეხებოდენ. ჩვენ მხოლოდ ჩვენის ნებით ვუძღვნიდით ძღვენს და ისიც ხალათს. ძნელი სათქმელია, თუ რომელი მეტი იყო? რამდენად ხელშეუხებელი იყო სპარსეთისაგან შინაგანი წეს-წყობილება საქართველოში, ის შეგვიძლია ვიგულისხმოთ შემდეგით: კახეთის მეფე ალექსანდრე სულ იმას ჩიოდა: „ასე გამრავლდა და მოშენდა ხალხი კახეთში, რომ სანადირო ადგილი აღარსად მრჩებაო“, — იმ დროში გარეგნული ქრისტიანობა მეფეების ფანატიკოსობამდე იყო მიწეული და პოლიტიკაში კი კუჭის იქით არ მიდიოდენ. ეუკადრისებოდათ მაჰმადიანთა ვალლობა და შორეულ საქრისტიანოს, რუსეთს ეპოტინებოდენ. ჰქონდათ გახურებული მიწერ-მოწერა, რომ თათრების ბატონობას გადაგვარჩინეთ და თქვენ მოდით, „გეყმობით და გვეპატრონეთო“. გენიოსს შაჰ-აბაზს ეს არ გამოეპარა და, რასაკვირველია, წინააღმდეგი იყო ამისი. ის დარწმუნებული იყო, რომ სანამ კავკასიის სიმაგრეები თათრების, ან მეგობარ-ქართველების ხელში იქნებოდა, სპარსეთსაც არა უჭირდა რა, მაგრამ თუ ქართველები რუსებს მოიყვანდენ და რუსები ჩადგებოდენ მკვიდრად სპარსეთის საზღვრებზე, მაშინ საფრთხე ელოდა თვით სპარსეთს. ოთხასის წლის წინეთ გაითვალისწინა ის, რაც დღეს ემართება!..ბევრი იმეცადინა, მაგრამ ვერ ჩაშალა მეფეების განძრახვა. მოინდომა ქართველების გათათრება, მაგრამ ლუარსაბის და ქეთევანის წამების შემდეგაც, რომ დარწმუნდა, ეს არ მოხერხდებაო, პოლიტიკურის გამოანგარიშებით, მოინდომა, რომ სულ ამოფხვრას დედა-მიწის ზურგიდან საქართველო და მათ ნაცვლად დაასახლოს თათრები. მეტი გზა აღარ რჩებოდა რა!... ეს რომ გადასწყვიტა, შეჰყარა დიდ-ძალი ჯარი გამოსაგზავნათ საქართველოში. ეს საიდუმლოება შაჰის შეიტყო დიდმა მოურავმაც, როგორც გულითადმა მეგობარმა შაჰისამ, შეიტყო და მოეკიდა ცეცხლი. გადაწყვიტა გონებაში, რომ როგორმე ეშველებია განწირული სამშობლოსთვის. მოახსენა შაჰს, რომ მე შეგისრულებ მაგ გულში ნადებსო და წამოუძღვა ჯარს სხვა სარდლებთან ერთად და შვილი კი მისი, პაატა, დიახ გამოჩენილი კაცი სპარსეთში, დასტოვა მძევლად. ეს საიდუმლო მოურავმა გაანდო

ორს კიდევ სხვასაც. ჯერ კიდევ ჯარი არ დაძრულიყო სპარსეთიდან, რომ სააკაძემ მოსწერა წერილი კათალიკოზს ზაქარიას, გავლენიან პირს და წილკნელ მირმანოზს, რომ მას უნდა ხსნა საქართველოსი და მოსპობა სპარსთა ჯარის. „მომეცით მხარი, გამიძღოლეთ თქვენი ლოცვა-კურთხევა და მიიღეთ ჩემგან ჩემი ხმალი, გული და სიცოცხლეო“. ეს საიდუმლო ჯერ-ჯერობით მარჯვე დრომდი იმარხებოდა ამ სამთა შუა. — სააკაძე ჩამოჰყვა სპარსელებს, როგორც მომხრე და განკარგულების მიმცემი. დაქსაქსა, დაანაწილა მთავარი ჯარი, დააყენა აქა-იქ ვითომდა გზის შესაკრავად, რომ შუაში მომწყვდეული ქართველნი ვეღარ წაუვიდეთ. ყოლიფერი რომ მოიმზადა, მერე გაუტყდა ზურაბ ერისთავსაც. ზურაბ ერისთავი იმ დროში იყო ერთი უძლიერეს დიდებულთაგანი და ეჭირა სპარსელების მხარი. როგორც ცოლის-ძმასა და მისგან გაზრდილ-გამოწვრთნილს, აუხსნა გულში ნადები და ურჩია, რომ ეღალატნა სპარსელებისათვის და გამოეხსნა სამშობლო. ვერ იმტკიცა ზურაბმა და მიზეზად ის მოიდვა, რომ რატომ იქავ, სპარსეთშივე არ გამიმხილე ეგ ამბავიო, რომ ცოლ-შვილი იქ არ დამეგდოო? მაგრამ როცა მოურავმა დააშოშმინა, რომ ჩემი საყვარელი პირმშო პაატა იქ დავაგდე მძევლად და ვიცი, რომ სპარსელები ხეირს არ დააყრიან, მაგრამ რაღა მოსაგონია ან ცოლ-შვილი, ან სხვა რამე ქვეყნიური დიდება, როცა სამშობლო განსაცდელშია და შველას ითხოვს!? მართალია, შენ ცოლს დაჰკარგავ, მაგრამ სამაგიეროდ მე შეგრთავ ლუარსაბ მეფის დას და მაშინ გახდები არა თუ მარტო სამეფო სახლის წევრად, ქართლის მემკვიდრეთაც კიო. ამისთანებით დაიყოლია ერისთავი და დაუდვა სპარსელების საღალატოდ, პაემნად ხარება-დღე! იმ დილას უნდა შემოსეოდა და დარეოდა სპარსელებს ერისთავი.

მერე გადავიდა კახეთს, ვითომ ყორჩი-ხანის ჯარების დასახედავად; საიდუმლოდ ინახულა კახეთის გმირი ასლანიშვილი, ქეყნისთვის თავდადებული, გამოუტყდა იმასაც და პაემნად დაუდვა ხარება-დღე, იმ დღეს უნდა მიშველებოდა მისის ჯარით. თვითონ კი მარტო ოთხი კაცით დარჩა ყორჩი-ხანის ჯარში. ესენი იყვნენ: მისი შვილი ავთანდილ, მესხი ილია დიასამიძე, პაატა ხერხეულიძე და პაპუნა და უნდა დაეწყო საქართველოს

გამოხსნა. — წინდაწინ ხმა დააყრევინა სააკაძემ, რომ თეიმურაზ მეფე მოდის იმერლებითა და რუსების დიდი ჯარითო. ხარება დილა რომ გათენდა, ეს ხუთი შეთქმული ნიშანს ეძებდა და გამოცქვიტეს ყური. აჰა, მოესმათ რაღაც უცნაური ხმაურობა. თურმე ზურაბს მიეცა პირში საყვირი ჯარისკაცებისათვის და ისინი აძახებდნენ შორიდან. ამ ხმას ბანს აძლევდნენ მთები და კლდეები...იყო ერთი ზარი და ზათქი. სპარსელებს თეიმურაზი ეგონათ რუსებითა და იმერლებით. შეშინდენ და შემოეხვიენ სააკაძეს. ქართველები, შეთქმულები, გაქვავებულსავით იდგენ და როდესაც ყორჩი-ხანმა ჰკითხა მოურავს: ეს რა უნდა იყოსო, — აი რაო, — უპასუხა მოურავმა და სასიკვდილოდ აძგერა შუბი. მაშინ იშიშვლეს ხმალი ქართველმა გვარებმა და თვალის დახამხამებამდი დააყრევინეს თავები ერთად შეგროვილ სარდლებს. ზარდაცემული ჯარი გონს ვეღარ მოვიდა, ეს ხუთი კაცი კი ჰმუსრავდა მტერს. მოასწრო ერისთავმა მისის მთიულებით და საერისთავოთი და შეიქმნა ჟლეტა. მოვიდა ასლანიშვილიც და მოხდა ის, რასაც აგვიწერენ მეისტორიენი: ქართველები გონს ვერ მოსულ მტრებს ჰკეპდენ, როგორც მხალს. აქ რომ სრულად ამოსწყვიტა სპარსელები, სააკაძემ მიაშურა სხვაგან და სხვაგან მისგანვე დაყენებულ სპარსელებს და მოსრისა. აიღო თბილისი, საიდანაც მხოლოდ სვიმონ მეფე, სპარსელებისაგან დაყენებული, გაექცა. ასე რომ, მცირე ხნის განმავლობაში, ისე გასწყდა სპარსელები, რომ მათი ხსენებაც აღარ იყო საქართველოში. ამ საოცარმა ამბავმა კიდევ უფრო აამაღლა დიდი-მოურავი ხალხის თვალში. მიდიოდა მასთან და გარს ეხვევოდა ახალ-გაზრდობა და დაბალი წოდება; იმისი ხლება და იმასთან სიკვდილი მიაჩნდათ ნეტარებად. დღითი დღე იზრდებოდა საქართველო.

გულ-დამშვიდებულმა შინაგან საქმეებს მიჰყო ხელი და მოუშუშა წყლული საქართველოს. ქვეყანა აღიარებდა იმას მეფეზედაც უდიდესად, ერთი მისი სურვილი და დიდ-მოურავმა იცოდა, რომ ქართლ-კახეთის მეფობა მის ხელთ იყო, მაგრამ, შორსმჭვრეტელმა, გონიერმა დევ-გმირმა იცოდა, რომ რაც ხალხს საუკუნოებით შეუთვისებია, შესისხლხორცებია და რწმენად გადაქცევია, იმას ერთი წამის აღფრთოვანება და ატა-

ცება, ვერ გააქრობს საბოლოვოდ. — ქვეყანას სწამდა, რომ ბაგრატიონთა გვარი ზეცით იყო ნაკურთხი სამეფოდ და მიტომაც გადმოიყვანა სათათრეთიდან, გადავარდნილი თეიმურაზ-მეფე და ჩააბარა ქართლ-კახეთი. თვითონ ამოუდგა გვერდში და თეიმურაზის სახელით ადიდებდა საქართველოს. დადგა საუკეთესო ბედნიერი დრო საქართველოსი. ეს ყოლიფერი გულს უკლავდა ვერაგ შაჰ-აბაზს და ეძებდა მარჯვე დროს. და როცა იხელთა, გამოგზავნა საქართველოში პირვანდელზე უფრო დიდი ჯარი ჯავრის ამოსაყრელად. წელ-გამაგრებულ ქართველობას ახლა აღარა უჭირდა რა, და დაუხვდა მომგერებლად. სწორედ ამ დროს მოჰყვა მარაბდის ომი. — დღემდი, სანამ გაჭირვება იყო, ყველაფერს სააკაძეს ეკითხებოდენ და ახლა, მისის წყალობით რომ წელში გაიმართენ, დიდ-კაცობამ მიჰმართა ისევ ძველებურ ინტრიგებს: მოახსენეს მეფეს: მთავარსარდალი თქვენ უნდა ბრძანდებოდეთ და თქვენ აძლევდეთ ომში განკარგულებასო! ვინ არის სააკაძეო? თქვენ წაგვიძეხით და მივესიოთ სპარსელებს ახლავეო! მეფემაც იკისრა. — ტყვილად აფრთხილებდა სააკაძე: სიფრთხილე გვმართებსო! რა გვაჩქარებს? ეგენი მოდიან ჩვენზე და დეე, ჩვენ დავხვდეთ სიმაგრეებში და საფრებშიო! დამხვდური... ჩასაფრებული ყოველთვის ერთი-ორად ძლიერია მიმსვლელზეო! და ამისთანა პაპანაქებაში მაინც რა დროს ბრძოლაააო (ივლისი იყო). სპარსელები, როგორც ცხელი ქვეყნის შვილები, მიჩვეულნი არიან სიცხეს და ჩვენი მთიულები კი, როგორც სიგრილის შვილები, დათენთილები, ვეღარ იომებენო. არ დაუჯერეს და ასრულდა წინასწარმეტყველება: ერთ სამად მეტმა სპარსელებმა შემოჰკრეს ირგვლივ დაღალული ქართველობა. თათრებს თანდათან ემატებოდათ ახალი ჯარი და დაერიენ ქართველებს. საამაყოა მაშინდელი თავგანწირვა და ვაჟკაცობა, მაგრამ რაღას გააწყობდა რიცხვმრავალ მტერთან... გაწყდა ქართველობა, მოიკლა უკეთესი სარდლები, მათ რიცხვში გამოჩენილი ასლანიშვილი, ორი მღვდელმთავარი... დასჭრეს ზურაბ ერისთავი, მაგრამ ბრძოლას მაინც არ ეღებოდა ბოლო. ამ დროს გავარდა ხმა, რომ თეიმურაზ მეფე მოჰკლესო, მაშინ კი გაუტყდა გული ქართველობას. მართალია, მოკლული გამოდგა თეიმურაზ მუხრან ბა-

ტონი და არა თეიმურაზ მეფე, მაგრამ მაინც გული გაუტყდა ჯარს და ირგვლივ შემოკრული, გასაქცევ გზას რომ ვეღარ ჰხედავდენ, მიიღეს წმინდა ზიარება და ემზადებოდენ გმირულად სასიკვდილოდ. ამ ომში მოიკლა ცხრა ათასი ქართველი. სპარსელები თოთხმეტი ათასი, მაგრამ ურიცხვ ჯარს ამით მაინც არა დაკლებია რა. ამ დროს მიჰმართა მოურავმა უკანასკნელ საშუალებას: მოიხმო ცოლის ძმა დათუნა ერისთავი და შვილი თავისი, გაიმაგრა მხარი და გადავარდა სპარსელების რაზმში, შეჰკივლა, გააპო სისქე და გაუკეთა გზა გასასვლელი დაჭრილებს. გადარჩენ დაჭრილები სიკვდილს, მაგრამ მაინც მარაბდის ომმა ბოლო მოუღო ქართველობას. მეფე გაიხიზნა, დიდებულები ვინც კი გადარჩენ, განზე გადგენ და მიატოვეს ასაკლებად საქართველო. არ დამორჩილდა მხოლოდ სააკაძე: იმას თან ახლდა სამოცი განთქმული ვაშკაცი, პირადი მეგობრები, და ახლა სხვა რომ აღარა მოხერხდებოდა რა, იერიშობას მიჰყო ხელი. ეცემოდა თავზე ხან აქ, ხან იქ სპარსელებს და არ აძლევდა მოსვენებას... გაუჭირვა მათ საქმე.

შაჰ-აბასი ახლა ასე აღარ მრისხანებდა საქართველოზე, როგორც პირადად სააკაძეზე. მოსჭრა თავი მისს შვილს პაატას და, ტომარაში გამოხვეული, გამოუგზავნა მამას!

საქართველოს დიდ-კაცობას დაუწყო ქალაჩუნობა და მეფესაც მოსწერა სამლიქვნელო წერილები: „მე მხოლოდ სააკაძის დასჯა მინდა, და სხვას არავის ვერჩიო!“ ეს ყველას ეჯერა გარდა სააკაძისა და ის არ ანებებდა თავს თარეშობას.

დღითი-დღე იზრდებოდა და მატულობდა სათარეშო ჯარი და მარცხი მარცხზე მოსდიოდათ სპარსელებს. მოუსვენრობაში ჩავარდა საქართველო. მაშინ თბილელმა მიტროპოლიტმა დიონოსემ სთხოვა, გათათრებულს და სპარსელებისაგან მეფედ დასმულს, სვიმონ მეფეს: ნება მიბოძე, მე დავამშვიდო მოურავიო! წავიდა მოურავთან, თან იახლა ტროფილე მცხეთის მღვდელმთავარი, მივიდენ მოციქულები, დაიჩოქეს სააკაძის წინ და სთხოვეს:„დიდი ხანია ვართ შეჩვეული სპარსთა მონობას და შენ დაგვანებე თავი, ნუ ებრძვი მათ, ნუ იწვევ ჩვენს თავზე მათ მრისხანებას... სადა გვაქვს ძალა, რომ იმათ გავუძლოთო?“ მოურავმა უპასუხა: „მაშინ დავანებებ თავს, როცა საქართვე-

ლოში სპარსელი აღარ იქნებაო“. წყევლა-კრულვით გამობრუნ-დენ მღვდელ-მთავრები. რადგანაც მეფეც ამ აზრისა იყო, მოხ-და განხეთქილება: მთელი ქართლი ორად გაიყო: ერთი მხრით იდგა მეფე და დიდკაცობა და მეორეთი სააკაძე მისის თანა-მოაზრეებით ხელ-კეტიან დაბალ-წოდებით. — ამან გამოიწვია ბაზალეთის ომი. ამ „ბაზალეთის“ ომს უნდა გადაეწყვიტა საქართველოს არსებობა თუ არ არსებობა! ძმა ძმის სისხლსა ჰღვრიდა სპარსელების სასარგებლოდ!.. მოურავი გრძნობდა ამ ომის აუცილებლობას, მაგრამ იმავე დროს ეზარებოდა მოძმეთ სისხლში ხელის გასვრა და თვითონ აღარ გაერია ბრძოლაში; თავის მაგივრად შესვა თავის ცხენზე მესხი გოგორიშვილი, ახოვანი გმირი, ჩააცვა თავისი ტანისამოსი, აღჭურვა თავის იარაღით და შეუშვა ომში. — რამდენიმე კაცს ზურაბის ჯართა-გან პირი შეეკრათ, რომ ღალატით მოჰკლან მოურავი. მოურავი ეგონათ და მოჰკლეს გოგორიშვილი. შეიქმნა ძახილი:„მოურავი მოკლესო!“ და ამან დააყრევინა მოურავის მომხრეებს იარაღი. მაშინვე იკადრა მოურავმა ომში შესვლა! „ცოცხალი ვარო!“ მი-აძახა ჯარს, გაამხნევა მომხრეები და გადაეშვა საომრად, გააპო მტრის რაზმი და გაიყვანა თავისი დამარცხებული ჯარი, — ამ დამარცხებამ მართლა ბოლო მოუღო ქართველობას და მიტო-მაც, მარტო დარჩენილი მოურავი გადავიდა იმერეთს, აქ მეფე-სა და მთავრებს აგულიანებდა, რომ არ აჰყოლოდენ შეცდომის გამძრახველ თეიმურაზს!

რომ არა გაუვიდა რა, იქიდან გადაიხვეწა სათათრეთში და გადაიხვეწა იმ განზრახვით, რომ უკუ არ ეგდო თავისი სურვი-ლები და თურქების შემწეობით მობრუნებოდა ისევ საქართვე-ლოს. — ხონთქარმა იცოდა მისი დევ-გმირობა და სიხარულით მიიღო და სააკაძემაც წინადადება მისცა: თუ ჯარს მომახმარ, მე შევაერთებ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შენის სახელით და ორივე ერთად შენს მფარველობის ქვეშ იქნებაო. ხვანთქარი დაეთანხმა, მაგრამ შესჩივლა: ჯერ სანამ შინა მაქვს არეულობა და სპარსელებთანაც ომი არ შემწყდარა, ახლავე არ შემიძლია და როცა ამაებს მოვრჩები, მაშინ კი შენი ნება იყოსო.

აჯანყებულებში სოხატელები ყველაზე უფრო საშიში იყო. ვაჟკაცობის გარდა სიმაგრეებიც ხელს უწყობდენ მათ. წელი-

წად-ნახევარი იდგა ნაზიმ-ვეზირი დიდ-ძალი ჯარით და ვერა გააწყო რა მათთან. ხვანთქარმა ჯერ პირდაპირ იქ გაგზავნა მოურავი მთავარ-სარდლად მისის თანხლებულ ქართველებით. მოურავმა დაათვალიერა სოხატელების ციხე და ნახა, რომ მისი იერიშით აღება შეუძლებელი იყო.

მორთო ქართველები ვაჭრულად, შეაპარა ციხეში, გააღებია ციხის კარები, შეესია და აიღო სამი დღის განმავლობაში. ამისთანა გმირობამ აღტაცებაში მოიყვანა სტამბოლი. ხვანთქარმა შეუთვალა, რომ ბაღდადიც აეღო, მოურავმა ოთხი ათას თურქით და თავისის მხლებელ, ქართველ გმირებით, ათი ათასი სპარსელები გაჰფანტა. აიღო ბაღდადი და სულ მოკლე ხანში დაუმორჩილა ხვანთქარს სხვა აჯანყებულებიც. ამ გმირობამ გააოცა მთელი თურქობა და ხვანთქარსაც მზე და მთვარე სააკაძეზე ამოსდიოდა. მზად იყო, რომ ნებას მიჰყოლოდა სააკაძეს და მისი სურვილიც აესრულებია საქართველოს შესახებ. საქართველოს მზე ხელახლა უნდა ამოსულიყო. მაგრამ დახედეთ უბედურებას: ნაზიმ ვეზირი იყო ხვანთქრის სიძე. მისი ღვიძლი და ჰყავდა ცოლად და გააფთრებულმა ქალმა შეუთვალა ქმარს: „აღარ არის შენი სახელის ხსენებაო! დაგჩრდილა გურჯიმ და მოჰკალ როგორმეო!“

ჯერ უარზე იდგა ვეზირი, მაგრამ რომ აღარ მოეშვა ცოლი, მოჰკლა ღალატით სააკაძე და მასთან ერთად გაწყვიტა ქართველობაც 1630 წ.

ასე დასრულდა ამბავი ამ საარაკო გმირის. ამისი სურვილი იყო ენახა საქართველო თამარის დროინდელ საქართველოდ, ამას შესწირა ყოველივე სოფლის დიდება: ოჯახი, ცოლ-შვილი, ჩაიგდო თავი განსაცდელში. იტანდა ყოველ გასაჭირს 35 წლის განმავლობაში და ბოლოს საფლავში ჩაიტანა სურვილები!.. აი, ამისთანა კაცს ვასამართლებთ დღეს, სასაცინოა!.. დღეს როდესაც ჩვეულებათა გვაქვს გადაქცეული ფეხზე-წამოდგომით პატივი ვსცეთ სრულიად უმნიშვნელო პირებს...ვასამართლებთ საარაკო დევ-გმირს, თავდადებულ მამულიშვილს და ერთმანეთს ვეკითხებით: მოღალატეა თუ არაო? ვაი, ამისთანა დროს და უი! ჩვენც ამ დროს ჩაცვენილებს!...

1911

ძველი აღზრდა I

მერვე საუკუნიდან რომ მაჰმადიანობა შემოვიდა ქვეყანაზე და მისმა აღმსარებელმა თათრობამ თავი იჩინა და გაძლიერდა, მთელი თავისი ძალით იერიში საქრისტიანო სამეფოებზე მიიტანა. მისი სურვილი იყო, ქრისტიანობა ამოეგდო და მის ნაცვლად ისლამი გაევრცელებინა. თითქმის კიდევაც მოიყვანა სისრულეში ეს განზრახვა: მაშინ მხოლოდ განთქმული, დიდებული ვიზანტია სრულიად დაამხო და კონსტანტინოპოლი სტამბულად გარდაქმნა. ბევრი ქვეყნები სლავიანთა დაიპყრო, ევროპიას კალთები ჩამოაგლიჯა, დღითიდღე ითქვამდა სახელს, მაგრამ პატარა საქრისტიანო სამეფოს, საქართველოს, საცოდვავად მიგდებულს აზიაში, ვერა დააკლო რა, თუმცა ყოველი კუთხით ეტანებოდა. იმან, ე.ი. საქართველომ საუკუნოების განმავლობაში ბევრი ტანჯვა აიტანა მათგან, მაგრამ რჯული და ეროვნება მეცხრამეტე საუკუნის კარამდი შეუბღალავად მოიტანა. წარსულს რომ თვალი გადავავლოთ, ამას რაღაც სასწაულად მივიჩნევთ ან საკვირველებად, მაგრამ ეს მხოლოდ ნაყოფია ქართველების გმირობის და ეს გმირობაც მათი აღზრდის მიზეზი იყო! მაშინ დედები დრო და მოთხოვნილების შესაფერად ზრდიდნენ შვილებს. ყოველი ქართველი მაშინ იმ აზრით იყო გამსჭვალული, რომ მხოლოდ ქრისტიანობა და ეროვნება შეირჩინეს. მისთვის არის გაჩენილი, „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო“, — ამბობდენ და თავის პატარა საქრისტიანო სამეფოს გარს კედლად ევლებოდენ. რამდენი შეტაკება ჰქონიათ ყოველი მხრით! ერთი ათს ებრძოდა და ასსზე ათი, ან ოცი თუ მოდიოდა მეომარი. რიცხვით თანასწორობა არაოდეს არა ჰქონიათ. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ ესენი ყოველთვის დამხვდურები იყვნენ. ასე თუ ისე, ქართველების ვაჟკაცობას სახელი დიდი ჰქონდა დავარდნილი. მტრებიც კი აფასებდნენ და თათრებმა რომ იერუსალიმი აიღეს და იერუსალიმში შემსვლელს, ყველას, ვინც უნდა ყოფილიყო, იარაღის აყრა დაუწესეს და ბაჟის გადახდა, მხოლოდ ქართველები იყვენ განთავისუფლებული ამ ვალდებულებისაგან. დიახ, დიდი გმირობა გამოიჩინეს

ქართველებმა და ეს სულ მათი სპართანული აღზრდის შედეგი იყო. დავიწყოთ თავიდან: ორსული დედა-კაცი რომ ლოგინად დაწვებოდა, ქმარს, როგორც მიზეზს, ნება არა ჰქონდა შინ დასწრებოდა. თუ მეზობელი ახლოს ჰყავდა, წავიდოდა მეზობლისას და თუ არა, თავის ეზოშივე სადმე ან საფარეშოში, ან სამოახლოში, ან სამზარეულოში, ან სხვაგან შევიდოდა და იქიდან უგდებდა ყურს ცოლის ტანჯვას და ისმენდა კივილს. მელოგინეს უთუოდ უნდა ეკივლა და თუ ის დაიღალებოდა, მაშინ მოსამსახურეს გადმოაყენებდენ და ის კიოდა. როდესაც დედა-შვილი გაიყრებოდა, გავარდებოდა თოფი და მახა-რობლებიც გასწევდნენ ქმრისკენ, მიულოცავდენ და თუ ვაჟი იყო, საჩუქარსაც მიიღებდენ. მაშინ კი წამოვიდოდა სახლში ქმარი და შევიდოდა სახლში მელოგინის ოთახში, წინ ბებია მი-ეგებებოდა და თაფლს გამოუსვამდა პირში. ეს ასე იყო, სანამდი შაქარი და შაქარი-ყინულები გაჩნდებოდენ ჩვენში. ვაჟის შეძე-ნით გახარებული მამა საჩუქარს აძლევდა ბებიას. ძველ დროში, როგორც მეომარი, ვაჟი უფრო ფასდებოდა ქალზე. პირველ დღეს ყველა საქმეში იყვენ: ახალშობილს გაჰბანდენ, ჭიპს მოს-ჭრიდენ, მელოგინეს უვლიდენ და ერთ ფაცი-ფუცში იყვენ. მე-ორე დღეს სახლს რომ გაწმენდდენ — გაანათებდენ, მერე შე-უდგებოდენ ღამის თევას. ღამის თევა უხსოვარი დროიდან იყო შემოტანილი. სტუმრები დაუპატიჟებლად მოიყრიდენ თავს და მთელი ღამე უნდა ეთიათ. მელოგინეს გადააფარებდენ ძველ ბადეს (უტყვიოდ), რადგანაც ბადე ნაკურთხია და ავადმყოფს მავნე ვეღარა რა მიეკარებოდა. დასტოვებდენ მარტო ოთახში. იქ მხოლოდ ბებია დარჩებოდა. თვითონ სტუმრებით სხვა ოთა-ხები გაივსებოდა და იქ ერთი ხრიალი, სიმღერა და სხვადასხვა თამაში იყო გათენებამდი. თუ ახალშობილი ვაჟი იყო, ფერხულს აბამდენ და სხვადასხვა საგმირო ლექსებს ამბობდენ: თუ — ქალი, მაშინ სტუმრები ორად გაიყოფოდენ. ერთი მხარე წარმო-ადგენდა ქალის მომხრე დასს, მეორე – ვაჟისას და გაიმარ-თებოდა სახუმარო ნიშნაობა. ქალი ტახტზე მჯდომ დედოფალს წარმოადგენდა და ვაჟს შემოიყვანდენ, მოიყვანდენ ქალთან სიმღერით და ეტყოდენ: „ა, ნიშანი, ბანი შანი, ქალი გვიბოძეო!“ თუ სასიძო არ მოეწონებოდათ, დედოფლის მომხრეები ეტყო-

დენ: „არ გვინდა შენი ნიშანი, უკან წაიღეო!“ და სხვა. სიძის მხლებლები დაადგებოდენ ძალას. მოუვიდოდათ ჩხუბი, რასაკვირველია ხუმრობით. სიცილ-ხარხარით გათავდებოდა ჩხუბი და მერე გადადიოდენ სხვა შესაქცევარზე. სათამაშოები ბევრგვარი იყო: 1) მოხუჭავდენ მუჭებს. ერთში დამალავდნენ რამეს და ასე ორივეს დახუჭულს მიუშვერდენ ერთიმეორეს და ეტყოდენ: „მოიშ, მოიშ: კაკა რუზა“ და გაუშვებდენ ორივე მუჭს. გამომცნობი ერთსა და ერთს დაარტყამდა და თუ იქ იქნებოდა ნივთი — გამოიცნობდა და თუ არა — საკანონოს გადაახდევინებდენ. 2) ხელმწიფობა, „ანუ ვეზირობა“ იყო ორად გაპობილი თხილის რიკები. იმას აყრიდენ და თუ ორივე ერთად გულაღმა დაეცემოდა, ის ხელმწიფედ გამოვიდოდა, თუ ორივე გულდაღმა, ის ვეზირობას იღებდა. და ვისაც რიკი ერთი აღმა დაეცემოდა, მეორე დაღმა, ის მუხანათი იყო. იმას ხელმწიფე საკანონოს დაუნიშნავდა და მისი ვეზირი გადაახდევინებდა. 3) ტკეჩობა: ერთს ვისმე დამნაშავეს აუხვევდენ თვალს, მეორე მოვიდოდა და დაჰკრავდა ტკეჩს. თუ გამოიცნობდა დასჯილი, მერე იმ მეორეს ჩააყენებდენ. 4) „ხიჭინობელობა“. თვალახვეულს უნდა დაეჭირა ქურდი, რომელიც ხან აქ დაახიჭინებდა და ან იქ. გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე და სხვანი ყველა სათამაშოები ამგვარი იყვენ. დიდი აზრის არ იყვენ. მხოლოდ იმ თამაშობის დროს ყველა თანასწორი იყო ერთიმეორის. არც უფროსი და არც უმცროსი, არც ბატონი და არც ყმა! თუ ვაჟის ლოგინობა იყო, მაშინ „მზე-შინაო“-ს იმღერდენ, ფერხულს დააბამდენ ხოლმე. რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა ერთმანეთს ხელიხელს გადახვევდენ და დაუვლიდენ ფერხულს. თან იმღეროდენ და თან ფეხს აყოლებდენ სიმღერას. „მზეშინას“ გარდა სხვასაც ბევრს საგმირო ლექსებს ამბობდენ. ამ ყოფაში იყვენ გათენებამდი. გათენებისას „სირის-კუდას“ სჭამდენ და დაიშლებოდენ. ეს ყოფა გრძელდებოდა ბევრ ხანს, რადგანაც მელოგინე უეჭველად ორმოცი დღე უნდა წოლილიყო. ორმოცი დღის შემდეგ ახალშობილს გაატანდენ ძიძას სოფელში და იქ იზრდებოდა როგორც სხვა გლეხის შვილები: ზოგჯერ მშიერი, ზოგჯერ მწყურვალი. ხან შიშველი, ხან ტიტველი როგორც გლეხის შვილები, ისე ფეხშიშველი და

უქუდო. ბევრი გასაჭირი ადგათ, მაგრამ მაგიერად ისე გამომთელებული იყვენ, რომ არ იცოდენ ან გაცივება რა იყო და ან „ქარ-მჭვალა“. სამწყესურში დადიოდენ, სოფლის ბიჭებთან ერთობოდენ, თამაშობდენ სხვადასხვა სათამაშოებს: ერთმანეთს შაირებს და ზღაპრებს ეუბნებოდენ, ხან ჭიდაობდენ და ხან — ჯოხის ცხენებზე გადამჯდარი ერთმანეთში ჯირითობდენ და სხვ... ერთი სიტყვით, [ ][1] განწყობილება ჰქონდათ გლეხის შვილებთან. თანშეზდილი მეგობრები იყვენ და ეს მეგობრობა და სიყვარული სიკვდილამდი შერჩებოდათ ხოლმე. აი, ამიტომაც არ იყო მკაცრი ბატონ-ყმობა ჩვენში როგორც სხვაგან და მხეცური სასტიკობა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნიდან შემოგვეპარა, როცა ჩვენი კანონები და ჩვეულება დაიკარგა და სხვისი გამეფდა. რამდენიმე წლის ოჯახიშვილს გლეხებში ფეხადგმულს, ენაამოღებულს, გლეხურად გაწვრთნილს, მალხაზს, მარდს, მარჯვეს, ფიზიკურად ყოვლად გამოკენჭებულს, გადაიყვანდენ სასახლეში დედ-მამასთან და იქ დაუწყებდენ ზდას სულ სხვანაირად. გლეხურს, მართალია, რაც იქნებოდა, გადაჩვევდენ, მაგრამ ბევრი რამ კი შერჩებოდათ ხოლმე.

აკაკი
(შემდეგი იქნება)

[1] ტექსტი არ იკითხება.

წერილები საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის საკითხებზე

წიგნი მიწერილი რუსეთუმესთან

დიდის სურვილით მოველოდით განგრძელებასა თქვენის[1] სტატიისასა, მაგრამ ეს ორი თვეც გავიდა და ჩვენ არა გვეშველა რა — ვერ შევიტყეთ მაგისი დაბოლოება. რა მიზეზი არის მაგისი, ვერ გამოგვიცვნია, მხოლოდ ეს კი ვიცით, რომ მაგვარი მოქმედება არ შეშვენის უ. მწერლებთა. ერთი მიბრძანე, შენი ჭირიმე, ჩვენისთანა, დამცრობილსა და შეწუხებულს ხალხსა, სხვათა შორის, რაღა ეგ უპატიურობა გვინდა, რომ ჩვენმა მწერლებმაც არათ ჩაგვაგდონ: წაგვიკითხონ დაუსრულებელი სტატია, რომლის განგრძელება შემდგომ ნუმერში აღგვითქვან და მერე იმტონ ხანს გაჩუმდნენ, რომ ან სრულებით იმედი გადაგვიწყდეს, ან ის შემდგომი ნუმერი შემოდგომაზედაც ძლივს გამოვიდეს. რასაკვირველია, ამგვარ უპატიურობის მიღებისა ჩვენ არა ვართ ხამნი; მაგრამ რასაც ადვილათ მოუთმენთ ზასედატელებს და სხვათა, რომელნიც ვერა გრძნობენ თავიანთ მოქმედებასა, ამას ვერ ვაპატიებთ უ. ჩვენ მწერლებთა, რომელთაგანაც მოველით იმგვარ ქცევასა საქმით, რაგვარსაც თვითონ გვიქადაგებენ სიტყვით. მე მგონია, რომ მაგათ საქმეში და სიტყვაში არ უნდა იყოს განსხვავება, პირისპირ ეგენი ყველანი სიტყვით და მაგალითით უნდა გვასწავლიდნენ პატიოსნებასა და კეთილშობილურ ქცევასა, თუ უნდათ, რომ მაგათ ქადაგებასა ჰქონდეს წარმატება და ამაოთ არ ჩაიაროს. მე მგონია, რომ ეს კანონი კარგად მოეხსენებათ უ. მწერლებსა და თუ ახსოვთ, მაშ რა არის მიზეზი ამგვარი უცერემონიო ქცევისა ჩვენ საზოგადოებასთან? იქნება სხვათა შორის ისიც იყოს, რომ რადგანაც ჩვენ ხმას არ ვიღებთ არც კალმით და არც ბეჭდვით არა რომელისამე განჩინებაზედ ჩვენი საზოგადო ცხოვრებისა, თქვენა გგონიათ, რომ ჩვენ არა გვეყურება რა?!

ქართველობას გეფიცები, მოწყალეო ხელმწიფევ უ. რუსეთუმე! რომ თუ თქვენც ესე ფიქრობთ ამ საგანზედ, ძალიან შემცდარი იქნებით. მართალია, ჩვენი საზოგადოება შეჩვეული არ არის ბეჭდვით და კალმით თავის აზრის გამოთქმასა, მაგრამ

[1] აკაკი წერს: „თქუ ნის“, მაგრამ აქ და სხვაგანაცა, სადაც მწერალი იცავს ჟურნ. „ცისკრის“ ორთოგრაფიას, ჩვენ ვიძლევით ახალი ქართულის მართლწერის მიხედვით.

გარწმუნებთ, რომ არა ანბავი საზოგადო ჩვენი ცხოვრებისა, არ გაივლის ისე, რომ არ შანიშნოს, გაარჩიოს და მერე წარმოსთქვას თავის აზრი.

არ გაგიგონიათ სხვა და სხვა ჩვენი საზოგადოების ყრილობაში, რომ გამოვა რომელიმე იმისთანა და მოჰყვება ლაპარაკსა, აი რა მომხდარაო...

ან მდგომარეობა ამა და ამ საგნისაო...მაშინვე გააჩუმებენ და ეტყვიან: კარგიო, გავიგეთო... გეთაყვა, სულს ნუღარ გაგვიწვრილებ მაგდონი უბედურების გაგონებითაო. რას ნიშნავს ესა? მე მგონია იმასა, რომ არიან იმგვარი საგნები, რომელზედაც ბევრს ხანს ულაპარაკნიათ, უწუხნიათ და შაუდგენიათ დასასრულ თავიანთი აზრი, რადგანაც ჩვენ არ ვაცხადებთ ბეჭდვით თუ კალმით ჩვენ საჭიროებასა, არ გამოვდივართ შავის ბაირაღებით მეიდანზედ, არ გიგზავნით დეპუტაციებს. უ მწერლებსა, რომელნიცა არ გვშველით ისე, როგორც საჭიროება ითხოვს, იმ ჩინოვნიკებსა, რომელნიცა გვძარცვიან, უ. მებატონეებს, რომელნიცა სტანჯვენ და აწუხებენ განა თუ თავიანთ გლეხკაცთა, — ეგრეთვე მეზობელ მებატონეებსაცა. იმ უ. რომელთაცა ჰსურთ ჩვენი და ჩვენი ქვეყნის ბედნიერება, მშვენიერის ქალებისა, რომელთაც, საუბედუროთ, არც კი ეყურებათ თავიანთი საზოგადო მნიშვნელობა; ყველას წარმოგიდგენიათ, რომ ჩვენ არა გვეყურება რა, ვართ დიდ საავათმყოფო ძილში, ხოლო თქვენ გვჩხვლეტთ და გვისობთ დანასა იმ აზრით, რომ ყოველივე მოქმედება თქვენი სწორე თუ ბრუნდე, ავი თუ კარგი ჩვენთვის დიდი სასარგებლო და სასიამოვნოა. მაგრამ მართალია ესე? ვინ უნდა მოგცესთ ამისი პასუხი? ვინ უნდა დაგიმტკიცოსთ თქვენ — საზოგადო მოქმედთა პირთა, რომ მრავალი თქვენი მოქმედება სასარგებლო კი არა, დიდი სავნებელიც არის; ვინ უნდა წარმოგიდგინოსთ იმტონი თქვენგან წამლობაში დაკოდილი საგანი; ვინ უნდა გამოგიცხადოსთ ჩვენი ტანჯვა, წუხილი, გაუზდელობა, უგზოობა, დავიდარაბა და სხვა. ჩვენი დავიდარაბა, იქნება, ხალხის საქმეც იყოს, მაგრამ წელანაც მოგახსენეთ, რომ ჩვენ არა ვართ შეჩვეულნი ბეჭდვით და კალმით ჩვენი აზრის გამოთქმასა, ჩვენ არცკი ვიცით რა და როგორ უნდა დავსწეროთ, ანუ გამოვსთქვათ. ერთი აზრის წერის გარდა სხვანაირი წერა არა უსწავლებიათ რა და იმასაც ლამის

თავს ვანებებთ, რადგანაც იმითაც არა გვეშველება. მე მგონია, რომ ჩვენი დაჩუმება აქედამ წარმოსდგება და მაგითვე გამართლდება; ეხლა გვიბრძანეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რა მიზეზიდამ წარმოდგება ეგ თქვენი დაჩუმება და რა საბუთებით გამართლდება.

იქნება თქვენ იმისათვის არ იწუხებთ თავსა ორიოდ კალმის მოსმით, რომ რედაქცია შეუძლებლობის გამო თქვენი შრომის ფასს ვერ გადაიხდის და საზოგადოება მაგისთანა დავალებისათვის ვერც პენციას დაგინიშნავსთ და ვერც ჩინზედ წარგადგენთ? არა მგონია, რომ ამ საბუთებით შეგეძლოთ თქვენი დაჩუმების გამართლება და ვინ გაამართლებს, შენი ჭირიმე, მათა, რომელნიც ცეცხლის ანუ სხვა სახალხო უბედურების დროს თამამათ გამოვიდნენ, შეეძლოთ იმ უბედურების მოსპობა, მაგრამ ხელი არ გაანძრიონ: ვის ვუშველოთ არცკი გვცნობენო, ან ვის რას მოგვცემსო.

ვერც იმით გაიმართლებთ თავსა, თუ რომ იტყვით, ჩვენ ქვეყანაში ბედნიერების მეტსა არა უბედურებას არა ვხედავთო და რაზედ უნდა ვილაპარაკოთო. ოღონდ ამას კი ნუ იტყვით და სხვა რაც გინდა სთქვით. ეს თქმა ხალხისათვის არ იქნება სასიამოვნო, მეტადრე თქვენგან, რომელზედაც სრულებით არა აქვს იმედი გადაწყვეტილი და მოელის კიდევ ბევრ კეთილ საქმესა. რას იტყვიან, მაინც რასა ხედავთო, თუ უბედურების სპილოებიც ვერ დაგინახამთო. და ამ სხვათა შორის რამტონს მაგალითს წარმოგიდგენენ თავიანთ სიტყვის დასამტკიცებლად. აგერ თორმეტი წლის ყმაწვილი, რომელსაც ჯერ ანბანიც არ აუღია ხელში, აგერ მეორე სალდათის ტანისამოსითა შაგირდი, რომელიღაც სპარტანის შკოლისა, აგერ მესამე რუსეთში წამსვლელი სასწავლებლათა, რომელსაცა დედა დასტირის და გამოსალმების დროსა ეუბნება: ნახვამდის, შვილო, გულში კი ფიქრობს: ვაიმე, თუ შენ ველარ მოხვიდე და ან მე ველარ მომისწროო, აი საწყალი ყმაწვილი კაცი რკინის ქალამნებითა და ჯოხითა დავიდარაბაში გაბმული ყური დაუგდეთ, რას ამბობს: ნეტავი, ჩემს სიცოცხლეში მაინც გადავწყვიტო ეს დავაო, რომ ჩემ შვილებს არ დაუგდოო; აგერ გლეხი კაცი ატუზული სასამართლოს კარების წინა ზავტრა და პოსლე ზავტრა, სამსე ხურ-

ჯინითა, აგერ შვიდი წლის ტუსაღი, რომლის საქმის გასინჯვას ჯერ რიგი არ მოსვლია. ბედნიერებაა ესა?

აგერ, გადაბრუნებული ღვინის ურემი, აგერ მეორე ურემი შიგ მჯდომის ავათმყოფის ქალითა, რომელიცა მოდის ქალაქში მოსარჩენად. წარმოიდგინეთ მისი ტანჯვა ყოველს ურმის თვალის გადატრიალებაზედ და მაშინ შაიტყობთ ჩვენი გზების სიკეთეს. აბა, ახლა მიბრძანდით სოფელში და დახედეთ გლეხკაცების ცხოვრებას, გაიგეთ იმათი ქონება, შემოსავალი, ხარჯი, სამსახური და მერე ახსენით, რატომ ეგენიც ისრეთ არ არიან ბედნიერნი, როგორც მათგანი მეზობლები ნემეცები. გაიგეთ გუშინდელი ბალატიროვკა ინსტიტუტში: ას ოცდაექვსი კანდიდატკა რუსების ქალებისა და ხუთი ვაკანსია. სამოცი ქართველობისა და ოთხი ვაკანსია. იცით, როგორა ჰსურთ ქალებს წიგნის კითხვა? თუ დაგვიწყებიათ ის, რომ გახსოვს, რომ წასაკითხი წიგნი არა აქვთ რა. რამტონი ათასი ყმაწვილნი ქალნი გვისხედან ყელგადაგდებულნი, რომლის გონება დავითნსა და ორიოდ ხელნაწერ წიგნსა, სხვას არა რას მიუწვდება. მოიფიქრეთ, რომ აქამდინ არა გვაქვს ჩვენ არც ერთი გამართულობა, რასაც ჩვენი სახელი ერქვას და სადაც ჩვენი შვილები იზარდნენ.

აბა ახლა ჩამოვიაროთ რაოდენიმე სახლები და ვნახოთ, რა მდგომარეობაში იმყოფება სახლეულება: მეორე საათია შუაღამისა, ვიღაც არახუნებს, დედი, შენი სიძე ხომ არ არის? არა, ის არ არის, ეხლა კი მალე უნდა მოვიდეს. ახ, ღმერთო, ეს რა ჭირში ჩავარდით! მე არ გეუბნებოდი, დედაჩემო, რო მაგაზედ ანბობდნენ ჭირვეულიაო! რა ვქნა, შვილო, ვინ იცოდა? მეორეც ესა, შეძლების პატრონია, თვალი მაგისთანა შეძლებასაც დაუდგა, ეუბნება ქალი. რამტონი უბედურება წარმოსდგება შეუფერებელი ცოლ-ქმრობიდან და იმ ჩვენ ჩვეულებიდამ, რომ ოღონდ კი ქალი გაათხოვონ და ვისაც უნდა მისცენ, სულ ერთია.

აგერ უბრალო ხელოსნის ქალი, დასცქერის ტანისამოსებს და ანბობს: დღეს ეს კაბა მეცვაო, კვირას აღარ ჩამეცმებისო, ახ, რა იქნა მამა ჩემი? ან იმან როის უნდა მომიტანოს საკაბე და ან მე როდისღა გამოვჭრა. ამ მამას კი ისე გასჭირებია ცხოვრება, რომ დგას მეიდანზედ და ითხოვს მოწყალებას.

აგერ სახლეულობა საწყალი კაცისა, რომელსაც ორი დღეა პური არ გაუტეხნია. მისუსტებულა თავის და შვილების მწუხარებით, დედა ძლივს აშოშმინებს ყმაწვილებსა. ეხლა მოვა მამაო და პურსაც მოიტანსო და ჩიჩიასაცო. შემოდის მამა დაღონებული და გადმოუგდებს ვერცხლის ქამარსა, გაიტა დააგირავეო. ყველანი სხდებიან პურის საჭმელად მამის გარდა, მშიან და ვერ მიჭამია, ყელში აღარ ჩადისო. შემდგომ ყველანი წვებიან, მამა კი დადის გაცხარებული ოთახში, რაღაც საზარელი ფიქრი აწუხებს და საშინელს მოუსვენელობაში იმყოფება. შუა-ღამისას კუთხიდამ რაღასაც აიღებს და ჩაიდებს ჯიბეში, ოხვრობით გადახედავს ცოლ-შვილსა, წამოიბუტბუტებს, დრო არისო და გავა, ვინ იცის, სადა და რისთვის? იქნებ საბრალო საავაზაკოთაც.

აგერ კიდევ მეორე მაგისთანა საცოდავი ჯალაბობა. ქმარს არა ჰქონდა არაფრის შაძლება, მაგრამ სიმშვენიერემ აიტაცა და ისე შეირთო თავისი მეზობლის ქალი. დაეხვივნენ შვილები და გაუჭირდა ცხოვრება. აი, რამტონი დღეა, რაც ხან პური აკლიათ და ხან წყალი. ქმარი დადის, თხოულობს, სესხულობს, ეძებს, მაგრამ ვერა უშოვნია რა. ამ დროს შემოდის ბებერი დედაკაცი და რაღასაც ეტიტინება ცოლსა, მერმე ხსნის ხელსახოცის წვერსა და იღებს იქიდამ წითელ თუმნიანსა, გამომართვი, ნუ ღუპავ შენ შვილებსაო. სიღარიბით შეწუხებულსა, შვილების შიმშილით დამწვარ დედას ვერც ჰო უთქვამს და ვერც არა, დაფიქრდება და ბოლოს დროს ეტყვის, ამ ერთ ღამესაც იქნება ღმერთმა მოგვხედოსო და ჩემმა ქმარმა იშოვოს რამეო. მოვა ქმარი შინა კიდევ ხელცარიელი, მწუხარებით ხმას ვერ იღებს და დაწვება. ბებერი სიხარულით მიუყრის ქალს ფულებსა, ეტყვის, გელიო და გავა. მოატანს შუაღამე, გულის კანკალით და დიდის შიშით წარმოდგება, ყურს უგდებს ქმრის ძილსა და მერე ჩუმათ იპარება. რაღაც საშინელი სიზმარი აღვიძებს ქმარსა, იყურება, ჰყვირის, ეძებს და ცოლს ვერა ჰპოულობს, დადის, მაგრამ ხმას არავინა ჰსცემს. მაშინ მოაგონდება, დარბის, ეძებს ჩაქუჩსა, დანას —მოვკლამო!! — მერე დაღალული დაეშვება ქვეშსაგებზედ — მაგრამ ვისი ბრალიაო.

ამ სიღარიბეს თავი დავანებოთ, ეხლა მივხედოთ მდიდრებსა, იქნება იმათში ვიპოვნოთ რამ სანუგეშო. აგერ მდიდარნი ქალები მაღალის საზოგადოებისა. დახედეთ, როგორ ბზესავით

აბნევენ ფულებსა ჩაცმაში, ქაღალდში და სხვა უბრალო ხარ-ჯში. იქ კი გაჰყიდიან დახეულ ლეჩაქსა და მით დაარწმუნებენ თავიანთ ქმრებს, რომ დიდი ეკონომიები ბრძანდებიან; აბა, ერ-თი ჰსცადეთ და მოახსენეთ მაგათ, ამა და ამ კეთილშობილ ქალსა, მაგათ მეზობელსა, ლეჩაქი კი არა და უკანასკნელი კა-ბაც კი ენატრება, რას გეტყვიან? ჩვენ თვითონ გაგვიჭირვებია ცხოვრებაო. მაგათ თხოვნაც შეუძლიანთო, მაგრამ ჩვენ ვისა ვსთხოვოთო.

აგერ სხვანი მდიდარნი ჭკუითა, გონებითა, სახით და გულით მშვენიერნი, მაგრამ საუბედუროდ არა კეთილად გაწვრთნილნი.

დილით ვიზიტათ საღამოს ჟამში მაღაზინებში საწყალი ქმრების დასაღუპავათ.	მერმე ლოტოში ან პრაფერანსში ყომარბაზობით შესაქცევარათ.

აი, მდიდარი სახლი, სადაც დედამთილი, რძალი და მული ერთმანეთთან ვერ მოთავსებულან... წარმოიდგინეთ მდგომა-რეობა საწყალი კაცისა ამ შემთხვევაში, როცა ყოველ დღე უნდა ესმოდეს მათგან საჩივარი და საყვედური: მე გაგზარდეო, ეუბ-ნება ერთი, მე შაგირთეო, ეუბნება მეორე... შენთვის კარგი დო-ბა გამიწევიაო... ეუბნება მესამე. რას უბრძანებთ ეხლა? დარ-წმუნებულია, რომ ამგვარ ჩხუბსა თვით სოლომონ ბრძენიც ვერ გაარჩევდა და ვერც რას უშველიდა, ამის გამო თვითქმის ყველას შემოსწყრომია, მისცემია გულის სიგრილესა და დილით შუაღამდინ კარში ატარებს დროსა.

აგერ კიდევ მდიდარი სახლი; საცა უზისთ გასათხოვარი ქა-ლი, რომელსაც ბევრნი თხოულობენ, მაგრამ ვერ ათხოვებენ. ეგები ისეთი სასიძო გამოგვიჩნდესო, რომ ამათზე ნაკლები მზითევი გვთხოვოსო. აგერ მეორე, მესამე და თვითქმის ყველა-ნი. დახეთ მაგათ უნაყოფო ცხოვრებასა და სიძუნწეს. მაგათ განა თუ სხვისათვის, თავიანთ შვილისათვისაც ვერ გამოუმე-ტებიათ ორიოდ გროში, რომ რიგიანად გაზარდონ და რიგიან გზაზედ დააყენონ. საწყალი ჩვენი ყმაწვილები, მე მგონია, რომ

ამათთანა უბედურნი არ მოიპოვებიან დედამიწის ზურგზედ. ეგრეთ მდიდარნი ბუნებითა და ეგრეთ ღარიბათ აღზრდილნი. რამდენჯერ უნდა მოაგონდეთ ეს თავიანთი უსწავლელობა; რამთენჯერ უნდა ოხრამდნენ ამაზედ; მაგრამ რაღას უშველიან. ოხ! რომელი ერთი ვსთქო? რომელი სურათი დაგიხატოთ ჩვენი ყმაწვილების უბედურებისა? შინ, როცა იზრდებიან სკოლაში, როცა სწავლობენ თუ რუსეთში, სადაცა უმაღლესის სწავლისათვის იმყოფებიან. ამ უბედურების მიზეზნი, რასაკვირველია ბევრნი არიან და ყველაზედ მომატებულათ დამნაშავენი, — დედები. გამოვა ორასში თუნდ ორი, რომელთაც შეეძლოსთ თქმა, ჩვენი შვილები კაცურად გაგვიზრდიაო? არა!!! ჭეშმარიტათ არა. და ნეტავი თქვენი სიცოცხლით ეგ დალოცვილი შვილები გრძნობდნენ მაინცა თავიანთ ნაკლოვანებასა და ცდილობდნენ წარმატებასა. ჩვენ რა გვიჭირსო? ვინ არა ქალები ხმელეთზედ არა გვჯობიაო? ამას ამბობენ. სხვას ვეღარ დაგიხატავთ მდიდარის სახლის ცხოვრებიდამ, მხოლოდ გეტყვით ერთი სიტყვით, რომ ესენი უარეს მდგომარეობაში არიან.

ახლა საით ვეცეთ, სად ვეძებოთ ბედნიერება და სიმართლე? ჩვენ საზოგადო ცხოვრებაში ხომ არა —იმ სხეულში, რომელშიაც ყველა ასო დაწყლულებულია, საზოგადო უქონლობა, უღონობა, მტრობა, ერთმანეთისაგან განცალკევება, შურიანობა, წუხილი, ტანჯვა, კვნესა, ოხვრა, დარდი, სევდა სხვა და სხვა, აი, რა გვესმის და რას ვხედამთ ყველა ფეხის გადადგმაზედ! აღარც დაირა, აღარც ზურნა, აღარც ბაღებში ძმური ფსონები.

ამისთანა მოულოდნელი, მოუფიქრებელი ბედნიერება მოგვანიჭა ჩვენმა საყვარელმა მთავარმართებელმა ჩვენის მტრების დამონებითა და ჩვენ ვერც კი გავმხიარულდით, როგორც რიგი იყო. რა არის მიზეზი? ავათმყოფობა! ჩვენ საკუთარ ქორწილშიაც ვეღარ გვითამაშნია, საზოგადოში როგორღა ვითამაშოთ.

ოთხს კაცს ერთათ ვერ იპოვნით, რომელნიც სალაპარაკოთ შეყრილიყვნენ, თუ შეიყრებიან, მხოლოდ სასმელ-საჭმელათა, ისიც მიწვევით. ძალიან ბევრი ღვინო უნდა სვან, რომ ძლივს ორიოდ ხმა ამოიღონ.

რა მიზეზის გამო შემდგარა ეს სახალხო დაყოლიება: ჩვენთვის უმჯობესიაო რომ უმაღლესი ადგილი უფრო სხვა რჯულის კაცს ეჭიროსო, ვიდრე ქართველსაო.

აბა, ჩვენი ქვეყანა ამსგავსეთ რომელსამე რუსეთის ნაწილსა და დაინახავთ, როგორ უკან დავრჩომილვართ. მაშინ, როდესაც ჩვენი ბუნებითი ნიჭი, ჩვენი მიწა-წყალი გვაძლევს ღონისძიებას, რომ განათუ უკანასკნელი, პირველი ადგილიც დავიჭიროთ განათლებულ ხალხში. მაგრამ რომელი ერთი ვთქო, და აღარც შემიძლიან, სხვა დროს ჭეშმარიტათ გული მეტკინა. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენც შეგაწუხებდათ წარმოდგენა ამ ჩვენი ვაივაგლახის მდგომარეობისა, რომელშიაც მეტათ თუ ნაკლებათ ვართ თვითქმის გარეული. ახლა ვინ გვიშველის, ვინ გაგვკურნოს ამ საშინელი სნეულებიდგან? ღმერთი თუ მოგვხედამს, თორემ ჩვენ, მგონია, ერთმანეთს ვერას ვუშველით. ეს გრძნობა ჯერ კავკასიის მთებზედ დგას და მალე გვეწვევა იქიდამ. ან რით უშველოთ, რისთვის? როცა სხვის უბედურება უფრო კარგათ გამოაჩენს ჩვენს ბედნიერებას.

კუ̂ალად ვიხდი ბოდიშს ამდონს ჩემს ლაპარაკზედ. მე არა მსურდა ესრეთ თქვენი შეწუხება, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ კაცის ბუნება. დარდები რომ ეეშლება, მალე ვეღარ გაათავებს ხოლმე თავის ლაპარაკსა, ვიცი, რაც უნდა შეწუხებული იყოთ, ცოტას ნებას კიდევ მიბოძებთ და მოისმენთ მიზეზსა, რომელმაც ჩამომათვლევინა ეს საზოგადო ჩვენი ტკივილები. დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ მინდოდა, გამომეცნა მიზეზი თქვენი სიჩუმისა, ყურის უგდებლობისა ჩვენის საზოგადოებისადმი. გამოვიცნობ თუ არა თვითქმის სულ ერთია, მაგითი ჩვენ ხომ არა გვეშველებარა და იმასაც ვფიქრობთ, თქვენ არა მიზეზი არ გაგამართლებთ. თუმცა ძალიან ვსწუხვარ ამაზედა, მაგრამ რა ვქნა, ჩემს ფიქრში ვერა ვიპოვერა თქვენი გასამართლებელი; პირის-პირ ყოველივე ანბავი დამიმტკიცებს, რომ დიდათ დამნაშავენი ბრძანდებით ჩვენს საზოგადოებასთან. როგორ გამართლდება ის აქიმი, რომელიც თავის ავადმყოფსა ყოველ დღის მაგიერათ თვეში ერთხელ ძლივს დახედავს და მაშინაც რიგიან წამალსაც არ მისცემს. მაგოდენი იცით, გესმით, ჰკითხულობთ, რა იქნება, რომ ჩვენც შეგვატყობინოთ ეგ თქვენი სიბრძნე, რუსული და ფრანცისული ჩვენ არ ვიცით, ქართულ ენაზე წასაკითხი არა გვაქვს რა და, რასაკვირველია, უსაქმურობისაგან ჭორებში გავერთობითო. აი, ამას ანბობს ხალხი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ეს საზოგადო ხმა

არის და ჩემგან მოგონილი მდგომარეობა ჩვენის საზოგადოებისა ემსგავსების იმ ავათმყოფის მდგომარეობასა, რომელსაც არც ექიმი ჰსწამს და არც წამალი, ყურს არ უგდებდა თავის სატკივარს და როცა გაუჭირდა, მაშინ ფერშლებსაც კი ეხვეწებოდა. ნუთუ ამ საცოდავსა ყურისგდება არ უნდა და რადგანაც თავის დროზედ არ უწამლეს, ეხლა უნდა უწამლოთ სული ამოუვიდეს? ნუთუ ახლა, მოწყალეო ხელმწიფევ, ყურისგდება არ უნდა თქვენ პატარა ძმებს, რომელნიცა უსწავლულათ დარჩომილნი არიან სხვადასხვა მიზეზით? ღვთით თუ ბედითა თქვენ დაწინაურებულხართ, განათლებულხართ, გეყურებათ ყოველივე და ეხლა მოვალენი არა ხართ, რომ სხვანიც ეგრე გააბედნიეროთ, როგორც თქვენ? ვიცი, ამას თქვენ კარგად გრძნობთ, გსურთ კიდეც და ამ სურვილის აღსრულებას შესდგომიხართ, მაგრამ საუბედუროთ, ისე ვერა, როგორც საჭიროება მოითხოვს. როგორღაც გეშინიანთ, თუ კრთებით, თუ გრსცხვენიანთ, თუ რაღაც რამ გიშლით, ისეთი, რაც თქვენ გრძნობასა და სურვილს არ შაჰფერის. იქნება თქვენ იმას ფიქრობდეთ, რომ საზოგადოება დიდ ფილოსოფიას ითხოვდეს თქვენგან და თქვენ რადგან მაგვარი ფილოსოფოსნი არა ხართ, იმისთვის არასა ჰსწერთ, ჯერ უმაღლესის სწავლის საჭიროება არა აქვს ჩვენ საზოგადოებას, ანბანიდან მოჰყვევით და ოღონდ კი ასწავლეთ სურვილით და გულსმოდგინებით და დარწმუნებული იყავით, რომ ყველანი სურვილით და დიდის მადლობით მიიღებენ თქვენგან.

უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, თუ რამ ჰპოვოთ უკადრისი ამ ჩემს წერილში, მომიტეოთ, მაქვს იმედი, რომ ამ ჩემს წიგნს უპასუხოთ არ დააგდებთ, გარდა ამისა, წაგვაკითხებთ თქვენის სტატიის განგრძელებასა და შეგვატყობინებთ იმ უ. ყმაწვილ კაცის ანბავს, რომელიც გაგიგზავნიათ სასწავლებლათ რუსეთში, შემდგომ ჩემ წერილში მსურს იმაზედ მოგელაპარაკოთ.

თქვენი უმორჩილესი გ. ქართველი
მაისის 11-ს დღესა,
1860-სა წელსა, ქ. ტფილისს.

ცხელ-ცხელი ამბები

ხშირი წვიმების გამო, ივნისის თვეს საზოგადოდ „ჩოხა დამპალას“ ეძახიან, მაგრამ სამ წელიწადში ერთხელ ამ ივნისსაც აქვს ხოლმე ნაკიანი წელიწადი! ეს მაშინ, როცა ქუთაისის ღუბერნიის აზნაურობა მოიყრის ხოლმე თავს ქუთაისში წინამძღოლის, ანუ როგორც საზოგადოდ ეძახიან, მარშლის ამოსარჩევად. მაშინ კი ამ ივნისის თვეს „ჩოხა-დამპალა“ კი აღარ ქვია, — ჩოხა-ახალა; რადგანაც ვისაც კი კენჭი აქვს, ყველას შეუძლიან რომ ჩოხა გაიხადოს. იმერეთში ამორჩეულ პირს, ანუ მარშალს, წინამძღოლს, წინამძღოლელს კი არ ეძახიან, — წანამძღომელს, ანუ წინამძღომს. არ გეგონოსთ, რომ ეს ენის უცოდინარობით მოსდიოდეთ; არა, ამ სიტყვით აზნაურობას სურს, რომ ნათლად გამოხატოს მარშლობის იდეალი: წინამძღომი, ანუ წინამძღომელი ნიშნავს იმ კაცს, რომელიც წინ-წინ, ესე იგი საქმის დაწყებამდის აძღებს სხვებს; და ვინ არ იცის, რომ ჩვენი გულკეთილი საზოგადოება არაფერს ღირსებას არ თხოულობს ამოსარჩევი პირისაგან, — თვინიერ წინ და წინ გაძღომისა და სადილ-ვახშმებისა! ჩემის ყურით გამიგონია, რომ ეთქვას მეკენჭეს, ანუ ამომრჩეველს: „დედავ! რავა ამოვირჩევ იმისთანა კაცს, რომლისგანაც ერთს სტაქანს ღვინოსაც არ ველი, რომ ჩემი კენჭი გავრეცხო!“ ეს იმას ნიშნავს, რომ მარშლისაგან თხოულობენ მხოლოდ პურ-ღვინოს და მზარეულთ-უხუცესობას; ამ სიტყვის მთქმელი, მისდა გაუგებრად, როცა კენჭის გარეცხას თხოულობს, იმას უფრო ამტკიცებს, რომ მის ხელში კენჭი გასვრილია და გარეცხას საჭიროებს. ვინ თქვა, რომ ჩვენმა ხალხმა ხიმია არ იცის? სხვადასხვა შეზავებულს ნაწილებისაგან შავს თეთრად აქცევენ და თეთრს შავად! ვისაც უნდა, რომ შავი კენჭი გაათეთროს, უნდა შეაზავოს ერთად ზუთხი ქინძით, ძმრითა და ომბალოთი, ზედ მიაყოლოს ღომი, ამოუდვას გვერდით მსუქანი ძროხის ბეჭი, შეწევნითა ტყემლისათა, იმას მიაყოლოს მწვადებ-ლავაშები, გუდებიც ყველა დაალბოს ყიფიანის ღვინოში, რომ მეკენჭეებმა მოსძახონ „მრავალ ჟამიერი“ და ზედ დაამატონ „ჰარალალო“ შემდეგის ლექსებით:

„ვოიი! აწ ჩვენ ვიცით, ვისიც უნდა გამორჩევა,
გვინდა ჯიბე შეგვისქელდეს, რადგანაც გვაქვს ამის ჩვევა,
ხან მარჯვნით ვართ, ხან მარცხნით ვართ, ორივესგან
გვაქვს მიწვევა, —
ზაფხულში თავს გამოვიკვებთ, შემოდგომაც მოგვეწევა“.

ამ სიმღერას ამომრჩეველმა თორმეტი „ხა, ხა, ხა, ხა, ხა!“ მიაყოლოს და შეწევნითა ღვთისათა შავი თეთრად იქცევა! — ეს მოხერხდა, მაგრამ ამ ხიმიკოსებს ერთი საქმის გაკეთება უნდოდათ, ის კი ველარ მოახერხეს: უნდოდათ, რომ საღმრთო წერილის სიტყვა შესახებ კაცისა, რომ კაცი მიწაა და მიწად იქცევაო, გაემართლებინათ და კაცის სულები სიცოცხლითვე მიწასთან შეეერთებიათ, რომ მითი მიწა გაეზარდათ და სრული ცენზი გამოეყვანათ, მაგრამ ვერ მოახერხეს მიწისა და კაცის ერთმანეთზე მიკოსება და წითელი ვარაცუცი ტყულა შეხტა და შემობზრიალდა! — ბევრი კითხულობს: ეს წიგნი, ეს ვარაცუცი შარშან რომ თეთრი იყო, წრეულს რაღამ გააწითლაო და მიკვირს, როგორ ვერ მიხვდნენ! ჩემის აზრით, ის მიტომ გაწითლდა, რომ შარშან ვერაფერი გაარიგა და შერცხვა. — გაწითლებას თქვენი ჭირი წაუღია, კიდევ არ ვინაღვლით, მაგრამ შარშანდელმა შემთხვევამ რომ წითელი ფერი დაადვა, ვაი თუ წრევანდელმა ყვითელი დაადვას და მაშინ ჩვენმა მტრებმა მათი გული გაიძღონ, — და ჩვენც მწუხარებამ ეს გვამღეროს:

„წახდა ჩვენი ჭირნახული: ვერ მოვიმკეთ, რაცა ვთესეთ,
ჩვენი წაღმა დანათესი, უკუღმა გვიფარცხეს ქეზით,
უწესურად გაგვილეწეს, რაც მოვმკევით უმალ კვნესით,
და ფალიაზედ წყალს გვისხამენ, რაღას ვიზამთ ჩახმახ-
კვესით?!

მაგრამ მაინც ნუ დავსცხრებით, კვალს ვუყეფოთ ნელა,
ნელა,
ეგებ ოდესმე გამოჩნდეს წარღვნის შემდეგ ცისარტყელა!
დაიქუხოს, გაიელვოს. გაგვინათლოს დღეს რაც ბნელა,
და ახლის ტყავით შეგვიმოსოს, რაც შემთხვევამ
დაგვიძველა!“

[1873]

შავი ქვის თავგადასავალი

მე ჯერ კიდევ გიმნაზიაში ვიყავი. ვიქნებოდი ასე ათი-თორმეტი წლისა, ერთხელ წირქვალიდან ბეგარა პური მოგვიტანეს და მამაჩემმა უთხრა მოურავს: ეგ პური სხვაგან ჩაჰყარეთ, ცალკე ქათმებისთვის, რომ სხვა ხოდაბუნის პურებში არ გაერიოს, თვარამ დავიღუპებითო. მე გაოცებულმა მიზეზი გამოვიკითხე და მითხრეს: წირქვალისა და რგანის პური არ ვარგაო! ქვა-გუნდა ურევია, კალოს რომ აიღებენ, ის პატარ-პატარა ქვა გუნდები აჰყვებიან ხოლმე და პურს ისე აშავებენ, რომ საჭმელად აღარ ვარგაო, ერთი კოდი წირქვალელი ან რგანის პური თუ გაურიე, ასს და ათას კოდს პურს შავად შეღებავს და გააფუჭებსო.

როგორც ახალგაზრდას ეს ჩამრჩა გულში და დიდმა ხანმა რომ გაიარა და სტუდენტად შევედი პეტერბურგში, ერთხელ ძველ „სამეფო ჟურნალს“ რომ ვათვალიერებდი, იქ შემხვდა გეოლოგი აკადემიკოსის აბიხის სტატია. სხვათა შორის, ამბობდა აკადემიკოსი, რომ შორაპნის მაზრაში და საზოგადოდ რგანში დიდძალი მარგანეცია, მდიდარი და ადვილი სამუშაო, მაშინ, როდესაც სხვაგან არსად არისო და მოთხოვნილება კი დიდიაო, როგორც სუროგატი სხვადასხვაგვარი მადნეულობისო და განსაკუთრებით უმისოდ ფოლადი არ კეთდებაო. დღეს მხოლოდ რეინის პირას არის და იქ მუშაობენო. მაგრამ ცოტაც არის და ძნელი სამუშაოცო. ასე რომ, წირქვალის მარგანეცი კონკურენციის გარეთ დარჩება და ვინც იმას ფეხზე დააყენებს დიდი სასარგებლო იქნება და ქვეყანასაც, ე.ი. მხარეს, სადაც ის არის, საუკუნოდ გაამდიდრებსო. ეს რომ წავიკითხე, მაშინ მომაგონდა მამაჩემის გვა-გუნდა. ვამოწმებ აბიხის ნათქვამს მარგანეცის შესახებ და ყოლიფერი მართალი გამოდგა; მარგანეცი არსად იყო გარდა რეინის ნაპირებისა. ჩილლი მაშინ ხსენებაშიც არ იყო და მოთხოვნილება კი დიდი იყო მარგანეცის. მე, როგორც არაგეოლოგმა, არ ვიცოდი, თუ ქვა-გუნდა მართლა მარგანეცი იყო და საჭირო იყო მხოლოდ ამის შემოწმება, ადგილობრივად. ჩავედი თბილისში. აქ ცნობილ გეოლოგს სვიმონოვიჩს მოველაპარაკე ქვა-გუნდის შესახებ. მანაც, რადგან სამსა-

ხურში იყო, აიღო ერთი თვის ნებართვა, დაეთხოვა და კერძოთ წამომყვა მე საჩხერეს, ერთ თვეს დარჩა ჩემთან სახლში და იქედან დრო და დრო დავდიოდით წირქვალსა და ჭიათურის მიდამოებში, მადნის ყოველგვარმა სიმდიდრემ გააკვირვა მკვლევარი და როდესაც გაათავა გამოკვლევა, მოხსენება წარუდგინა სამთო გამგეობას. სამთო გამგეობამ სვიმონოვიჩს დაუნიშნა თანაშემწედ ინჟინრები: საროკინი და ბაცევიჩი და სამივე გამოგზავნა ხელახალ გამოსაკვლევად სახელმწიფო ხარჯით. იმათ ერთად გამოიკვლიეს და კიდევაც დაბეჭდეს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ გეოლოგიური გამოკვლევა, საპრაქტიკოდ გამოუსადეგარი. არ იყო ნაჩვენები, თუ რა იყო საჭირო და გამოსადეგარი მრეწველობაში. რასაკვირველია, ეს მათი გამოკვლევა, ისე როგორც აბიხისა, დღესაც არავის ექნებოდა გაგებული და ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა ამ დიდ საქმეს. მე კი აბიხის სტატიის წყალობით გავითვალისწინე, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას ამის წარმოება-მრეწველობა და კიდევაც შევუდექი საქმეს. მაგრამ რომ არ მეგონა, იმისთანა დაბრკოლებანი დამხვდნენ, არა თუ არავინ დამეხმარა და თანაგრძნობა გამომიცხადა, არამედ კიჟინა დასცეს: გადარეულია და რაღაცეებს ბოდავსო, თორემ მარმარილოდან რომ დიდი სახეირო არა გამოდის რა, რაღაც ეშმაკ შავი ქვიდან რა უნდა გამოვიდესო? საჭირო იყო კაპიტალი საქმის დაწყებისათვის და მეც ის მაკლდა. ვისაც ვთხოვე დახმარება, ჩვენში ყველამ გაოცებით დამიწყო ყურება და როდესაც გავუთვალისწინე ის მომავალი მარგანეცის, რასაც დღეს ვხედავთ, მაშინ სულ კიჟინი დამსცეს. იმ დროს გამოდიოდა ერთადერთი ქართული გაზეთი „დროება“ და იქ მოვათავსე ჩემი სტატია მარგანეცის შესახებ. სხვათა შორის ისიც მოვიხსენიე, რომ მარგანეცის მრეწველობა საკუთარ რკინიგზას მოიყვანს ჭიათურის ხრიოკებში-მეთქი. ეს ისე ეუცხოვათ მაშინდელ ბატონებს, რომ ერთპირად ყიჟინა დასცეს და ზოგი კარგი ნაცნობები და ნათესავები სამძიმარს ეუბნებოდნენ მამაჩემს: „ვაი რა შვილი გადაგერია და რაღაც ეშმაკის გაჩენილ შავ-ქვას დასდევსო“. რადგანაც ქართველებში არა მოხერხდებოდა რა, მივმართე სომეხ ვაჭრებს, იმათში იმ დროს ერთი მილიონერი ერია — სოლომონ შაბუროვ, ჩემი ნაცნობი და იმას გაუმჟღავნე ჩემი გულში ნადები. ოღონდ შენ

გამოიღე ათასი თუმანი და მაგ ფასად სულ შეგაყიდვინებ, რაც მარგანეცია. შენ მხოლოდ ფულს ჩამოდი და შრომა და წარმოება ჩემ კისერზე იყოს. მხოლოდ იმ პირობით, როცა შენ, შენ დანახარჯ ფულებს აიღებ, მერე წმინდა შემოსავლიდან ნახევარი შენი იყოს, 10 პროცენტი ჩემი და დანარჩენი საქმელმოქმედოთ გადაიდვას-მეთქი. შაბუროვმა მიპასუხა: კარგად ლაპარაკობ, მაგრამ შემცდარი კი უნდა იყოო! მაგისთანა საქმე ჯერ ჩვენში არავის უწარმოებია და მეც ფულებს ვერ გადავყრი, არა იმიტომ, რომ ფული მენანებოდეს, არა! მიტომ რომ სასაცილოდ არ ამიგდონ. ამის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ჩვენ ქვეყანაში არა თუ კაპიტალს ვერ მოვაგროვებდი საჭიროს, პირიქით, ხელის შემშლელიც ბევრი მეყოლებოდა. ჩვენში არა თუ მაშინ, დღესაც კიდევ, ქართველ-იმერლებმა წუნი არ დასდვან და კიჟინა არ დასცენ, რა არის? მიტომ, რომ კუდ-აბზიკა ხალხი არიან და რომ იტყვიან, იმაზე მეტს ფიქრობენ და ვითომდა კრიტიკოსებად გამოდიან! თუ მართლა წახდა საქმე, მაშინ იტყვიან: აკი მოგახსენეთ ჩვენ, რომ არა, არ გამოვიდოდა რაო! და თუ გაკეთდებოდა საქმე, მაშინაც კი მის ნაცვლად, რომ გამტყუნდნენ, პირიქით, ყოყოჩობას დაიწყებენ: ჩვენ გახლავართ კაციო! და თუ ჩვენ არა, ეს საქმე არ გაკეთდებოდაო და სხვანი... ეს საზოგადო სენია იმერლის. მართლა რომ ისეთი დიდი აზრისაა თავის თავზე, რომ ყოველი მისი ფეხის გადადგმა, სიტყვა და გულისთქმა დიდ რამედ მიაჩნია და სხვისი კი ყოლიფერი ბოდვად! ეს რომ ვიცოდი მე, გადავწყვიტე მათგან ჩამოშორება და შევუდექი საქმის საწარმოებლად კაპიტალის ძებნას საზღვარგარეთ და იქიდან ვაჭრის მოწვევას. თუმცა ძნელი იყო, რადგან იმ დროს საზღვარგარეთელებს სხვანაირად ჰქონდათ წარმოდგენილი ეს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ მე მაინც არ ვანებებდი თავს და აბიხის და სვიმონიჩის გამოკვლევასთან ერთად ვაგზავნიდი აღწერილობას, თუ რა გზით და როგორ შეიძლება და რა ჯდება ეს წარმოება. ამასთანავე ევროპაში ვაგზავნიდი თვით მარგანეცს. მაშინ ჭიათურა ისეთი ხრიოკები იყო, რომ საცალფეხო გზაც არსად იყო და თუმცა მადნები სამი ვერსით იყო დაშორებული, მაგრამ მაინც ჭიათურის გზამდე მის ჩამოტანას არავინ კისრულობდა. მაშინ გამოჩნდა ერთი ვაშაძე და მითხრა: ადგილიდან თითო ფუთ ქვას მე ჩამოვიტან ხოლმე გზამდეო, მაგრამ იმ

პირობით, რომ ღამღამობით ჩამოვიტან მხოლოდ და არა დღისით, რადგან მაძიებელი აზნაური ვარ და ტვირთის ზიდვა სირცხვილიაო. ჭიათურაში გზის პირას დუქანი ჰქონდა საჩინო ვაშაძეს და იქამდე ჩაჰქონდა ხოლმე ჩემ ვაშაძეს თითო ფუთი ქვა სამ-სამ მანეთად. აქედან შემდეგ ქუთაისში ჩაჰქონდა ცხენით და ქუთაისიდან საზღვარგარეთ ვაგზავნიდი ფოსტით. ეს ჩხირკედელაობა დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს, როგორც იქნა, დაინტერესდნენ ვაჭრები და დააპირეს წამოსვლა, რომ ადგილობრივად ენახათ მადნები; მოდიოდნენ და მოჰყავდათ ინჟინრები, რასაკვირველია, ჩემი ხარჯით. თორმეტი წლის განმავლობაში 8 კამპანია მოვიყვანე, მაგრამ არავინ ხელი არ მიჰყო მის მრეწველობას. ჩვენები შლიდნენ საქმეს, აშინებდნენ: „აქ ისეთი ციება იცის, რომ ქათმებსაც კი ხოცავს და უცხოელს უეჭველად გააქრობსო. აქ ადამიანს ისე სჭრიან თავს, როგორც ხახვსო“ და სხვანი. ერთი მათგანი მართლაც მოჰკლეს ფოთში. მაშინ ისე დაფრთხნენ, რომ საზღვარგარეთიდან კავკასიაში მოსვლა სამრეწველო განზრახვით აღარავის უნდოდა. დავრჩი ყოველმხრივ უიმედოდ და უნუგეშოდ. გამოვეთხოვე ჩემს თორმეტი წლის შრომასა, ფულებს ამ ხნის განმავლობაში საქმისთვის ჩაყრილს და მტრებისაგან თითქმის ყველასგან ნიშანმოგებული გავემგზავრე რუსეთისკენ. პეტერბურგში ერთ ჩემ ნაცნობთაგანს გრაფინია მალის შევხვდი და ლაპარაკის დროს მან სხვათაშორის მკითხა: „რად ხარ ეგრე მოწყენილიო?“ მე შავი ქვის შესახებ ამბავი, რაც ვიცოდი, გადავეცი. გულდასმით მომისმინა და მითხრა: მე მრეწველობის არა გამეგება რა, მაგრამ თქვენი ნალაპარაკევი ჭკუაში მიჯდება და ვეცდები დაგეხმაროო. მე ძალიან გამიკვირდა, გრაფინიას ნალაპარაკევი უბრალო საუბრად ჩავთვალე, მაგრამ ოთხი დღის განმავლობაში მომივიდა გრაფინიას წერილი: ხვალ საღამოს მოდი ჩემთან მარგანეცის შესახებ მოსალაპარაკებლადო. დანიშნულ დროზე მივედი და გრაფინიასთან ერთი ვიღაც სხვაც დამხვდა. გამოდგა, რომ ეს იყო შინაგან საქმეთა მინისტრი მაკოვი. მან პირდაპირ მარგანეცის შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი და მითხრა: მე გრაფინიამ გადმომცა საკვირველი ამბავი: არსად მთელს იმპერიაში არ არის მარგანეცი გამოჩენილი. საზღვარგარეთაც უმნიშვნელოა, ცოტაა და ჩვენც საზღვარგარეთიდან მოგვაქვსო,

ვყიდულობთო, მარგანეცი გვინდა ფოლადის საკეთებლად და ექვს მანეთ-ნახევარს ვაძლევთ ფუთშიო. მაგის გამოჩენა ჩვენს იმპერიაში სახუმარო საქმე არ არის! მთავრობა ვალდებულია დაგეხმაროს მაგ დიდ საქმეში. შემოიტანე სამინისტროში განცხადება. წარმოადგინე თანვე ინჟინრების გამოკვლევა და შენი მოსაზრებაც და მერე მე ვიციო. შენ მხოლოდ ის შეასრულე ხოლმე, რაც გრაფინიამ გითხრა. კერძო კამპანიის ძებნა საჭირო აღარ არისო. მეტი აღარა უთქვამს რა, ის რომ წავიდა, გრაფინიამ მომილოცა: გათავდა საქმე. დიდი საქმე გათავდა და შენ კი მხოლოდ, როცა გათავდება საქმე, ხარჯს ნუ მოერიდებიო. მეც უნდა შემიამხანაგო, წილში შემიყვანო და მერე მე ვიციო. მე დამშვიდებულმა და აღტაცებულმა მეორე დღესვე შევეკარი გრაფინიას პირობით და უნდა მეძლია მისთვის წმინდა მოგებიდან მეხუთედი, მაგრამ ტყვილა კი არის ნათქვამი: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო!“ სანამ საქმე დაიწყებოდა, იმ თვეში მინისტრმა თავი მოიკლა და ჩაიშალა დაიმედებული საქმე. და გრაფინია მაინც კიდევ შეუდგა საქმეს. შეეცადა, რომ კერძოდ მოეგვარებინა რამე და ხელიდან არ გაეშვა ეს საქმე, გამონახა ვიღაც შეძლებული ოსტრიაკოვი და იმას მოელაპარაკა. ოსტრიაკოვი დათანხმდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ადგილობრივ დაეთვალიერებია ის მადნის ადგილები, მით უფრო, რომ ცოლ-შვილი საზაფხულოდ კისლოვოდსკში ჰყავდა გაგზავნილი, კისლოვოდსკიდან შორაპნის მაზრაში წასვლა ვეღარ გაბედა შიშით, არ მომკლანო და იქ დაიქირავა იასაული ორმოცი ყაზახი რუსით და ჩამოვიდა ჩვენში. მოულოდნელად მოადგა ჩემს სახლს და დიდათ შემიშინა სახლეულობა! სანამ არ გაირკვა მათი მოსლის მიზეზი, დედაჩემი დაამშვიდა და უთხრა: შენი შვილის საქმეზე ვარ მოსული, მარგანეცზეო და ესენი ჩემი მხლებლები არიანო. მეორე დღეს გაატანეს კაცები და დაათვალიერებინეს მადნის ადგილები. რასაკვირველია, ოსტრიაკოვი კმაყოფილი დარჩენილა ნანახით და როცა დაბრუნდა და ჩამოვიდა პეტერბურგში, საჩქაროდ შეგვიკრა პირობა: ჩვენ უნდა ჩაგვებარებია მისთვის ფოთში პარახოდზე ნახევარი მილიონი ფუთი მარგანეცი ოთხი თვის განმავლობაში და მიგვეღო ფული მთლად, ფუთში სამ-სამი აბაზი. და ვინც პირობას გატეხდა, უნდა გადაეხადა შტრაფი ასი ათასი ფრანკი. სამუშაო ხარჯი და

ფოთში ჩასატანი გზის ფული ჩვენი უნდა ყოფილიყო და ფული კი არსად იყო. მაშინ გრაფინიამ გადმომცა ათასი თუმანი და მითხრა: ახლა ამის მეტი არა მაქვს ხელად, მაგრამ სახლს დავაგირავებ და სხვასაც მოგაწოდებო. წადი და ახლავე შეუდექი საქმეს, რომ დრო არ დავკარგოთ და ჩაუტანოთ... ჩავაბაროთ ფოთში. ახლა კი სულ სხვა გუნებაზე დავდექი: ვფიქრობდი, რაღა შემიშლის ხელს? მარგანეცის არავის არაფერი გაეგება! მიძახონ გიჟი, სანამ არ მოეწყინოთ. ახლა ხომ მარგანეციც ჩემს ხელშია და სამუშაო ფულიც-მეთქი! აი, სწორედ ამ დროს გამითამაშა პოეტურმა ოცნებამ და წარმომადგენია ის, რაც თურმე მოსახერხებელი არ იყო! ცამეტი წლის ტანჯვის შემდეგ, ახლა დავრწმუნდი, რომ საქმე ჩემს ხელში იყო, ხელს ვეღარავინ შემიშლიდა და მაგ საქმეს ისე შევხედე, როგორც საზოგადოს. მე მარტო ჩემ გამდიდრებაზე კი არ ვფიქრობდი, ასე მეგონა, თუ ეს მრეწველობა მარტო ჩემ ხელში იქნებოდა და ისე მოვიხმარდი, როგორც სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისათვის და ეროვნულ მოთხოვნილებებს დავაკმაყოფილებდი. მიწები ხომ ქართველების იქნება, ვამბობდი გუნებაში, — მუშებსაც ქართველებს ავიყვან და ის დიდი მოგება, რომელიც მოსალოდნელია, ჩვენებს შეძლებას მისცემს, რომ სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებაც დააწესონ! მაშინ სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ მრეწველობას ყველა ჩემი თვალით შეხედავდა და ხელს შემიწყობდა. ის კი არ ვიცოდი, თუ ხალხის შეხედულება სხვანაირი იყო და საზოგადო საქმე წარმოადგენდა მისთვის საპირადოს... ეს რომ მცოდნოდა, მაშინ სულ სხვანაირად უნდა მოვქცეულიყავ: იმ ათასი თუმნით, რომელიც გრაფინიამ მომცა, უნდა ჩემს სახელზედ შემეყიდა, რაც მარგანეცი იყო მთელ რაიონში (ეს ადვილი მოსახერხებელი იყო მაშინ, რადგან მარგანეცს არაფერი ფასი არ ჰქონდა) და მერე დამეწყო მრეწველობა და საზოგადო საქმეც ჩემ ნებაზე წამეყვანა. მაგრამ მე ეს არ ვქენი! მართალია, ამდენი ხანი მე ხელს მიშლიდენ ადგილის პატრონები, მაგრამ ეს უმეცრებით და შეუგნებლობით მოუდიოდათ. და ახლა კი, როცა მარგანეცი ცნობილი და გამოკვლეული და საზღვარგარეთაც სახელ მოპოვებული და გატანის მეტი აღარა უნდა რა, მარგანეცის მეპატრონეები წინდაწინვე თვალნათლივ ხედავენ თავისთვის გამდიდ-

რებას, რაღა მიზეზი აქვსთ, რომ აღარ დამიჯერონ და ჩემი თაოსნობით და ჩემთან შეერთებით არ წაუძღვენ საქმეს-მეთქი? და შეუდექ საქმეს: სალომე წერეთლის ქალის, ანდრონიკაშვილის ქვრივისაგან ავიღე იჯარით სამარგანეცო ადგილი „ჯითხნარი“, რადგანაც ახლოს იყო გზიდან. აქ ერთი რამ უნდა მოვიხსენიო, რომელიც ახასიათებს ჩვენი ხალხის სინდისს ახლანდელ დროში: ოღონდ კი ჩაიგდოს ხელში სხვისი საკუთრება, შეიძინოს ის, რაზედაც არავითარი უფლება არა აქვს და თავი მართალი ჰგონია, არც ღმერთს დაეძებს და არც სინდისს. იძახიან, კანონმა მომცაო და მართლაც დღევანდელ დღეს კანონს ფორმალურად ასრულებენ და მართალიც რომ იყო, თუ გასცდი კანონებს, შენს სიმართლეს დაჰკარგავ: „ეს ვადა გაგიშვია“, „ეს ფორმა დაგირღვევიაო“ და სხვანი. იმ ათასი თუმნიდან, რომელიც რუსეთიდან ჩამოვიტანე, ხუთასი თუმანი წყლის არენდი სალომეს მივეცი და შევუდექი საქმეს. დანარჩენი ხუთასი თუმნით დავიწყე შავი ქვის მუშაობა. ანდრონიკოვის ქვრივთან რომ მივედი კონტრაქტის შესაკრავად, მითხრა: შვილო, ხუთას მანეთად მოგცემ საკუთრებად შავ-ქვას, სულ, რაც მოიპოვება ჩემს მამულშიო. მე მოვახსენე: არა, ბატონო, თქვენ თვითონ არ გესმით, თუ რა სიმდიდრეა ეგ შავი ქვა! მე არ მინდა ვისარგებლო თქვენის უმეცრებით და მიტომაც მე ყოველ წლობით დღეიდან გაძლევთ ხუთას თუმანს არენდას. სალომეს მადლობას და სხვადასხვა დაპირებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს კონტრაქტი რადგანაც მოგიცია, შევინახავ. მეგობრულად გავშორდით ერთმანეთს. წამოვიყვანე თბილისიდან ერთი ჩემი მეგობარი და ის დაუყენე მეთაურად მუშებს. მუშების შოვნა მეტად გაჭირდა. ამაოდ მორწმუნეობით შეკრული ხალხი ერიდებოდა შავი-ქვის ხელის მოკიდებას, მაგრამ უზომო ქირამ (მაშინ დღეში მანეთი დიდი ქირა იყო) სძლია მათ. შემდეგში ეს მორწმუნე მუშები თანდათან შეეჩვივნენ და აღარ გაურბოდნენ მუშაობას. დიდ ლოდებად ზედაპირზე ყრიდნენ ყორებად და ხელით სატარებელი ურმებით ეზიდებოდნენ... სამი თვის მუშაობის შემდეგ დამზადებული გვქონდა შავი-ქვა, რაც კი საჭირო იყო. ჭიათურიდან ურმით ჩაჰქონდათ შავი ქვა შორაპნამდე და მერე კი რკინისგზით ფოთამდე ჩაჰქონდათ... აქ მოხდა მაშინ ისეთი უცნაური ამბავი, რომლის მოფიქრება და წარმოდგენა მე არ შემეძლო.

სოფლელებმა მადლობის მაგიერ, რომ საურმე გზას ჩემი ხარ-ჯით ვაკეთებდი, წინ გადამეღობენ და ნება არ მომცეს. ოცდა-ოთხი საჩივარი შეიტანეს ჩემზე სამსჯავროში, რომ გზა ჩვენია და იმას მუშაობის ნებას ვერ მივცემთო. მე, გაოცებული, მივი-ჭერ უკვე განსვენებულ გ.ღოღობერიძესთან, ნაფიც ვექილთან, შევსჩივლე და რჩევა ვკითხე.

— საცალფეხო გზა სოფლისაა? — მკითხა ვექილმა.

— საქვეყნო!

— და ხელს ვინ გიშლის.

— რა ვიცი, ვიღაც ვიღაცეები, ცალფეხა აზნაურიშვილები, რომელთაც არავითარი სიმართლე არა აქვთ.

— ეგ იმათაც იციან.

— მაშ რაღათ მიჩივიან? ხომ იციან სამსჯავროში წააგებენ მაგ საქმეს?

— კი, მაგრამ, როდის? სანამდე სუდით ეგ საქმე გათავდე-ბოდეს, შენ ქვას არ გაგატანინებენ და მანამდე დრო დაგეკარ-გება. იმათ უნდათ, ცუდ მდგომარეობაში ჩაგაყენონ და წაგ-გლიჯონ რამე ძალით. რაც ეს ახალი სუდები შემოვიდა ჩვენში, ხალხი ძალიან გაცუღლუტდა და აღარაფერს ერიდება, ოღონდ კი იშოვოს რამე. შენც ახლა ჩაუჭერიხართ და იციან, რომ მეტი გზა აღარ გრჩება რა და უნდა მოურიგდე, რამე მისცეო. მაგრამ მორიგებაზე რომ მიდგა საქმე, იმდენი მოითხოვეს, რომ სიზ-მრადაც არ მინახავს იმდენი ფული, ეს გარემოება შევატყობინე პეტერბურგში გრაფინიას. მან გამოგზავნა იქიდან ნაფიცი ვე-ქილი გოლოვინი, მაგრამ მისმა ჩარევამაც საქმეში ვერა გაარი-გა რა. გრაფინიამ ჯარიმა გადაიხადა, როგორც თავისი ნახევა-რი, ისე ჩემი და გაეშურა საზღვარგარეთისაკენ და მეც წიგნი მომწერა. სხვათა შორის მწერდა: „ეგ საქმე დიდი საქმეა და მა-გის ხელიდან გაშვება არ ივარგებსო, აქ ჩვენში, აღარ მოხერ-ხდება რა და შევეცდები, რომ უცხოეთში შევადგინო კომპანია, რადგანაც მეტად დიდი საქმეა“. გრაფინია იქ მთელი წელიწადი დარჩა კომპანიის ძებნაში და მე აქ უფულოდ, ჩემის პროექტე-ბით. გაიარა ხანმა, დადგა მეორე წლის არენდის დრო. უნდა მიმეცა სალომესთვის საიჯარო ქირა. მე დაიმედებული ვიყავ, რომ კნეინა სალომე მოიცდიდა, მაგრამ ნუ მოგეცეს ჭირი! ფუ-

ლის მიცემა რომ ვეღარ შევსძელი, ნამუშევარი ქვები წამართვა, დაარღვია კონტრაქტი და ახალი კონტრაქტით ის კვეცხნარი, რომელიც მე ხუთას თუმნად მქონდა აღებული ივან მუხრან ბატონს გადასცა. წელიწადში სამი ათას ხუთას თუმნად! ივანე მუხრანსკიმ იფიქრა, მე გზა არ მინდაო. ჩამოუყვანია სპარსეთიდან აქლემები და აქლემებს აზიდვინებდა ტვირთს საცალფეხო გზით. ადგილობრივმა მოჩხიკინეებმა აქაც გამოიგონეს ხერხი: გზაში აფრთხობდნენ აქლემებს და ისინი კლდეზე ცვივდებოდენ. რადგან აქლემები ბაწრებით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმული, ერთი რომ გადავარდებოდა, სხვებიც თან მიჰყვებოდენ. ამგვარად აქლემებით მუშაობა ჩვენში შეუძლებელი შეიქმნა, მუხრან ბატონის ხერხს ადგილობრივმა საუკეთესო ხერხმა აჯობა და ივანე მუხრანსკიმ იზარალა ასი ათას მანეთზე მეტი. ივანე მუხრანსკის შემდეგ გაჩნდა ვიღაც ბარონ მერცენფელდი, დიდი კომპანიის წარმომადგენელი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის უცოდნელი და უმეცარი. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო“. ამ ბატონმა ნემეცმა მილიონამდე ჩაყარა შავ ქვაში და მერე მიატოვა, გაუდგა გზას. ამის შემდეგ გაჩნდა ფურმანი, რომელიც წინათ ჩამოყვა ოსტრიაკოვს ყაზახებით. სხვისი ფულებით ამანაც ბევრი იფართხალა, მაგრამ მაინც ვერა გააწყო რა. ამას მიჰყვნენ სხვა ექსპორტიორებიც (გვარები აღარ მაგონდება ამ უცხოელების), მაგრამ ისინიც ყველა ჩაიღუპენ, როგორც მდინარე, სანამ ფონი გამოჩნდებოდეს, ბევრს ახრჩობს. ისე ამ შავ ქვამაც ბევრი დაღუპა, მაგრამ სახელი კი გაითქვა და ბარაქაც მოიპოვა. ახლა მხოლოდ საკმაო იყო მხოლოდ გატანა ქვის. მართალია, მეც დავიღუპე, მაგრამ ეს დაღუპვა არაფრად მიმაჩნდა, რადგან სხვებმა გაიარეს იმ ჩემ გატკეპნილ გზაზე და შავი ქვის მრეწველობას მე კიდევ მაინც ისე ვუყურებდი, როგორც საერო საქმეს და მისგან ველოდი ჩვენი ქვეყნის გამობრუნებას.

[1873-1897]

ზოგი რამ

ვისაც კი დაკვირვებით უდევნებია თვალ-ყური დასავლეთ საქართველოსათვის, შემჩნეული ექნება, რომ ყოველივე ის, რაც კი საჭიროა კეთილდღეობისათვის, მინიჭებული აქვს ამ მხარეს, მაგრამ ხალხი კი მაინც არსად გვეგულება დღეს იმერლებზე უფრო მეტად ნაძრახი, ნათქვამია: „ყბად აღებულიო — წყალწაღებულიო“. მტერი ჩავარდეს ქვეყნის ყბაში! ცამდისაც რომ სწორი იყოს და საშვილიშვილოდ სიმართლე მიუძღოდეს, მაინც ვეღარ აიცდენს თავიდან უმართლო ცილის წამებას!... ასე მოუვიდა იმერეთსაც: წვრილმანი უვარგისობა, შემთხვევითი საუკუღმართო რამ, ყბად აღებულობით გაზვიადებული, თითქმის საშვილიშვილოდ დაეხურა თავზე შავ-ბედით ქუდად, და ეს ცხადი უსამართლობაა!.. ადამიანის გვარტომობაში ერთი უწარჩინებულესთაგანი არიან იმერლები, როგორც გარეგნობით, ისე შინაარსითაც, მაგრამ დროთა ვითარებას ჩაუკრავს თავში და ფერი უცვლევინებია ძირეულად, ბუნებითად ყოველი იმერელი გულჩვილი, გულკეთილი ბუნება თანაზიარია!... გონება მახვილი, გამჭრიახი, მკვირცხლი, მხნე, დაუზარელი და თავდადებული!... და ესენი, ყველა ერთად მოთავსებული, ნიჭიერების გვირგვინად თავს ედგმება!... მაგრამ გარედან შემოტანილი და ძალაუნებურად მითვისებული მანკიერება გარს შემოჰბურვია და ჰპარავს მის ზნეობით დედა-ბოძს. რასაკვირველია, ეს ორი სულ სხვადასხვა ძალა, საკუთარი ძირეული სიკარგე და გარეგანი — შენაწები სიცუდე, ერთსა და იმავე გვამში მოთავსებულა და მხოლოდ მათი შესაფერი გარემოება გამოიწვევს ხოლმე თითოეულს მათგანს, რომ თავი აჩენიოს! იქ, სადაც კი ნდობა აქვს და გულ-გაშლილია, იმერელი, როგორც კერძოდ თავისათვის, ისე საზოგადოდ სხვებისათვისაც საკეთილდღეო იარაღად ხმარობს ძლიერ ნიჭს! ნაზ გამომეტყველ სახეზე ნათლად ებეჭდება სულიერი მოძრაობა და მაშინ სწორედ რომ საუცხოვო სანახავია, მაგრამ თუ გარემოება ხელს უშლის და დაუნდობლობით გულდახურულია, მაშინ კი იმავე ნიჭს საჭირბოროტოდ ფარად აქნევს და იმ დროს საზიზღარია მისი დანახვაც! ვის არ უნახავს ერთი და იგივე იმერელი, სხვადასხვა გა-

რემოებაში და ველარ უცვნია? ჩვენ ბევრჯელ გვინახავს, არა მარტო თითო-ოროლა, მთელი საზოგადოებაც და მათი ორჭოფობა მაშინ შეგვინიშნავს, შეგვისწავლია!... სამაგალითოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს შემთხთევას: საზოგადო კრებაა, შკოლის თაობაზე მსჯელობა. გაიძვერა, შუბლნიკორაებისაგან ჩაგონებული და მომზადებული უმეტესობა შკოლის წინააღმდეგია. ცხადია, რომ ამ კრებას მაღლიდგან ზენა ქარი უბერავს. მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა განზე გამდგარა და თავგამოდებით ესარჩლება შკოლას.

მათი მეთაური მეტად ცხარობს, თითს აბზეკს და თავშეუკავებლად ბაასობს, მეორე მხარე გულ-მაგრად არის და მაინც თავისას არ იშლის. ორივე მხარე მზად არის, რომ ოღონდ კი გაიმარჯვოს და თავდაუზოგავად გინდ წყალშიაც გადავარდება. შკოლის მოწინააღმდეგე ორატორები ოხუნჯობენ და უმეტესობა ტაშს უკრავს, მხარს აძლევს იმ ცრუ-მეტყველებს, მაგრამ საკვირველია, თითქო ეს ტაშის ცემა ძალდატანებითიაო, სახეზედაც რაღაც ანგარიში და ჟინიანობა ეხატებათ... თითქოს გაბოროტებით ნაძალადევად ჰფიქრობდენ „ რას დავსდევთ ქვეყანას? თუ ჩვენ აღარ ვიქნებით, ქვა-ქვაზედაც ნუღარ ყოფილაო!“ ამ დროს მოსარჩლეობის წრიდგანაც გამოდის ერთი ნიჭიერი ადვოკატი, რომელმაც კარგად იცის ჩვენი ხალხის გულის პასუხი და ძლიერ სიტყვას ამბობს! სხვათა შორის მითი უნდა დააჯეროს საზოგადოება შკოლების სარგებლობაზე, რომ მატერიალურ მხარეს ეხება და ეუბნება: „სხვა რომ არა იყოს რა, ეს მაინც იქონიეთ სახეში, რომ თქვენი შვილები, თუ შკოლაში გამოიზარდნენ, თავს არავის დააჩაგვრინებენ და შემძლენი იქნებიან, აი, ისე, როგორც მე და ჩემი ამხანაგებიო!“ ხალხი ყურს უგდებს, მაგრამ აღტაცებაში არ მოდის, აქა-იქ იძახიან: „არ გვინდა!“ შეიქმნა საზოგადო გრიალი და თითქმის ერთხმად სწყვეტენ: „ნუ იქნება შკოლებიო!“... ამ დროს მოისმა ათრთოლებული ხმა: „მოითმინეთ: ბატო-ნებო!“ და კათედრაზე ადის ერთი ახალგაზრდა, რომელსაც ჯერ, ეტყობა, ცბიერების სიტკბოება არ გამოუცდია და ნებას თხოულობს, რამდენიმე სიტყვა ათქმევინონ:

„ვაი სირცხვილო! რასა ვხედავ? და რა მესმის? დაიყვირა აღტაცებულმა და შეუპოვრად წამოანთხია გულში ნაგუბი ნაღველი!... მოულოდნელობამ შეაჩერა კრება... შეკრთა!!.. ახალგაზრდა გულწრფელად, თამამად ამბობს ყველას, რაც კი გულზე ლოდად დასწოლია! არ ეხება მატერიალურ მხარეს, მხოლოდ ზნეობითს აწვება და ამტკიცებს, თუ რა არის ადამიანისათვის სწავლა-განათლება, რომ ზნეობითის განმტკიცებით ზნეამაღლებული შეიქმნეს. ხელოვნება აკლია, მჭევრმეტყველი არ არის!.. მაგრამ ჭეშმარიტება იგივე სწორ-უპოვარი მჭევრმეტყველება და ხელოვნება არ არის!!! კრება სულგანაბული შეჩერებია და ყურს უგდებს, თითქო ერთ კაცად გადაქცეულაო. სახე ეცვლება, რაღაც ეფარება სახეზედ, ღრუბელივით. ეს შენანების ნიშანიაო... აი, ცოტა კიდევ და ღრუბელი ნელ-ნელა ეფანტება... სახე უბრწყინდება, ნეტავ რა ძალა უნდა იყოს ეს, ასე ძლიერად და მოულოდნელად რომ მიაშუქა? რაი და სინდისი, ის სინდისი, რომელიც აქამდე მიძინებული იყო და ახლა კი ძლიერმა, პატიოსნურმა მხილებამ გამოაღვიძა... ღმერთო ჩემო! ამ რამდენსამე წამის წინათ, უშვერის სახით გამომეტყველებით მღელვარე ხალხი ასე უეცრად რამ გადაასხვაფერა? რამ გაამშვენიერა? იმ უცნაურმა ძალამ, რომელსაც სიმართლეს ეძახიან, წამიერად მოსწმინდა გარეგანი ჩირქი და გამოაჩინა საკუთარის ბუნებრივი სახითა და ფერით!! გაათავა სიტყვა ორატორმა.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ იგრიალა ხალხმა და აღტაცებულის ტაშის კვრით მიეგება ახალგაზრდას!.. შკოლების საქმე კეთილად გადაწყდა, აი, სწორედ ამ დროს შემეცვალა ჩვენს მხარეზე დარწმუნებით სადიდებლად აზრი, ავიხედე მაღლა მოაჯირისაკენ, სადაც ქალები მეგულებოდნენ, სასეიროდ და მხოლოდ საჭორაოდ მოსული! დავინახე და აღარ მინდოდა თვალის მოშორება! ვისაც ამისთანა დროს არ უნახავს იმერელი ქალები, ამას ნება არა აქვს მათ მშვენიერებაზე სთქვას რამე და არც იმ ქალებს ექნებათ ნება ჰკითხონ ხოლმე, ბოშო, რასა გვწუნობთ, თუ იცით? თვალადობა გვაკლია, თუ ტანადობაო?“ არც ერთი და არც მეორე, მაგრამ ვაი, რომ მშვენიერ სახეზედ წვრილმანი სულის კვეთება და უკადრისი ძრახვები გეხატებათ და გიკარგავთ სანდომიანობას! აბა, ეგრე დარჩით, როგორც ეხლა, ამ

აღტაცების დროსა ხართ, თუ თაყვანი არ გცეთ მოწიწებით! მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა ეს ნატვრა!.. ჩვენ შვილიშვილებს მიულოცავთ ამ ბედნიერებას და ჩვენ-კი გულ-დაწყვეტილი, ჩვენის დედების სასაფლაოებს მივმართავთ თაყვანისცემით!!.. მაგრამ, ეჰ, რა დროს გულის შეთამაშებაა, მიუბრუნდებით ისევ იმერლებს და ვიმეორებთ, რომ იმერლების ბუნებრივი ღირსება დროთა ვითარებას სრულიად ვერ გაუქრია, მხოლოდ დროებითად მიუძინებია, მაგრამ ერთი მარჯვე შემთხვევა გამოაფხიზლებს, რომლის ნიშნები უფრო ხშირიც იქნებოდა, თუ უკანასკნელი რეფორმები ხელს არ უშლიდეს.

ბატონ-ყმობის ისტორიული საჭიროება დიდი ხანია, გადასული იყო და მხოლოდ ჩვეულების მტარვალება აგრძნობდა ამ უსამართლობას, რომელსაც მოკლე ხანში ბოლო უნდა მოღებოდა... ვინ წარმოიდგენს მაშინდელ ჩვენს ყოფას, ჭაბუკურ აღტაცებას და გაზვიადებულ იმედებს საზღვარი აღარ ჰქონდა!.. იმასვე უნდა ჰგრძნობდეს ტყვე საპატიმროში, როდესაც ელოდება წამს ბორკილის აყრისას!.. აჰყრიან ბორკილს, ხელ-ფეხი ეხსნება, თავისუფალია, მაგრამ ისევ ციხეში რჩება ტყვედ, რადგანაც გალავანი მაღალი და გაუვალია.

დადგა ჩვენთვის სასურველი წამი, — გაიყარა ბატონ-ყმობა, მაგრამ ისე კი მაინც ვერა, როგორც ველოდით და ჩვენს ოცნებასაც ფრთა შეეკვეცა! ეს ორი წოდება მაინც კიდევ გადაბმული დარჩა ერთმანეთზედ დროებითის თოკით. ერთი აღმა გაიწევდა და მეორე ჩაღმა, სხვადასხვა იყო ამ ორი წოდების სავალი გზა, თოკი ორივეს უჭერდა, ერთსა და იმავე დროს ნაბატონარმაც და ნაყმევმაც ტკივილი იგრძნო, ბრალი უბრალოდ ერთმანეთს დასდეს და უფრო გამწვავდა წყლული. ამ ცვლილებას თან მოჰყვა ახალი სამსჯავრო რეფორმაც... რასაკვირველია, ეს დიდებული კანონები ქვეყნის საკეთილდღეოდ იყო შემოტანილი, მაგრამ ზოგი ადგილობრივის მსაჯულების უმეცრება-გაუგებრობით და ზოგიც ქვეყნის შეუფერებლობით დაისუსხა და ის ნაყოფი ველარ მოიტანა, რომელიც მოსალოდნელი იყო, პირიქით, გამარგვლის ნაცვლად ძველი შამბნარი უფრო გააეკლიანა.

დაირღვა, დაიშალა ძველებური წყობილება, აიმღვრა ცხოვრება და აირია ხალხი, — ამით ისარგებლეს ქვეყნის ყლაპიებმა და გამოვიდნენ სარბიელზე. ეს ადრინდელი პატარა ქვემძრომი ჯოჯოები, დღეს გველეშაპებივით გარს არტყიან ქვეყანას, რამ გაადიდა? რამ გააძლიერა? თავდაპირველად ამისთანა შემთხვევამ, რომელსაც უგუნურები ბედს ეძახიან, მაგრამ კანონი და სინდისი კი სხვა სახელს უწოდებს. მძორსა და ლეშს ყვავ-ყორნები ეხვევიან და ფულიან ჯოჯოებს — ადვოკატები, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ყორნები თავად იმ ლეშსა სჭამენ და ადვოკატები — კი ფულიან ჯოჯოებს სწვრთნიან, რომ ქვეყანა სჭამონ და ხრან, რადგანაც იმავე დროს ნასუფრალი მათია, მაშინ, როდესაც სამართალი სასტიკად სდევნის და სჯის წვრილმან ჯოჯოებს, ამ გავეშაპებულებს — კი ხელი არ ეკიდებათ, რადგანაც მათი მოქმედება გარეგნობით ფორმალური მხარით სრულიად კანონიერია.

სანიმუშოდ მოვიტანთ მაგალითს: ვსთქვათ, ერთს გაგველეშაპებულ ჯოჯოთაგანს ჰსურს ვისიმე ყოფა-ცხოვრება ჩაიგდოს ხელში, შეიძენს იმის ან ვექილს, ან რამე პირობას: და იმ დროს უჩივლებს, როცა შეიგულებს, რომ შინ აღარ არისო, სხვაგან სადმე წასულაო, უწყებას მიაკრავენ სახლის კარებზე და დანიშნავენ გარჩევის დღეს. მოპასუხემ არა იცის რა... შედგება დაუსწრებელი განჩინება. ამ ზემოცნობილ წესითვე შედის კანონიერ ძალაში. ამ გვარათვე აუწერს მოვალეს მამულს და გინდ ათიათასი თუმნის საღირალიც იყოს, მაინც ას მანეთს ზევით არ აფასებს. ამას ამიტომ შვრებიან, რომ კანონით, თუ ას მანეთზე მეტად არის დაფასებული მამული, გაზეთში უნდა გამოცხადდეს, და თუ არა — იქვე, სამსჯავროს კარებზე მიაკრავენ განცხადებას აქაც, რასაკვირველია, გაზეთში, რომ შორს მყოფმა მოვალემ არა გაიგოს-რა, რა ამბები ხდება მის თავზე და მიტომ აფასებინებს ას მანეთ ნაკლებ. ამ გვარის ხერხით ვინ მოსთვლის რამდენი დაღუპულა ჩვენში, მაგრამ რადგანაც ეს ჭირი ფორმალურის მხრით კანონიერია, ხელი არ ეკიდება ქვეყნის ყლაპიებს და შერჩებათ ხოლმე. სხვებრ, ამათ მოქმედებას დიდი გავლენა აქვს ხალხზე. ის დარწმუნდა, რომ კანონი და სამართალი ვერას გააწყობს იმასთან, ვისაც შეძლება და გაიძვერობა

ერთმანეთზე გადაუბამს და თვითონაც ემონება. ამავე მიზეზმა გაამრავლა ჩვენში ცრუ მოფიცრები, ბოლოს და ბოლოს მეტად გაუჭირდა ჩვენს მხარეს, ვეღარ აიტანს, ეს ქვეყნის ყლაპიები უნდა თავიდან მოიშოროს, მაგრამ თავის თავად, რომ ნება არა აქვს მათი გასამართლებისა და გასჯის, იმდენად გამწარებულია, რომ ითხოვს მათ თავიდან მოშორებას, ადრე ჩვენში მისთანა კრება არა ყოფილა, რომ მთავრობისათვის არ ეთხოვოს, ესა და ეს ავაზაკი და ცუდი კაცი დაგვიბრუნეთ ციმბირიდგანო, და ახლა, ეს ერთი ხანია კი მხოლოდ იმას ითხოვს „ცუდი კაცები მოგვაშორეთ“, ეს კარგი ნიშანია! ღმერთო, შენს მადლს და ჩვენც ამის მეტი აღარა გვეთქმის რა იმერლების შესახებ: „გული წმინდა დაბადე მათთანა, ღმერთო, და სული წრფელი განუახლე გვამსა მათსა!“...

აკაკი
1890

სახუმარო გასართობი

ა ღ უ უ უ !!!

ყოველ-გვარი ძველი ამბავი, რომელიც კი გარდასულ დროს მოგვაგონებს და გვიხატავს მაშინდელ ზნე-ჩვეულებას, საჭირო და სასურველია ჩვენთვის. ეს ყველაფერი ცხადია! — მაგრამ ოცნების უკუღმართი ნაყოფი რომ ვინმემ ძველ ამბად მოგვა-ჩეჩოს ხელში, მისი კი რა მოგახსენოთ?! არც სასურველი იქნება და არც სასაცილო. — სწორეთ ამ გვართაგანია ის ძველი ამბავი, რომელიც „ივერიის“ № 75-ში დაუბეჭდავთ. აი, მისი შინაარსი: თ.გულბაათ ჭავჭავაძეს მსახურად ჰყოლია წერეთლის ნაყმევი. წერეთელს რამდენჯერმე წიგნი გაუგზავნია ჭავჭავაძისთვის: ჩემი ყმა დამიბრუნეო! ჭავჭავაძეს პასუხი არ უღირსებია. გულმოსული იმერელი შეიარაღებულა, უახლებია ორი ბიჭი და ჩაჭრილა კახეთ-ში; მიდგომია კარზე გულბაათს, შეუჭენებია ეზოში ცხენი, აჭრილა კიბეზე, მივარდნია მასპინძელს და აუტეხია ჩხუბი:

— თქვენ ხართ გულბაათი?

— დიაღ.

— თქვენთანაა ჩემი ნაყმევი ბიჭი?

— დიაღ.

— მიიღეთ ჩემი წიგნი?!

— დიაღ!

— მერე რატომ არ გამოისტუმრეთ?

— დიაღ... და სულ ამგვარად.

მოთმინებიდან გამოსული სტუმარი ხანჯალს იღებს, რომ მოჰკლას მასპინძელი. დინჯი მასპინძელი მაშინ კი კადრულობს პასუხის მიცემას, დაივიწყებს „დიაღ“: ჯერ მეწვიე და საქმეზე მერე ვილაპარაკოთო. გაიმართება ლხინი, შემდეგ წერეთელს ყმა ავიწყდება და ბრუნდება იმერეთისკენ.

სწორე მოგახსენოთ, ეს ამბავი ძალიან გვიხატავს ძველე-ბურ დროს, დიდი ოჯახის შვილებს, მათ ზდილობას, სტუმარ-მასპინძლობას და სხვანი! თურმე ის პანპულობა, რომელსაც დღეს „კინტოობას“ ვეძახით, პირდაპირი ნაშთი ყოფილა ჩვენი ძველი დროებისა! მართალი ნათქვამია: „სიბერემდის სიქაჩლეს ელოდეო!“ ჩვენ სულ სხვებ გვქონდა შესწავლილი და წარმოდ-გენილი ძველებური დრო! ღმერთმა უშველოს „ივერიას“, რომ

თვალი აგვიხილა! მაგრამ ჩვენ კი ჯერ მაინც თვალ-ახელილიც ვერ მივმხვდარვართ და ვერ წარმოგვიდგენია ეს უბრალო საქმე! ერთი მხრით, ჭავჭავაძე, კახეთში განთქმული და გამოჩენილი გვარის შვილი, მეორე — წერეთელი, არა ნაკლებ იმერეთში ცნობილი, რომელნიც მეფის ბრძანებაზეც არ ამჩატდებოდენ ხოლმე, „ასკი-კუკუს“ თამაშობენ და კინტოურათ ექცევიან ერთმანეთს! — ერთის ნაყმევი თუ მეორესთან მივიდა და მოსამსახურედ დაუდგა, ეს შესაძლებელია; ძველ ბატონს რომ ეწყინა და შეუთვალა ჭავჭავაძეს, ყმა დამიბრუნეო, ეს ყველა დასაჯერებელია, მაგრამ ჭავჭავაძე წერეთელს პასუხს არ აძლევდა, ეს კი საეჭვოა! ზდილობის წინააღმდეგია და ჩვენი ძველები კი განთქმული იყვენ საზოგადოდ ზდილობით. შეიძლება გვარში გამოერიოს ერთი უზდელი როგორმე, მაგრამ ის კი გულბაათ არ იქნებოდა, როგორც იმაზე გაგვიგია. — წერეთელს გული მოუვიდა, შეიარაღდა, იახლა ორი ბიჭი, თვის სავალზე, საჩხერიდან ყვარელში წავიდა და იქ ჩხუბი აუტეხა. — საკვირველია, დიდი ოჯახის შვილები ერთი საათის სავალზედაც არ წავიდოდენ, თუ მხლებლები არ ეყოლებოდათ თან და ის წერეთელი კი ორი ბიჭით, ვინ იცის, საიდან სად მოდის? ჩვენ გვგონია, რომ მოურავსაც არ გაგზავნიდნენ მაშინ ორი ბიჭით.

დაუჯეროთ, რომ ყოველიფერი ასე მოხდა! იმაზე რაღა ვთქვათ, რომ იმერელი და კახელი ერთმანეთს შეხვდებიან სტუმარ-მასპინძელი; ჩვეულებრივის მოკითხვისა და ზდილობით სიტყვა-პასუხის ნაცვლად ერთმანეთს ბიაბრუათა ჰხდიან? „იშიშვლა ხანჯალი წერეთელმაო“. ძველ კაცებზე შეიძლება რომ ვსთქვათ, იშიშვლა ხმალიო, რადგანაც ჩვეულებად გვქონდა მტერზე მისვლა და თავისიანთან ამოღება და ტრიალი დღევანდელი გმირების საქმეა და არა ჩვენი წინაპრების! ცხადია, რომ ავტორი დღევანდელ შემთხვევას გვიწერს. სადმე თვალს მოჰკრავდა, რომ ვინმე წერეთელა თუ ჭავჭავაძუკა კინწლაობდენ — და იმის ოცნებებს ძველ დროში გადაუტანია... დიაღ, გადაუტანია და ცუდიც უნებებია. ჩვენი ძველების შეურაცხყოფა და მათი უმიზეზოთ საცინად აგდება არაფერი ისტორიკოსობა და მჭევრმეტყველობაა... ეს ამტკიცებს მხოლოდ ბავშვურ აღუუუს!

ცუკია
1894

მცირე შენიშვნა

ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან, რომ ჩემმა ერთმა სრულიად უმანკო შენიშვნამ „აღსარების“ შესახებ, ასეთი დაუსრულებელი ვაი-უშველებელი ასტეხა — მე, როგორც მის პატივისმცემელს, არ მეგონა თუ ბ-ნი გოგებაშვილი ისე იუცხოვებდა, რომ ბოღდი-ხანობას გამოიჩენდა და მორიელ მაკიაველად დამასახელებდა, მაშინ როდესაც მიზეზი არ მიმიცია და არავითარი საბუთი ხელში არ უჭირავს. მართალია, წინასწარმეტყველობას ჩემულობს, მაგრამ ის წინასწარმეტყველობაც, როგორღაც ბოღდიხანურია!.. ჩემ „შენიშვნაზე“ რომ მან პასუხი დასწერა, მე სრულიად დავრწმუნდი, რომ მეტის წერა აღარ ღირდა და აი, რა წერილი მივწერე სოფლიდან „რედაქციაში“: „ძმაო გიორგი! გოგებაშვილის პასუხით დავრწმუნდი, რომ მას ვეღარას გადავათქმევინებთ და მეც აღარ ამოვიღებ ხმას, რაც უნდა სწეროს! ამასთანავე გთხოვთ, თუ რამე გამოგზავნოს იმის შესახებ, არ დაბეჭდოთ!.. ხომ იცი, რაც უნდა იყოს, იაკობისთანა კაცები ძვირფასები არიან ჩვენთვის და საფრთხილოდ მოსაპყრობი. თუ არ დაყვავებით, ისე არა გაკეთდება-რა და სხვ.“

მიუხედავად ამ ჩემი წერილისა, იმას მაინც უპასუხეს ბ-ებმა: გ. წერეთელმა, სილოვანმა და დოდაშვილმა. როდესაც ჩამოვედი სოფლიდან და საყვედურით მივმართე ამ პატივცემულ პირებს, აი, რა მიპასუხეს: „ჩვენ დიახ პატივისცემა გვაქვს როგორც თქვენი, ისე იაკობ გოგებაშვილის, მაგრამ სიმართლეს და ენის სისწორეს მსხვერპლად ვერც ერთს ვერ შემოგწირავთ და შენ შეგიძლია აღარაფერი სწეროო!“ ამის შემდეგ მე რაღა მეთქმოდა, გავჩუმდი და აღარაფერს მონაწილებას აღარ ვიღებ. მაშ, სრულიად უმიზეზოდ მწამებს იგი მაკიაველობას. ცხადია, რომ ვიღაც ატყუებს პატივცემულ იაკობს და ან მისმა წინასწარმეტყველობამ უღალატა!.. მე რაღაი-კი ერთხელვე გადავსწყვიტე, იმან „აღვიარების“ ნაცვლად „ვაღიარებიც“ რომ დასწეროს, სიტყვის შემბრუნებელი არა ვარ და დავშთები მისადმი ადრინდელადვე მოყვარული და პატივისმცემელი.

1894

გაფრთხილება

(ვუძღვნი ბ-ნ რედაქტორს და მის თანამშრომლებს)

ძველად ჩვენში ერთი ჩვეულება იყო: როცა მოჯალაბე გაჯიუტდებოდა, ან და რამე შეუსაბამო დანაშაულობას ჩაიდენდა, ჰტოვებდა თავის ოჯახს, მამულ-დედულს, ბატონ-მეზობელს და გამორბოდა ქართლისკენ, თავის შესაფარად და სასჯელის ასაცილებლად. ხან-და-ხან ამ ჩვეულებას კარგი შედეგიც მოჰყვებოდა: დამნაშავე სხვების მიბაძვით და მრავალგვარ განსაცდელთა ზე-გავლენის გამო ჰტოვებდა ადრინდელ ზნეს, ჩვეულებას, მიდრეკილებას და გამოსადეგ კაცად ჰხდებოდა. გაჭირვების ჭახრაკი ზნეობრივ მალამოდ ესალბუნებოდა ხოლმე, ვაი „ვაშათ“ ეცვლებოდა, განსაცდელი განახლებას, განკურნებას უქადდა... მართალია, ზოგჯერ მოჯალაბე იქაც მოჯალაბობდა, ზოგჯერ, მხარ-შეკრულსაც და ფეხებ-შებოჭვილსაც კი გიბრუნებდენ უკან, მაგრამ...მაგრამ ერთი-ორი მაგალითი რა მოსაყვანია, — მე საზოგადო მოვლენაზე მოგახსენებთ და მარტო მასზე...

ახლა... ახლა „დრონი იცვალენ“ და ჩვეულებრივი მოვლენა თითით საჩვენებელი მაგალითი შეიქმნა, „დრონი იცვალენ“:

> დრონი რა დრონი
> ნაქებნი მტკბარად! —

და საარაკო მოვლენამ ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო, ახლაც ჩვენში მოჯალაბები (თუმცა ბატონ-ყმობა გადავარდა), ახლაც გამორბიან ისინი ქართლ-კახეთისაკენ (მაგაზე ადვილი რაღაა, თუ ნაცნობი კონდუკტორი იშოვნა); მაგრამ ცოდვების მოსანანიებლად კი არა, — არა! სამოძღვროთ და საჭკუისმეისტროთ...დიაღ, ჩვენებური მოჯალაბები თქვენში სამჭერმეტყველო კათედრას ეტანებიან ხოლმე, ჰკიცხავენ და ჰგმობენ ნამდვილ მოღვაწეებს და უნამუსოდ გაიძახიან ხოლმე თავის თავზე:

კაცი ის არის, ვინც არის საქვეყნოდ ლაფით ცხებული,
მით მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული...

შორს რომ არ წავიდეთ, ერთს მაგალითზე მიგითითებთ. აგერ რამდენიმე თვეა, რაც ერთი გაზეთის ფურცლებზე დათარეშობს ერთი „ვინმე“... ეს ის გმირია, რომელსაც დიდი ხანია, რაც გაუტყდა მეკობრობის ნავი, დიდი ხანია რაც გაისილა ცხოვრების ტალღებთა შეუპოვრობის მსხვერპლად... უფრო მდაბიური ენით რომ მოგახსენოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბ-ნი მღაღადებელი ხსენებულის გაზეთის უდაბნოსა შინა ეგრედ წოდებული სამოქალაქო კანონით დასჯილი „ვინმეა“. თუ გნებავსთ, მე გაახლებთ ერთი ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლიდანაც დაინახავთ მის ვინაობას – იმ პირის გულწრფელობას, რომელიც პატიოსნებაზე, კეთილ-შობილობაზე, მამულის სიყვარულზე და სხვა ამ გვარ მაღალ საგნებზე წამდა-უწუმ არახუნებს. მე გაცნობებთ ამას ყველაფერს და ეს ჩემი ცნობა იქნება ნამდვილი პასუხი იმ უწმაწურ და უსირცხვილო წერილებისა, რომელნიც იბეჭდებიან ამ ბოლოს დროს ზოგიერთ მოღვაწეთა წინააღმდეგ. იქიდან თქვენ დაინახავთ, ვინ გებაასებათ, ვინ იცავს მათ, ვინც ამ გვარ დამცველთა ეძებენ და ჰპოულობენ, ერთი სიტყვით, თქვენ მიხვდებით, რად გახდა ჩვენი მწერლობა, ვინ მოექცა მას სათავეში, ვინ შეიქმნა მისი სულის ჩამდგმელი და წინამძღოლი...

„ან ეს, რაცა ვთქვი, რათა ვთქვი“, თუ არა იმისთვის, რომ წინდაწინვე მეგობრულად გაგაფრთხილოთ. „ნეტარ არიან ისინი, რომელნიცა არა შევიდენ ზრახვათა უგნურთათა“...

ბატონებო! იმედია, რომ თქვენ მათ ხმას არ გაჰცემთ, რადგან არ შეგშვენით, არ გეკადრებათ ყველასთან ბაასი და მით უფრო მათთან, ვინც მოჯალაბობს სიმართლის გამო-კი არა, — სამართალს მოჯალაბობის გულისთვის გამოქცევიან.

იმერელი
1894 წ.

[ქუთაისის სემინარია და ქუთაისის ციხის ნანგრევები]

როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისის ქალაქში უნდა აშენდეს სასულიერო სემინარიისათვის სახლი, რომლის ასაშენებლად ჯერ-ჯერობით ადგილი არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი და უმრავლესობა სამღვდელოებისა (იმერეთის სამღვდელოება) კი გადაწყვეტით ამბობს ბაგრატის ტაძრის გვერდით ძველი ციხის დანგრევას, იმ გორის გადასწორებას და იმაზე სემინარიის აშენებას. აქ საბლერი რომ იყო, იმან ეს ადგილი დაათვალიერა და მოიწონა, ახლა ვინ იცის, სად და რომელ ადგილზე დადგამენ სემინარიას. სამეგრელოსა და გურიის სამღვდელოებას, როგორც ხმა ისმის, დაბლა ბაზარში აქვთ სემინარიის დადგმის სურვილი, აგრეთვე მოქალაქეთაც. ეს კითხვა, რასაკვირველია, სამღვდელოების (ორივე ეპარქიის) კრების დროს უნდა გადაწყდეს, რომელიც მოხდება ამ სექტემბრის 27 რიცხვს. როგორც ვიცით, ეს ციხეც, ისე როგორც სხვა ნაშთები, იმ არხეოლოგიურ ნაშთებს ეკუთვნის, რომელზედაც გამოიცა უმაღლესი ბრძანება 1889 წელს ძველი ისტორიული ნანგრევების ხელშეუხებლობაზე. თვით ადმინისტრაციისა და სასულიერო მთავრობის მოვალეობაა, დაიფარონ ეს ნანგრევები კაცის ხელისგან. ჩვენ არ გვჯერა, რომ ყოვლად სამღვდელომ არ იცოდეს ამ უმაღლესი ბრძანების მნიშვნელობა. აქ კერძო მთავრობის წარმომადგენლის სურვილი არაფერს შუაშია, ყველაზე უპირველესად უნდა დაცულ იქმნას უმაღლესი ბრძანება. მართლაც და რაღა მაინცა და მაინც ციხე უნდათ დაანგრიონ? ნუთუ მეტი ადგილი არ იშოვება ამ გორაზე? არის კიდევ ბაგრატის ტაძრის გვერდით მშვენიერი ადგილი თავისუფალი, რომელიც ღოღობერიძეს ეკუთვნის. ეს ადგილი არის ერთ ქცევაზე მეტი და ამის ნახევარი, აგერ ერთი თვეა მას აქედ, ვალში აწერილია 300 მანეთად, იგი ბევრად უფრო იაფი დაჯდება. სამასად კი არა, ექვსას მანეთათაც რომ იყოს ეს ადგილი, იმის ყიდვა ბევრად უფრო ხელ-საყრელი იქნება, ვიდრე ძველისძველი ციხის კედლების დანგრევა, რომელსაც ვერც ათას მანეთად მორჩება კაცი. ბაგრატის ტაძარსა და ღოღობერიძის ადგილებ შუა სულ ათი საჟენი იქნება ჩრდილოეთის

მხრით, ბევრი ამ ადგილს კიდეც ასახელებს. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ დაბლა ბაზარში სჯობიაო, მაგრამ დაბლა შეუძლებელია იმისთვის, რომ საბლერს ეს გორა ისე მოეწონა მაშინ აქ მყოფობის დროს, რომ დღეს რექტორმა თქვა (ინსპექტორია, მარა აქ რექტორს ეძახიან) თუ გორაზე არ დავნიშნეთ ადგილი სემინარიის ასაშენებლადო, სინოდი არ დაგვიმტკიცებსო, როგორც საბლერისგან ვიციო. როცა საბლერმა აქ ციხე დაათვალიერა და აქედან წავიდა, ეპისკოპოსმა თბილისიდან არქიტექტორი დაიბარა სემინარიის გეგმის შესადგენად (ციხეზე) და შედგენილი გეგმა ამ ერთი კვირის წინ ჩამოუვიდა.

ქუთაისი, 6 ენკენისთვე.

М.-Г. г. редактор!

С некоторых пор я начал получать массу писем, вызванных предстоящими банковскими выборами. Не имея возможности отвечать на каждое из них в отдельности, я поставлен в необходимость заявит следующее: еще при самом начале, когда задумали учредить у нас земельные банки, я был против этого и говорил и писал между прочим вот что: «Давать нашему народу пока такие учреждения – все равно, что давать ребенку острую бритву в руки. Теперь мы увлечены радужными мечтами о будущем, но будущее докажет нам, что мы поставили сами народу капкан и рулетку. В конце концов, наши помещики-землевладельцы разорятся, нравственная физиономия нашей жизни потеряет свой патриархальный цвет». Насколько эти мои слова оправдались, предоставляю судить другим; в настоящее же время вообще земельные банки не считаю я таким важным учреждением и делом, чтоб интеллигентный грузин мог сосредоточить все свое внимание исключительно на них. Для правильного ведения банковских операций не нужно ни астрономии, ни философии, ни поэзии: всякий мало-мальски развитой, не лишенный обыкновенных способностей интеллигент, при известном трудолюбии и благонамеренности, может справиться с ним, а потому будет ли это Петр, Иван или Максим, совершенно безразлично. Что же касается того, что образовались партии, и тут я не вижу ничего особенно важного: где выборы – там и партии, а где партии – там борьба и разгар страстей; принимать личное, активное участие в этой борьбе я не желал и не желаю, а на стороне высказывать свои симпатии или антипатии к той или другой стороне, кажется, никому не возбраняется, и я не намерен, вследствие предписания или молчалинского расчета – «не сметь своего суждения иметь», отказываться от них.

Примите уверенье и пр. Кн. Ак. Церетели.

Газ. «Новое обозрение», № 3557, 4/V, 1894.

Ответ автору банковиады
(письмо в редакцию)

Автору банковиады, как видно, не по вкусу пришлась моя статья, напечатанная в «Квали». Особенно встал ему поперек горла тот кусочек, который он вырвал без начала и без конца, из середины статьи, чтобы в виде дипломатического соуса, с приправою своего собственного изобретения, поднести читателю. Поступок этот напоминает нам один старинный анекдот: какой-то путешественник, собираясь в Иерусалим, опубликовал свой маршрут и приглашал попутчиков; на другой же день является к нему некий господин со следующей речью. «Милостивый государь! Ваша публикация мне не нравится! Все это вздор, ибо я еду в Китай! Озадаченный путешественник осмотрел с ног до головы пришедшего, махнул рукой и сказал: «Катай в Китай, а меня оставь в покое».

Нечто аналогичное представляет из себя статья автора банковиады, направленная против меня. Она начинается так: «Статья кн. Акакия Церетели, хотя и никакого прямого отношения к предстоящему банковскому собранию не имеет, но, тем не менее, должна произвести сильное впечатление на съезжающихся теперь из деревень мелких землевладельцев».

Вот так логика! Раз моя статья никакого прямого отношения к предстоящему банковскому собранию не имеет, то какое дело автору банковиады до нее? И что его так смущает? Неужели только то, что статья может произвести впечатление на землевладельцев? Странная претензия! С каких это пор в упрек ставят писателю то, что они производят впечатление? Раз я пишу, то, конечно, желаю, чтобы моя статья произвела впечатление на всякого читателя, без различия, будет ли то землевладелец или воин, банковский деятель или простой купец! Еще странное объяснение того отрывка, который автор приводит в доказательство моих каких-то ужасных деяний. В отрывке этом я советовал нашим сельским помещикам не увлекаться краснобайством разных, прикидывающихся либералами, якобы передовых людей, и самим приезжать в город, слышать все своими глазами, взвесить все своим умом и тогда только произнести свой суд! В случае же (если) у них не будет своих собственных средств, то постараться занять у соседей своих, у таких же чохоносцев, как они сами, чтобы только не отстать от общего дела. Кажется, тут и нет речи о взятках, между тем, вот как это разъяс-

няет наш автор: «Все эти рассуждения были бы вполне законны и справедливы, если бы хоть на одну сотую долю соответствовали действительности, ибо помещики-землевладельцы в деревнях так же мало интересуются общественными делами, судьбами края, как прошлогодним снегом и что они исключительно приезжают для шарокатания и за это, мол, берут взятки».

В статье своей я привожу только те данные, которые имеются у меня в руках; данные, в которые глубоко верю и по ним только делаю свои заключения; но раз у автора пресловутой банковиады есть и другие данные, если, действительно, грузинские помещики не способны интересоваться никакими общественными делами, приезжают, будто исключительно для шарокатания и берут взятки, то кто или что мешает ему самому громогласно заявить об этом и уличить виновных, а не навязывать деспотически мне своих каких-то закулисных соображений?! Напрасно автор банковиады старается объяснить мне различные виды взяток; конечно, я не могу знать все тонкости взяточничества, но вообще, что предосудительно и что нет, и нам возможно иметь об этом понятие. Например, если я, Акакий Церетели, приеду в деревню к помещикам и буду умолять их: «Господа! Приезжайте в город помочь мне в моих личных интересах» - и за это они потребуют и получат от меня вознаграждение, то это будет возмутительно и с моей, и с их стороны, но если я, никаких личных интересов не имея, предан только общественному делу и говорю этим же самым помещикам: «Господа! Не для своего личного интереса, а для общего блага, прощу вас проснуться и не быть индифферентными и отправиться в Тифлис ради какого-нибудь дела, ну хоть, для примера, скажем, ради банковского (так сильно интересующего и волнующего автора банковиады); там теперь идут выборы, не важные сами по себе, но зато, в то же время, там подлежат разрешению разные вопросы, имеющие гораздо большее значение. Горожане имеют такое же право голоса при разрешении вопросов, как и вы сами, сельские учредители банка. Ни для кого не тайна, что интересы лиц, подобных автору банковиады, и сельских учредителей не одни и те же, а потому, если число их будет превосходить на собрании число защищающих ваши интересы, то вы, сельские учредители можете остаться в крайне печальном положении, а чтобы этого не было, соберитесь вы со своей стороны, составьте им противовес, оберегайте свое добро и пр. Допустим и то, что от помещиков получаю возражение: «Понимаем мы

все это, готовы бросить свои полевые работы и приехать, только бы помочь делу, но беда-то в том, нет средств ехать в такую даль». И если в самом деле при этом будет оказана мною или кем-нибудь посторонняя помощь не в своих личных интересах, как уже было сказано, то неужели это было бы, со стороны подающего помощь лица, поступком, достойным порицания?

Это все ясно, но, как видно из статьи, автор не хочет и допустить, чтобы подобные случаи могли быть когда-нибудь, ибо грузины де не интересуются общественными делами. Допустим, что это так; не будем противоречить капризному автору, пусть сельчане не интересуются общественными делами; но разве мы тогда не еще более обязаны вразумлять их? Нам кажется, что в подобных случаях долг каждого порядочного интеллигентного грузина просто даже силой привозить их в город, и, указывая на их собратьев армян, внушать им: «Вот! Смотрите на этих славных, умных пришельцев! Как они прекрасно ведут свои общественные дела! Они приобретают все, благоденствуют, а вы с каждым днем все долее и долее теряете свою собственность! Берите с них пример и пр. и пр.».

Нет никакого сомнения, что почтенный автор банковиады все это понимает не хуже нас, но его, быть может, волнует его собственная собака «зарытая в другом месте», т. е. интересы горожан.

Автор банковиады, скрывающийся под буквой Г., отлично известен мне, но, дорожа литературным приличием, не хочу я последовать его примеру и разоблачить его псевдоним.

Акакий

Мая 12-го 1894 г. Тифлис
Газ. «Новое обозрение»,
№ 3568, 15/V, 1894

Вынужденное объяснение
(письмо в редакцию)

В № 3694 газ. «Новое обозр.» помещена статья под заглавием «Министр земледелия на марганцевых промыслах» со следующей припиской: «До чего доходит скромность и благодушие этого бескорыстного деятеля (Симоновича), видно из того, что он даже не пикнул, когда один из наших самохвалов развязно провозгласил себя в печати «открывателем» кавказского марганца и сам надел на себя венец Колумба». Ясно, что все это написано с целью не столько похвалить г. Симоновича, сколько задеть кого-то «одного из наших самохвалов». Чтобы публика по ошибке не приписала этого намека тому известному у нас господину, который публично уверяет всех и вся, что он взял Карс, производил генералов, поучал министров, распекал европейских первоклассных ученых, что вообще без него ничего не делается, и что даже аисты по его указанию вьют себе гнезда и пр. и пр., я должен признаться, что этот намек сделан на меня; но посмотрим, насколько он справедлив: за все время марганцевого производства у нас, мне раз только пришлось дать объяснение, и то вынужденное, в котором я рассказывал историю чиатурского марганца. В статье этой я говорю, что честь открытия марганца у нас (еще в тридцатых годах) принадлежит академику Абиху, а затем дальнейшее исследование – г. Симоновичу. Указания и исследования этих ученых до сих пор все еще лежали бы втуне, как все прочие в этом роде, если бы я, по совету этого же самого Симоновича, не взялся за это дело; 12 лет я возился с этим новым для нас делом, преодолел все препятствия, которых было немало, сам прогорел, но результат был все-таки достигнут, что и требовалось доказать: дело получило известность, и тогда только все те, которые не верили в это дело, с успехом взялись за него. Спрашивается, где же тут мое самохвальство? Мало ли у нас рудных месторождений, уже исследованных, но втуне лежащих, так как никто за них не берется! А как трудно браться за такие дела, чтобы поставить их на ноги, тому примером могут служить залежи каменноугольных копий, эксплуатируемые не таким, как я, а такими дельцами как Н.Я Николадзе! И что же мы видим до сих пор? Только то, что капиталы как самого Николадзе, так и всех привлеченных им к соучастию лиц, «горят себе, горят», а сам уголь до сих пор остается неприкосновенным в первоначальной чистоте.

Из всего этого выходит заключение, что я – «самохвал», по меньшей мере, смешно! Напротив! Я глубоко ненавижу хвастунов, а подчас даже подсмеиваюсь над ними, за что они и кидают грязью в меня из-за угла, подобно автору вышеупомянутой статьи, который, чтобы только пофигурировать на обеде, данном марганцепромышленниками, рекомендовал себя марганцевладельцем и товарищем одного крупного производителя; меня же не было на этом обеде, за что и получил от многих замечания, а в числе их и от самого г. Симоновича! Приведу его слова: «Кому, кому, а тебе следовало быть на этом обеде, как немало потрудившемуся в деле производства этого марганца и самому тоже крупному марганцевладельцу! Мне - так, благодаря Нико, устроили овации, а я был ужасно сконфужен. Ты знаешь, я тоже не люблю этих фигурирований, хотел я возражать и напомнить им о тебе, но, зная твой характер, умолчал». На этом я кончаю свой ответ, ибо полагаю, что любовь к правде и всем известная добросовестность г. Симоновича обяжут его дать разъяснения автору статьи, тому рыцарю без страха и упрека, который не церемонится называть меня «самохвалом».

Кн. Акакий Церетели

Газ. «Новое обозрение»,
№ 3695, 15/IX, 1894

Чистосердечный ответ

Метил я в ястреба, попал в ворону. К величайшему моему сожалению, автором заметки оказался г. Николадзе, с которым давно я прервал всякие сношения и решил избегать его, где бы и как бы ни ухищрялся он выступить против меня; но, благодаря невольной ошибке, на этот раз приходится нарушить свой обет и, конечно, в последний раз. В статье, напечатанной в № 3696 газ «Нов. Обозр.», наговорить со свойственной ему развязностью массу небылиц, г. Николадзе, не краснея, восклицает: «Если этот мой рассказ не верен, то пусть кн. Ак. Церетели укажет читателям «Нов. Обозр.», в чем собственно заключается его заслуга, в каком начинании, в какой комбинации, в какой новой идее, в каких до него неведомых трудах? Не все ли мне равно, кого воспевать – его или г. Симоновича? Было бы лишь за что. Но кн. Ак. Церетели, увы, не укажет ничего подобного».

В чем заключается мое участие в этом деле, об этом подробно изложено мною в моем «Вынужденном объяснении», напечатанном в грузинской газете «Иверия», №266 за 1893 год. Повторяться и зря утомлять читателей, не особенно, полагаю, интересующихся тем, кто именно инициатор этого дела – я или другой, - я не решаюсь, но если кто-нибудь из тех, которые не знают грузинского языка, действительно интересуются этим делом, чтобы иметь понятие о моем самохвальстве или правдивости г. Николадзе, я к его услугам: с удовольствием дам ему в руки доказательства не только всего того, что сказано мной в вышеупомянутой статье, но еще большего.

Напрасно «грозный» публицист подкапывается под сказанную правду, чтобы досадить мне; смею его уверить, что это дело, какое бы оно место ни заняло в истории русского народного хозяйства, меня не может интересовать со стороны личного самолюбия, ибо я не из тех болезненных себялюбцев, которые, вообразив, что взяли первоклассные крепости, требуют себе в награду орден с. Георгия и, не получив его, себя же утешают тем, что «невоенным, мол не полагается», и обо всем этом смело повествуют целому миру. Я охотно готов уступить честь инициаторства в марганцевом деле у нас г. Николадзе, ибо он его так комично добивается, как увидит читатель ниже. Теперь же я укажу на перлы его полемических приемов. Я упомянул в своей первой статье о «Вынужденном объясне-

нии», напечатанном мною в газете «Иверия», где подробно говорится и об академике Абихе, и о геологе Симоновиче, но он, г. Николадзе, ухватился за вскользь сказанные слова в одном из моих воспоминаний в «Квали», повыдернул оттуда с обычной ему ловкостью слова, обрадовался своей уловке и давай плясать под свой же аккомпанемент; спрашивается, для чего он прибегал к такой передержке. Неужели сознательно? Склонен думать, что нет! А просто по привычке, ибо кому так часто приходится маневрировать при взятии первоклассных крепостей, вроде Карса, тот не может также не поманеврировать на публицистическом поприще; здесь бы мне хотелось прекратить всяческие разговоры о г. Николадзе, но в его измышлениях есть одно комическое место, до того характеризующее автора, что не могу не указать его. Вот оно:

«Когда Сп. Г.Симонович открыл кн. Ак. Церетели глаза насчет промышленного и рыночного значения нашего марганца, кн. Ак. Церетели не располагал ни средствами самому взяться за разработку этого материала, ни связями, которые могли доставить ему необходимые на то капиталы. В этом досадном положении носитель секрета, открытого ему г. Симоновичем, принужден был обратиться к содействию одного из своих знакомых, имевшего в те поры (дело было в 1873-1874 г.) довольно значительные заграничные сношения. Кн. Ак. Церетели доверчиво посвятил этого знакомого во все расчеты и предложения Г.Симоновича, с просьбою приискать за границей капиталистов, могущих взяться за столь выгодное дело. Знакомый, побывав за границей, посоветовался об этом предприятии с такими авторитетными геологами, как гг. Перноле (позже депутат) и Бараль (позже министр финансов и президент совета). Все они порознь единодушно советовали не обращаться в этом деле к помощи капиталистов».

Кто был этот всемогущий, с большими связями, непростой знакомец, к которому будто бы обращался я, думаю, не трудно угадать всякому; это, конечно, сам г. Николадзе. Но изволите ли видеть, по свойственной ему всем известной скромности, конфузится называть себя. Оказывается, он первый познакомил Европу с кавказским марганцем, сообщив об этом таким знаменитым французам, как депутат Перноле, секретарь Бараль и министр финансов, президент совета, Рувье! Вот с какими тузами имел сношения г. Николадзе, ведь не чета они тому тифлисскому портному Андрею Капанадзе, дальше которого не пошел Ак. Церетели! Как все это

внушительно и эффектно, да жаль только, что это мыльные пузыри собственного изобретения! Совершенно верно, что Н.Я.Николадзе привез из-за границы различных аферистов по своим ткибульским делам, но каких? Вот вопрос! Привез, например, однажды некоего Задера и отрекомендовал его владельцем богатейших залежей каменноугольных копий в Европе, но, к сожалению, рекомендуемый банкир оказался только кожевником! Это подало повод злым языкам утверждать, что его привезли будто бы с целью сдирать кожи с наивных владельцев ткибульских каменноугольных копий, но, слава Богу, пророчество их не сбылось, напротив того, сам кожевник едва не лишился собственной шкуры, и тогда все видевшие это у нас запели хором ту самую песню, которую г. Николадзе так неуместно повторяет в своей теперешней статье «худые песни соловью в когтях у кошки».

Но об этом почему-то находит нужным умолчать сам г. Николадзе, потому и мы не будем распространяться больше, перейдем прямо к тем трем светилам, которых рекомендует нам их ловкий чичероне. Действительно, приезжали с ним каких-то три француза (их коих один – Рувье, которого после смерти от паралича, случившегося с ним в 1874 г., г. Николадзе производит в министры финансов и даже в президенты совета). Они поканканировав около Ткибули, уехали себе подобру-поздорову домой.

Но, допустим, что они, действительно были теми, кем их рекомендовал Н.Я.Николадзе, а четвертый, состоявший при них слугой, был сам президент Республики инкогнито, - что ж из этого? Какое отношение могли они иметь к марганцу, когда в то время, т.е. в 1873 году, о кавказском марганце и помину не было! Первые исследования марганца, частным образом сделанные для меня г. Симоновичем, было в 1875, а второе, официальное в 1880 году. Конечно, ничто не помещает г. Николадзе сказать, что еще другой раз приезжали совсем другие, но только случайно носящие одни и те же имена и титулы с прежними, приехавшими в 1873 году, и что к ним-то он и обращался по моей просьбе. Но, увы! И этому не поверит никто, кому только известно мое мнение об этом великом нашем общественном деятеле, Н. Я. Николадзе! Еще в то время, когда он только что вернулся из-за границы, меня спрашивали, какого я мнения о молодом вьюне, и вот мой тогдашний ответ: «в известном смысле, он превосходит Алкивиада, ибо тот только у своей собственной собаки отрезал хвост, чтобы заставить афинян говорить о

себе, а этот не поцеремонится резать и у чужих». С тех пор я еще больше укрепился во мнении, что г. Николадзе, благодаря своей геростратовской страсти, сжигал все готовое и вообще, при малейшем прикосновении, способен только путать всякого рода дела и губить их, как бы они ни были прочно поставлены другими.

Может быть, я заблуждаюсь, но дело в том, что, держась такого мнения, я не могу к нему обращаться никогда не только наяву, но и во сне; и, должно быть, все, что он пишет, ему самому приснилось без моего участия. Что же касается до совета, заимствованного им у хроникера «Нов. Обозр.» и преподнесенного мне, считаю его для себя лишним: у меня есть собственное правило – быть искренним, правдивым и по возможности скромным не только на литературном поприще, но и во всех общественных делах, ибо кто увлекается одними только фокусами и довольствуется временными, дешево купленными у толпы успехами, тот напоминает того жалкого актера, который, довольствуясь хлопушками раешников, мнит себя великим артистом и не замечает, как серьезные люди отворачиваются от него*).

Кн. Акакий Церетели.

Ред.
Газ. «Новое обозрение»,
№ 3698, 4/X, 1894

* нельзя не сожалеть, что настоящая полемика приняла характер личной перебранки. Главный предмет ее первоначально был очень интересен: для будущего нашей промышленности было бы весьма полезно выяснить вопрос о возникновении одной из важных ее отраслей.

Открытое письмо к Д.Н. Бакрадзе

Многоуважаемый Давид Николаевич!

Письмо ваше, напечатанное в № 3707 «Нов. Обозр.», очевидно, написано под минутным впечатлением тех статей Н.Я.Николадзе, которые очень смело и бесцеремонно были пущены по моему адресу. В маленькой заметке моей, напечатанной год тому назад в «Квали», где приводилось и ваше коротенькое письмо, ничего обидного не было для вас, а тем более ничего лестного и хвастливого также и для меня!.. Это ясно для всех, кто только может читать и понимать написанное на грузинском языке. Для тех же, кто знакомы с нею только по переводам и разъяснениям г. Николадзе, я поставлен в необходимость еще раз повторить ее, чтобы выяснить истину. Не только до вас, но и после вас не раз обращались ко мне и обращаются некоторые господа с такими же фразами, какие имеются в вашем письме. Чистосердечны эти слова или только насмешка, - я не знаю и предоставляю вам самим судить, но дело в том, что подобные приветствия и комплименты, клянусь вам, меня всегда ставили и ставят в неловкое положение. Когда я при вашем письме получал и реальное доказательство сказанного, я понял, что вы ваше пожертвование назначили на какое-нибудь благотворительное дело и выбор предмета предоставили мне. Я так и сделал, отослав эти деньги на фонд для собирания народных былин и сказок. Тогда же явилась у меня мысль указать на ваш пример и всем тем остальным, которые с такими же речами, как вы, обращались ко мне, ибо мне гораздо приятнее было видеть сочувствие других к намеченному делу, чем самому лично получать подаяние!.. Это ясно, кажется, и потому не понимаю ваших двух упреков, сделанных мне. Если действительно я не так понял смысл вашего письма или изменил что-нибудь, то простите великодушно, но я слишком дорожу вашим письмом, чтобы терять его!.. оно у меня, и я могу вернуть его вам, когда угодно и при ком угодно!..

Что же касается до анекдота о Даламбере и Вольтере, то это, конечно, я должен принять за маленькую шутку с вашей стороны, но не знаю, как и чем я ее заслужил, ибо не чувствую в себе Вольтера и за спиною не ощущаю не только миллионной, но и рублевой славы!.. Мнение же ваше о погоне моей за копеечной славой более чем ошибочно!.. Ни в практической моей жизни, ни литературной деятельности я ее, кажется, не проявлял. Это, я думаю, вам

лично больше известно, чем кому бы то ни было; но в данном случае, видно, вы поддались влиянию тех публицистических потуг г. Николадзе, после которых всегда выходит что-нибудь смешное!.. Пусть другие недоумевают, почему г. Николадзе понадобилось задеть без всякого повода меня, княгиню Е. Церетели и других? Но вы, который давно знакомы с характером его писаний вообще, не могли не угадать и уели: очистить поле деятельности своим доверителям и разогнать всех, так или иначе прикосновенных к марганцевому делу. Повторяю, не следовало вам обращать внимания на его писания, особенно после его полемических приемов в отношении ко мне!.. Видно, не сверяли вы его перевода и разъяснения с моим оригиналом. Это более всего меня беспокоит, и, чтобы вывести вас из заблуждения, я должен указать вам на них. В своих статьях г. Николадзе фигурирует в двух противоположных ролях: обвиняемого и обвинителя. Посмотрим, каков он в той или другой? Рассказ его о депутате, сенаторе и министре-президенте напомнил мне реплику гоголевского ревизора о департаменте, сенате и министерстве. На это я указал мимоходом и тут же оговорился, что г. Николадзе способен сказать, что три французика, которые приезжали с ним, были одни, а эти три – совсем другие. Так и вышло: он смело повторяет, что когда трое приехали сюда, то во Франции остались еще трое других!.. Не то же самое говорил и гоголевский герой, когда напомнили ему, что автор Юрия Милославского другой? Это и сему подобные увертки он называет серьезным оправданием, и пусть себе!..

Посмотрим теперь, как он объясняет!.. Несмотря на его бесцеремонное искажение смысла моих слов при переводе, даже и по его отрывкам можно угадать, как он силится предавать каждой фразе не то значение, какое нужно. Если я говорю в моей статье, что марганец был известен и местным жителям, называвшим его «квагунда», и что Абих, Симонович и другие в своих геологических изысканиях упоминают о нем, как о минерале, не распространяясь о его практическом применении и способе его эксплуатации, - разве это значит умолять их заслуги, как ученых? Когда я говорю, что геологи в своих описаниях, где говорится о марганце, тут же повторяют и слова: мергаль, базальт, сенит, конгломерат и другие, но что масса одинаково интересуется и теми и другими, то неужели это значит, что я конгломерат принимаю за минерал? Очень дешевое остроумие!.. Еще остроумнее его разъяснения «Тер Нуар». Я

говорил, что существовало общество под фирмою «Тер Нуар», которое экспортировало рейнский марганец и проч.… Этого, вероятно, не знал всеведущий публицист и обратился к своему вечному помощнику, т.е. к энциклопедическому словарю. Вычитав оттуда, что «**Тер Нуар**» - это маленький городок близ Сант-Этьена, во Франции, обрадовался своему открытию, и давай хихикать и свистеть. Если кто-нибудь спрашивает гостиницу, и ему указывают на «Лондон» у Михайловского моста, то значит ли это, что его отсылают в Англию, ибо Лондон там?!.. Не есть ли это беззубая выходка? Утверждать, печально, что не я первый начал разрабатывать марганец да еще ссылаться на свидетельство г. Симоновича – это значит не уважать своих собственных слов!.. И почему мой нотариальный арендный договор с Андрониковой, по которому два года приходилось платить арендаторше, г. Николадзе угодно назвать сомнительным? Ведь за договоры сомнительные приходится отвечать перед законом, но, слава Богу, ничего подобного не случилось в Чиатурском районе ни со мною, ни с другими, тогда как в Ткибульском районе подобные дела бывали, о чем не безызвестно и г. Николадзе!.. Не путает ли он марганец с каменным углем, и Чиатури с Ткибули? Но, довольно обо всем этом!.. Для характеристики достаточно и этих немногих примеров, чтобы не распространяться дальше!.. И вот, многоуважаемый Давид Николаевич, на кого вы обратили внимание, кем вы увлеклись, и зря, без всякого поводы с его стороны, обидели одного из преданных вам друзей!

А. Церетели

Газ. «Новое обозрение»,
№ 3721, 27/X, 1894

პასუხი მტერ-მოყვრებს

ადამიანს რომ შუბლის კანი გაუმაგრდება და სირცხვილ-ნამუსს დაჰკარგავს, მაშინ ენასაც იგრძელებს, რომ თავისი ჩირქი სხვას გადასცხოს როგორმე. მინახავს კაცისმკვლელები, თავისგამართლებას რომ ვეღარ ახერხებდენ, ბრალს მოკლულს ადებდენ: „თვითონ შემომაკვდაო!..“ აგრეთვე შევხვედრივარ ქურდს, რომ ამტკიცებდა: მე კი არ მოვიპარე ფული, მე კი არ დავხარჯე, თვითონ შემომეჭამა — შემომეხრჯაო. თითქმის მართლა ფულს დაეტანებიოს ძალა ადამიანისათვის, რომ მას ქურდობა ჩაედინა. სწორედ ამნაირად მექცევიან მე ის ვაჟბა-ტონები, ფედერალისტების ქურქში გამოხვეულები, ვითომ სა-ზოგადო საქმისათვის თავდადებულები, საქვეყნო საქმეს აკე-თებენ. ხმას ავრცელებენ გაზეთების საშუალობით, ვითომც მე ფედერალისტების წინააღმდეგად გამოვსულიყავი და კიტა აბაშიძისთვის შავის მიცემა მსურვებოდეს. ღმერთი, რჯული, რომ ეს ტყუილია. მე სრულიად არ მდომებია არჩევანში ჩარევა. თვითონ გამომიწვიეს და როცა გამაშავეს, მერე მომაწერეს ის, რაც მე არ ჩამიდენია. — ჩემ ამრჩევლებს არაფერი ფედერა-ლისტების შესახებ არ ჰქონიათ მხედველობაში. აქ იყო მხოლოდ საპირადო მოსაზრება, უსამართლო და შავი. და თუ მე ხმას არ ვიღებ და ფარდას არ ვხდი სიმართლეს, მაქვს ამისი მიზეზი: „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავ-დებისო“, ამბობს რუსთველი და ამას ხალხი ამატებს: „მოქნე-ული და მოზომილი არ ხაზულაო“. ამისი არ იყოს, არც მე მინდა საქვეყნოდ გამომჟღავნება წერილობით და მიტომაც ვსთხოვ იმ ჩემ მოწინააღმდეგე კიტაელებს, რომ სამედიატორო სამარ-თალში გამომყვენ. დეე, იმ მედიატორებმა განიხილონ საქმე და რასაც ისინი გადასწყვეტენ, ვეთანხმები. მე ჩემის მხრით მედი-ატორებად ვნიშნავ: ვანო ელიაშვილს და იაკობ ფანცხავას, ორივეს ფედერალისტს.

აკაკი

[1912 წლის შემოდგომა]

საქველმოქმედო ჭიდაობა

შინ რომ დავბრუდი, გაზეთს წავავლე ხელი გასართობად და აი, რა წავიკითხე ახალ ამბებში: „გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის თავოსნობით ხვალ გორში ჭიდაობა გაიმართება ქალთა სასწავლებლის და წითელ-ჯვრის სასარგებლოდო...“ რომელი დარგის ხელოვნებაა ეს ჭიდაობა? არ ვიცით, მაგრამ ეს კი, რომ ვინც იმას მისდევს, ეტყობა, იმ შკოლის აღმსარებელია, რომელსაც უსარგებლო ხელოვნება არა სწამს. ჭიდაობაც მარტო ხელოვნებისთვის არ არის გამოგონებული, საქველმოქმედოთაც გამოსადეგია! და მოსაწონიც არის — ერთი, რომ პატრიოტულია და მასთანაც ამ ხელოვნებასთან ფეხოვნებაც გაუყრელია, რადგანაც ხელებიც და ფეხებიც მოქმედებაში არიან ჭიდაობის დროს!... ეტყობა, ეს კარგად ესმის მეთაურსაც... ვაშა, რომ კიდევ ახსოვთ ჩვენი მამა-პაპური გართობა... ჭიდაობა... ეს კია, რომ ამ ჭიდაობას ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორც შიმშილობის დრომ მშივრებისთვის პიკნიკების გამართვას: იქ ხალხი იჟლითება და აქ კი იმათ სასარგებლოდ ბღლაძუნობენ... იქ სისხლი იღვრება და აქ ოფლი! — ჭიდაობაზე დიდ ძალი ხალხი დასწრებია. ახლად გამოჩენილი მოჭიდავე ცერაძე დატაკებია ძველ მოჭიდავეს მუშტიძეს... მუშტიძე [ ][1] ცერაძეს, მაგრამ მერე ველარ გაურჩევიათ ხარხარში ვინ ვის ძალა... ხალხს ღრიალი დაუწყია:

ვაშა! ვაშაო!.. როგორ თუ ვაშაო... ვაშა კი არა „ნაშაო“, ურრაო! მაყურებლებს გული [ ][2] — ცერაძე კერძო იყოო და მუშტიძე ქრისტიანი და აბა, ვნახოთ ვინ ვის წააქცევსო — ზოგი ცერაძისკენ, ზოგი მუშტიძისკენ, სულგანაბული შეჩერებოდენ. ცერაძის და მუშტიძის [ხელოვნებით] ჯიბაძეს უსარგებლია. შემოსავალი დიდი ყოფილა, მაგრამ უჯიბლარად ვერც ეს ჭიდაობა გადარჩენილა. ამბობენ, ჯიბლარიც [7444] იყოო!..

აკაკი წერეთელი

[1914 წლის აგვისტო — 24 დეკემბერი]

---

[1] სიტყვა არ იკითხება.

[2] სიტყვა არ იკითხება.

სხვადასხვა

* * *

[სიტყვა დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებაზედ]

შენის სიცოცხლის დროს სიამოვნებითა და მოწიწებით შენ წინ თავმოხრილი, დღეს მწუხარებით მოვიდრეკ მუხლს, რომ უკანასკნელად თაყვანისცე შენს გაცივებულს გვამს, ავაზაკებისგან სიცოცხლე დამწარებულს.

მნათობი სხივ-მომფინარედ ამობრწყინებული სხივ გაფანტვითვე ჩაესვენება იმავ დიდებით და ძლიერებით, რომლითაც ამოელვარებულა და ნათელი სრბოლა მისი ყველასთვის სათვალ-დათვალოა, თვინიერ ბრმებისა. და შენც, არსება ნათელო, როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი შეიქნ ყველასათვის სათვალ-დათვალო და მაშ, შენდა საქებად, სადიდებლად რაღა ვსთქვა ისეთი, რომ საქართველოს ერთის კუთხიდამ მეორემდე არ ენახოსთ, არ გაეგონოსთ და არ ეგრძნოსთ. უმეტესმა ნაწილმა იმერეთისამ, შენზედ მგლოვიარემ, არ იცის, რაგვარი გვირგვინი უნდა გადმოგხუროს, დაფნისა თუ ყვავილებისა... არა, არც ერთი... და ეგ ხომ ჩვეულებრივ მოვლინებათ გადაიქცა ჩვენში და შენ კი, რომლის სიცოცხლეცა და სიკვდილიც არა ჩვეულებრივი იყო, შენ, რომელმაც შენს სიცოცხლეში მხოლოდ ეკლის გვირგვინი ატარე, ჩვეულებრივი აღარა გაგებედებოდა რა და ვერც შემოგკადრეთ.

და აჰა, ხელცალიერი, უგვირგვინო ვდგევართ შენ წინ და მხოლოდ ცრემლებს ვაფრქვევთ გულწრფელად შენს ბედშავს, მაგრამ დიდებულს კუბოს. დეე, უღვთო-ურჯულოდ დათხეულს შენს სისხლს შეეთანაზიაროს ცრემლი სიმართლისა და გულწრფელობისა, რომ ორთავე ერთად შეერთებულად წინდათ დაიდვას იმა მომავლისათვის, რომელსაც შენ მთელ შენს სიცოცხლეს სწირავდი და ღირსიც გახდი, რომ იწოდო ნამდვილ დიმიტრი თავდადებულად.

მშვიდობით, ხორციელად ჩვენგან დაკარგულო, მაგრამ სულიერად კი საშვილიშვილო მოკავშირევ, ჩვენო დიდო მოძღვარო!

1887

* * *

გ ლ ო ვ ა

ძველთაგანვე სამას სამოც-და-ხუთი ტაძარი აგებულა საქართველოში წმინდა გიორგის სახელობაზე, რომ წლის განმავლობაში, ყოველ დღე მოეხსენებია ქვეყანას და ედიდებია მისი დიდი მფარველი, მთავარ-მოწამე, დღეიდან ერთიც კიდევ უნდა მიემატოს და განხდეს სამას სამოც-და-ექვსი, ნაკის შესავსებად!.. ეს არის სურვილი, დღეს მოულოდნელად აღელვებულ საქართველოსი, რომ მით გულის-ტკივილი შეიმსუბუქოს და უზომო მწუხარება ოდნათ მაინც მოიქარვოს!.. და რა მოვლენია ჩვენ მხარეს, რომ ასე აღშფოთებულა? მოსისხლე ლენგთემური ხომ არ მოსჩვენებია ხელ-ახლად? ან მზაკვარი შაჰ-აბასი ხომ არ მოლანდებია? და ან მოღალატეებისაგან საქართველოს ასაოხრებლად წაქეზებული ხოჯა-ხანი ხომ არ გათვალისწინებია? არა!.. მაშინ ხომ გულ-გატეხილი ქართველი, შეუპოვრობის ნიშნად, მრისხანებით ანთებულ თვალთაგან ნაპერწკლებს გამოაფრქვევდა და დღეს კი ცრემლებსა ჰღვრის, ოჰხვრით შენაკაზმს! — მგლოვიარედ დამჯდარა, მაგრამ ვისზე? საარაკო დავით აღმაშენებელი ხომ არ აგონდება? ან საოცარ თამარს ხომ არ იხსენებს და ან სასიქადულო გიორგი ბრწყინვალის სამარეს ხომ არ დაჰყურებს? არა! არა! და არა!!!! დიდი ხანია, ქართველთა მადლიერმა გულმა სასოებით ჩაისვენა გულში საშვილიშვილოდ მათი კუბო!...

დღეს სულ სხვა არის მიზეზი ქვეყნის აღშფოთებისა: დაჰკარგა ის, ვინც დასაკარგავად არ ემეტებოდა!.. იგლოვს დიდ მთავარს მემკვიდრე ცესარევიჩს, რომელიც გარემოებამ შემოახიზნა საქართველოს და ვინც თავისი დიდ-ბუნებოვნება შეუფერად-შეუთანხმა საქართველოს დიად ბუნებას. სტირის მას, ვინც განურჩევლად გვარტომობისა მიუდგომლობის და სიმართლის სხივს აფენდა, მით გულს უბრუნებდა და ნუგეშს აძლევდა დევნულ-ჩაგრულთა. ქრისტეს მიერ გულთამხილაობით დაგვირგვინებულმა შეიყვარა ქვეყანა და მით შეაყვარა თავი

ერს იმდენად, რომ თავის თავად მოიპოვა წოდება საალერსო სახელისა: „ჩვენი გიორგი“, ამ სახელით შესთხოვდა საქართველო დღემდი მის დღეგრძელობას ყოვლის შემძლებელს და ამ სახელითვე დღეიდგან ოხვრით შესთხოვს მის საუკუნო განსვენებას.

1899

* * *

სამოციანელთა წინამორბედი

აკაკის სიტყვა გიორგი ღოღობერიძის დაკრძალვაზე

„ათასი წელი, ვითარცა გუშინდელი დღეო“, — ამბობს წინასწარმეტყველი, და მართლაც საოცარი სისწრაფით გარბის დრო და თან მიაქვს ჩვენი ქვეყნიური არარაობაც!.. გუშინ არ იყო, განსვენებული დაგვიბრუნდა რუსეთიდან, უნივერსიტეტ დამთავრებული, სიცოცხლით სავსე? დღეს კი, ასე მალე მოხუცებულს ვეთხოვებით საუკუნოდ და ვაბარებთ ცივ სამარეს? დიახ, ვეთხოვებით ყველანი — დიდი და პატარა, გაურჩევლად წოდებისა და წრეებისა, თანასწორად გულდაწყვეტილნი.

საკვირველია! რა მიუძღოდა ამ კაცს ისეთი, რომ ყველა ასე შვგვკრიბა მის კუბოს წინ? — ბრბოთა მომხიბლავი სიმდიდრე, სადიადო ნაბოძები მაღალაღმატებულობა, თუ თვალმოსაჭრელი სხვა რამე გარეგანი ღირსებათაგანი? არც ერთი რამ ამგვარი, გარდა საკუთარი შინაგანი ღირსებისა, რომელსაც საზოგადოთ, გამორკვევით და შეგნებულად უმრავლესობა ვერა ჰხედავს, მაგრამ რომელზედაც ეროვნული გრძნობა ალღოს ააღებინებს ხოლმე ხალხს, და აი, დღეს ვხედავთ სწორედ ამის მაგალითს. მართალია, გიორგი ღოღობერიძეს ყველა იცნობდა უწყინარ, მშვიდობიან და კეთილ, პატიოსან კაცად, მაგრამ ეს

კიდევ არ კმარა ქვეყნის გულის მოსაგებად; აქ კიდევ სხვაც უნდა იყოს საიდუმლო, საგულისხმო და ჩვენც ის უნდა გამოვარკვიოთ.

ნათქვამია: „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“ და ჩვენ კი, ჩვენის მხრით, მოგახსენებთ, არა თუ ერთი მერცხალი, მთელი ინდოეთის გუნდიც ერთად ვერ მოიყვანს გაზაფხულს... პირიქით, მერცხლები მოჰყავს გაზაფხულს; მაგრამ ხალხი მაინც თანაუგრძნობს იმ სასურველ ჩიტს, როგორც გაზაფხულის წინამორბედს და მახარობელს.

აი, სწორედ ამისთანა წინამორბედ-მახარობლად მოევლინა განსვენებული გიორგი იმ ახალგაზრდა გუნდს, რომელიც ჩვენში მესამოცე წლების მოღვაწეებად არიან ცნობილნი.

მართალია, მწერლობითი საშვილიშვილო საბუთი თავისი მოღვაწეობისა არა დაუტოვებია რა განსვენებულს, მაგრამ, ჩვენ მის ნაამხანაგებს, გვახსოვს და მოვალეცა ვხდით ჩვენს თავს, არ დავივიწყოთ, რომ იმ გზისაკენ, რომელზედაც შემდეგში მესამოცე წლების მოღვაწეებმა გაიარეს ჩვენში, პირველად გიორგი ღოღობერიძემ მიგვითითა. მაშასადამე, სხვა ღირსებაც რომ არა ჰქონოდა რა, ეს ერთი ფაქტიც საკმაო იყო მისდა სასახელოდ, და აი კიდეც ვხედავთ დღეს, რა პატივითაც გაიხსენა საზოგადოებამ.

ღირს არს მიენიჭოს მას აქ დაუვიწყარი სახელი და იქ საუკუნო განსვენება!“

1900

* * *

[სპარსეთიდან მოსული ქართველი სტუმრების პატივსაცემად წარმოთქმული სიტყვა]

ბატონებო!

„რკინას ცეცხლი აფოლადებს, ადამიანს – განსაცდელიო“, — ნათქვამია და ამ ჭეშმარიტებას დღევანდელი, ჩვენი აქ თავმოყრაც ამტკიცებს: ამ ორასის წლის წინეთ შაჰ აბაზმა მოარბია აღმოსავლეთ საქართველო და ვინც კი ჩაიგდო ხელში, წაიყვანა ტყვედ, შორეულ სპარსეთში გადაასახლა, რომ უფრო მალე გადაერჯულებია. მაგრამ არ გამართლდა ის ძველი ანდაზა, რომ „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადიც იქ არისო!“ თუმცა ამ ორასი წლის განმავლობაში, ჩვენ საერთო არა გვქონია რა იმ ტყვე-წინაპრების ნაშიერთან, ყოველივე კავშირი გაწყვეტილი იყო, მაგრამ ისინი კი, თურმე, ქართველობას გულში კი მაინც არ იშლიდენ. იქ შობილან, იქ გაზრდილან, გამოუცვლიათ რჯული, რადგან ღმერთი ყველგან ერთია, მაგრამ გვარ-ტომობაზე მაინც ხელი არ აუღიათ და ორს მათგანს დღეს აქა ვხედავთ. ცუდი დრო კი შეგვიხვდა მხიარულობისათვის ჩვენცა და მათაც! თუ შაჰ-აბაზის დროს ხორციელად იყო დასუსტებული საქართველო, დღეს სულიერად არის, რასაც დღევანდელი სტიქიონური მოძრაობა გვიმტკიცებს, მაგრამ ამ მოძრაობაში შორს მჭვრეტელი დაინახავს მომავლის იმედებს. დღევანდელი მოძრაობა ბუნებრივია: როდესაც ხანგრძლივი გვალვების შემდეგ მდინარე აღელდება, ის თავის კალაპოტში ველარ ეტევა, გადმოსტეხს კიდეებს, წალეკავს ნაპირებს, თან წაიყოლებს, რაც უვარგისი და ნამეტანი რამ არის და მერე ისევ დამშვიდებულ-დაწმენდილი ჩადგება თავისივე კალაპოტში. ესევე ემართება დღეს ჩვენ ეროვნებასაც. „ზამთარი ვერ შეგვაშინებს, როცა გაზაფხულს მოველით“ და სიხარულით ყურს ვუგდებთ პირველ მერცხალთა ჭიკჭიკს, როგორც მახარობლისას. ჩვენი მომავალი ეროვნების გაზაფხულის მერცხლებად ვხედავთ

სპარსეთიდან მოსულ დღევანდელ სტუმრებს და მათ სამახარობლო ჭიკჭიკს მივაყოლებთ ჩვენებურ, ქართულ, გულ-გაშლილ „მრავალჟამიერს“!.. ვსვამ მათ სადღეგრძელოს და ვინატროთ, რომ მალე დამდგარიყოს დრო: ერთობის, ძმობის და სიყვარულისა.

აკაკი
[1907]

* * *

[რამდენიმე სიტყვა განსვენებულ გრიგოლ ეპისკოპოსზე]

„მკვდარზე ან კარგი და ან სულ არაფერიო!“ — ამბობს ერთი ლათინური ანდაზა. ცოტა არ იყოს, ეს ანდაზა იეზუიტურია!.. მკვდარს მიტომ კი არ მოიხსენიებენ, რომ იმას კარგად რამე შეასმინონ; ცოცხლების გასაგონად ამბობენ, რასაც ამბობენ, რომ კარგი სახელმძღვანელოდ დაუდვან და ცუდი თავიდან ააცდენინონ. — სწორედ ამ განზრახვით ყოფილა გამსჭვალული ის კორესპონდენტიც, რომელმაც გაზეთშიდ დაბეჭდა განსვენებულ გრიგოლ ეპისკოპოსის ბიოგრაფია. იმ ბიოგრაფიაში ცარიელი გინების მეტი არა არის რა!.. თითქოს, არაფერი ღირსება არა ჰქონდეს იმ განსვენებულს და ჩვენ კი ამაზე ვერ ვეთანხმებით ავტორს. სხვათა შორის ის აზრიც გამოჰყავს, რომ ვითომც განსვენებული ღირსი არ ყოფილიყოს ეპისკოპოსის ხარისხის, როგორც გაუნათლებელი კაცი, რადგანაც რუსის სასწავლებელში არსად ყოფილა, არც აკადემია ჰქონია გათავებული და არც სემინარია, — ეს მართალია, მაგრამ, ის იყო ქართულ მონასტერში გაზრდილი, მარტვილში, ზედმიწევნით იცოდა ქართული და სავსებით ესმოდა საღმრთო წერილიც. თუ ეს ასე არ ყოფილიყოს, ის მართლა არ იქნებოდა ღირსი იმ ხარისხის, რომელიც ხელში ეჭირა!.. ქართული სასულიერო ლიტერა-

ტურა მდიდარია, სიწმინდით დაცული და ადვილად გასაგები. ჩვენი საღმრთო წერილი ითარგმნა მაშინ, როცა ენა სამუდამოდ დამთავრებული იყო და მიტომ არის, რომ დღესაც ყველას ასე ნათლად ესმის, როგორც ესმოდათ ჩვენს წინაპრებს მეოთხე და მეხუთე საუკუნეში. და მიტომაც საქართველო ერთადერთი მართლმადიდებელი ხალხია, რომელსაც აროდეს არავითარი მწვალებლობა რჯულში არ შემოპარვია. და სხვაგან კი საღმრთო წერილის სიტყვა აღარ ესმოდათ, ამ სენმა მრავალგვარად მოიკიდა ფეხი. რუსეთის პატრიარხმა ნიკონმა მოინდომა, რომ თანამედროვე რუსულ ენით გადაესწორებია ძველი სლავიანური მათი საღმრთო წერილი, მაგრამ ვერ გაიყვანა თვისი სურვილი და მიტომაც არის, რომ ყველას თავისებურად ესმოდა გაუგებარი რამ და ჩნდებოდა სხვა-და-სხვა გვარი სექტები. ჯერ-ჯერობით ორმოც მწვალებლებზე მეტია რუსეთში და თან-და-თან მატულობს.

შემცდარი არიან ის რუსის მოძღვრები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მართლმადიდებელ სარწმუნოებისათვის, საკმაო არის მხოლოდ რწმენა, გულითადი რწმენა და სხვა არაფერიო! მაგრამ გონების დაუხმარებლად? თუკი ადამიანს სამოძღვრო ენა არ ესმის, შეგნებული არა აქვს, რასაც ეთაყვანება და მხოლოდ თუთიყუშურად ჩაძახებ-ამოძახების მეტი არა ეხერხება რა, რა ქრისტიანობა ეთქმის? და ან როგორ შეიძლება ის იწამოს კაცმა, რაც არ ესმის? რუსული საღმრთო წერილი ნათარგმნია სლავიანურად. ამ ენით დღეს აღარავინ არ ლაპარაკობს. თვით მქადაგებლებსაც აღარ ეყურებათ და ხალხმა რაღა უნდა გაიგოს? აი ამას ასწავლიან სემინარია-აკადემიებში და ამას აფიქრებენ. იქ ორნივე ქართული თუ საღმრთო წერილი, უბრალო სამხედრო ენაც კი აკრძალულია. აქედან რა იგულისხმება? — ის, რომ შეიძლება მარტო ქართულის ცოდნით ღირსი გახდეს არა თუ მღვდლობის, ეპისკოპოსობისაც კი და აგრეთვე გინდა აკადემიაც ჰქონდეს გათავებული, თუ საგანგებოდ მერე არ ისწავლა შინ ქართული, უღირსი იყოს მღვდელობისაც კი.

აქ ერთი რამ მაგონდება. იმერეთის ეპისკოპოზს, გაბრიელს მიადგა დიპლომით ხელში სემინარიელი და მოითხოვა, რომ მღვდლად ეკურთხებია. რადგანაც სემინარიელს უფლება ხელ-

ში ეჭირა, აკურთხეს და გაამწესეს ზემო იმერეთისაკენ. ახლად გამწესებულს, ქართული რომ არ ეხერხებოდა, სლავიანურად სწირავდა, რაც არავის არ ეყურებოდა. დიდმარხვა რომ დადგა, მრევლმა სთხოვა ქართული წირვა-ლოცვა გაგვაგონეო. მღვდელმა იფიქრა, გადუთარგმნი ქართულად სიტყვებს და ის იქნებაო. ერთხელ ლოცვა სინანულისა რომ უნდა ეთქვა, თავისებურად ვითომ გადათარგმნა: „ჰე, უფალო, ცხოვრებისა ჩემისა“... ვეღარ მოახერხა და წამოიძახა: „შენ ჰეი უფალო, მუცლისა ჩემისა და სხვანი“.

დღესაც იმ განათლებულებს, რომელთაც გაზეპირებული აქვსთ კაჭკაჭურად სლავიანური, ყოლიფერი ესმისთ, გარდა ქართულისა და საღმრთო მოვალეობისა!..და თუ ამას ხედავდა განსვენებული გრიგოლი და ხან და ხან თუ უპირატესობას აძლევდა კურთხევის დროს შინ გაზრდილებს, ეს ნიშნავს ურჩობას, უმაღლეს ბრძანების აუსრულებლობას და არა იმას, რასაც კორესპონდენტი ეწამება!.. ჩვენში იმდენად გაფუჭებულია ჰაერი, რომ ერთმანეთის კიცხვა-გინება საზოგადო სენათ არის გადაქცეული. ქრისტე ღმერთი რომ ჩამობრძანდეს, იმაზედაც ბევრ რამეს ცუდს იტყვიან და განსვენებულ გრიგოლ ეპისკოპოზზე რომ თქმულიყოს, რა გასაკვირვალი იქნებოდა? რაც შეეხება მისს მოქრთამეობას, მე იმაზე ბაასს არ დავიწყებ, რაც არ ვიცი, მაგრამ ეს კი მაკვირვებს, რომ, მიუხედავად დიდი ჯამაგირისა, განსვენებული ყოველთვის უფულოდ, ღარიბად იყო და ღარიბადაც მოკვდა!.. რათი უნდა აიხსნას ეს? მითი, რომ ის იყო დიდი საიდუმლო ქველმოქმედი კაცი და სხვათა შორის მისი ხარჯით ბევრი იზრდებოდა სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. მე ამ წერილს არ დავწერდი, რომ ერთს მათგანს მაინც ხმა ამოეღო, მაგრამ ყველა გაჩუმდა, და ყველამ ქვა და გუნდა მიაყარა, ასე თუ ისე, ქვეყნის მოკეთეს!.. კაცი უნაკლულო არ შეიძლება, მაგრამ როცა ადამიანს მადლი მეტი მიუძღვის ცოდვაზე, ის არ არის წასაწყმედი და განსვენებული გრიგოლიც სწორედ ამისთანა იყო და არ ადგა იმ გადარჯულებულ გზას, რომელითაც დღეს ჩვენში ბევრი არიან გამსჭვალულნი!.. მე ჩემის მხრით ვიტყვი, რომ ის იყო კარგი ქართველთაგანი, რაც იშვიათია დღეს ჩვენში და კეთილიც იყოს მისი ხსენება.

1908

* * *

უცხოელი ქალი

(ლექსი პროზად)

მორთულ-მოკაზმული, ფერ-ნაცხები და სარკის წინ კოპწიობით დაქანცული, გამოდის, რომ აქეთ-იქით ქსელი გააბას და ბეცი ბუზები დაიჭიროს. ვინ არიან ეს ბუზები! — მე... შენ... ის და ყველა! მე კი, როგორც ქართველს, ღიმილი მომდის. ჩემ სამშობლოში ხელოვნებას ჯერ კიდევ არ დაუჩაგრავს ბუნება: ვარდი თავისუფლათ სუნნელოვნად იშლება და მორცხვად თავსა ჰხრის და ყაყაჩო მედიდურობს!.. ესე იგი, იქ, სადაც ეს სამი ყვავილოვანება ერთად არ შეერთებულა, ფეხს ვერ იკიდებს სიყვარული!.. სიყვარული ნამდვილი და არა ბინძურობა. იყო დრო, რომ ქართველ ქალთა უმეტესობას, გარეგნობით ზემოხსენებულად შემკულს შინაგნობა ეკავშირებოდა. სული ხორცს ჰსცემდა ნათელს და ხორცი სულს შეჰქათქათებდა!.. დღესაც კიდევ, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აქა-იქ, სადმე მოიპოვება ნამდვილი ქართველი ქალი და ერთ მათგანს მე კიდეც ვეთაყვანები და ეს თაყვანია უხმო ლოცვა-დიდება შემოქმედების!.. ჯერ, სანამ მთა-გორას მოხურებული მზე მწვერვალზე თავს ამოჰყოფდეს, გაისმის ცისკრის ზარივით ტკბილად გულის სიღრმემდე ჩამწვდომი მისი ხმის წკრიალი. გაუღვიძნია ჩემ სატრფოს, ხელ-პირი დაუბანია, დაუვარცხნია გულმკერდზე დატევებული თმა, ჩაუცვამს უბრალოდ და შვილებს ისტუმრებს სასწავლებელში, რომ მერე საოჯახო საქმეს მოჰკიდოს ხელი და დაღამებამდე ფეხზე იდგეს. მთელი დღე მოძრაობს და მისი მოძრაობა საარაკოა. ყოლიფერი ჰშვენის: გაიღიმებს, თითქო ცა გაიხსნაო. მოიჭმუხნის, თითქო დედა-მიწა შეიკრაო! მინახავს მის წამწამებზე კურცხალი ჩამოკიდებული... მინახავს და ძლივს დადნობას გადავჩენივარ!.. დღიური შრომით დაქანცული, ღამით რომ ქვეშსაგებში მოისვენებს ხოლმე, თითქო მთვარემ მოიფინაო, მე მივდივარ ათრთოლებული, ვიჩოქებ მის წინ

და ზეგარდამო შთაგონებული ვეამბორები მის ფეხებს!.. ვეამ-ბორები მიტომ, რომ იმ ფეხებზე იდგა მთელი დღე და იმ ფეხებს მიმოქონდა აქეთ-იქით!.. წმინდაა ის ამბორი, როგორც დედის ცრემლი და იმ ამბორთან ერთად გათავდება ჩემი სიცოცხლეც! და ეს კი, [დედაბრობაზე] ხელი აუღია და დედა — [ზარდლად] გამოდის, რომ ქსელში გამაბას! ამაო ამაოთ!.. მე სულ სხვა გვარად მესმის სიყვარული! სიყვარული იგივე ხელოვნებაა!

[1908]

* * *

წერილი მეგობრებთან

ორმოცდაათი წლის იუბილეი ნახევრად პანაშვიდია და მა-შასადამე, დიდი არაფერი სამხიარულო, მაგრამ მე კი ჩემმა იუბილეიმ მოხუცებულობა დამიტკბო და დამავიწყა გადასული ჭირ-მოთმინება. ის თანაგრძნობა, რომელიც მე მეღირსა არა მარტო ქართველობისაგან შავ ზღვიდან დაწყებული კასპიის ზღვამდე, უცხო მეზობლებისაგანაც კი, დიდი იყო ჩემთვის. ბედნიერი ვარ მითი, რომ ჩემმა პატარა მოღვაწეობამ ამისთანა დროს ჩვენში გამოიწვია ეროვნული აღფრთოვანება, ნიშანი უკეთესი მომავლის. ასე თუ ისე, აღარ ვიცი, თუ რა მადლობა უნდა შევწირო როგორც ქართველობას, ისე მეზობლებსაც თა-ნაგრძნობისათვის? გარდა გულისა, მე არა გამაჩნია რა და მხო-ლოდ იმ გულს გადავუშლი ჩემ თანამგრძნობლებს, რომ შიგ არ ჩამრჩეს რა მათგან დაფარული: ყოველგან და ყველასგან შემო-ღებულია ოცდახუთი წლის იუბილეის გადახდა, მაგრამ, მე კი როცა გამითავდა ის ხანე, დღევანდელ თავადებს, იმ მეთაურ ინტელიგენტებს, რომელთაც ჩვენი წამებული ცხოვრების სა-დავე შემთხვევისა და „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“ ხელში უჭირავსთ, არ გავხსენებივარ!.. სიტყვით კი არწმუნებდენ, რომ

ოცდათხუთმეტი წლის იუბილეის ვუცდითო. დადგა მათი დანიშნული დროც და მაშინაც ისა სთქვეს: „ჩვენ იმდენად გვიყვარს აკაკი, რომ გვინდა დიდხანს იცოცხლოს და მერე ორმოცდაათი წლის იუბილეი გადავუხადოთო“. მათი ლოცვით იყო, თუ შემთხვევით, მართლა მივაღწიე იმ დრომდისაც, მაგრამ მაინც კიდევ ხმას არ იღებდენ! ალბათ, იმ განძრახვით, რომ ასი წლისთვის გადაედვათ, რადგანაც სასიკვდილოდ არ ვემეტებოდი. მე მრწამდა მათი გულუბრყვილობა, მაგრამ ზოგიერთებმა კი საზოგადოებიდან სხვანაირად გაიგეს ეს მათი გულუბრყვილობა და ძალა დაატანეს, რომ „წ.კ. გამგეობას“, როგორც დამტკიცებულ საზოგადოებას, თავს ედვა საიუბილეო ნებართვის გამოტანა. გამგეობა იძულებული გახდა, რომ აესრულებია საზოგადოების თხოვნა და თანაც თავის მხრით შეადგინა საიუბილეო კომიტეტიც. ამ კომიტეტში, მიუხედავად ჩემი პირადი თხოვნისა, არც ერთი მისთანა არ გაურევიათ, რომელნიც უფრო ენერგიულად შეუდგებოდნენ ჩემ შესახებ საქმეს. მაგალითად, არც დიასამიძეები, არც ღამბაშიძე და არც სხვანი, მაგრამ არჩეულ კომიტეტის ერენგიაც საჭირო აღარ გამოდგა: საზოგადოებამ, ხალხმა, გაიგო თუ არა იუბილეი იქნებაო, პირაქეთ, თანაგრძნობით მიაწყდა ამ დღესასწაულს და კომიტეტს ბევრი აღარა დარჩენია რა საშრომი: მხოლოდ თეატრი დაიქირავა საიუბილეოდ და ბილეთები გაჰყიდა. ამით უნდა გათავებულიყო მათი მოვალეობაც, მაგრამ, რა ბრძანებაა! ჩემი აპეკუნობაც იკისრეს თავის თავად სხვის დაუკითხავად. გამოაცხადეს, რომ ჩვენ ვადგენთ „აკაკის ფონდსაო“, რომ შემოსავალიდან მისი მდგომარეობა უზრუნველვყოთო. ამ განძრახვით გამოსცეს გასასყიდად ჩემი ნაწარმოები, შეკრიბეს შემოსავალი სხვადასხვა წარმოდგენიდან, გაიმართა შემოწირულობა სხვადასხვა წყაროებიდან და ეს ყველა ფონდში შედიოდა და შედის კიდევაც. ამ დღეებში კომიტეტმა, რომ დაშლილიყო, მოახდინა უკანასკნელი სხდომა და გადასწყვიტა შემდეგი: „ფონდი არის მხოლოდ აკაკის სახელით დაწესებული, რომელიც უნდა მოხმარდეს ღარიბსა და ხანშიშესულ მოღვაწეებს, მათ რიცხვში, რასაკვირველია, აკაკისაც უზრუნველსაყოფელად დაენიშნოს თვიურად ასი მანეთიო! ეს განაჩენი გადასცა კომიტეტმა „წ.კ. გამგეობას“, ესე იგი, ერთი-

სა და იმავე პირის მარცხენა ხელმა — მარჯვენას და ამით მორჩა, გათავდა!..

ხალხისა და საზოგადოების ნაბოძები „ტალახიანი ჯოხიც კარგია“, მაგრამ თუ მართლა შემომწირველებს ფონდი ჰქონდათ მხედველობაში და არა ჩემი უზრუნველყოფნა, მაშინ წინააღმდეგ მათის სურვილისა, მე ვერაფერს მივიღებ და უარს ვუცხადებ იმ ასი მანეთის მიღებაზე, რომელიც კომიტეტმა თვით-ნებობით მიწყალობა. დიახ, უარს ვუცხადებ და მხოლოდ, როგორც ადრევაც გამოცდილი, მხოლოდ ვთხოვილობ ამას: რადგანაც ფონდი ჩემი სახელით არის შემდგარი, როგორც მე, ისე საზოგადოებასაც სრული ანგარიში მოგვცენ: ვინ არიან შემომწირველები? საიდან რა შემოვიდა? სულ რამდენია? შემოსავლიდან რაში რა დაიხარჯა და რამდენი დარჩა? ამგვარი ანგარიშია საჭირო არა მარტო ჩემი ფონდის, სხვა ფონდებისთვისაც და პასუხსაც დასაბუთებულს ველით.

აკაკი

სხვა გაზეთებსაცა ვსთხოვთ, რომ ეს ჩვენი სტატია გადაბეჭდონ.

[1909 წელი, იანვარი-ივლისი]

* * *

[აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვა ჟურნ. „ჯეჯილის“ დაარსების ოცი წლისთავთან დაკავშირებით]

ბატონებო!

პატარა პრუსიამ რომ დიდი საფრანგეთი დაამარცხა და მანამდი, თითქოს უმნიშვნელო სამეფო, მთლიან ჰერმანიის დიდიმპერიად გახადა, მიზეზად ძლევამოსილობისა ერთპირად აღიარეს არა მარტო ნიჭიერი სარდლები და გაწვრთნილი ჯარი, მაგრამ სოფლის მასწავლებელნიც, რომელთაც ბავშვებს ჩაუნერგეს გულში სამშობლოს თავდადებული სიყვარული. აქედან ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ ახალგაზრდობის თვალ-ყურის გდებას და მის აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში. ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა ოცი წელიწადი ადგია ამ გზას და ადგია არა მარტო... მხოლოდ ჩვეულებრივად ელვითა და ქუხილით, სხვების თვალსა და ყურში საჩხირებლად!... ჩუმათ... სიტკბოებით ეჩურჩულება მოზარდ-თაობას და ამ წყნარ სამსახურს უგვირგვინებენ დღეს პატარა ბავშვები და მათი მშობლები მადლობის გადახდით. მათთან ერთად მთელი საზოგადოება... ქართველობაც, როგორც საყოველთაო გრძნობას, უერთებს თავისს გულისთქმას და ისურვებს ამ ქალ-მოძღვრისთვის ხანგრძლივ მოღვაწეობას და სიმრთელეს მრავალ-ჟამიერ.

აკაკი
1910

* * *

[აკაკის სიტყვა მელიტონ ჩოგოვაძის დაკრძალვაზე წარმოთქმული]

ბატონებო! გამოეთხოვა წუთისოფელს და დღეს უნდა მივაბაროთ ბნელ საფლავს ერთი საუკუთესო საზოგადო მოღვაწეთაგანი. ქუთაისელთა გარდა იქნებ ბევრმა არ იცოდა: ვინ იყო განსვენებული მელიტონ ჩოგოვაძე და ჩვენი ვალია, აღვნიშნოთ მისი ვინაობა. ის იყო ღირსეული ადამიანი, თავდადებული ქართველი, უმწიკვლო თავის ასპარეზზე და ჩუმი მოღვაწე. ამიტომაც მისი შრომა-მოღვაწეობა შორსა და შორს თვალსა და ყურს არ ეჩხირებოდა ჩვეულებრივად.

ამისთანა მოღვაწენი ხშირი არ არის ჩვენში; მხოლოდ საუკუნოები წარმოშობენ! რომ შეჰფერის, ისე არ იმარხება: ვერა ვხედავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან წარმომადგენლებს! არსად არიან ჩვეულებრივად ვერცხლის გვირგვინები. მაგრამ ძვირფას გვირგვინებად ედება მას ის მწუხარე სახე, რომელიც ეტყობა საერთოდ დღეს აქ თავმოყრილ საზოგადოებას და ის ცრემლები ახალგაზრდა მოსწავლეთა, თან რომ ჩაჰყვებიან სამარეში!

ნეტავი მშობლებს! ამისთანა შვილის გამზრდელს! ვაი დედმამას, ამისთანა შვილის უდროოდ დამმიწებელს! და დამკარგავს!!! ვინატროთ ქვეყნისათვის ბევრი ამისთანა მოღვაწე და განსვენებულისათვის კი დაუვიწყარი სახსენებელი.

1910

* * *

ილია — მზე

ერთ გლეხკაცს ეგონა, მზე თავის სოფლის გორაკიდან ამოდიოდა და წავიდა მის დასაჭერად. მაგრამ დაინახა, რომ მზე მეორე გორიდან ამოდიოდა. გადავიდა, მაგრამ მზემ მესამე გორაკიდან ამოჰყო თავი. იქაც აბობღდა და კიდევ შესცდა. ბოლოს ერთ განდეგილს შეხვდა, რომელსაც შესჩივლა. განდეგილმა უპასუხა: მზეს ვერავინ დაიჭერს, იგი ყველგან და ყველაფერს ანათებსო. ასე დიდებულია ილიას სახელიც. მისი სამშობლოს — ყვარელის გარდა ყველგანაა და ყველასათვის ანათებს.

1911

* * *

განცხადება

ბევრი რამე თქმულა ჩემზე, ბევრსაც ამბობენ, მაგრამ მე ყურადღებასაც არ ვაქცევ იმ ნათქვამებს და მიტომ კი არა, რომ სიმართლე იყოს და ვეთანხმებოდე!.. მე მხოლოდ მეუკადრისება, რომ მათთვის მოვიცალო საპასუხოდ. მხოლოდ ერთ რამეს კი უნდა მივაქციო ყურადღება: გავრცელებულია ხმა საზოგადოებაში, ვითომც მე აუარებელ ფულს ვსესხულობდე ნაცნობებისაგან, ვხარჯავდე და აღარ ვუბრუნებდე არავის. ამ ცილმა ისე მოიკიდა ფეხი საზოგადოებაში, რომ არამტრებსაც კი სჯერათ. ამასწინათ სადილად ვიყავი მიწვეული არამტრებისაგან. აქ ერთმა მართლა და ყოვლად კარგმა ინტელიგენტმა, რომელსაც ჩემთვის სიკეთის მეტი არა უნდა რა, დაბეჯითებით მითხრა: „ცუდს ვერაფერს ვერავინ იტყვის შენზე. მხოლოდ ის ერთი

ზნე გჭირს შენ, რომ ნასესხებს არავის უბრუნებო!“ იქ, როგორც ის, ისე სხვებიც ოცდაათ კაცამდე იჯდა, მაგრამ არავის ფიქრათაც არ მოსვლია, რომ შეემოწმებია ეს აზრი, მაშინ, როდესაც იქ მყოფთაგანი ვერავინ იტყოდა, რომ მე მათგანს ვისმეს დავსესხებოდე. და თუ იმათ არ დავსესხებივარ, ჩემს მტრებსა და მოშურნეებს განა მივმართავდი? მაგრამ მართალი ნათქვამია: „ყბად აღებული, წყალწაღებულიო“ და თუ რადა მყავს მტრები და მაგინებლები, ეს ადვილი დასამტკიცებელია... ამას საზოგადო სარჩული უძევს და მიტომაც ხმას მიკმედავ. აგერ სამოცადათერთმეტი წლის კაცი ვარ და მისთანა არა ჩამიდენია რა, რომ ეს აზრი დამემსახურებიოს. მთელს საქართველოში, ამ ხნის განმავლობაში, სულ სამი კაცია დარჩენილი, რომლებთანაც ჯერ კიდევ ვალი არა მაქვს გასწორებული: 1) ექიმი გრიგოლ ელიავა, ამან ერთხელ სამასი მანეთის ვექსილზე მომიწერა ხელი და ჩემ მაგიერ იმან გადაიხადა. ის ვალი მე დღემდისაც არა მაქვს გადახდილი და ვეძებ დროსა და შემთხვევას, რომ მადლობით გადავუხადო. 2) როდესაც მიხაილ ვახტანგის ძე მაჩაბელი რედაქტორად იყო, მე გამოვართვი იმას სამი მანეთი და 3) იაკობ გოგებაშვილი როგორც ხელმოკლე კაცს, შემწევია რამდენჯერმე. ეს არის და ეს. ამათ გარდა თუ სხვა კიდევ ვინმე გამოჩნდება საქართველოში, რომ მე ვისიმე ფული შემეჭამოს ან მესესხებიოს და აღარ გადამეხადოს, მომმართოს მე გაზეთის საშუალობით და გამოამცხადოს თავისი სახელი და გვარი. მე გამოცდილებით ვიცი, რომ ის ვაჟბატონები, რომელნიც მხოლოდ თავის კუჭზე ჰფიქრობენ და ენაც კუჭზედა აქვსთ გადაბმული, იტყვიან: „კი მართებს, მაგრამ ჩვენს აკაკის როგორ ვაწყენიებთ? როგორ გამოვამცხადებთ მის სახელსო?..“ არა, მე ყველასა ვსთხოვ და ვაფიცებ სინდისს. თუ არიან სადმე, გამოაცხადონ თავისი სახელი და გვარი და მომაგონონ ჩემი ვალდებულება. ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, რომ გადაბეჭდონ და მიაწვდინონ მათ მკითხველებს ეს ჩემი თხოვნა...

აკაკი

[1912 წლის ივნისამდე]

* * *

[აკაკის სიტყვა წარმოთქმული ჭრებალოს საზოგადოების წინაშე 1912 წელს]

ბატონებო, მადლობას გიძღვნით ასეთ გულწრფელ თანაგრძნობისთვის, მაგრამ ეს სიტყვები, ჩემდამი მომართული, გადაჭარბებულად მიმაჩნია. ამდენი ქება-დიდების ღირსი არა ვარ, მაგრამ ქართველებს ჩვეულებათ გვაქვს და გვიყვარს გადაჭარბება. რაც შეეხება იმას, რომ სხვა კუთხეები მოვიარე და თქვენი ქვეყანა, რაჭა-ლეჩხუმი, სადაც ქართული ენა და ზნე-ჩვეულება დაცულია უფრო კარგათ, ვიდრე სხვა კუთხეში, ვერ ვინახულე ამდენ ხანს, მე ამაზე ბოდიშს ვიხთი, მაგრამ, როგორც სადილის გათავებისას სტუმარს სუფრაზე მიართმევენ რაიმე გემრიელს საჭმელს, ანუ ტკბილეულობას პირის ჩასაგემრიელებლათ, ისე მეც საბოლოოთ გადავსდევი თქვენი კუთხის დათვალიერება, რათა ამით მეც მოხუცებულობის დროს დავმტკბარიყავი.

1912

* * *

[აკაკი დუელის შესახებ]

„მთელი ქვეყანა აღსავსეა სისულელით“, — ამბობს თურქული ანდაზა. და მართლაც, ჩვენს ცხოვრებაში ბევრი სისულელეა და მათ შორის კინაღამ პირველი ადგილი დუელს უჭირავს, თითქოს იგი იყოს ღირსების აღდგენის ერთადერთი საშუალება. ორი იწვევს ერთიმეორეს, დგებიან ბარიერთან და შემთხვევითი გასროლა, ხშირად საბედისწერო, ბოლოს უღებს გაუგებრობას. სად არის აქ სამართლიანობა და კეთილგონიერება? საიდან

შემოიპარა ჩვენს ცხოვრებაში ეს სისულელე? დუელი — ეს იგივე შუასაუკუნეების „ღვთის სამსჯავროს“ გაგების გაგრძელებაა. ამჟამად დუელი, — ეს უგუნურება, — რაღაც წაბაძვის ჰიპნოზის წყალობით დღემდე არ აღმოფხვრილა ზნე-ჩვეულებათაგან.

ორმა ბუმბერაზმა რუსმა პოეტმა — პუშკინმა და ლერმონტოვმა — უდიდესი სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას, თავად კი დუელის დროს ტყუილუბრალოდ დაიღუპნენ და საზოგადოებას დაუკარგეს მოღვაწეები, რომელთაც ვერავინ შეცვლიდა[1].

აკაკი წერეთელი
1913 წ.

* * *

ქალის როლი საზოგადოებაში

1. ქალის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში.

2. რას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება დღევანდელმა ქართველმა ქალმა?

აკაკის პასუხი

1. როგორც დაბადება მოგვითხრობს, ღმერთმა რომ პირველი კაცი, ადამი, გააჩინა, უკმაყოფილო დარჩა; ბევრი ნაკლი აღმოაჩინა მასში და შექმნა ქალი. ეს ლეგენდა გვაგულისხმებს: თუ ქალი უფროსად ნდომებოდა უფალს, მაშინ თავის ძვალს გამოუღებდა, თუ უმცროსად — ფეხისას, მაგრამ ნიშნად თანასწორობისა შუადან გამოუღო გვერდი.

2. წარსულს, რომ ძველი დიდების მოქმედება ქვაკუთხედად დაუდვას ახლანდელ მოთხოვნელებას, ამის ასასრულებლად ყოლიფერი ხელთა აქვსთ: გრძნობაცა და გონებაც. პირადად მე მრწამს, რომ დღევანდელ მომაკვდავ საქართველოს ქალები გამოაბრუნებენ.

1914

[1] თარგმანი პროფ. ჯ.ჭუმბურიძისა.

* * *

[აკაკის სიტყვა ქართულ საღამოზე პეტერბურგში]

როცა მე და ჩემი ამხანაგები სამოქმედო ასპარეზზე გამოვედით მესამოცე წლებში, ისე ცოტანი ვიყავით, რომ იძულებული შევიქენით ერთად გვევლო, ბავშვებივით ერთმანეთს ვებღაუჭებოდით და ეს იმიტომ, რომ ისედაც მცირე გუნდი კიდევ უფრო არ დაქუცმაცებულიყო. დღეს კი სხვა მდგომარეობაა. ჩვენ ერს წამოეზარდა ახალი თაობა და მისი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია წარმოდგენა, ამოდენა ხალხმა ერთად იაროს. ის უთუოთ უნდა დანაწილდეს და თვითეულმა თავის გზა აირჩიოს, მარა ყველა გზა ხომ რომში მიდის. ამ გზებზე სიარული ბოლოს და ბოლოს მაინც ერის სამსახურს მოასწავებს და მის განვითარებას ხელს უწყობს.

ჩვენ მართლა დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროთ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენა გვსურს ხელის-ხელ ჩაკიდებით სიარული, არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა.

1913

* * *

[აკაკის სიტყვა წყალტუბოში წარმოთქმული]

ბატონებო! მადლობას გწირავთ ჩემი ასეთი პატივისცემისათვის. მაგრამ არ შემიძლია, არა ვსთქვა, რომ რაც აქ ჩემზე თქვეს და მომაწერეს, გადაჭარბებული არ იყოს. მე მისი მესამედიც არ გამიკეთებია, რაც მომაწერეს, მაგრამ ალბათ ეს მათი გრძნობებისა და კეთილი სურვილების ნაყოფია და ამას რამდენიმედ ვურიგდები. მხოლოდ არ ვეთანხმები მოლაპარაკებას, საქართველო დაჩაგრულად რომ ახსენეს. ქართველი ხალხი თავის დღეში არ ყოფილა და არ იქნება დაჩაგრული. ამის შესახებ ერთ არაკს მოგახსენებთ. გზაზე ორი კაცი მიდიოდა. შემოაღამდათ და ერთმა მეორეს შესჩივლა, რომ ბნელში ორივე დავიღუპებით, რადგან არც ჟინჟღილი გვაქვს და არც სანთელიო. მეორემ ანუგეშა და უთხრა: „მე აქ კვეს-აბედი თან მაქვს და, როცა საჭირო იქნება, დავკვესავ და ცეცხლს გავაჩაღებო“. ქართველ ხალხსაც თან დააქვს მისი კვეს-აბედი. როცა საჭირო იქნება, იგი დაკვესავს და გზას ადვილად გაინათებს. მე ჩემს სიცოცხლეში ამას ვქადაგებდი და ახლაც ამას ვამბობ. მრწამს მისი მომავალი და ამას ვერავინ შეუშლის.

1913

* * *

[აკაკის სიტყვა გორის „ქართველ ქალთა საზოგადოების“ („მანდილოსანი“) წევრთა კრებაზე]

გული მიკვდებოდა, ქალებს რომ აქნობამდე ძილით შეპყრობილთ გხედავდით, მაგრამ ეხლა მოხარული ვარ, რომ გხედავთ გამოღვიძებულთ, რომ აქ შეკრებილხართ არა უმიზნოთ, არა ლოტოს სათამაშოდ, არამედ საზოგადო საქმისათვის.

50 წელი დაკვირვებული ვარ ჩვენ საქმიანობას და დავრწმუნდი, რომ იგი ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის წინ; ეს იმიტომ, რომ ამ საქმიანობაში მხოლოდ მამაკაცები იღებდნენ მონაწილეობას. რომ საქმე კარგად წარიმართოს, საჭიროა საზოგადო საქმეში დედაკაცების დახმარებაც.

გადავათვალიერე თქვენი წესდება და დავრწმუნდი, რომ ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, თუ თანხმობით იმუშავებთ. ერიდეთ ერთმანეთში უთანხმოებას, მტრობას. ამ უთანხმოებამ, მტრობამ დაღუპა საქართველო და ვიღუპებით დღესაც. ამან წარმომათქმევინა მწარე სიტყვები:ერთი ქართველი საზოგადო საქმეში გმირია, ბევრი კი ყველა ვირია-მეთქი. იარეთ, იმუშავეთ ერთად, თანხმობით და მაშინ თქვენი შრომაც ნაყოფს მოიტანს.

1913

* * *

დღევანდელ დღეს ორნაირად ვდღესასწაულობთ...

(აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვა ქართულ თეატრში ქართველ ქალთა საზოგადოების კრებაზე 1914 წ. 14 იანვარს)

დღევანდელი დღესასწაული ორნაირად არის სასიხარულო: პირველი იმით, რომ ვდღესასწაულობთ და მოვიგონებთ ქართველთა განმანათლებელ წმინდა ნინოს, მეორე იმით, რომ დღეს პირველად აიდგა ქართველმა ქალმა ფეხი და საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა.

ქართველი ერის ისტორიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ქალი. როდესაც ქართველი ერი წყვდიადში იყო ჩაფლული და კერპთაყვანისმცემელი იყო, ამ დროს საქართველდოში მოგზაურობდნენ ქრისტიანები და ცდილობდნენ ერის მოქცევას. ამისათვის საგანგებოდ გამოგზავნეს საქართველოში მოციქული ანდრია პირველწოდებული, რომელიც მოღვაწეობდა შავი ზღვის პირეთში. ამასთან ერთად იყო სვიმონ ქანანელიც. თუმცა მეცნიერება უარყოფს ანდრია მოციქულის დასავლეთ საქართველოში ყოფნას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სვიმონ ქანანელი იყო საქართველოში, რადგანაც დღესაც მისი საფლავი ბიჭვინთაშია. ეს საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ ანდრია მოციქულიც იქნებოდა საქართველოში. შედეგი მოგზაურობისა კი ფრიად მცირე იყო. აქა-იქ დათესილი იყო ქრისტიანობის თესლი, მაგრამ ერის სულსა და გულს არ შეჰხებია. მოვიდა საქართველოში ვინმე ერთი კაბადოკიელი. მას ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა და მის წინ პირქვე დაემხვნენ მეფენი და მთავარნი, სარდალნი და დიდებულნი, ქალი და კაცი. მან დაამხო კერპები, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ქართველნი. წმინდა ნინო შეიქმნა ქართველი ერის განმანათებლად, მის განმასპეტაკებლად. ასეთი დიდია ქალის მნიშვნელობა სარწმუნოებრივ მხრივ. განვლო ხანმა, საქართველომ ბევრი ჭირი და ვაი-ვაგლახი გამოიარა. იგი დაკნინებული იყო. ბევრი წარჩინებული მოღვა-

წენი იღვწოდენ საქართველოს გაერთიანებისათვის, განმტკიცებისათვის, ძლევამოსილებისათვის. აქაც პირველობა ერგო ქართველ ქალს — თამარ მეფეს. მან თავისი გამჭრიახი გონებით და ძლიერის ნებისყოფით შექმნა ერთი მთლიანი საქართველო, ძლევამოსილებისა და განათლების ჯიღით მოსილი. თამარ მეფის ხანა დღესაც ქართველებისათვის იდეალად არის შექმნილი თავისი მთლიანობისა და კულტუროსნობის მხრივ.

დადგა ქართველი ერისათვის შავბნელი ხანა. ურწმუნოთა ურდოები თავისი საშინელებით დააწვა საქართველოს და ქრისტიანობის აღმოფხვრას ლამობდა. ბევრმა ქართველმა შეიმოსა თავისი შუბლი მოწამობრივის შარავანდედით. მაგრამ აქ გამოჩნდა ქართველი ქალი ქეთევანი, ვინც თავისი საშინელი ტანჯვა-წამებით აღადგინა იდეალი ზნეობისა.

ქართველ ხალხში ახლაც არის ერთგვარი თამაში „სამაია“. სამი ქალი ჩაჰკიდებენ ერთმანეთს ხელს და ცეკვავენ. ნინო თამარი და ქეთევანი — სწორედ ეს „სამაიაა“ ჩვენი ერის ისტორიაში. ისინი ხელიხელ ჩაკიდებულნი იცავდნენ ქართველი ერის სარწმუნოებას, ძლევამოსილებას და ზნეობას.

[1914]

* * *

[ქორწილში წარმოთქმული მისალოცი სიტყვა]

ბატონებო!

ძველად დიდი ოჯახის შვილები, დიდებული თავადები, ე.ი. ისინი, ვინც თავში უდგნენ მაშინდელ საზოგადო საქმეს, ერთმანეთს ემოყვრებოდენ ხოლმე, რომ უფრო მომარჯვებით, შეერთებულის ძალით, წაეყვანათ, როგორც საზოგადო, ისე საკუთარი საპირადო საქმეებიც. — ის დრო გადასულია. დღევანდელი დღე სულ სხვა პირობებში ჩადგა. სხვა მოთხოვნილება შემოვიდა და ის მეთაურობა, თავადებს რომ ეჭირათ ხელში,

სწავლა-განათლებამ დაიჭირა. ოღონდ კი ნასწავლი, განათლებული და მეთაურობის ღირსი იყოს კაცი და ქვეყანა იმას აღარ ჰკითხულობს, საიდან არის და ვისი ჩამომავალია: გლეხის, მღვდლის, აზნაურის თუ თავადის? მისთვის სულ ერთია. ეს დიდი ჭეშმარიტებაც არის, მაგრამ თუ იმ ძველი დიდებული თავადის, რომელიც ძველად საზოგადო საქმეს თავში უდგა, ვინმე ჩამომავალი დღესაც კიდევ თავში უდგას საზოგადო საქმეს და მისი წინაპრის ღვაწლს ათავსებს, ერთი ორად საქებია!.. — დღევანდელი ქორწინებაც ამ მხრივ არის სასიამოვნო: წერეთელი აძლევს ქალს აბაშიძეს. ოდესმე ორივე დიდებული გვარი ყოფილა. დღეს აბაშიძის ჩამომავალს გულის ფიცარზე დაუბეჭდია რუსთველის სიტყვები: „თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო“ და დადგომია სწავლა-განათლების გზას, რომ არ ჩამორჩეს დროს. ამისათვის ვუსურვოთ მას მიზნის მიღწევა. თანვე ვინატროთ, რომ მისმა მეუღლემაც გამოიჩინოს ძველი დედების ჰუნარი, რომ შესაფერისად უწევდეს უღელს ქმარს ცხოვრებაში და ამხნევებდეს, როგორც კერძო, ისე საზოგადო საქმეებშიც. გაუმარჯოს ნეფე-დედოფალს! და ხანგრძლივი იყოს მათი კავშირი!! ვაშა!

* * *

[ჩანაწერი მესამე დასელების შესახებ]

მესამე დასელებიც სადუკეველებისა არ იყოს, მართალი არიან, როცა [პირდაპირ] ჰგმობენ ფარისევლობას და [მაბეზღარობას], და ჩემი თანაგრძნობაც მათკენ იქნებოდა, რომ იგივე დასი სრულიად უარს არა ჰყოფდენ წარსულს და ავსა და კარგს ერთი და იმავე გოდრით არ აგორებდენ უფსკრულისკენ.

არა პურითა მხოლოდ სცხონდების კაცი...

* * *

[სიტყვა უცნობი ქალის დაკრძალვაზე]

„ძვირად მინახავს მისთანა ქართველი, რომ ნიჭიერი და რაიმე ღირსებით შემკური არ იყოს!.. მაგრამ ღირსებაც არის და ღირსებაც. ყოველ-გვარ ღირსებას სათავეში უდგია სიყვარული. — ის სიყვარული, რომელზედაც რუსთველი ამბობს: „სიყვარული აღგვამაღლებსო“, და რომელზედაც ქრისტე ბრძანებს: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო..:“ აი, ამისთანა სიყვარულის ბუდე არის წმინდა გული და წრფელი სული, რაიცა იშვიათია. — ამ იშვიათი მოვლენით ყოფილა შეჭურვილი ეს დღევანდელი განსვენებულიც. ამას გვიმტკიცებს ის, რომ ამდენი ხალხი შეგროვდა და სწუხს ამ განსვენებულის დაკარგვას. გლოვას ხანდახან გამოიწვევს სხვა და სხვა მოსაზრებაც. მაგალითად, ჭირის უფლის გულის მოგება და ასე არ არის!.. დღევანდელ ობლად მიცვალებულს არ დარჩენია არც ქმარი და არც შვილები და გლოვარება ეკუთვნის პირადად მას... მის საკუთარ ღირსებას და მეც ამ მისმა პირადმა ღირსებამ მომიყვანა ამ სიშორეს, რომ მის პირადობას თაყვანი ვსცე! სამარადისოდ იყოს სახსენებელი მისი!..

ამინ

აკაკი

შენიშვნები და კომენტარები

წინამდებარე გამოცემაში ძირითად ტექსტში დავტოვეთ და სქოლიოშია ჩატანილი მხოლოდ ავტორისეული შენიშვნები, ყველა დანარჩენი ახსნილია კომენტარებში.

ტექსტები იბეჭდება აკაკის ორთოგრაფიის დაცვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე გვქონდა კალმისმიერ შეცდომასთან. სასვენი ნიშნები გასწორებულია თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული მრავალწერტილი აღნიშნავს ტექსტის ისეთ ფრაგმენტს, რომლის ამოკითხვაც ვერ მოხერხდა. ასევე, კავებშია ჩასმული ის სათაური და თარიღი, რომელიც აკაკის არ ეკუთვნის.

წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე

1. სიმართლის ჭორიკანობა (გვ.13)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“,1860, № 2.
თარიღი: 1860-სა წელსა, მაისის 11-სა დღესა.
სათაური: სიმართლის ჭორიკანობა.
ხელმოწერა: მ. რუსეთუმე.

მკვლევარმა ლ. ჭრელაშვილმა წერილში „ატრიბუციის ზოგიერთი საკითხი“ დაასაბუთა, რომ „მ. რუსეთუმე” და „გ. ქართველი“ აკაკის ფსევდონიმებია (იხ.: აკაკის კრებული I, თსუ, 1999, გვ. 101-102).

2. ახალი ამბები (გვ. 19)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“,1862, № 6.
თარიღი: 1862 წელსა, 15 აპრილი.
სათაური: ახალი ამბები.
ხელმოწერა: თერგ დალეული.

მკვლევარ ლ. ჭრელაშვილის აზრით, „თერგ დალეული“ აკაკის ერთ-ერთი ფსევდონიმია (იხ.: „ატრიბუციის ზოგიერთი საკითხი“, აკაკის კრებული I, თსუ, 1999, გვ. 98-101).

3. ჭეშმარიტების აღდგინება (გვ. 25)

ხელნაწერი: ავტოგრაფი, საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი № 25 910.

ნაბეჭდი: აკაკი წერეთელი, საარქივო გამოცემა, წიგნი II, ლიტერატურის მუზეუმი, 2010.

თარიღი: უთარიღო.

სათაური: ჭეშმარიტების აღდგინება.

ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

4. ქართული თეატრი (გვ. 29)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი № 272.

ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005.

თარიღი: [1882].

სათაური: ქართული თეატრი.

ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

წერილის ავტოგრაფი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენ-ტრის ფონდებში. სავარაუდოდ, სტატიას გაგრძელებაც ჰქონდა, რომელშიც აკაკი სპექტაკლებზე „სამშობლოსა“ და „ღალატზე“ საუბრობდა. ხელნაწერი შედგება ოთხი ფურცლისაგან, უთარი-ღოა, დაწერილია შავი მელნით, ხელმოუწერელია. ტექსტში შეინიშ-ნება უმნიშვნელო სწორება (იხ.: ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005).

5. წერილები ჩვენს მწერლობაზე (გვ. 33)

ნაბეჭდი: გაზ. „თეატრი“, 1890, № 8; № 10.

თარიღი: 1890 თებერვალი-მარტი.

სათაური: წერილები ჩვენს მწერლობაზე.

ხელმოწერა: აკაკი.

აკაკიმ ეს სტატია დაწერა ნ. ნიკოლაძის მიერ გაზ. **«Новое обозрение»**“-ში, № 3557, 1894, 4/V, 1890 წლის 21 იანვარს გამო-

ქვეყნებული სტატიის — „სადღესასწაულოდ“ — პასუხად. წერილს მიაკვლია და სათანადო კომენტარებთან ერთად გამოაქვეყნა იუზა ევგენიძემ (იხ.: აკაკის კრებული I, 1999, გვ. 68-95).

6. [ილიასთან დამოკიდებულების შესახებ] (გვ. 43)

ხელნაწერი: ავტოგრაფი, საქ. სახ. ლიტერატურის მუზეუმი, აკაკის ფონდი, № 17 781.

ნაბეჭდი: კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001;

სათაური: უსათაურო.

ხელმოწერა: აკაკი.

ახალგაზრდა მგოსანი, დღევანდელი ჩვენი ცხოვრების სულიერ საზრდოთი გაკაჭკაჭებული... — უნდა იგულისხმებოდეს გრ. აბაშიძე.

7. საპასუხო წერილი (გვ. 46)

ხელნაწერი: საქ. სახ. ლიტერატურის მუზეუმი, აკაკის ფონდი, № 17 785.

ნაბეჭდი: კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001;

თარიღი: 1900 წ. 5 მარტი.

სათაური: საპასუხო წერილი

ხელმოწერა: აკაკი.

ტექსტი ავტოგრაფი არ არის, უცხო ხელითაა დაწერილი. ბოლოში აქვს მინაწერი: „როდესაც საპასუხო წერილებს წერდა, ხშირათ ლაპარაკობდა თითონ და სხვას აწერინებდა. ასეთი ჩვეულება ქონდა. ჩხრეკის დროს წაღებული იყო ეს წერილი. მერე მივიღეთ უკან და აღარ ვიცით, დაიბეჭდა თუ არა. მე მგონია, წარდგენილი თუ იყო რედაქციაზედ, ნაწერს უკან ვინ დაგვიბრუნებდა? ბიძინა მერკვილაძე“. საგულისხმოა, რომ აკაკის ამგვარ თვისებას ადასტურებენ თავიანთ მოგონებებში არ. ქუთათელაძე, დ. თომაშვილი და სხვები.

1. *მივმართეთ ერთ პატივცემულ რედაქტორს...* — იგულისხმება ილია ჭავჭავაძე, რომელსაც 1899 წ. ოქტომბერში აკაკიმ მიმართა თავის „კრებულში“ (№ 10) დაბეჭდილი წერილით.

2. *რედაქციამ „ფულიკოთი“ გვიპასუხა...* ეს ლექსი დაიბეჭდა გაზ. „ივერიის“ საახალწლო დამატებაში, 1900, № 1.

3. *„ფულიკომ“ „ჟულიკო“ გამოიწვია...* ლექსის ავტოგრაფი ინახება ლიტ. მუზეუმში. გამოქვეყნდა კრებულში „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001.

4. *ცაგარელი* — შესაძლოა იგულისხმებოდეს ავქსენტი ცაგარელი (1857-1902) — ქართველი დრამატურგი და მსახიობი, აკაკისთან დაახლოებული პირი.

5. *სილოვანი* — სილოვან ხუნდაძე (1860-1928) — ლიტერატორი, პედაგოგი.

6. *ბიძინა მერკვილაძე* — ვაჟი იოსებ (სოსიკო) მერკვილაძის, გამომცემლობა „ცოდნის“ მეპატრონისა.

8. განცხადება (გვ. 50)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი № 276.

ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005;

თარიღი: [1908].

სათაური: განცხადება.

ხელმოწერა: ხელმოუწერლია.

„ნახევარ საუკუნის ლიტერატურული შრომის შემდეგ...“ — აკაკიმ ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის იუბილე 1908 წელს აღნიშნა, მაშასადამე სტატია სწორედ ამ წელიწადს უნდა იყოს შექმნილი (იხ.: ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005).

9. მცირე რამ შენიშვნა (გვ. 51)

ხელნაწერი: საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო არქივი, ფ.1, საქაღალდე 46, ხ-4505.

ნაბეჭდი: ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1935, № 3; აკაკი წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 14, გვ.591; აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ.28-32.

თარიღი: [1908-1914].

სათაური: მცირე რამ შენიშვნა.

ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

1935 წელს სტატია მ. საფაროვა-აბაშიძისამ გადასცა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციას, რომელშიც ტექსტი სრულად არ დაბეჭდილა. წერილი ასევე არასრული სახით გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულში. როგორც ჩანს, საბჭოური იდეოლოგიის თვალსაზრისით გაუმართლებლად ჩაითვალა დიდი რუსი ერისგან რუსუკების, ანუ მალოროსიელების გამოყოფა. წინამდებარე გამოცემაში აღდგენილი ტექსტი განსხვავებული შრიფტითაა დაბეჭდილი (იხ.: ნ. ფრუიძე, ზოგიერთი რამ აკაკი წერეთლის ახლად გამოვლენილ ნაწერთა შესახებ, აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 49-71).

10. ქართული არქეოლოგიური ნაშთები და ზეპირსიტყვიერება (გვ. 57)

ნაბეჭდი: გაზ. „ფონი“, 1910, № 15; გაზ. „დროება“, 1910, 14 აპრილი, № 83; ჟ. „განთიადი“, 1990, № 2; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001.

თარიღი: 1910 წ., 11 აპრილი.

სათაური: უსათაურო.

ხელმოწერა: ხელმოუწერელი.

იაკობ გოგებაშვილის ინიციატივამ სახალხო უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე („ცნობის ფურცელი“, 1905, № 2885) დიდი მხარდაჭერა ჰპოვა ქართველ საზოგადოებაში.

პირველი სახალხო უნივერსიტეტი 1907 წ. თებერვალში გაიხსნა თბილისში. ქუთაისში კი — 1910 წელს; 31 იანვარს პირველი ლექცია თემაზე „სახალხო უნივერსიტეტები საზღვარგარეთ, რუსეთში და კავაკასიაში“ წაიკითხა გრ. გიორგაძემ. სახალხო უნივერსიტეტის მსმენელები კვირაობით იკრიბებოდნენ ქალაქის თეატრის დარბაზში. ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის გახსნას სიხარულით შეხვდა აკაკი წერეთელი. 1910 წ. 11 აპრილს იგი უნივერსიტეტის მსმენელებს ესაუბრა არქეოლოგიური ნაშთებისა და ზეპირსიტყვაობის გაფრთხილების აუცილებლობაზე. გაზ. „ფონში“ (1910, № 15) გამოქვეყნდა აკაკის სიტყვის ძირითადი შინაარსი კორესპონდენტის კომენტარებთან ერთად. მკვლევარმა ირ. ერემეიშვილმა აღადგინა ლექციის ტექსტი და გამოაქვეყნა ჟ. „გან-

თიადში“ (1990, № 2). რაკი „დროების“ 1910 წ. 14 აპრილის ნომერშიც სწორედ ამ ლექციაზეა საუბარი, მაგრამ დამოწმებულია განსხვავებული ფრაგმენტი, ტექსტის მთლიანობის აღდგენის მიზნით გთავაზობთ ამ უკანასკნელს: „მთელი ჩვენი ქვეყანა, წინაპართა სისხლითა და ძვლებით გაპოხიერებული, წარმოადგენს აკლდამას, არხეოლოგიურ ნაშთს, რომელსაც საქართველოს ვეძახით. იგი, ნაშთი ჩვენის წარსულისა და კულტუროსნობისა, გვიანდერძეს ძველმა ქართველებმა. იკარგება ძველი ნაშთები ცხადლივ და მალვითა, ქრება, იღუპება საუკუნოებით დაცული ნივთები და იქნება შორს აღარ არის ის დროც, როდესაც წარსულის მოსაგონებლად აღარაფერი გადარჩება“.

სანამ სულ არ გავთიშულვართ გულგრილობით, ვიდრე სულ არა შევბოჭილვართ უყურადღებობის ბრჭყალებით, ვუპატრონოთ ერთ საქმეს: მრავალი ძვირფასი ზეპირგადმოცემა და ძველი წიგნი, დასალპობად განწირული, ელოდება გამომზევრებას“.

წერილები საქართველოს ისტორიის, რელიგიისა და კულტურის შესახებ

1. ოსმალეთის ქართველებს (გვ. 63)

ხელნაწერი: ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი, აკაკის ფონდი, დოკ. № 2173/965.

ნაბეჭდი: გაზ. „კომუნისტი“, 1940, 22 ივნისი; აკაკი წერეთლის თხზ. სრ. კრებული შვიდ ტომად, ტ. VII, 1960, გვ. 845; აკაკი წერეთლის თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XI, 1963, გვ. 523; ჟ. „წახნაგი“, 2010, № 2, გვ. 297.

თარიღი: [1875-1876].

სათაური: ოსმალეთის ქართველებს.

ხელმოწერა: ხელმოუწერლია.

აღნიშნული მიმართვა ყველგან არასრული სახით იბეჭდებოდა, რის გამოც გაუგებარი რჩებოდა სტატიის პათოსი და პოეტის დამოკიდებულება ე.წ. „ოსმალოს საქართველოს“ პრობლემისადმი. ასევე, შეუძლებელი იყო წერილის ზუსტი დათარიღებაც. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის აკაკის ფონდში აღმოჩნდა წერილის სრუ-

ლი ტექსტი, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ მიმართვა დავა-თარიღოთ არა 1878 წლით, როგორც ეს ს. ხუციშვილს მიაჩნდა, არამედ 1875-76 წლებით, როცა სერიოზულად დაიწყეს საუბარი რუსეთ-ოსმალეთის მოსალოდნელი ომის ალბათობაზე. აკაკის ეს წერილი, რომელსაც ამჯერად სრული სახით ვთავაზობთ მკითხ-ველს, მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებრივი აზრის შესწავ-ლის ისტორიის თვალსაზრისითაც (იხ.: ნ. ფრუიძე, „ოსმალეთის ქართველებს", ჟ.„წახნაგი", 2010, № 2, გვ. 297).

2. სიტყვის ბანზე აგდება (გვ. 65)

ნაბეჭდი: აკაკის კრებული, 1897, № 5. გვ.13.
თარიღი: 1897.
სათაური: სიტყვის ბანზე აგდება.
ხელმოწერა: აკაკი.

წერილში აკაკი აკრიტიკებს თბილ ადგილებზე მოკალათებულ მდიდარ თბილისელ სომხობას. იგი მკითხველს სთავაზობს ისტო-რიულ ექსკურსს სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ. ამავე დროს იკვლევს გამოთქმის — „სიტყვის ბანზე აგდება" — ეტიმო-ლოგიას (იხ.: ჯ. გაბოძე, „აკაკის თხზულებათა გამოცემები", თბ., 2009, გვ.167).

3. ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაისტანის და სომხეთის (გვ. 71)

ნაბეჭდი: აკაკის კრებული, 1898, № 5; „უცნობი აკაკი", თსუ, 2001, გვ.104.
თარიღი: 1898.
სათაური: ისტორიული განხილვა სახელ-წოდების: არმენის, ჰაისტანის და სომხეთის.
ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

აკაკის „ისტორიული განხილვის..." პასუხად გაზეთ „Новое Обозрение"-ს 1898 წლის 4841-ე და 4882-ე ნომრებში გამოქვეყნდა ნიკო მარის წერილი „ქართველი პოეტი აკაკი სომხების შესახებ". ავტორი აკაკის უკიჟინებდა, რომ მისი მსჯელობა ტენდენციური იყო, თუმცა პოეტის მიერ წამოყენებული დებულებების გაქარ-

წყლებას ვერ ახერხებდა. მარის სტატია თარგმნეს, დაბეჭდეს და სხვა გამოხმაურებებიც დაურთეს სომხურმა გაზეთებმა. აკაკიმ საპასუხო წერილი გამოაქვეყნა „აკაკის კრებულშიც" (იხ.: „აკაკის კრებული", 1898, № 7) და რუსულ გაზეთ „კავკაზშიც" (1898, №№ 60, 61). ამ პოლემიკასთან დაკავშირებით ვრცელი კომენტარი იხ.: კრებ. უცნობი აკაკი, თსუ, 2001., გვ. 212-215).

4. პროფესორ მარრის პასუხათ (გვ. 87)

ნაბეჭდი: აკაკის კრებული, 1898, № 7; გაზ. „კავკაზი", 1898, № 60, 61. განთიადი, 1991, № 11-12; კრებ. „უცნობი აკაკი", თსუ, 2001, გვ. 115-125.

თარიღი: 1898.

სათაური: პროფსორ მარრის საპასუხოთ.

ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

წერილი არის გამოხმაურება ნიკო მარის საპასუხო სტატიაზე, რომელიც დაიბეჭდა აკაკის „ისტორიული განხილვის..." გამოქვეყნების გამო (იხ.: წინა წერილის კომენტარები).

5. სიმართლე (გვ. 88)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფები № 280; № 283;

ნაბეჭდი: ჟ. „ომეგა", № 12, 2002, გვ. 43; „აკაკის უცნობი ნაწერები", თბ., 2005, გვ. 67-82; აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 20-28.

თარიღი: [1901]

სათაური: სიმართლე.

ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

წერილი არასოდეს გამოქვეყნებულა. მას მიაკვლია და პირველად გამოაქვეყნა ე. ზარდიაშვილმა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდის აღწერილობაში იგი ორი ნომრითაა აღნიშნული, როგორც ორი სხვადასხვა დაუმთავრებელი თხზულება თუმცა ტექსტის ანალიზმა დაადასტურა, რომ ორივე ერთი წერილის ფრაგმენტებია. აკაკის „სიმართლე" დაუწერია საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავთან დაკავშირებით, რაც თხზუ-

ლების დათარიღების საშუალებას იძლევა (იხ.: ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005).

6. [სოციალ-დემოკრატები და მათი შეხედულებები] (გვ. 114)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი № 284;
ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები. თბ., 2005, გვ. 94.
თარიღი: [1901].
სათაური: უსათაურო.
ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

წერილი დაუსრულებელია. მასში პოეტი უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს საქართველოში მიმდინარე, სათავადაზნაურო ბანკისა თუ სახელმწიფო საბჭოს არჩევნების შესახებ. პოეტს ავტოგრაფის ბოლო ნაწილი, რომელშიც საუბარია ქართველ სოციალ-დემოკრატებზე, გადაუხაზავს. როგორც ჩანს, ამ ნაწილის სრულყოფა სურდა. წინამდებარე გამოცემაში მკითხველი აღნიშნულ ფრაგმენტს სრული სახით გაეცნობა (იხ.: ე.ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები. თბ., 2005).

7. Ответ газете «Новое Время» (გვ. 117)

ნაბეჭდი: газ. «Новое Время», 1907, 21/III;
თარიღი: 1907, 21 მარტი (3 აპრილი).
სათაური: Ответ газете «Новое Время».
ხელმოწერა: Акакий Церетели.

წერილი არის პასუხი პეტერბურგის ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთ “Новое Время”-ში 1907 წლის 27 თებერვალს (12 მარტი) დაბეჭდილ სტატიაზე „ნადირობა რუს ადამიანებზე“ (კორესპონდენცია თბილისიდან). სტატიის ავტორი, რომელიც „ზატერიანნის” ფსევდონიმს იყო ამოფარებული, ცილს სწამებდა ა. წერეთელს და მას რუსი მოხელეების წინააღმდეგ ადგილობრივი ტერორისტების წაქეზებას აბრალებდა. ყოველივე ეს აკაკის ჟურნალ „ხუმარას” გამოსვლასთან იყო დაკავშირებული (იხ.: მანანა კვატაია, „აკაკის ერთი უცნობი სტატიის გამო”, აკაკის კრებული I, თბ., 1999, გვ.368).

8. აღსარება (გვ. 120)

ხელნაწერი: საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ავტოგრაფი №17 782; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი № 241.

ნაბეჭდი: გაზ. „თემი“, 1911, № 8; აკაკი წერეთელი, თხზ. სრ. კრებული შვიდ ტომად, ტ. VII, თბ., 1957, გვ. 600.

თარიღი: 1911.

სათაური: „აღსარება“, „ჩემი აღსარება“.

ხელმოწერა: აკაკი.

აღნიშნული წერილი პირველად გაზ. „თემში“ დაიბეჭდა, შემდეგ ის პავლე ინგოროყვამ გამოაქვეყნა აკაკის თხზულებათა შვიდტომეულში, თუმცა თხუთმეტ ტომად დაბეჭდილ აკაკის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში ეს სტატია აღარ შესულა. ვინაიდან დღეს შვიდტომეული ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული, საჭიროდ ჩავთვალეთ „აღსარების“ კიდევ ერთხელ გამოქვეყნება, მით უფრო, რომ ის მჭიდრო იდეურ კავშირშია კრებულში წარმოდგენილ სხვა წერილებთან, რომლებიც ქართულ-სომხური ურთიერთობის საკითხებს ეძღვნება.

9. [ათასჯერაც რომ „სომხიყლაპია“ დამიძახონ] (გვ. 125)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი № 281;

ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005;

თარიღი: [1911-1915].

სათაური: უსათაურო.

ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

ეს წერილი ერთგვარი გაგრძელებაა სტატიათა ციკლისა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ. სავარაუდოდ, გაზ. „თემში“ 1911 წ. გამოქვეყნებულ აკაკის „ჩემს აღსარებას“ უნდა მოჰყოლოდა გამოხმაურება სომეხთა და მათ მხარდამჭერთა მხრიდან, რასაც პოეტმა, როგორც ჩანს, ამ წერილით უპასუხა (იხ.: ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005).

10. [აკაკის სიტყვა გიორგი სააკაძის შესახებ] (გვ. 126)

ნაბეჭდი: გაზ. „თემი“, 1915, № 206; „ლიტ. გაზეთი“, 1960, 25 ნოემბერი; ჟ. „განთიადი“, 1991, №11-12; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 142.
თარიღი: 1911, დეკემბერი;
სათაური: უსათაურო.
ხელმოწერა: აკაკი.

„სახალხო გაზეთი“ 1911 წლის 24 დეკემბერს მკითხველებს აუწყებდა, რომ ქუთაისის თეატრში 16 დეკემბერს შედგა გიორგი სააკაძის ლიტერატურული გასამართლება, რომლის დასაცავად შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა. აღნიშნული სიტყვის ტექსტი თავად მგოსანს გადაუცია „თემის“ რედაქციისათვის დასაბეჭდად, მაგრამ პოეტის სიცოცხლეში იგი არ გამოქვეყნებულა.

11. ძველი აღზრდა I (გვ. 139)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი № 271;
ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005;
თარიღი: უთარიღო.
სათაური: ძველი აღზრდა I.
ხელმოწერა: აკაკი.

გარდა იმისა, რომ სათაური დანომრილია, წერილს აქვს მინაწერი: „შემდეგი იქნება“. აშკარაა, რომ პოეტი აპირებდა სტატიის გაგრძელების შექმნას (იხ.: ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005). ჯერჯერობით კვლევამ ვერაფერი გამოავლინა.

წერილები საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის საკითხებზე

1. წიგნი მიწერილი რუსეთუმესთან (გვ. 145)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1860, № 8; აკაკის კრებული I, თსუ, 1999, გვ. 107.
თარიღი: 1860-სა წელსა, მაისის 11-ს დღესა.
სათაური: „მოწყალეო ხლემწიფევ, უფალო რედაქტორო“, „სხუა და სხუა ანბავი“, „წიგნი მიწერილი რუსეთუმესთან“;
ხელმოწერა: გ. ქართველი.

მკვლევარ ლ. ჭრელაშვილის ვარაუდით, „გ. ქართველი“ არის აკაკი წერეთლის ფსევდონიმი (იხ.: აკაკის კრებული I, თსუ, 1999, გვ. 95-99).

2. ცხელ-ცხელი ამბები (გვ. 154)

ნაბეჭდი: „ლიტერატურული გაზეთი“, 1935, № 6, 6/II; აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 9.
თარიღი: 1873
სათაური: ცხელ-ცხელი ამბები.
ხელმოწერა: აკაკი.

წერილი 1873 წლის 21 ივნისს უნდა დაბეჭდილიყო გაზ. „დროებაში“, მაგრამ უკვე აწყობილი ტექსტი აკრძალა ცენზორმა კოვალენსკიმ. სტატიაში ჩართული ორი ლექსი 1940 წელსაც დაიბეჭდა აკაკის „თხზულებანის“ I ტომში და თხუთმეტტომეულშიც შევიდა, თუმცა თავად სტატია პუბლიცისტიკის შესაბამის ტომში არ გამოქვეყნებულა (იხ.: ნ. ფრუიძე, ზოგიერთი რამ აკაკი წერეთლის ახლად გამოვლენილ ნაწერთა შესახებ, აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 49-71).

3. შავი ქვის თავგადასავალი (გვ. 156)

ხელნაწერი: ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფონდი № 139, დოკ. 110, გვ. 3-18.;

ნაბეჭდი: გაზ. „ქუთაისი“, 1990, 26 აპრილი; აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ.10.

თარიღი: [1873-1893].

სათაური: შავი ქვის თავგადასავალი.

ხელმოწერა: აკაკი წერეთელი.

ჭიათურის მარგანეცის საბადოების აღმოჩენა აკაკი წერთლის სახელთანაა დაკავშირებული. მან უზარმაზარი შრომა გასწია, თუმცა მადლობის ნაცვლად პოეტს ბევრჯერ ატკინეს გული უსამართლო შენიშვნებით. აკაკის სურდა, ბოლო მოღებოდა გაუმართლებელ მითქმა-მოთქმასა და ჭორებს ამ საკითხის შესახებ, ამიტომ დაწერა სტატია „შავი ქვის თავგადასავალი“, მაგრამ არ დაუბეჭდავს. მოგვიანებით მან წერილი გადაამუშავა და 1893 წლის დეკემბერში გაზ. „ივერიაში“ გამოაქვეყნა განსხვავებული სათაურით. ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს როგორც სტატიების შინაარსობრივი მსგავსება, ისე ტექსტის ცალკეულ ფრაგმენტთა დამთხვევა (იხ.: ნ.ფრუიძე, ზოგიერთი რამ აკაკი წერეთლის ახლად გამოვლენილ ნაწერთა შესახებ, აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 49-71).

4. ზოგი რამ (გვ. 165)

ნაბეჭდი: გაზ. „თეატრი“, 1890, № 8; აკაკის კრებული I, თსუ, 1999, გვ. 124;

თარიღი: 1890;

სათაური: ზოგი რამ;

ხელმოწერა: აკაკი.

წერილი მკვლევარმა ლ.ჭრელაშვილმა აღმოაჩინა მოსკოვის ქართველოლოგიის კაბინეტში მუშაობისას. გაზ. „თეატრის“ აღნიშნული ნომერი საქართველოში არ არის.

5. აღუუუ! (გვ. 171)

ნაბეჭდი: გაზ. „ივერია“, 1894, № 75; აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 18.
თარიღი: 1894.
სათაური: სახუმარო გასართობი. აღუუუ!
ხელმოწერა: ცუკია.

ფსევდონიმი რომ ნამდვილად აკაკის ეკუთვნის, ადასტურებს ჟ. „კვალში“ (1894, №10) დაბეჭდილი სტატია, რომელშიც წერია, რომ პოეტს განზრახული აქვს გარკვეული ტიპის წერილების გამოქვეყნება „ცუკიას“ ხელმოწერით (იხ.: ნ. ფრუიძე, ზოგიერთი რამ აკაკი წერეთლის ახლად გამოვლენილ ნაწერთა შესახებ, აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 49-71).

6. მცირე შენიშვნა (გვ. 173)

ნაბეჭდი: გაზ. „ივერია“, 1894, № 208; „განთიადი“, 1990, № 2; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 98.
თარიღი: 1894.
სათაური: მცირე შენიშვნა.
ხელმოწერა: აკაკი.

აკაკი წერეთელმა ჟ. „კვალში“ (1894, № 28) გამოაქვეყნა წერილი „ჭრელი ფიქრები“, რომელშიც დაწუნებული იყო ი. გოგებაშვილის მიერ მოთხრობაში „ბულბული და გუგული“ („ივერია“, 1894, № 137) ხმარებული ფორმა „გაღიარებ“. იაკობ გოგებაშვილმა არ გაიზიარა აკაკის შენიშვნა („ივერია“, 1894, №144), რასაც მოჰყვა ცნობილი „საგრამატიკო დისკუსია“, რომელშიც ჩაბმულნი იყვნენ სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწეებიც, მათ შორის ილია ჭავჭავაძე. კამათი საგრამატიკო საკითხებზე საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა (იხ.: კრებ. ილია ჭავჭავაძე და საგრამატიკო პაექრობა 1886-1894 წ.წ. შემდგენლები: ნ. კოტინოვი, ლ. მეფარიშვილი, თბ., 1992) წინამდებარე წერილი სწორედ ამ დისკუსიის დასრულების მცდელობაა.

7. გაფრთხილება (გვ. 174)

ნაბეჭდი: ჟ. „კვალი“, 1894, № 24, გვ. 5; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 99.
თარიღი: 1894;
სათაური: გაფრთხილება;
ხელმოწერა: იმერელი.

1894 წ. ჟ. „კვალში“ (№ 20) დაბეჭდა აკაკის „ჭრელი ფიქრები“ ფსევდონიმით „ჩოხოსანი“. ჟურნალის მომდევნო ნომერში აკაკიმ თავისივე წერილის პასუხად გამოაქვეყნა „სახუმარო გასართობი. აღუუ!“ („კვალი“, 1894, № 21). ამ სტატიას გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე გამოეხმაურნენ ა. ახნაზაროვი და გრ. აბაშიძე. სწორედ მათ უძღვნა აკაკიმ „გაფრთხილება“, რომელიც დაიბეჭდა ფსევდონიმით „იმერელი“.

8. [ქუთაისის სემინარია და ქუთაისის ციხის ნანგრევები] (გვ. 176)

ნაბეჭდი: ჟ. „კვალი“, 1894, № 39; აკაკის კრებული I, თსუ, 1999, გვ.105;
თარიღი: 1894.
სათაური: უსათაურო.
ხელმოწერა: ქართველის შვილი.

მკვლევარ ლ. ჭრელაშვილის აზრით, ჟ. „კვალში“ გამოქვეყნებული ეს მოწინავე სტატია აკაკის კალამს უნდა ეკუთვნოდეს. როგორც ცნობილია, აკაკი იყო ერთ-ერთი დამაარსებელი ამ ჟურნალისა გ. წერეთელთან და ი. მაჩაბელთან ერთად. ის აქტიურად თანამშრომლობდა ამ პერიოდულ ორგანოსთან და მსგავსი ფსევდონიმითაც არაერთი ნაწარმოები აქვს გამოქვეყნებული (დაწვრილებით იხ.: აკაკის კრებული I, თსუ, 1999, გვ. 104).

სტატიას ერთვის 10 სტროფიანი ლექსი „ქუთაისის ძველი ციხე“ ქვესათაურით: ვუძღვნი ქუთაისის სამღვდელოებას.

9. М.-Г. г. редактор! (გვ. 178)

ნაბეჭდი: Газ. «Новое обозрение», № 3557, 1894, 4/V. აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 32.

თარიღი: 1894.

სათაური: М.-Г. г. редактор!

ხელმოწერა: Кн. Ак. Церетели

10. Ответ автору банковиады (გვ. 179)

ნაბეჭდი: Газ. «Новое обозрение», № 3568, 1894, 15/V. აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 33.

თარიღი: 1894, 12/V.

სათაური: Ответ автору банковиады (письмо в редакцию).

ხელმოწერა: Акакий.

აკაკიმ ჟ. „კვალში“ 1894 წელს (20, № 8/V) გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ჭრელი ფიქრები“ „ჩოხოსნის“ ფსევდონიმით, რომელშიც ბანკის დამფუძნებელთა კრებებზე სავალდებულოდ მიიჩნევდა სოფლელ აქციონერთა დასწრებას. სწორედ სოფლელი წვრილი მემამულეები იყვნენ ქართველი აქციონერები და მათი ქომაგობა საქართველოს ინტერესების დაცვას ნიშნავდა. ამ წერილის პასუხად რამდენიმე კრიტიკული წერილი დაიბეჭდა, რომლებშიც აკაკის უსაფუძვლო ბრალდებები წაუყენეს (იხ.: ნ. ფრუიძე, ზოგიერთი რამ აკაკი წერეთლის ახლად გამოვლენილ ნაწერთა შესახებ, აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 49-71). აკაკი მათ გამოეხმაურა სტატიით „Ответ автору банковиады“.

11. Вынужденное объяснение (გვ. 182)

ნაბეჭდი: Газ. «Новое обозрение», № 3695, 1894, 30/IX. აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 36.

თარიღი: 1894.

სათაური: Вынужденное объяснение (письмо в редакцию).

ხელმოწერა: Кн. Ак. Церетели.

წერილი არის გამოხმაურება ნ. ნიკოლაძის სტატიაზე, რომელშიც ავტორი («Новое обозрение», № 3654, 1894, 29/IX) ინჟინერ სიმონოვიჩს მოიხსენიებს, როგორც მარგანეცის მადნის პირველაღმომჩენს, ხოლო აკაკი წერეთელს თვითმარქვიასა და ტრაბახას უწოდებს.

12. Чистосердечный ответ (გვ. 184)

ნაბეჭდი: Газ. «Новое обозрение», № 3698, 1894, 4/X. აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 37.

თარიღი: 1894

სათაური: Чистосердечный ответ

ხელმოწერა: Кн. Ак. Церетели

წერილიც ნ. ნიკოლაძესთან მარგანეცის საკითხთან დაკავშირებით წამოწყებული პოლემიკის გაგრძელებაა.

13. Открытое письмо к Д.Н. Бакрадзе (გვ. 188)

ნაბეჭდი: Газ. «Новое обозрение», № 3721, 1894, 27/X. აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 41.

თარიღი: 1894.

სათაური: Открытое письмо к Д.Н. Бакрадзе.

ხელმოწერა: А. Церетели.

წერილიც, ისევე როგორც წინა ორი პუბლიკაცია, ნ. ნიკოლაძესთან მარგანეცის საკითხთან დაკავშირებით წამოწყებული პოლემიკის გაგრძელებაა (იხ.: ნ. ფრუიძე, ზოგიერთი რამ აკაკი წერეთლის ახლად გამოვლენილ ნაწერთა შესახებ, აკაკის კრებული II, თსუ, 2005, გვ. 64-66).

14. პასუხი მტერ-მოყვრებს (გვ. 191)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, № 270.

ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 91.

თარიღი: [1912].

სათაური: პასუხი მტერ-მოყვრებს.

ხელმოწერა: აკაკი.

1912 წლის სექტემბერში პოეტმა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის რწმუნებულობაზე იყარა კენჭი საჩხერეში, მაგრამ დამარცხდა. რამდენიმე თვე გაგრძელდა პოლემიკა აკაკის „გაშავების“ მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის გაზეთების — „თემი“, „სახალხო გაზეთი“ და „იმერეთი“ — ფურცლებზე. სავარაუდოდ, აკაკიმ წინამდებარე წერილი სწორედ ამ პერიოდში შექმნა (იხ.: ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 91).

15. საქველმოქმედო ჭიდაობა (გვ. 192)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, № 275;

ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 93;

თარიღი: [1914].

სათაური: საქველმოქმედო ჭიდაობა;

ხელმოწერა: აკაკი.

წერილი, სავარაუდოდ, პირველ მსოფლიო ომში დაჭრილთა დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო აქციასთან დაკავშირებითაა დაწერილი (იხ.: ე. ზარდიაშვილი, აკაკი უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 27-28.).

სხვადასხვა

1. [სიტყვა დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებაზედ] (გვ. 195)

ხელნაწერი: საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი 18 541, 2, ფურცელი 17, 5X22, მელანი (შავი).

ნაბეჭდი: ი. უთურაშვილი, „დიმიტრი ყიფიანი“, 1989, გვ. 311.

თარიღი: 1887.

სათაური: უსათაურო.

ხელმოწერა: ხელმოუწერელი (გადაწერილია უცნობი ხელით).

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ოფიციალურ საბუთებში დაცულია აკაკი წერეთლის ამ სიტყვის „მოკლე შინაარსი“, რომლის დედანი (რუსულ ენაზე) გამოქვეყნებულია შ. ჩხეტიას მიერ (იხ.: თამაზ ჯოლოგუა, საშვილიშვილო მოკავშირე-დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1997, გვ. 189).

აღნიშნული სიტყვასთან ერთად აკაკის დიმიტრი ყიფიანის საფლავთან წარმოუთქვამს ლექსი „ქართველი უცხოეთში“ (იხ.: ჯ.გაბოძე, „როდის შეიქმნა და ვის მიეძღვნა „განთიადი“, ჟ. „ლიტერატურული ძიებანი“, XXII, 2001; მისივე, „აკაკის თხზულებათა გამოცემები“, თბ.: 2009, გვ.118).

2. გლოვა (გვ. 196)

ნაბეჭდი: ჟ. „მწყემსი“, 1899, 14; აკაკის კრებული, I, 1899, № 6; ჟ. „განთიადი“, 1991, № 11-12; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001; გვ. 124;

თარიღი: 1899;

სათაური: გლოვა;

ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

...*მემკვიდრე ცესარევიჩი გიორგი*... დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე რომანოვი (1871-1893), ნიკოლოზ II-ის ძმა, ტახტის მემკვიდრე. ჯანმრთელობაშერყეული დიდი მთავარი უკანასკნელი შვიდი წელი ცხოვრობდა აბასთუმანში. მისი შუამდგომლობით დიდძალი თანხა გამოიყო კავკასიის მუზეუმის აღსაწერად და დასურათებული კატალოგის გამოსაცემად. მისივე ხელშეწყობით დაიბეჭდა მრავალი შრომა კავკასიის, მისი ბუნებისა და ეთნოგრაფიის შესახებ. გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების შემდეგ ნიკოლოზ II-მ ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა უმცროსი ძმა – მიხეილ ალექსანდრეს ძე.

3. სამოციანელთა წინამორბედი (გვ. 197)

ხელნაწერი: საქ. სახ. ლიტ. მუზეუმი, აკაკის ფონდი, № 17 779;

ნაბეჭდი: გაზ. „ივერია“, 1900, № 1330; გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1973, 17 თებერვალი; გაზ. „ქუთაისი“, 1985, 29 იანვარი; „განთიადი“, 1991, № 11-12; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 128.

თარიღი: 1900.

სათაური: სამოციანელთა წინამორბედი. მინაწერი: აკაკის სიტყვა გიორგი ღოღობერიძის დაკრძალვაზე.

ხელმოწერა: აკაკი.

გიორგი ღოღობერიძე (1832-1900) ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ მირსკის მიწვევით მუშაობდა საგანგებო მინდობილობათა მოხელედ. 1868 წ. დაინიშნა ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწედ, 1869 წლიდან სოცოცხლის ბოლომდე იყო ნაფიცი ვექილი.

4. [სპარსეთიდან მოსული ქართველი სტუმრების პატივსაცემად წარმოთქმული სიტყვა] (გვ. 199)

ხელნაწერი: საქ. სახ. ლიტ. მუზეუმი, აკაკის ფონდი, № 17 777;
ნაბეჭდი: კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 129.
თარიღი: [1907].
სათაური: ბატონებო!
ხელმოწერა: აკაკი.

1907 წლის 11 იანვარს გაზ. „ისარი“ (№ 5) იტყობინებოდა, რომ 9 იანვარს თბილისში ჩამოვიდნენ ყოლამრეზა ხუციშვილი და ყოლამოსეინა ონიკაშვილი. ქართული საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით მოეკიდა ამ ადამიანებს. მათ პატივსაცემად გამართულ საზეიმო ვახშამს აკაკიც ესწრებოდა. პოეტს სტუმრებისათვის სიტყვით მიუმართავს. ონიკაშვილისა და ხუციშვილის დაბინავებაზე უზრუნია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ხოლო ქართულის მასწავლებლად მიუჩენიათ ლ. ბოცვაძე.

5. რამდენიმე სიტყვა განსვენებულ გრიგოლ ეპისკოპოსზე (გვ. 200)

ნაბეჭდი: ჟ. „მწყემსი“, 1908, № 10; ჟ. „განთიადი“, 1992, № 2; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 130.
თარიღი: 1908.
სათაური: რამდენიმე სიტყვა განსვენებულ გრიგოლ ეპისკოპოსზე.
ხელმოწერა: აკაკი.

გრიგოლ ეპისკოპოსი (დადიანი) — ბერად აღიკვეცა დავით გარეჯის მონასტერში. მის მიერ წარმოთქმული შესანიშნავი სიტყვა გამოქვეყნდა „ცისკარში“ (1962, № 9). გრიგოლი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად აკურთხეს 1886 წელს. გარდაიცვალა 1907 წლის ოქტომბერში. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში.

6. უცხოელი ქალი (გვ. 203)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი № 273;
ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 83.
თარიღი: [1908].
სათაური: უცხოელი ქალი.
ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

ავტოგრაფი შესრულებულია რვეულში, რომელშიც კიდევ ერთი ტექსტია: „საუბარი მამა-შვილს შუა". ტექსტი დათარიღებულია სწორედ ამ უკანასკნელის მიხედვით, რადგან „საუბარი" აკაკის იუბილეს დღეებში, 1908 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა (იხ:. ე.ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005).

7. წერილი მეგობრებთან (გვ. 204)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი № 239;
ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 86.
თარიღი: [1900].
სათაური: წერილი მეგობრებთან.
ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

სტატია ეხება აკაკის საიუბილეო კომიტეტის მიერ დაარსებული „აკაკის ფონდის" საკითხს. დაშლის შემდეგ კომიტეტმა ფონდთან დაკავშირებით უფლებამოსილება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" გადასცა. პოეტმა რამდენჯერმე მიმართა „საზგადოებას" ფინანსური შემწეობის თხოვნით, მაგრამ ამაოდ. სწორედ ამ ფაქტით გამოწვეული გულისტკივილის გამოხატულებაა წინამდებარე წერილი, რომელიც რატომღაც აღარ გამოაქვეყნა აკაკიმ (იხ.: ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 91).

8. [აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვა ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსების ოცი წლისთავთან დაკავშირებით] (გვ. 207)

ხელნაწერი: საქ. სახ. ლიტ. მუზეუმი, აკაკის ფონდი, 17 780;
ნაბეჭდი: კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2005, გვ. 133;
თარიღი: [1910].
სათაური: ბატონებო!
ხელმოწერა: აკაკი.

1910 წლის 26 თებერვალს აკაკი დაესწრო ჟ. „ჯეჯილის“ იუბილეს ქ. ქუთაისში და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. საღამო გააშუქა გაზ. „დროებამ“ (1910, № 50).

9. [აკაკის სიტყვა მელიტონ ჩოგოვაძის დაკრძალვაზე წარმოთქმული] (გვ. 208)

ნაბეჭდი: გაზ. „ფონი“, 1910, თებერვალი; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 136.
თარიღი: 1910.
სათაური: უსათაურო.
ხელმოწერა: აკაკი.

მელიტონ ჩოგოვაძე – პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. იგი 1896 წლიდან განაგებდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, პარალელურად მოღვაწეობდა ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში.

10. ილია — მზე (გვ. 209)

ნაბეჭდი: „სახალხო გაზეთი“, 1911, № 37; ჟ. „განთიადი“, 1991, №11-12; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 137.
თარიღი: 1911.
სათაური: ილია-მზე.
ხელმოწერა: ხელმოუწერელი.

1911 წლის ზაფხულში აკაკი მესამედ ეწვია კახეთს. ყვარელში გამართული საღამო დასრულდა ვახშმით, რომელზეც სამადლობელ სიტყვაში აკაკიმ ილია მზეს შეადარა. ეს სიტყვა დაბეჭდა „სახალხო გაზეთმა“.

11. განცხადება (გვ. 209)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი № 278.
ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 85.
თარიღი: [1908].
სათაური: განცხადება.
ხელმოწერა: ხელმოუწერელი.

წერილი ეხება იმ საგაზეთო პუბლიკაციებს, რომლებიც მიზნად პოეტის დისკრედიტაციას ისახავდნენ. მართალია, ავტოგრაფი უთარიღოა, მაგრამ წერილში ნახსენები ავტორის ასაკი და დასახელებული პირები იძლევა ტექსტის დათარიღების საშუალებას (იხ.: ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები თბ., 2005, გვ. 22-23).

12. [აკაკის სიტყვა წარმოთქმული ჭრებალოს საზოგადოების წინაშე] (გვ. 211)

ნაბეჭდი: გაზ. „კოლხიდა“, 1912, №112; კრებული „უცნობი აკაკი“, II, თსუ, 2001, გვ. 43.
თარიღი: 1912.
სათაური: ბატონებო!
ხელმოწერა: ხელმოუწერელი.

1912 წელს აკაკიმ იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. გაზ. „კოლხიდის“ საკუთარი კორესპონდენტი, ს. დათეშიძე მოგზაურობის მთელ პროცესს აშუქებდა და რედაქციას მასალას აწვდიდა. სწორედ მის მიერ ჭრებალოში ჩაწერილი მიმართვის ტექსტი გამოაქვეყნა გაზეთმა. ს. დათეშიძისავე ცნობით, აკაკიმ ჭრებალოში წაკითხა ლექცია „საქართველოს უძველესი ნაშთები“. პოეტს თითქმის ერთი საათი უსაუბრია. სამწუხაროდ, ლექციის ტექსტი ჯერ-ჯერობით მიუკვლეველია.

13. [აკაკი დუელის შესახებ] (გვ. 211)

ნაბეჭდი: „Тифлисский журнал“, 1913, № 8; ჟ. „ცისკარი“, 1960, № 6; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 153.
თარიღი: 1913.
სათაური: უსათაურო.
ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

1913 წელს „Тифлисский журнал“-მა დაიწყო ბრძოლა დუელის ტრადიციის წინააღმდეგ. რედაქციამ თხოვნით მიმართა ცნობილ მოღვაწეებს, გამოეთქვათ თავიანთი აზრი. გაზეთის ის ნომერი, რომელშიც აკაკის წერილია დაბეჭდილი, საქართველოში არ ინახება. პროფ. ჯ. ჭუმბურიძემ მას მიაკვლია პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში;

14. [ქალის როლი საზოგადოებაში] (გვ. 212)

ნაბეჭდი: „სახალხო გაზეთი“, 1914, № 1090; ჟ. „განიადი“, 1991, № 11-12; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 139.
თარიღი: 1914.
სათაური: უსათაურო.
ხელმოწერა: ხელმოუწერელი.

„სახალხო გაზეთის“ რედაქციამ 1914 წლის დამდეგამდე ასამდე ქართველ მწერალს, მსახიობს, საზოგადო მოღვაწეს მიმართა თხოვნით, პასუხი გაეცათ შემდეგ საანკეტო კითხვებზე: 1. ქალის დანიშნულება კაცობრიობის ისტორიაში; 2. რას უნდა მიაქციოს ყურადღება დღევანდელმა ქართველმა ქალმა? საანკეტო ფურცლები მათგან მხოლოდ ნახევარმა დააბრუნა.

15. [აკაკის სიტყვა ქართულ საღამოზე პეტერბურგში] (გვ. 213)

ნაბეჭდი: ჟ. „კლდე“, 1913, № 6; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ.137.
თარიღი: 1913.
სათაური: უსათაურო.
ხელმოწერა: ხელმოუწერელი.

აკაკი 1912 წ. ნოემბრის დამლევს გაემგზავრა პეტერბურგში. მას რამდენჯერმე მოუწყვეს მიღება ქართველმა სტუდენტებმა. როგორც ჩანს, ეს სიტყვაც ერთ-ერთ ასეთ საღამოზეა წაკითხული.

16. [აკაკის სიტყვა წყალტუბოში წარმოთქმული] (გვ. 214)

ნაბეჭდი: ჟ. „განთიადი“, 1991, № 11-12; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 138.
თარიღი: [1913].
სათაური: ბატონებო!
ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

1913 წელს წყალტუბოში ცოლ-შვილთან ერთად ისვენებდა აკაკი. იგი მიიწვიეს ნადიმზე, სადაც გრძნობიერი სიტყვებით მიმართეს დამსწრეებმა. აკაკის საპასუხო ტექსტს მიაკვლია ირ.ერემეიშვილმა და „განთიადის“ საიუბილეო ნომერში დაბეჭდა 1991 წელს.

17. [აკაკის სიტყვა გორის „ქართველ ქალთა საზოგადოების“ („მადილოსანი“) წევრთა კრებაზე] (გვ. 215)

ნაბეჭდი: „სახალხო გაზეთი“, 1913, № 1037; ჟ. „განთიადი“, 1991, № 11-12; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 138.
თარიღი: 1913.
სათაური: უსათაურო.
ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

1913 წლის 3 ნოემბერს აკაკი დაესწრო გორში ქართველ ქალთა საზოგადოების კრებას და დამსწრეთ სიტყვით მიმართა. ამ სიტყვის ჩანაწერი მკითხველებს „სახალხო გაზეთმა“ შესთავაზა.

18. დღევანდელ დღეს ორნაირად ვდღესასწაულობთ (გვ. 216)

ნაბეჭდი: „სახალხო გაზეთი“, 1914, № 1091; ჟ. „განთიადი“, 1991, № 2; კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001, გვ. 139.
თარიღი: 1914.
სათაური: დღევანდელ დღეს ორნაირად ვდღესასწაულობთ.
ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

ქართველ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარემ, დომინიკა ერისთავმა სთხოვა აკაკის, ის 14 იანვარს დასწრებოდა სალიტერატურო საღამოს და მონაწილეობა მიეღო მასში. სწორედ აკაკის ერგო შეხვედრის გახსნის პატივი. პოეტის მიერ წარმოთქმული სიტყვა დაბეჭდა „სახალხო გაზეთმა“.

19. [ქორწილში წარმოთქმული მისალოცი სიტყვა] (გვ. 217)

ხელნაწერი: საქ. სახ. ლიტ. მუზეუმი, აკაკის ფონდი, №17 178.
ნაბეჭდი: კრებ. „უცნობი აკაკი“, თსუ, 2001; გვ. 153.
თარიღი: უთარიღო.
სათაური: ბატონებო!
ხელმოწერა: ხელმოუწერელია.

წერეთელი აძლევს ქალს აბაშიძეს... — ფრაზა ავტორის მიერაა ხაზგასმული. როგორც ჩანს, ეს ქორწინება პოეტმა აბაშიძეებისა და წერეთლების მრავალწლიანი ქიშპის დასასრულად გაიაზრა.

20. [ჩანაწერი მესამე დასელების შესახებ] (გვ. 218)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი № 339.
ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 101.
თარიღი: უთარიღო.
სათაური: უსათაურო.
ხელმოწერა: ხელმოუწერელი.

ტექსტი არის დაუსრულებელი ან დაკარგული სტატიის მცირე ფრაგმენტი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მისი გაგრძელება მიკვლეული არ არის (იხ.: ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 91).

21. [სიტყვა უცნობი ქალის დაკრძალვაზე] (გვ. 219)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი № 223.
ნაბეჭდი: აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 100.
თარიღი: უთარიღო.
სათაური: უსათაურო.
ხელმოწერა: აკაკი.

მიმართვის ადრესატის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა (იხ.: ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბ., 2005, გვ. 91).

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე 99, 218
აბაშიძე კიტა 191
აბაშიძე ლევან 99
აგიაშვილი 33, 98
ადამი 40, 212
ადამი და ევა 40
ავთანდილი —(სააკაძე)131, 133
აკაკი 5, 6, 7, 8, 9, 10, 44, 47, 48, 50, 90, 126, 197, 205
207, 208, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216
ალექსანდრე — კახეთის მეფე 132
ალიხანოვი 65,
ანასტასია ბატონიშვილი 103
ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა 207
ანდრია პირველწოდებული 216
ანდრონიკოვის ქვრივი 162
ანტიოქ დიდი 84
ანტონ კათალიკოსი 89
ანტონოვი 26, 52
ანტონოვიჩი 26
ანდრეევი ლეონიდ 59
არაქელი 127
არაქსი 79, 84, 86
არისტიდოსი 126
არსენი 90, 91
არტაქსიასი 84
არქიმანდრიტი კესარიონი 58
არქიმედე 87
ასლანი 100, 127
ასლანიშვილი 133, 134, 135
აფხაზი დიმიტრი 16

ბ

ბაბილონი 67, 79, 80, 102
ბაიოზეთები 57
ბალანჩივაძე 54
ბარათაშვილი შადიმან 131
ბარონ ნიკოლაი 110, 111, 164
ბაქრაძე დ.93, 94
ბაცევიჩი 157
ბებუთოვი ვასილ ოსიფიჩ 110
ბებუთოვი კ.ა. 65

ბისმარკი 65
ბრემი 41
ბუნოვი 95

გ

გაბრიელ ეპისკოპოსი 176, 201
გაბუნია 52
გატერიასი ბ. 74
გატტერიასი 96
გაუპტმანის 31
გვალი-ფაშა 98, 99
გიორგი 5, 22, 97, 105, 120, 127, 129, 173, 198
გიორგი XII 105
გიორგი ბრწყინვალე 196, 198
გიოტე 36
გოგებაშვილი იაკობ 110, 173, 210
გოგოლი 53
გოგორიშვილი 137
გოლოვინი — ნაფიცი ვექილი 163
გრაფიტია მალი 159
გრენი 74, 94
გრიგოლ ეპისკოპოსი 10, 200, 202, 210
გურიელ-დადიანები 52
გუნია ვ.54

დ

დავით აღმაშენებელი 58 ,111, 120, 127, 196
დადიანი 24, 52, 54, 99, 111
დადიანი დავით 111
დავით კურაპალატი 73, 88
დარიოს მეფე 81
დიასამიძე გრიგოლ 205
დიასამიძე ილია 133
დიმიტრი თავდადებული 195
დისტერვეგი 34
დიულორიე ედ.96
დოდაშვილი 173

ე

ებრაელთა ნოე, ანუ ბაბილონელთა იზდუბარი 79
ევანგულოვი 65
ეკატერინე მეორე 102, 103
ელიავა გრიგოლ 210
ელიაშვილი ვანო 191

ერეკლე 99, 100, 103, 105
ერთი „ვინმე“ 175
ერისთავი გ. 14, 21, 51, 52, 98, 122, 136
ერისთავი დათუნა 136
ერისთავი ზურაბ 133, 135
ერისთავი როსტომ 98
ერმოლოვი 100

ვ

ვალერი (რომის იმპერატორი) 85
ვარანცოვის კნეინა 23
ვაშაძე საჩინო 158, 159
ვახტანგი 22, 88, 89, 93, 210
ვახტანგ გორგ-ასლანი 127
ვახუშტი 127
ვოდოვოზოვი 34
ვოლტერი 37, 104
ვორონცოვი 51
ვოსტორგოვი 109

ზ

ზაიცევი 35,
ზარიადრესი 84
ზუბალოვი 65

თ

თამარ მეფე 97, 128, 217
თარგამ 80, 82
თარხნიშვილი ი. 111
თბილელი იოსებ 127
თბილელი მიტროპოლიტი დიონისე 136
თეიმურაზ მეფე 133, 134, 135, 137
თეიმურაზ მუხრან ბატონი 135
თემურ ლენგი 57, 86, 196
თერგ დალეული 19, 20
თუმანოვი გ. 65

ი

იაკობი 86, 173
იბსენი 31, 52
ივანენკო 65
ივან მუხრან ბატონი 164
იზმაილოვი 65,
ილია ჭავჭავაძე 6, 7, 43, 44, 209
იმერელი 121, 165, 167, 171, 172, 175
იოსებ (სოსიკო) მერკვილაძე 223
იუდა 109

კ

კაბადოკიელი 216
კაზლოვი 38,
კათალიკოზი ზაქარია 133
კირიონი 108
კნუტ გამსუნი 31
კორიოლანუსი 126
კოტლიარევსკი 53,
კრაპივნიცკი 53, 54
კრილოვი 36
კუტუზოვი 36

ლ

ლანგლუა 81
ლენგ თემური 57, 196
ლენორმანი 78, 80, 81
ლეონიდი (ეპისკოპოსი) 108
ლოიოლა (იგნატიუს) 41
ლერმონტოვი 212
ლუარსაბი (ტახტის მემკვიდრე) 130,131, 132
ლუარსაბი — ქართლის მეფე 130, 131,132

მ

მაიკოვი 35
მაკედონელი ალექსანდრე 84
მაკოვი 159
მარრი 87, 88, 89,90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97
მაჩაბელი მიხაილ ვახტანგის ძე 210
მერკვილაძე სოსიკო 223
მერცენფელდი 164
მესხიშვილი 54
მეფე გიორგი 130

მეფე ერეკლე 103
მეფე სვიმონ დიდი 129
მეფე სოლომონი 99
მეფე ხოსრო ფარვიზი (ფეროზი) 86
მეტერლინკები 52
მინაევი 35
მოენიძე 25, 26, 27
მოსე ხონელი 93
მოძღვაროვი ინოკენტი უ. 16
მურავიოვი 51
მურვან ყრუ 57
მუხრანსკი ივანე 164
მხიტარი 89

ნ

ნაზიმ-ვეზირი 137
ნაპოლეონი 36
ნიკოლაძე 34, 65
ნიკოლაძე ბ. 34, 35, 36, 38, 39, 40, 41, 42
ნიკონი (რუსეთის პატრიარხი) 201

ო

ორბელიანი სულხან საბა 95
ოპპერტი 78
ოსტრიაკოვი 160, 164

პ

პაატა (სააძე)132, 133, 136
პანინი ნიკიტა 103
პაპუნა 133
პატარა კახი 103
პატკანოვი 74, 93, 94
პატრიარქი აბრაამი 90, 91
პეისონელი 127
პესტალოცი 34
პისარევი 26
პეტრე I -01, 102
პოტიომკინი 103

ჟ

ჟორდანია თ. 90, 91

რ

რაულინსონი ჰენრი 80, 83
რეიტერი 65
რუსთაველი 52, 59
როსტევანი 131
რუსეთუმე მ 20, 145

ს

სააკაძე გიორგი 126, 127, 129, 130
სააკაძე შიოშ 129
საბა — სულხან-საბა ორბელიანი 95
საბუროვი სოლომონ 157, 158
საროკინი 157
სენ-მარტენი 82, 85
სერასფრა 99
სერასქირი 98
სვიმონ მეფე 134, 136
სვიმონოვიჩი — ცნობილი გეოლოგი 156, 157
სილოვანი 47, 173, 223
სოლომონ დიდი 103
სოლომონ პირველი 98
სუვორინი 54
სტრაბონი 84

ტ

ტაციტი 82
ტოლსტოი 35
ტოტლებენი 99, 104
ტროფილე 136

ფ

ფანცხავა იაკობ 191
ფურმანი 164
ფურცელაძე 25, 26, 27

ქ

ქანანელი სვიმონ 216
ქართლელი ბაქარ15
ქეთევანი 132, 217
ქიაქსარი 81

ღ

ღამბაშიძე 205
ღოღობერიძე ბ. 111, 176
ღოღობერიძე გ. 163, 197, 198
ღოღობერიძე გიორგი 197, 198

ყ

ყაფლანიშვილი ასლან 100
ყიფიანი დიმიტრი 65, 195
ყორჩი ხანი 133, 134

შ

შაჰ აბაზი 102
შაჰ-აბასი 136, 196
შევჩენკო ტარას 53

ჩ

ჩერნიშევსკი 26
ჩექეზიშვილი 53
ჩოგოვაძე მელიტონ 208
ჩინგის ყაენი 57
ჩილლი 156
ჩიჩაგოვი 36,
ჩუბინოვი 15
ჩუბინოვი დ. 95
ჩუბინაშვილი 95

ცა

ცაგარელი 46
ცუკია 172, 233

წ

წერეთელი 6, 8, 27, 172, 218
წერეთელი აკაკი 6, 172, 218, 223
წერეთელი გიორგი 25, 2, 70
წმიდა გრიგოლი 85
ნერეთელი ეფთვიმე 19
ნერეთელი სალომე 162
წმიდა ნინო 23, 216, 217
წილკნელი მირმანოზი 133

ჭ

ჭავჭავაძე 19, 65, 171, 172
ჭავჭავაძე გულბაათ 171, 172
ჭავჭავაძე ილია 19, 44
ჭავჭავაძე ნიკოლოზ 16
ჭირჭიმელი ივანე — პეტრიწათ წოდებული 95

ხ

ხერხეულიძე პაატა 133
ხვოლსონი 94
ხოჯა-ხანი 104, 105, 196

ჯ

ჯუსტი 35

ჰ

ჰაო — თარგამის უფროსი ძე 82, 83

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

აზია 102, 128, 139
არაბეთი 102
არანეთის (არაბები) ნახევარკუნძული 79
არარატი 73, 80
არაქსის შუახეობა 86
არმენი — სემიტურად მთიულეთი 80, 81, 83, 84, 85, 86
ასურეთი 79, 80, 102
აფხაზეთი 107
აღმოსავლეთი 6, 44, 79, 80, 84, 85, 98, 99, 115
აღმოსავლეთ საქართველო 137, 199

ბ

ბაბილონი 67, 79, 80, 102
ბალვანის ნახევარკუნძული 79
ბაღდადი 70, 138, 199
ბიჭვინთა 216
ბორჩალო 103

გ

განჯა 69, 103
გელათი 24, 58, 107
გიბრალტარი 104
გორი 176, 192, 209

დ

დასავლეთი 44,76, 79, 81, 83,85,98, 115
დასავლეთ საქართველო 99, 102, 103, 137, 165, 216
დარიალის ხეობა 103
დარუბანდი 102
დვალეთი130
დუშეთი 103

ე

ევროპა 20, 76, 79, 128, 158
ევროპია 102, 139
ერევანი 69, 103

ვ

ვენეცია 22,
ვიზანტია 83, 102,139

ზ

ზემო იმერეთი 201

თ

თბილისი 58,94, 134, 162,177

ი

იერუსალიმი 100,139
იმერეთი 8, 21,53, 58,98, 99, 100, 105, 109, 137,154,
65, 171, 172, 176, 195, 201
ინდოეთი 198

კ

კავკასია 58, 82, 159
კავკასიონი 102,122
კავკასიის მთები 68, 77
კასპიის ზღვა 204
კასპიის ნაპირები 102
კასპიის და ორმუზის ზღვები 77
კახეთი 82,99, 102,103,105,109, 132,133, 134,135, 171,172, 174
კვეცხნარი 164
კისლოვოდსკი 160
კონსტანტინოპოლი 139

მ

მანგლისი 75,89
მასისი — არარატი 73
მოლითი 23
მოსკოვი 58, 110
მოწამეთა 24, 57, 120
მტკვარი
მცირე აზია 73, 77
მცხეთა 75,89, 136

ო

ოსმალეთი 103, 104

პ

პალესტინა 79
პეტერბურგი 17,156,159,160, 163
პეტერებურღი 15, 19
პრუსია 207

ჟ

ჟენევა 59

რ

რაჭა 58
რაჭა-ლეჩხუმი 211
რგანი 156
რეინი — რაინი 156
რიონი 22,58
რომი 83, 85, 126
რუსეთი 14, 17, 20, 36,53,54, 86, 101,102,103,104, 105,106, 108, 109,111,112,121, 132,145,147,151,153,159,162, 197, 201, 213

ს

საბერძნეთი102
სამცხე-საათაბაგო 103
სამხრეთი 76,81
სამხრეთ ევროპა 79
საფრანგეთი 207
საქართველო 29, 42, 47, 57, 63, 74, 85, 88, 91, 98, 99, 101, 102, 103, 104, 105, 107, 108, 110, 111, 112, 113, 114, 115, 121, 122, 123, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 195, 196, 197, 199, 201, 208, 210, 213, 214, 215, 216, 217
საჩხერე 172
სვანეთი 57, 58, 107
სირაკუზი 87
სომხეთი 74, 81, 83, 84, 85, 88, 91, 94, 97, 120, 121, 123
სპარსეთი 84, 85, 86, 102, 103, 129, 131, 132, 133, 164, 199
სტამბული 46, 139
სურამი 68, 102, 105

ტ

ტაოსის კარი, ანუ ახლანდელი ჭოროხის ხეობა 74
ტიგროსი 77, 79
ტფილისი 99, 105

ფ

ფოთი 104

ქ

ქართლი 24, 88, 93, 98, 99, 130, 133, 137, 174
ქუთაისი 20, 22, 23, 154, 159, 176

ყ

ყარაბახი 25
ყვირილა 23

შ

შავი ზღვა 77
შავი ზღვა, ანუ სპერია 77
შავი ზღვისპირეთი 216
შირვანი 103
შუა აზია 76
შუამდინარეთი 77, 78
შორაპნის მაზრა 156, 160

ჩ

ჩრდილოეთი 76, 79, 115, 176

ც

ციმბირი 112, 170

ძ

ძაუხვი 99
ძველი ეგვიპტე 77

წ

წილოის მდინარე 77
წირქვალი 156, 157
წყალწითელა 22, 24
წყალტუბო 246

ჭ

ჭიათურა 158, 159
ჭიშურა 23
ჭრებალო 211

ხ

ხარაგაული 22
ხმელთაშუა ზღვა 79
ხრესილი 98

ჯ

ჯიონის მდინარე 77

ჰ

ჰაისტანი 81, 84

თემატური საძიებელი

წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე

ათონის „დაბადება“ (ვახტანგისაგან სლოვიანურთან შესწორებული) 89
ათონის „დაბადება“ (მთაწმინდელების ნათარგმნი) 89
არაკი „ქაშაპი თევზი და კატა“ 36
„ახალი მიმოხილვა“ 34

ბიბლია 82, 83,

დაბადება 80, 83
„დავითნი“ 148
„დროება“ 157

„**ვ**ეფხისტყაოსანი“ 59

„**თ**ემი“ 229

„**ი**ვერია“ 171
„ივერიის ფურცელი“ 46

„**კ**რებული“ 96
კრილოვის არაკი „მგელი ფარეხში“ 36

მაიკოვის „სამგვარი სიკვდილი“ 35
„მერცხლისა და ჭივჭავის ომი“ 40
მინანქრიანი სახარება 58
მოსეს წიგნები 77
„შვიდნი ვართ“ 38

ჟურნალი „კვალი“ 70

საგრამატიკო პაექრობა 173
„სამის თავ-გადასავალი“ 26
„სამშობლო“ 32
სახარება 58 107, 120,
სიბრძნე სიცრუისა 14, 15, 16,

ტოლსტოის „ივანე დამასკელი“ 35

უსლარი (უძველესი თქმულება კავკასიონზე) 79

„**ფ**ულიკო“ („ჟულიკო“) 46, 47

„ღალატი“ 32

„შეშლილი“ 21

„ჩვენი მამალი“ 40
ჩერნიშევსკის რომანი „რა ვქნათ“ 26

„ცისკარი“ 14, 18, 19,

„ჯეჯილი“ 34, 38,

წერილები საქართველოს ისტორიის, რელიგიისა და კულტურის საკითხებზე

ასპინძის ომი 104

ბაგრატის ტაძარი 58, 59, 104, 176,
„ბაზალეთის“ ომი 137
ბატონყმობის ხასიათი ძველ საქართველოში 139

გეგუთის ნაციხვარი 104
გელათი 24, 107
გელათის მონასტერი 58,

„დვინის კრება“ — 596 წ. 75, 89, 90, 91,

თამაში „სამაია“ 217

კვირიკეს ეკლესია 58

მარაბდის ომი 135, 136,

ნიკორწმინდის ტაძარი 58

რუმიანცევის მუზეუმი 58
რჯულის შესახებ 106

საქართველოს გმირული წარსული და დღევანდელი მდგომარეობა 98
საქართველოს შეერთება რუსეთთან 98
„სლოვიანი“ 107

შორაპნის ციხე 104, 156

ხოჯა ხანის შემოსევა და ტფილისის აოხრება 1795 წ. 98

წერილები საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის საკითხებზე

„**ა**კაკის ფონდი“ 205
არჩევნების შესახებ 65
აღზრდის საკითხები 106, 139

კადეტთა კორპუსი 110

მარშლის არჩევნები 114

რუსეთის გავლენა საქართველოში 106

სინოდი 108, 177
სომხური თემა 71, 87, 120, 125,
სოციალ-დემოკრატები და მათი შეხედულებები 114, 115, 116

ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“ 215
„ქრისტიანეთა [აღმდგენლების] საზოგადოება კავკაზიაში“
ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოება 58

შავი ქვის საკითხები 156

ჩანაწერი მესამე დასელების შესახებ

„**წ**. კ. გამგეობა“ 205

სხვადასხვა

აკაკი დუელის შესახებ 211
აკაკი ილიასთან დამოკიდებულების შესახებ 43
აკაკის იუბილესთან დაკავშირებული საკითხები 204
აკაკი საკუთარი ვალების შესახებ 209

სარჩევი

აკაკი წერეთლის უცნობი პუბლიცისტიკა..... 5

I. წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე

სიმართლის ჭორიკანობა..... 13
ახალი ანბები..... 19
ჭეშმარიტების აღდგინება..... 25
ქართული თეატრი..... 29
წერილები ჩვენს მწერლობაზე..... 33
[ილიასთან დამოკიდებულების შესახებ]..... 43
საპასუხო წერილი..... 46
განცხადება..... 50
.....
მცირე რამ შენიშვნა..... 51
ქართული არქეოლოგიური
ნაშთები და ზეპირსიტყვიერება..... 57

II. წერილები საქართველოს ისტორიის, რელიგიისა და კულტურის საკითხებზე

ოსმალეთის ქართველებს..... 63
სიტყვის ბანზე აგდება..... 65
ისტორიული განხილვა სახელწოდების:
არმენის, ჰაისტანის და სომხეთის..... 71
პროროფესორ მარრის საპასუხოთ..... 87
სიმართლე..... 98
[სოციალ-დემოკრატები და მათი შეხედულებები]..... 114
Ответ газете «Новое Время»..... 117
აღსარება..... 120
[ათასჯერაც რომ „სომხიყლაპია“ დამიძახონ]..... 125
[აკაკის სიტყვა გიორგი სააკაძის შესახებ]..... 126
ძველი აღზრდა I..... 139

III. წერილები საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის საკითხებზე

წიგნი მიწერილი რუსეთუმესთან..... 145
ცხელ-ცხელი ამბები..... 154
შავი ქვის თავგადასავალი..... 156
ზოგი რამ..... 165
სახუმარო გასართობი. აღუუუ! 171
მცირე შენიშვნა..... 173
გაფრთხილება..... 174
[ქუთაისის სემინარია და ქუთაისის ციხის ნანგრევები]..... 176
М.-Г. г. редактор! 178
Ответ автору банковиады (письмо в редакцию)..... 179
Вынужденное объяснение (письмо в редакцию)..... 182
Чистосердечный ответ..... 184

პასუხი მტერ-მოყვრებს..... 191
საქველმოქმედო ჭიდაობა..... 192

IV. სხვადასხვა

[სიტყვა დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებაზედ]..... 195
გლოვა..... 196
სამოციანელთა წინამორბედი..... 197
[სპარსეთიდან მოსული ქართველი სტუმრების
პატივსაცემად წარმოთქმული სიტყვა[..... 199
[რამდენიმე სიტყვა განსვენებულ
გრიგოლ ეპისკოპოსზე]..... 200
უცხოელი ქალი..... 203
წერილი მეგობართან..... 204
აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვა ჟურნალ „ჯეჯილის“
დაარსების ოცი წლისთავთან დაკავშირებით..... 207
[აკაკის სიტყვა მელიტონ ჩოგოვაძის 208
დაკრძალვაზე წარმოთქმული].....
ილია-მზე..... 209
განცხადება..... 209
[აკაკის სიტყვა წარმოთქმული ჭრებალოს
საზოგადოების წინაშე]..... 211

აკაკი დუელის შესახებ..... 211
[ქალის როლი საზოგადოებაში]..... 212
[აკაკის სიტყვა ქართულ საღამოზე პეტერბურგში]..... 213
[აკაკის სიტყვა წყალტუბოში წარმოთქმული]..... 214
[აკაკის სიტყვა გორის „ქართველ ქალთა საზოგადოების“ („მადილოსანი“) წევრთა კრებაზე]..... 215
დღევანდელ დღეს ორნაირად ვდღესასწაულობთ..... 216
[ქორწილში წარმოთქმული მისალოცი სიტყვა]..... 217
ჩანაწერი მესამე დასელების შესახებ..... 218
[სიტყვა უცნობი ქალის დაკრძალვაზე]..... 219

შენიშვნები და კომენტარები..... 220
პირთა საძიებელი..... 249
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი..... 257
თემატური საძიებელი..... 262